

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ყანჩელი

ჯონ დიუის პედაგოგიკური შეხედულებები

03.01-განათლების თეორია და ისტორია

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორი იმერი ზასილაძე

ქუთაისი

2018

შინაარსი

შესავალი	3
თავი I ჯონ დიუს პედაგოგიური შეხედულებების თეორიული და პრაქტიკული ანალიზი	13
§1. ჯონ დიუი ფილოსოფოსი და პედაგოგ-რეფორმატორი	13
§2. ჯონ დიუს პედაგოგიური იდეების თეორიული და მეთოდური საფუძვლები	28
§3. ჯონ დიუს პედაგოგიური შეხედულებების ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები	39
§4. ჯონ დიუს პედაგოგიური შეხედულებების შეფასება უცხოელ მკვლევართა შრომებში	58
თავი II ჯონ დიუს დიდაქტიკური სისტემა	65
§1. დიდაქტიკური სისტემების განვითარების ეტაპები.....	65
§2. პროექტის მეთოდი სკოლაში	71
§3. პრობლემური სწავლება	82
§4. პრაგმატიკული პედაგოგიკა	104
§5. პროგრესული პედაგოგიკა	119
§6. სოციალური კონსტრუქტივიზმი დიუს პედაგოგიკურ კონცეფციაში	128
§7. სკოლა-ლაბორატორია და მისი როლი სასკოლო სისტემის განვითარების საქმეში	136
§8. დიუს და ჰერბარტის დიდაქტიკური სისტემის შეპირისპირებითი ანალიზი	154
თავი III აღზრდის საკითხები ჯონ დიუს პედაგოგიურ ნააზრევში	162
§1. აღზრდის ზოგიერთი საკითხი დიუს პედაგოგიურ კონცეფციაში	162
§2. მორალის თეორიები ჯონ დიუს პედაგოგიურ ნააზრევში	169
თავი IV ჯონ დიუი - ქართული პედაგოგიური აზროვნება და თანამედროვეობა	174
§1. ჯონ დიუი და ქართველი პედაგოგები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში	174
§2. ჯონ დიუს პედაგოგიური იდეების გავრცელება 20-30-იანი წლების საქართველოში	182
§3. ჯონ დიუს პედაგოგიური შეხედულებების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული პედაგოგიკისათვის	188
დასკვნები	196
გამოყენებული ლიტერატურა	205

შესავალი

თემის აქტუალურობა. XX საუკუნის გარიჟრაჟზე აშშ-ში ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ექსპერიმენტებით და გამოკვლევებით გატაცება დაიწყო. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა: სტენლი ჰოლმა, მაკინ კეტელმა, უილიამ ჯემსმა და მათ მოწაფეებმა, ედვარდ თორდაიკმა, ლიუ ტერმენმა და სხვებმა, შექმნეს სპეციალური ლაბორატორიები, სადაც ჩატარდა უამრავი ცდა სასწავლო პროცესზე, ბავშვის განვითარებაზე, მის ინდივიდუალურ თვისებებზე და ა.შ. მათი კვლევითი საქმიანობის შედეგი იყო ის, რომ იმ დროიდან ფართოდ გავრცელდა ე.წ. „ტესტები“, რომელსაც იყენებდნენ ბავშვთა „გონებრივი ნიჭის განსაზღვრის“ მიზნით. თავიანთ ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ექსპერიმენტებში, ზემოთ ჩემოთვლილი მეცნიერები ემყარებოდნენ თეორიას, რომელის მიხედვითაც ბავშვის განვითარება-ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ ფაქტორად მემკვიდრეობა მიიჩნეოდა. ამ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურმა მიმდინარეობამ აშშ-ში თავის აპოგეას მიაღწია XX საუკუნის 20-იან წლებში.

სკოლაზე მდგრადი კონსერვატიული ტრადიციული შეხედულების მიუხედავად, პროდუქტიული განათლების იდეა თანდათან ძალაში შედის. ამ ფონზე, საგანმანათლებლო პროცესის მიზნის მისაღწევად, ახალი ხერხების გამომხატველი ალტერნატიული მიდგომები და ასევე შესაბამისი იდეების და კლასიკური პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის გამთვალისწინებელი მეთოდები შეადგენენ თანამედროვე დიდაქტიკური თეორიის საფუძველს. განათლების მოდერნიზაცია მიმართულია: განათლების ინოვაციური პარადიგმის მიებისკენ და სკოლაში, სწავლების პროცესში ოპტიმალური გზების სრულყოფისკენ. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია წარსულის პედაგოგიური კონცეფციების თეორიული გადამუშავება, მის არსში გარკვევა, თანამედროვე პედაგოგიური თეორიის განვითარებაზე მათი გავლენის დადგენა. ჩვენი თვალსაზრისით, ამ კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანია ჯ. დიუსის (1859-1952) ცნობილი ამერიკელი პედაგოგის, ფსიქოლოგის და ფილოსოფოსის პედაგოგიკური შეხედულებები. იგი გამოირჩევა კრიტიკული აზროვნებით და თავისუფალი ინიციატივით. სწავლების

თეორიაში მის წვლილად წარმოდგა მისი დამუშავებული კონცეფცია, რომ ადამიანი, მაშინ იწყებს ფიქრს, როდესაც იმ სიძნელეებს ხვდება და რომელთა გადალახვას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მის ყოველ ქმედებაში (აზროვნებაში) არის საფეხურები: სიძნელის განცდა, მისი აღმოჩენა და განსაზღვრა, მისი გადაწყვეტის (ჩანაფიქრის) წარმოჩენა (ჰიპოტეზის ფორმულირება), სავარაუდო გადაწყვეტილებებიდან (ჰიპოტეზის ლოგიკური შემოწმება) გამომდინარე დასკვნების ფორმულირება და ჰიპოტეზის მიღებისა და უარყოფის განმსაზღვრელი შემდგომი დაკვირვებები და ექსპერიმენტები.

ჯ. დიუის გამოცემული აქვს 80-მდე მონოგრაფია და სტატია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, გარკვეული პერიოდი - მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი, მიუწვდომელი იყო ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამავე საუკუნის 20-30-იან წლებში ბევრი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა, როგორც დიუის ავტორობით, ისე ქართველი ავტორების მიერ, საკვლევი მაინც ბევრია. ქართველ ავტორთაგან უნდა ავღნიშნოთ ს. სიგუა, ივ. როსტომაშვილი, ლ. ბოცვაძე, დ. გურგენიძე, უ. ობოლაძე, მ. ორახელაშვილი, დ. ყიფშიძე და სხვა. მაგრამ 40-იან წლებიდან საბჭოთა იდეოლოგიის მარწუხებში მოქცეულმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ საერთოდ აკრძალა დიუის სახელისა და შრომების ხსენება და გამოყენება საბჭოურ პედაგოგიკაში.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კვლავ აქტუალური გახდა დიუის პედაგოგიკური და ფილოსოფიური კონცეფციები. მნიშვნელოვან საკითხად იქცა ჯ. დიუის პედაგოგიური შრომების ახლებური ხედვა. განსაკუთრებით მისაღები გახდა ჯ. დიუის იდეები, როგორცაა: ისტორიულ გარემოში, კულტურის შემოქმედებითად დაუფლების მეშვეობით, პიროვნების ჩამოყალიბება; სოციოკულტურული კონტექსტის წამყვანი როლი განათლებაში; თეორიის და პრაქტიკის ურთიერთკავშირის პრინციპის რეალიზაცია; მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და მათი შემეცნებითი დამოუკიდებლობის განვითარება; სწავლების წიგნზე მუშაობის და ვერბალური მეთოდების აბსოლუტიზაციაზე უარისთქმა; ხელით შრომის როლი სწავლის პროცესში.

თანამედროვე ქართული პედაგოგიკური აზროვნება შეეცადა ფეხი აეწყო და არ ჩამორჩენოდა ევროპული და ამერიკული პედაგოგიკის განვითარების ტემპებს. ქართულ ენაზე ითარგმნა ჯონ დიუის ნაშრომები: „თავისუფლება და კულტურა“, „დემოკრატია და განათლება“, „ბავშვი და ცოდნის სტანდარტი“, „გამოცდილება და განათლება“. საინტერესო სტატიები გამოაქვეყნეს დიუის მოღვაწეობის, შემოქმედებისა და პედაგოგიკური კონცეფციის შესახებ: გ. დიმიტრიადისმა, ჯ. კემბერლისმა, ს. გორგოძემ, მ. მელიქიშვილმა, ბ. შარვაძემ, ლ. აბდალაძემ, მ. ახვლედიანმა, ნ. ორჯონიკიძემ, თ. დოგრაშვილმა, ნ. დვალმა, ი. ბასილაძემ, ნ. ჭოხონელიძემ, ნ. კოსტავამ, ნ. ქობულაძემ, გ. შერვაშიძემ და სხვა.

ნაშრომთა სიმრავლის მიუხედავად, დღემდე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში არ არსებობს ერთიანი, განმაზოგადოებელ-გამაერთიანებელი ნაშრომი, რომელშიც სრულყოფილადაა თავმოყრილი ჯ. დიუის, პედაგოგიკის სფეროში, მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა; მისი უდიდესი წვლილი სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში. ამრიგად, ამ კუთხით დღეისათვის არსებობს შემდეგი ობიექტური წინააღმდეგობები:

- ჯ. დიუის დიდაქტიკურ თეორიაში და საგანმანათლებლო პრაქტიკაში იდეების არსებობასა და მონაპოვარს (მიღწეულ წარმატებას) შორის წინააღმდეგობა.

- საგანმანათლებლო პრაქტიკაში ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის ისტორიულ-კულტურულ აუცილებლობას და გამოცდილების რეალიზაციის გააზრების პედაგოგიურ აუცილებლობას შორის წინააღმდეგობა.

ეს საკითხი არასაკმარისადაა გაშუქებული ქართულ ენაზე არსებულ სამეცნიერო კვლევებში. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ სადისერტაციოდ შერჩეული თემა: „ჯონ დიუის პედაგოგიკური შეხედულებები“ უცხოური მასალების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე, აქტუალურია განათლების თეორიისა და ისტორიისათვის და მისი გამოკვლევა, ჩვენი აზრით, დაეხმარება საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას.

კვლევის მიზანს შეადგენს დიუის პედაგოგიური იდეები, მათი თეორიული და მეთოდური საფუძვლები. მათი შესწავლის შემდეგ უნდა დაისახოს, ისეთი

ამოცანების გადაჭრა, როგორცაა: პრობლემური სწავლება, პრაგმატიკული პედაგოგიკა და ინსტრუმენტალური პედაგოგიკა.

კვლევის საგანი. მნიშვნელოვანია ჯონ დიუსის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური იდეებიდან თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის შესატყვისი კრიტერიუმების გამოყოფა. დიუსის ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ საკითხებში აღზრდისა და სწავლებისადმი ერთიანი მიდგომის სპეციფიკის გამოკვლევა, სასწავლო მიზნების, საშუალებების და მიღებული შედეგების თანაფარდობების შესწავლა და მათი კავშირი თანამედროვეობასთან.

კვლევის ობიექტი. ჯონ დიუსის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური შეხედულებების კვლევა და მისი კავშირი თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებასთან.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანაა დიუსის პედაგოგიურ და ფილოსოფიურ კონცეფციაში პედაგოგიკური და დიდაქტიკური მიდგომების სპეციფიკის გამოკვლევა. კერძოდ:

1. დიუსის პედაგოგიკური იდეების თეორიული და მეთოდური ანალიზი; როგორია ისტორიულ-თეორიული წინაპირობები ამ შეხედულებების შექმნისათვის და სამეცნიერო-მეთოდოლოგიური პირობები მისი რეალიზაციისათვის საგანმანათლებლო პრაქტიკაში?

2. თანაფარდობა აღზრდასა და სწავლებას შორის დიუსის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ კონცეფციაში;

3. დიუსის პედაგოგიურ კონცეფციაში ძირითადი ელემენტების „კეთებით სწავლებისა“ და „გამოცდილებაზე დაფუძნებული აღზრდის“ კვლევა.

4. ჯ. დიუსის დიდაქტიკური სისტემის არსი, შინაარსი და სტრუქტურა;

5. ჯ. დიუსის დიდაქტიკური სისტემის ისტორიულ-თეორიული წინაპირობების ჩამოყალიბების ეტაპების გამოვლენა;

6. ჯ. დიუსის დიდაქტიკური სისტემის სტრუქტურულ-შინაარსობრივი დახასიათება;

7. დიდაქტიკის განვითარებაზე - ჯ. დიუსის დიდაქტიკური დებულებების გავლენის საზოგადოებრივ - პედაგოგიური ფაქტორების წარმოჩენა;

8. აღზრდის არსის საკითხისათვის დიუის პედაგოგიკურ ნააზრევში;
9. მორალის თეორიები დიუის პედაგოგიკურ ნააზრევში;
10. დიუისა და და ქართველი პედაგოგების საგანმანათლებლო შეხედულებების დამთხვევის წარმოჩენა და გამოვლენა;
11. ჯ. დიუის პედაგოგიკური შეხედულებების მნიშვნელობა ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს:

- სისტემურობის ფილოსოფიური პრინციპი, რომელიც მთლიანობაში განიხილავს ისტორიულ-პედაგოგიურ მოვლენებს მის შემადგენელ ცალკეულ თვისებებთან ერთად.
- აქსიოლოგიური მიდგომა, რომლის თანახმად ადამიანი საზოგადოებაში უმაღლესი ფასეულობაა და საზოგადოებრივი განვითარების თვითმიზანია.
- პედაგოგიურ შემეცნებაში ლოგიკური, ისტორიული და კულტუროლოგიური ერთიანობის პრინციპი.
- პიროვნული და შემოქმედებითი მიდგომები.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას შეადგენს:

- განათლების ჰუმანიზაციის და დემოკრატიზაციის იდეები;
- ისტორიულ-პედაგოგიური და შედარებით-პედაგოგიური კვლევის კონცეპტუალური იდეები;
- სწავლების პროცესში პიროვნების განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თეორიები;
- განათლების არსის დიდაქტიკური თეორიები;
- სასწავლო მოღვაწეობის ინდივიდუალიზაცია;
- შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბება;
- პიროვნებაზე ორიენტირებული განათლების კონცეფციები.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა

ჯ. დიუის პედაგოგიკური და დიდაქტიკური კონცეფციების ისტორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველების შესწავლა შესაძლებელს გახდის:

- საქართველოში პედაგოგიური აზროვნებისა და განათლების ფილოსოფიის განვითარებას;

- საქართველოში თანამედროვე ინოვაციური მეთოდოლოგიის თეორიული მიმართულების განვითარებას სასკოლო განათლების ჰუმანიზაციის და დემოკრატიზაციის სფეროში;

- ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში შეივსება ის სიცარიელე, რომელიც არსებობდა ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციების ჩამოყალიბების ეტაპებზე-საზღვარგარეთის პედაგოგიკის ისტორიაში;

- განვითარდა ზოგადმეთოდოლოგიური და თეორიული მიდგომა სწავლების თეორიისა და პრაქტიკის მიმართ;

- საგანმანათლებლო პრაქტიკაში დიუის პედაგოგიკური და დიდაქტიკური კომპონენტების გამოყენების შესაძლებლობის ახლებურ ხედვას;

- ახალ პერსპექტივების გაჩენა - განათლების თანამედროვე ინოვაციური სტრატეგიის განვითარების მეცნიერული დასაბუთებისათვის.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

- დისერტაციაში მოცემული თეორიული დებულებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას: თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის, სკოლამდელი სისტემის, სასკოლო და უმაღლესი განათლების ორგანიზაციაში. პედაგოგიური კადრების მომზადება-სრულყოფაში.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

1. გაირკვა და გაშუქდა ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები.

2. გამოვლინდა:

- ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციის ჩამოყალიბების ისტორიულ-თეორიული წინაპირობები, რომელიც მოიცავდა ფილოსოფიური პრაგმატიზმის იდეებს, გამოცდილების, როგორც აზროვნების საწყისი სტადიის შესახებ;

- აზროვნების ფსიქოლოგიის ფუძემდებლური იდეები;

- სწავლების ფორმალიზებული ჰერბარტარული თეორიის პრინციპული უარყოფა.

3. წარმოდგენილ იქნა ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის სტრუქტურულ-შემადგენლობითი დახასიათება. განათლების მიზნის და შინაარსის; სწავლების პრინციპების, მეთოდების, საშუალებების და ფორმების; განათლებაში სუბიექტის როლის გათვალისწინება და წარმოჩენა.

4. ჯ. დიუის ლაბორატორიული სკოლის, როგორც დიდაქტიკური სისტემის შესახებ, თეორიულად დამტკიცებული და განხილულია სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების ძირითადი მექანიზმები.

5. გამოვლინდა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში ჯ. დიუის დიდაქტიკური მემკვიდრეობის შეფასება.

6. ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში წარმოდგენილ იქნა აღზრდის საკითხები დიუს პედაგოგიკურ კონცეფციაში.

7. გამოიკვეთა პიროვნების შემოქმედებითი მიმართულების განვითარება, შემეცნებითი დამოუკიდებლობის აქტივიზაცია, კვლევითი და პროექტების მეთოდების გამოყენებით.

8. კიდევ ერთხელ წარმოჩნდა დიუისა და ქართველი პედაგოგების საგანმანათლებლო შეხედულების დამთხვევა.

9. დისერტაცია წარმოადგენს, ქართულ ენაზე, ამ საკითხების ერთ სისტემაში მოყვანისა და მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას და გარკვეულად ავსებს ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში არსებულ ხარვესს.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ სადისერტაციო ნაშრომს გარკვეული წვლილი შეაქვს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის კვლევაში. კვლევის პროცესში მიღებული შედეგების შემოქმედებითად მიდგომა გამოადგება საქართველოში თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის განვითარებას და კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეს.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ, თუ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი ჯონ დიუის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური კონცეფცია, თუ ობიექტური შეფასება და ანალიზი გაუკეთდება მის მიერ ჩამოყალიბებულ სწავლა-აღზრდის შინაარსს, გამოვლინდება მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება წარსული კულტურის გამოვლინებაში. ხოლო მის

პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ კონცეფციაში არსებული დადებითი მიდგომები შეიძლება გამოყენებული იქნას თანამედროვე პირობებში, საქართველოში თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

კვლევის მეთოდოლოგია. დისერტაციაში გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგია, კერძოდ, ვისარგებლეთ ისტორიული და ორიგინალური წყაროების აქტუალიზაციის, შერჩევის, სისტემატიზაციის და განზოგადების მეთოდით; შედარებითი, შეპირისპირებითი, აღწერილობითი, შეფასებითი და სისტემურ - ანალიზური კვლევებით და სხვა.

კვლევის ძირითადი ეტაპები

კვლევა რამდენიმე ეტაპად იყოფა:

- **პირველი ეტაპი.** მოიცავს კვლევის პრობლემების არჩევის აუცილებლობას, მათი აქტუალობის ჩვენების და მოცემულ სფეროში არსებული წინააღმდეგობების წარმოჩენის საფუძვლიანობის დადასტურებას. განხორციელდა ჯ. დიუის მონოგრაფიების და სტატიების (ორიგინალი, თარგმანი) შესწავლა და განზოგადება. გაანალიზდა ფილოსოფიური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური ლიტერატურა. დადგინდა საკვლევი მუშაობის მიმართულებები და ჰიპოთეზა.

- **მეორე ეტაპი.** მიეძღვნა ამერიკელი პედაგოგის პედაგოგიური და დიდაქტიკური კონცეფციის ჩამოყალიბების ისტორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლას; გამოვლინდა დიუის დიდაქტიკური თეორიის ურთიერთკავშირი მეოცე საუკუნის რეფორმატორულ პედაგოგიურ მიმდინარეობებთან; დადგინდა ამერიკელი პედაგოგის პედაგოგიური და დიდაქტიკური სისტემის თეორიული საფუძვლები და სტრუქტურა.

- **მესამე ეტაპი.** ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის ტექნოლოგიური ასპექტების რეალიზაციის გამოვლენა; განხორციელდა კვლევის შედეგად დაგროვებული მასალის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ანალიზი; დისერტაციის გაფორმება.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები:

- ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციების გენეზისის და მათი ჩამოყალიბების ისტორიულ-მეთოდოლოგიური წინაპირობები და განვითარების ეტაპები.
- პრაგმატიზმის ფილოსოფიის იდეების როლი გამოცდილების, როგორც აზროვნების საწყისი სტადიის შესახებ.
- აზროვნების ფსიქოლოგიის ფუძემდებლური იდეები.
- სწავლების ფორმალიზებული ჰერბარტარული თეორიის პრინციპული უარყოფა.
- განათლება - სასიცოცხლო გამოცდილების პროცესი/ცოდნის შექმნის პროცესი;
- აღზრდა, როგორც სოციალური პროცესი;
- მორალის თეორიები;
- დიუისა და ქართველ პედაგოგთა საგანმანათლებლო შეხედულებათა საინტერესო დამთხვევა;

თეორიული კვლევის პროცესში მიღებულ იქნა შედეგები:

- ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციების გენეზისის და მათი ჩამოყალიბების ისტორიულ-მეთოდოლოგიური წინაპირობების თეორიული დასაბუთება; დიდაქტიკური სისტემის შექმნის ეტაპების პერიოდიზაცია;
- დადგინდა პრაგმატიზმის ფილოსოფიის იდეების როლი გამოცდილების, როგორც აზროვნების საწყისი სტადიის შესახებ;
- ეფექტურობა, როგორც წარმატების მიღწევის, სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტის საშუალება;
- დადგინდა განათლება, როგორც, სასიცოცხლო გამოცდილების პროცესში-ცოდნის შექმნის პროცესი;
- შესწავლილი იქნა ფსიქოლოგიური თეორიის დებულებები, რომლის თანახმადაც ბავშვის ინდივიდუალური განვითარების პროცესში, შემოკლებულად მეორდება ადამიანთა მოდემის განვითარების ძირითადი ეტაპები;
- აღზრდა შესწავლილი იქნა, როგორც სოციალური პროცესი;

- დადგინდა, მზა სახით მოცემული და სავარჯიშოებით მიღებული უნარების შესახებ ჰერბარტიანული პედაგოგიკის მიუღებლობა;
- მოკვლევითი იქნა მასალები კონკრეტული საგნობრივი შინაარსის შესწავლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შესახებ;
- შესწავლილი და გაანალიზებული იქნა მასალები მოსწავლის აქტიურობის გათვალისწინების უარყოფის შესახებ;
- გაანალიზებული, შესწავლილი და გამოკვლევითი იქნა დიუის პედაგოგიკურ კონცეფციაში მისი შეხედულება მორალის შესახებ;
- კიდევ უფრო დაკონკრეტდა დიუისა და ქართველ პედაგოგთა საგანმანათლებლო შეხედულებათა საინტერესო დამთხვევა.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, საერთო დასკვნებს, გამოყენებულ ლიტერატურას. შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო თემის შერჩევის მიზანი და ამოცანები, გამოკვლევითი მისი აქტუალურობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, განსაზღვრულია პრობლემა, მითითებულია გამოკვლევის ზოგადი ამოცანები და მეთოდები. ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებები.

აღნიშნული კვლევა და მიღებული შედეგები, საშუალებას იძლევა, გაივლოს პარალელები დიუის პედაგოგიურ იდეებსა და თანამედროვე პედაგოგიურ შეხედულებებს შორის; ჩვენი აზრით, კვლევის შედეგად მიღებული დადებითი შედეგები გასათვალისწინებელი და მისაღები იქნება თანამედროვე განათლების სისტემაში ინოვაციური მეთოდების გასატარებლად.

თავი I

ჯონ დიუის პედაგოგიკური შეხედულებების თეორიული და პრაქტიკული ანალიზი

§ 1. ჯონ დიუი ფილოსოფოსი და პედაგოგ-რეფორმატორი

ჯონ დიუი (1859-1952) დაიბადა ბარლინგტონში, ვერმონტში, საშუალო სოციალური კლასის ოჯახში. იმხანად ბარლინგტონში ცხოვრობდნენ ძირძველი ინგლისელები, ირლანდიელები და კვებეკელი (პროვინცია და ქალაქი კანადაში) ფრანგი იმიგრანტები. უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ, დიუი გადავიდა ვერმონტის უნივერსიტეტში, სასწავლებელში, რომელიც ხელს უწყობდა სტუდენტებში ინტელექტუალური დამოუკიდებლობის განვითარებას. დიუი პოლიტიკურ, სოციალურ და მორალურ ფილოსოფიაზე საკურსო თემის წერას შეუდგა. 1879 წელს ვერმონტის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ორი წლის განმავლობაში მუშაობდა უმაღლესი სკოლის მასწავლებლად ოილ სიტიში, პენსილვანიაში. 1879 წელს ვერმონტში დაბრუნდა, სადაც ასწავლიდა და ამავდროულად აგრძელებდა ფილოსოფიის შესწავლას.

1882 წელს დიუიმ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის განხრით. მისი პროფესორები იყვნენ ჩარლზ სენდერს პირსი, სტენლი ჰოლი და ჯორჯ სილვესტერ მორისი, მათი შრომები ჰეგელისა და კანტის შესახებ უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ დიუის შემოქმედებაზე. დიუიმ დაწერა დისერტაცია ემანუელ კანტის ფსიქოლოგიის შესახებ.

პირველი აკადემიური თანამდებობა მას მიჩიგანის უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრაზე მიენიჭა, სადაც ძირითად მიმართულებად მიიჩნეოდა XIX საუკუნის ბრიტანული და კონტინენტური (შუა ევროპული) ფილოსოფია, განსაკუთრებით კი გერმანული იდეალიზმი. 1886 წელს დიუიმ ჟურნალ Mind-ში, ორი სტატია გამოაქვეყნა, რომელმაც აკადემიური საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. სტატიებში გამოკვლეული იყო მსგავსებები ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას შორის. დიუი ამტკიცებდა, რომ ფილოსოფიას არ სჭირდებოდა

სპეციალური მეთოდოლოგია, რადგან ის იყო გაგებითი ფსიქოლოგია, რომლისთვისაც წარმატებული მეთოდოლოგიები უკვე არსებობდა. დიუის პირველი წიგნი „ფსიქოლოგია“, რომელიც 1887 წელს გამოიცა, ძირითადად ეყრდნობოდა და განავრცობდა ზემოხსენებულ იდეას. ზოგიერთმა მკვლევარმა მოიწონა წიგნი და ის რამდენიმე უნივერსიტეტში სასწავლო სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. სტენლი ჰოლმა და უილიამ ჯეიმსმა გააკრიტიკეს ის.

1890-იანი წლების მიწურულს დიუიმ შეიცვალა შეხედულება გერმანული იდეალიზმიდან ახალი ფილოსოფიური პერსპექტივისკენ, რომელსაც შემდგომში პრაგმატიზმი უწოდა. ის ამავდროულად ძლიერ დაინტერესდა კურიკულუმით, 1900 წლიდან მან ჩიკაგოს უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა 23 სხვადასხვა სასწავლო კურსი ან ხელი შეუწყო ამ კურსების განვითარებას. მან, აგრეთვე, დიდი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტის სკოლა-ლაბორატორიის დაარსებაში, რომელიც გაიხსნა 1896 წელს. საუკუნის დასასრულს დიუის პროგრამა (რომელიც ახლა განათლების დეპარტამენტად იწოდება) მიჩნეულ იქნა ქვეყანაში ყველაზე სრულყოფილ და ინოვაციურ პროგრამად. საბოლოოდ დიუის საგანმანათლებლო პროგრამამ მას თავისი დროის საუკეთესო საგანმანათლებლო ფილოსოფიის სახელი მოუხვეჭა.

სკოლა-ლაბორატორიის მმართველობის მნიშვნელოვანი პოლიტიკური განსხვავებულობის გამო 1904 წელს დიუიმ დატოვა თავისი თანამდებობა ჩიკაგოს უნივერსიტეტში. მცირე ხნის შემდეგ იგი გახდა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, როგორც ფილოსოფიის ფაკულტეტზე, აგრეთვე მასწავლებელთა კოლეჯში. დიუი 1930-იანი წლების ჩათვლით აგრძელებდა სწავლებას და კვლევების წარმოებას კოლუმბიაში, ვიდრე პენსიაზე გავიდოდა. ნიუ-იორკის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ინტელექტუალური გარემო, როგორც ჩანს, მოტივაციას მატებდა დიუის და მან სწორედ კოლუმბიაში შექმნა თავისი ცნობილი ნაშრომები. ისინი მოიცავდა ფილოსოფიის ისეთ მნიშვნელოვან წიგნებს, როგორებიცაა: „დარვინის გავლენა ფილოსოფიაზე და სხვა ნარკვევები თანამედროვე აზროვნებაში“ (1910), „ნარკვევები ექსპერიმენტულ ლოგიკაში“ (1916), „რეკონსტრუქცია ფილოსოფიაში“ (1920), „ადამიანის ბუნება და ქცევა“ (1922), „გამოცდილება და ბუნება“ (1925), „ჭეშმარიტების, მტკიცებულების ძიება“ (1929), „ლოგიკა: გამოკვლევის თეორია“

(1938), „შემეცნება და ცოდნა“ (1949). დიუიმ აგრეთვე გამოსცა ძირითადი სახელმძღვანელოები განათლების შესახებ, რომლებშიც შედიოდა: „როგორ ვფიქრობთ ჩვენ“ (1910) და „დემოკრატია და განათლება“ (1916). ბევრი ამ წიგნებს მის ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად მიიჩნევს.

დიუი ყოველთვის დაინტერესებული იყო ეპისტემოლოგიით ანუ ცოდნის თეორიით და იმით, თუ როგორ ვიძენთ ცოდნას. მისი აზრით ტრადიციული ეპისტემოლოგები, რაციონალისტები იქნებიან ისინი თუ ემპირისტები, მკაცრად მიჯნავენ ერთმანეთისგან „გონებას“ და „სამყაროს,“ და მან დაიწყო ახალი ეპისტემოლოგიური მოდელის კონსტრუირება, რომელსაც ჩვენ **პრაგმატულ ეპისტემოლოგიას** ვუწოდებთ. ამ პრობლემის ირგვლივ მას ადრეულ ნაშრომში, რომელიც წარმოდგენილია სტატიებში: „არის ლოგიკა დუალისტური მეცნიერება?“ (1890) და „ლოგიკური თეორიის ამჟამინდელი როლი“ (1891), მისი დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობდა ჰეგელის იდეალიზმიდან. ის ვარაუდობდა, რომ ობიექტური სამყარო არ არის აზროვნებისგან განცალკევებული, თუმცა, ის აზროვნების საშუალებით განიმარტება, როგორც მისი ობიექტური მანიფესტაციით. მოგვიანებით დიუიმ უარყო ეს გადაწყვეტილება გარკვეული მიზეზების გამო. ჰეგელის იდეალიზმს არ შეეძლო ინსაიტის და ექსპერიმენტული მეცნიერების მეთოდების მიღება, რომლებსაც ის იზიარებდა. ამ მხრივ, დიუი მოექცა უილიამ ჯეიმსის ეპისტემოლოგიის შესახებ უფრო ნატურალისტური არგუმენტების გავლენის ქვეშ, რომლებიც იდეალიზმს გადაჭარბებულად მიიჩნევდნენ. დიუიმ, აგრეთვე, დამაჯერებლად მიიჩნია დარვინის ნაშრომი სახეობების წარმოშობის შესახებ, განსაკუთრებით კი ყურადღება, რომელსაც დარვინი ორგანიზმებსა და გარემოს შორის კომპლექსურ ურთიერთობებს უთმობდა. ამრიგად, დიუიმ დაიწყო იმის გააზრება, რომ ადამიანური ცოდნის განვითარება იყო ადაპტაციური, შემგუებლური პასუხი გარემოზე, გარემოს იმგვარი განმარტების მიხედვით, რომ „ნებისმიერი ვითარება, მდგომარეობა გავლენას ახდენს პიროვნულ საჭიროებებზე, სურვილებზე, მიზნებზე და უნარებზე, რათა შექმნას გამოცდილება, რომელიც მას მიეცა“ (55, გვ. 44).

წინა ეპისტემოლოგებისგან განსხვავებით, რომელთათვისაც აზრი განიხილებოდა, როგორც გონების მარტივი გამოვლენა, დიუის გენეტიკური ეპისტემოლოგიის მიხედვით აზროვნება ორგანიზმსა და გარემოს შორის ურთიერთობის შედეგს წარმოადგენდა. მისი მოსაზრება მისი თანამედროვე მეცნიერის ჟან პიაჟეს მოსაზრებას ჰგავდა. დიუი აგრეთვე ვარაუდობდა, რომ ცოდნა საფუძველშივე იყო პრაქტიკული ან ინსტრუმენტული - რათა უზრუნველყო იმ პრობლემის გადაჭრა, რომელსაც ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე აწყდება. ფაქტობრივად, დიუი იყენებდა ტერმინს „ინსტრუმენტალიზმი,“ რომ აღედგინა საკუთარი ეპისტემოლოგიური მიდგომა.

დიუიმ თავის მაორიენტირებელ ნარკვევში „რეფლექსური რკალის ცნება ფსიქოლოგიაში“ (1896) განსაზღვრა, თუ რას გულისხმობდა ის ინსტრუმენტალიზმში. ამ ნარკვევში გამოდის სწავლის ბიჰევიორისტული მიდგომების წინააღმდეგ ფსიქოლოგიასა და სწავლებაში, რადგან ეფუძნება გონებისა და სხეულის მცდარ დუალიზმს. დიუი გვთავაზობს კონსტრუქტივიზმის ადრეულ ვერსიას, როგორც ბიჰევიორიზმის ალტერნატივას. ამ ვერსიის მიხედვით ორგანიზმი ურთიერთქმედებაშია გარემოსთან თვითმართული მოქმედებით, რომელიც კოორდინირებს და აერთიანებს სენსორულ და მოტორულ რეაქციებს.

ცოდნა და სწავლა შესაბამისად წარმოიქმნება გარემოს აქტიური მანიპულაციის შედეგად. ამგვარი ხედვისთვის უილიამ ჯეიმსის მიმართ მაღლიერების გამოხატვით, დიუი აგრძელებდა ამ ძირითადი პოზიციის სრულყოფასა და განვითარებას თავის სხვა ბევრ ნარკვევშიც. ეს გახდა მისი პრაგმატიზმის განსაკუთრებული ვერსიის ძირითადი ელემენტი. დიუის პრაგმატიზმის ფუნდამენტურ როლს მისი კვლევა ასრულებს. „დიუის მიხედვით კვლევა მოიცავს სამ ფაზას: ა) პრობლემურ სიტუაციას, ბ) სიტუაციის პარამეტრების იდენტიფიკაციას და გ) რეფლექსიას ამ პარამეტრებსა და თვით სიტუაციაზე გადაწყვეტილების გამომწვევ მიზანთან ერთად. დიუი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პრობლემური სიტუაციის აღქმა არ არის მაინდამაინც კოგნიტური, მაგრამ არის პრაქტიკული და ეგზისტენციური (არსებობა წინ უსწრებს არსებას). შესაბამისად, პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა არ არის ფუნდამენტალურად კოგნიტური, თუმცა შემეცნებას აშკარად მოიცავს. სამაგიეროდ ეს არის პრაქტიკული

მოქმედება, მცდელობა გადაადგილო, აამოძრავო რაიმე, ან კვლავ აამუშავო. ეს შეხედულება დღემდე უპირისპირდება უმეტეს იდეალისტ ეპისტემოლოგიების მოსაზრებებს, სადაც ერთმანეთისგან გათიშულია აზროვნება და ქცევა. არაიდეალისტურის გარდა დიუის პოზიცია ანტიფუნდამენტალისტური იყო. მისი მტკიცება, რომ ფოლიბილიზმი - იდეა, რომ მთელი ცოდნა არის პირობითი, ჭეშმარიტია მხოლოდ მანამ, სანამ საწინააღმდეგო დადასტურდება - პრაგმატიზმის ძირითად ელემენტს წარმოადგენს“. (66, გვ. 98)

წლების განმავლობაში დიუი ხვეწდა და აღრმავებდა ინსტრუმენტალიზმს, ტრადიციული განათლების ეპისტემოლოგიების ძირითადი პრინციპების საკუთარ ჭრილში განხილვის შედეგად. მაგალითად, ის ამტკიცებდა, რომ ტრადიციული ჭეშმარიტების ფარდობითობის თეორია - იდეა, რომ ჩვენ შეგვიძლია ფაქტების აღმოჩენა და ობიექტური რეალობის აპრიორი ფაქტების წარდგენა, მხოლოდ ითხოვს წარმოდგენის არსებულ რეალობასთან „შესაბამისობის“ საკითხს. დიუის მტკიცებით ნებისმიერი შესატყვისობა წარმოდგენასა და შიშველ ფაქტს შორის ჭეშმარიტია მხოლოდ მაშინ, თუ ეს ეფექტურია რეალური ცხოვრების გადაჭრაში. ჭეშმარიტების ეს პრაგმატული თეორია ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, განსაკუთრებით ენის და ლოგიკის ისეთი ბრიტანელი ფილოსოფოსის მხრიდან, როგორცაა, მაგალითად, ბერტრან რასელი. დიუი ეჭვის თვალთ უყურებდა ამ კრიტიკას, რადგან ეს კრიტიკა ძირითადად ორიენტირებული იყო მოდერნისტულ ვარაუდებზე, განსაკუთრებით სუბიექტის და ობიექტის განცალკევების იდეაზე და პრივილეგიას ანიჭებდა ამ უკანასკნელს. მან ფოლიბალიზმი მოგვიანებით შეცვალა ცნებით „მტკიცებულების გარანტირებულობა“, როგორც იდეების „ჭეშმარიტების“ გამოსარკვევი საცდელი ტესტი, რომელიც შედგენილია წარმატებული გამოკითხვის საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ გადასვლამ იწინასწარმეტყველა ძირითადი ეპისტემოლოგიური მტკიცებულებები, რომლებიც ამჟამად სამეცნიერო კვლევებში ცნობილია „თვისებრივი პარადიგმის“ სახელწოდებით.

ცოდნის, როგორც მიზანმიმართული მოქმედების რეზულტატად განხილვისას აპრიორი ფსიქოლოგიური ან ონტოლოგიური ფენომენის ნაცვლად, დიუიმ შეცვალა კლასიკური მეტაფიზიკის აბსოლუტიზმი და გაუხსნა კარი ემპირიულად

ჩამოყალიბებულ მეტაფიზიკას. „დიუიმ წარმოადგინა თავისი პრაგმატული მეტაფიზიკა ნაშრომში „უშუალობის ემპირიული პოსტულატი“ (1905). მნიშვნელოვანია, რომ მან შეიმუშავა ფენომენოლოგიური საფუძველი მეტაფიზიკისთვის, იმის მტკიცებით, რომ „ემპირიულად განცდილი რამ არის ის, თუ როგორ იქნა ის განცდილი“. რომ განემარტა, თუ რას გულისხმობდა ის ამ სიტყვებში, დიუიმ შემოგვთავაზა ასეთი მაგალითი. პიროვნებას ესმის ხმა ბნელ ოთახში. თავიდან ხმა შიშის მომგვრელად მიიჩნევა, გამოკვლევის შემდეგ (მაგალითად, სინათლის ანთება და გარემოს დათვალიერება) დგინდება, რომ ხმა როგორც ჩანს გამოწვეული იყო ფანჯრის დარაბის ბრახუნით, რაც არ ჰქმნიდა შიშის საფუძველს. ამ მაგალითის არსი არის ის, რომ ცოდნა ყალიბდება სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობის პროცესში. ხმა თავიდან იყო შიშის მომგვრელი, მაგრამ ეს შიში ამ შემთხვევაში იყო ამჟამინდელი ცოდნის არაადეკვატურობის ეფექტი, რომ წარმატებით გადაეჭრა ამ შემთხვევაში ამჟამინდელი მდგომარეობის, ვითარების პრაგმატული მოთხოვნა.

შემდგომში კვლევამ ვერ გამოააშკარავა ახალი რეალობა არსებული ხილვადობის მიღმა. სანაცვლოდ, მან დინამიკური კავშირი შეცვალა მე-სა და აღქმას შორის და შესაბამისად იმოქმედა რეალობის შეცვლაზე. მან საწყისი შიშის გამოცდილება ჩადო შინაარსში, მისი მნიშვნელობისა და ძალის ცვლილებების გათვალისწინებით“ (63, გვ. 38).

როგორც აღნიშნავენ, დიუის შეხედულებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მეტაფიზიკაზე. უპირველესად, იგი გარდაქმნის არასტაბილურ და შესაძლო ცოდნას ვალიდურიდან კანონიერად, და შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მეტაფიზიკის იდეალისტურ ვერსიებს. (მაგალითად, პლატონის *eidos* (იდეები) ან კანტის წმინდა გონება). მეორე მხრივ, ფაქტი, რომ ცოდნა იცვლება განახლებული გამოკვლევების საშუალებით, რომელიც წინ უძღვის ბუნებრივი შემთხვევის, მოვლენის ადეკვატურ გაგებას, ვარაუდობს, რომ ჩვენი გამოცდილება სამყაროს მიმართ, ნებისმიერ მოცემულ დროს მთლიანად მცდარი არ არის. ასე რომ, სკეპტიციზმი გამოცდილების სანდოობისადმი გაუმართლებელია. გრძნობები, ჰიპოთეზები, იდეები, ხელახალი წარმოდგენები და ასე შემდეგ, ყველა პოტენციურად ცოდნის ღირებულ შუამავალს, მედიატორს წარმოადგენს.

წარმატებული გამოკვლევის საშუალებით ეს მედიატორები ჰქრებიან, წყვეტენ არსებობას და ააშკარავენ საგნებს „მოქმედი პირისათვის ყველაზე რეალურისა და ბუნებრივი ფორმით“. უმთავრესი აქ არის იდეა, რომ ნებისმიერი სახის გამოცდილება ფასეული და ღირებულია ცოდნის აგების პროცესში. საგულისხმოა, რომ ამ ნარკვევებმა წინასწარ განჭვრიტეს მარტინ ჰაიდეგერის ცნობილი ჰერმენევტული წრის არტიკულაცია, სადაც ყოველგვარი ცოდნის საფუძვლად პრაქტიკული მონაწილეობა გვევლინება Dasein -ში (ყოფნაში) ანუ სამყაროში.

როგორც ბოისვერტი წერს, დიუის პრაგმატული მეტაფიზიკა ყველაზე სრული სახით ჩამოყალიბებულია „გამოცდილება და ბუნება“-ში (1925). ნაშრომში დიუი ასაბუთებს, რომ „სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციალური თეორიის განვითარებაში, არამედ აგრეთვე მეტაფიზიკის განვითარებაშიც, რადგან ადამიანთა კოლექტიური აქტივობების შედეგად დგინდება, რომ გონება თავად გამოვლინდება საგანმანათლებლო ტრადიციისგან განსხვავებით, რომელიც განიხილავდა გონებას, როგორც პრიმიტიულ, ინდივიდუალურ თვისებას და წინასწარ განზრახული მოქმედებების წინაპირობას“(47, გვ. 89).

დიუი აყალიბებს გენეტიკურ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც გონება არის კოლექტიური აქტივობის სიმბოლოები, განსაკუთრებით კი ენის შუამავლობით. ამ მხრივ მისი აზროვნება შესამჩნევად ახლოსაა, როგორც სიმბოლური ინტერაქციონისტების მოსაზრებებთან, როგორცაა, მაგალითად, ჯორჯ ჰერბერტი ვისტან ერთადაც იგი მუშაობდა, აგრეთვე, ლევ ვიგოტსკისთან, მის თანამედროვესთან, ვის შესახებაც ალბათ დიუიმ არაფერი იცოდა. ყველა ამ მოაზროვნისთვის ცნობიერება და ცოდნა იწარმოება სამყაროში სოციალურად და სემიოტურად გაშუალებული აქტივობის მეშვეობით.

დიუის თეორია კვლევის შესახებ შეუძლებელია სრულად იქნეს გაგებული, თუ მისი პრაგმატული ეთიკის შესახებ არაფერი ვიცით. იგი უარყოფდა რაციონალისტურ ინტერესზე დაფუძნებულ ეთიკის სისტემებს (მაგალითად, თომას ჰობსის სოციალური კონტრაქტი), რადგან მიაჩნდა, რომ ინდივიდუალური აზროვნების და მოქმედების საკითხი სოციალურ გამოცდილებებს შორის პირველ ადგილზე დგას. დიუის მიხედვით ეთიკის კარნახი აძლევს ადამიანის მოქმედებას მიმართულებას, იმ

მხრივ, რომ იგი აკმაყოფილებს ინდივიდს საკუთრივ თავის სოციალურ კონტექსტში. დიუის ეთიკა არის უფრო გამომხატველობითი, ვიდრე სისტემური, იგი გვთავაზობს ეთიკური თავსატეხისადმი მიდგომის მეთოდს და არა განსაკუთრებულ პრინციპებს, ან ალგორითმებს, რომელთაც უნდა მივყვეთ. მართლაც, იგი ცდილობდა თავი აერიდებინა, მისი აზრით, სხვა მორალისტი ფილოსოფოსების მცდარი პრაქტიკისათვის, ანუ მათგან ვინც ეძიებდა კანტის კატეგორიული იმპერატივის რომელიმე ვერსიას მორალური ცხოვრებისათვის.

დიუის მიხედვით ეთიკა წარმოადგენს საფუძველს ცხოვრების დემოკრატიული ფორმირებისათვის, რაშიც ის გულისხმობდა თანამშრომლობისა და საჯარო ინტერესის განვითარებას, რომელსაც შეუძლია ინდივიდებისგან კოლექტივების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ცხოვრების გაუმჯობესებას უფრო ექსპერიმენტის და შემოქმედების გზით, ვიდრე ერთი და იმავე დოგმის გაზიარებით. დიუის აზრით, ამგვარი ეთიკის გათვლისწინება შესაძლებელია მაშინ, როდესაც, დემოკრატიული ჩვევების განვითარებას ბავშვის სოციალიზაციის ადრეულ ასაკში, სკოლიდან ეყრება საფუძველი. დიუისთვის სკოლაში სიარული თვით სამოქალაქო საზოგადოების გაგრძელებას წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მას სკოლა მიაჩნდა ადგილად, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი, თანამშრომლობის გზით, ერთნაირი მიზნების და როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინტერესების განხორციელებაში. დიუი დარწმუნებული იყო, რომ პედაგოგიური აქტივობა, რომელიც ამგვარად არის ორგანიზებული, შეგნებული, პასუხისმგებელი, დემოკრატიული მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენდა.

დიუის ნაშრომი „ხელოვნება როგორც გამოცდილება“ (1934), როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მრავალმხრივ უცნაური წიგნია, თუმცა მის ერთ ნაწილში აღინიშნება პრაგმატული ესთეტიკის განვითარების მცდელობა. მისი ეპისტემოლოგიური, მეტაფიზიკური და ეთიკური გამოცდილების ფესვები ყოველდღიური ცხოვრების ზოგად გამოცდილებაშია. ამ შემთხვევაში კი წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით მნიშვნელობების ხარისხობრივი, თვისობრივი ერთობის და ღირებულებების გამოცდა ხდება, ამ გამოცდილებას, დიუის აზრით,

განსხვავებული ესთეტიკური თვისება ენიჭება. სხვა საკითხებთან ერთად, ეს პერსპექტივა არღვევს ელიტარულ განსხვავებულობას „მაღალ“ და „დაბალ“ ხელოვნებასა და კულტურას შორის. ხელოვანის შემოქმედებითი სამუშაო აღარ არის უფრო შესანიშნავი, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანთა ყოველდღიური გამოცდილება. პრობლემების შესაძლო გადაწყვეტილებების წარმოსახვითი განვითარება, რომელსაც გამოცდილების დამაკმაყოფილებელ რეკონსტრუქციამდე მივყავართ, არის შემოქმედებითი აქტივობა. ამ შემთხვევაში ის, რაც ხელოვნების შემოქმედებითობას სხვა ფორმის შემოქმედებისგან განასხვავებს, უფრო რაოდენობრივია, ვიდრე თვისობრივი. მას საქმე უნდა ჰქონდეს ხელოვანის უნართან, მიიღოს სიამოვნება, დატკბეს უნიფიცირებული, თვისობრივი სირთულით, იმის დაწყობითა და განწმენდით, რაც უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის ცხოვრების მნიშვნელობა და ღირებულების უშუალო, ლოკალური და კონკრეტული შესაძლებლობები. ხელოვანი ხელოვნების ნიმუშში ემოციის საშუალებით არკვევს და აცოცხლებს ამ ელემენტების - არა მყისიერი, უშუალო, დაუმუშავებელი ემოციის საშუალებით, არამედ, იმ ემოციის, რომელიც ფრიად რეფლექსურია და წინ უძღვის შემოქმედების პროცესს.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ავლებს პარალელს დიუის ესთეტიკის თეორია მის ეპისტემოლოგიასთან, მეტაფიზიკასთან და ეთიკასთან. ყველა მათგანი პრაგმატული ან ინსტრუმენტალურია, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ დონეზე. დიუი ამტკიცებს, რომ ხელოვნება არის კულტურული პროდუქტი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები გამოხატავენ საკუთარი ცხოვრების მათთვის მნიშვნელოვან ფაქტებს, ისევე როგორც, მხიარულებას, ტანჯვას, იმედებსა და იდეალებს. „დიუის იდეები მოტივირებულია ამერიკის ინდუსტრიალიზაციის მცდელობით, რასაც იგი იმ პერიოდში თავის გარშემო თითქმის ყველგან ხედავდა. ეს მცდელობა მოითხოვდა მუშათა ჩაბმას მათთვის უაზრო, განმეორებად, არადამაკმაყოფილებელ სამუშაოში, რომელიც მათ სამუშაოსგან გამიჯნავდა და პიროვნული სიამაყის გრძნობისაკენ არ უბიძგებდა. დიუის დაჟინებული მტკიცების თანახმად, ხელოვნება და ყოველდღიური ცხოვრება ერთი და იმავე ძაფისგან არის მოქსოვილი სტრატეგიული პოლიტიკური მიზნებისათვის. როდესაც ხელოვნება რეალური ცხოვრებისაგან განცალკევებულად მიიჩნევა, მაშინ ტრანსფორმაციული,

კონტრპეგემონური პოტენციალი მკრთალდება, ბრწყინვალეობას კარგავს ან, სულაც უკუიღდება“ (45, გვ. 5).

დიუის განათლებისა და განვითარების თეორია გამომდინარეობს მისი პრაგმატული ეპისტემოლოგიიდან, მეტაფიზიკიდან, ეთიკიდან და ესთეტიკიდან. დიუისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს ინდივიდის ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და მორალური განვითარება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ საკითხების განვითარება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია და მეორე მხრივ, ხელს უწყობს მზარდ დემოკრატიულ და მადემოკრატიზებელ კონტექსტს. განათლება სოციალურია, იგი უზრუნველყოფს ინდივიდების პიროვნულ ინვესტიციებს „სოციალურ ურთიერთობებში და კონტროლში, აგრეთვე ფსიქიკურ ჩვევებში, რაც იცავს სოციალურ ცვლილებებს, მათში სოციალური არეულობისა და უწყობის შეტანის გარეშე“ (50, გვ. 99). განათლება და გამოცდილება ერთი მასალისგან არის შექმნილი: „გამოცდილების რეკონსტრუქცია ან რეორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელობას მატებს გამოცდილებას და რომელიც ზრდის უნარს მიმართოს კურსი მომდევნო გამოცდილებისკენ“ (50, გვ. 74). განათლება გამოცდილებაზე უნდა იყოს დაფუძნებული და არა გარეშე ფაქტორებით გამოწვეული, რადგან: „რეალური გამოცდილების პროცესსა და განათლებას შორის ძალიან ღრმა და აუცილებელი კავშირი არსებობს“ (57, გვ. 20).

დიუის დამოკიდებულება გამოცდილების, როგორც განათლებისთვის უმნიშვნელოვანესი საფუძველის მიმართ, ემყარება ურთიერთობისა და გაგრძელებადობის პრინციპებს. პიაჟეს მსგავსად, დიუის მიაჩნდა, რომ ყოველი ახალი გამოცდილება იგება და ეფუძნება წინა გამოცდილებას. ის მტკიცედ აცხადებდა, რომ „მასწავლებლის პასუხისმგებლობაა განსაზღვროს მიმართულება, რომელშიც წამყვანი ადგილი გამოცდილებას დაეკისრება. ამასთანავე, მას მიაჩნდა, რომ გამოცდილებები (და მათი ათვისება) შესაძლებელია იყოს განათლებადიც და არაგანათლებადიც. მან განათლებადი გამოცდილება განმარტა, როგორც ცოდნის და გამოცდილების ჰორიზონტის გაფართოების საწინდარი, რომელსაც სწორი მიმართულებით მივყავართ გააზრებული ქმედებისაკენ. გააზრებული ქმედება შეიცავს განვითარებისა და წარმატებისკენ მუდმივად სწრაფვის უნარს,

განვითარების მდგრადობისა და უცვლელი საწინააღმდეგოდ. ის უფრო წინასწარ განზრახულ პროცესს წარმოადგენს, ვიდრე იმპულსურს. გარდა ამისა, იგი გააზრებულია. ამის საპირისპიროდ, არაგანათლებადი გამოცდილება „ატყვევებს და არღვევს“ განვითარებას. ის ავლენს უზრუნველ, არარეფლექსურ, მხოლოდ საკუთარ თავზე ორიენტირებულ ხასიათს. ის ინდივიდს მიმართავს „რუტინული მოქმედებისაკენ“ და „ავიწროვებს“ მის სფეროს, მისი მიზნებისა და ღირებულების თვალსაწიერის შეზღუდვით და გადაფარავს პრობლემური გამოცდილების შესაძლო გადაწყვეტას. არაგანათლებადი გამოცდილება არც უშვებს და არც ხელს უწყობს მე-ს ცნობიერებას, შეგნებას ან საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ზოგად სოციო-პოლიტიკურ ეკოლოგიას, რომელშიც ის (ინდივიდი) ცხოვრობს. ის ართულებს იმ გზების დანახვას, რომლითაც ინდივიდების მოქმედებებს დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ზემოთ ხსენებულ ეკოლოგიაზე“ (55, გვ. 32).

„კვლევა“ არის ტერმინი, რომელსაც დიუი ყველაზე ხშირად იყენებდა სწავლების გამოცდილების შესახებ საუბრისას. მისი ხედვა კვლევის ბუნებისა და ფუნქციების შესახებ სრულად არის ჩამოყალიბებული ნაშრომში: „ნარკვევები ექსპერიმენტული ლოგიკის შესახებ და ლოგიკა: კვლევის თეორია“ (1953), რომელშიც იგი ამტკიცებს კვლევის ცვლადობას ცხოველური ორგანიზმებიდან ადამიანის ჩათვლით. დიუიმ კვლევის ყველა ფორმა განიხილა, როგორც არსებითი საჭიროებების მიღწევის მიზნით გამოწვეული ადაპტაციური პასუხი გარემო ვითარებაზე. მან კვლევის ერთ-ერთ ფორმას უწოდა „ინტელექტუალური კვლევა“, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ენით გაშუალებულიობა. რადგან, ენა სრულიად სიმბოლურია, ის რეალურ სამყაროში ადაპტური ქცევის ჰიპოთეტური გამოცდის საშუალებას იძლევა ამ ქცევის რეალურ დანერგვამდე. დიუის მიხედვით „ლოგიკური ფორმა, ტრადიციული ლოგიკის შესწავლის განსაკუთრებული საგანი, ეფუძნება არა გონებას, არამედ ფუნქციურ ღირებულებებს. ლოგიკური ფორმა მოიცავს პრობლემური სიტუაციის შესაბამისი თავის გართმევის თვალსაჩინოებას, რომელიც წააქეზებს კვლევას და აკონტროლებს იმ პროცესებს, რომლებიც ჩართულია ამ სიტუაციის მიმართ მრავალმხრივი ჰიპოთეზური გადაწყვეტილებების შემუშავებაში. ისევ და ისევ, ეს იყო დიუის კვლევასთან დაკავშირებული უნიკალური ხედვა

(პერსპექტივა), რომელიც კვლავ უარყოფდა კლასიკურ დუალიზმს (მაგალითად: სუბიექტი/ობიექტი, უნივერსალური/განსაკუთრებული, რაციონალიზმი/ემპირიზმი) და კითხვის ქვეშ აყენებდა იდეას, რომ ადამიანის არსებობის გამართლება მხოლოდ ჭეშმარიტების დანერგვაში მდგომარეობს. გამოკვლევის შესახებ დიუის ფორმულირებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ფილოსოფიურ საზოგადოებაზე და დასაბამი მისცა შემდგომში შრომების გაჩენას ლოგიკის თეორიაში“ (58, გვ. 30).

დიუის კვლევის იდეის ათვლის წერტილად გვევლინება მისი განსაკუთრებული ხედვა განსჯის, რეფლექსიის ბუნებისა და ფუნქციების შესახებ. მან რეფლექსია განმარტა, როგორც „ნებისმიერი სახის რწმენის ან ცოდნის სავარაუდო ფორმის აქტიური და ფრთხილი განხილვა, რომელიც იცავს მას და იმ შემდგომ დასკვნებს, რომლებისკენაც მიემართება“ (58, გვ. 55). „რამდენადაც ამგვარი რეფლექსია დევს „ინტელექტუალური წყობის და დისციპლინირებული გონების ცენტრში“. დიუისთვის რეფლექსია არის აზროვნების სახე, „რომელიც შინაარსის გონებრივად დამუშავებასა და მის სერიოზულ და თანმიმდევრობით გააზრებაში მდგომარეობს“. იგი წარმოსახვით აზროვნებას ემორჩილება და მოიცავს „უწყვეტ სწრაფვას“ მარტივი დასასრულისაკენ“ (60, გვ. 5). დიუიმ რეფლექსიის ოთხი ძირითადი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა. პირველი, მოიცავს მნიშვნელობისა და მიზნის უწყვეტ აგებას, რომელსაც შემსწავლელი გადაჰყავს ერთი გამოცდილებიდან მეორეზე, გამოცდილებებსა და იდეებს შორის კავშირების უფრო ღრმა და საფუძვლიანი გაგებით. იგი ცოდნის გაღრმავებას და გაგებას უზრუნველყოფს უწყვეტობის საშუალებით. მეორე, რეფლექსია არის გააზრებული, დისციპლინირებული და ზუსტი. მესამე, რეფლექსია არის თანამონაწილეობითი. ის წარმოგვიდგება ხანგრძლივი პრაქტიკისა და დაუზარებელი შრომის საფუძველზე საზოგადოებაში და წინ უძღვის საერთო მიზნების მიღწევისაკენ სწრაფვას. ბოლოს, რეფლექსია ემყარება იმ განწყობებს (ატიტუდებს), რომელთათვისაც ღირებულია როგორც პიროვნული, ისე კოლექტიური ზრდა და კეთილდღეობა.

დიუის მიხედვით, რეფლექსია, როგორც გამოკვლევის ყველაზე ამაღლებული ფორმა მოიცავს ექვს ძირითად ფაზას: ა) პრობლემური გამოცდილება, ბ)

გამოცდილების ინტუიციური და სპონტანური ინტერპრეტაცია, გ) გამოცდილების საფუძველზე წარმოდგენილი ცალკეული პრობლემების განსაზღვრა და დასახელება დ) ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო განმარტებების ჩამოყალიბება, ე) განმარტებების გააზრება ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისათვის, პრობლემური სიტუაციებისათვის თავის გართმევის მიზნით, და ვ) ჰიპოთეზური შემოწმება ინტელექტუალური და პრაგმატული ღირებულებების განსაზღვრის მიზნით (ანუ გონებრივი ქმედება).

ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია გარკვეულობა. მოვლენა არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რაც იგულისხმება, სანამ მათ შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი არ ჩამოყალიბდება. დიუისათვის სწავლა არის „აზროვნების სწავლა“ და „შედგება აზროვნების ვრცელი, ფრთხილი, დეტალურად გააზრებული ჩვევებისგან“ (60, გვ. 78). ამ მხრივ დიუი კრიტიკული იყო ისეთი სასკოლო განათლების მიმართ, რომელიც არ უზრუნველყოფს პროცესსა და პროდუქტს შორის კავშირს და ლოგიკურად ჩამოყალიბებულ, მზა ინფორმაციას, ინსტრუქციას უცვლელი სახით აწვდის მოსწავლეს.

ამის საპირისპიროდ, იგი აფასებდა იმგვარ განათლებას, რომელშიც აზროვნება მიჩნეულია ხელოვნებად და „აზროვნების პროცესზე სისტემატურ ზრუნვად“ იმისათვის, „რომ აზროვნების პროცესი ჭეშმარიტად რეფლექსური გახდეს“. (13, გვ. 22).

მან მასწავლებლებისთვის შეიმუშავა მოსწავლეებში რეფლექსური გონებრივი ჩვევების განვითარების უნიკალური მეთოდი, ხერხი რომელიც ცნობილია „სოციალური კონტროლის“ სახელით. დიუს „სოციალური კონტროლის“ მიხედვით, როდესაც მასწავლებელი მოქმედებს როგორც „მიმთითებელი გაცვლით სასწავლო პროცესებში, რომელშიც ყველა მოსწავლეს მიუძღვის წვლილი, იგი ერთპიროვნული მმართველის და დიქტატორის ფუნქციას კარგავს და ჯგუფურ აქტივობებში ლიდერის როლში გვევლინება“ (58, გვ. 59). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მასწავლებლის მიზანი არის ექსპერიმენტული სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ბახტინის გაგებით მასწავლებლები და სტუდენტები თანაარსებობენ დიალოგურ ურთიერთობაში, ან შესაძლოა ფუნქციონირებენ

უახლოესი განვითარების ზონაში (ვიგოტსკის ტერმინოლოგიით). მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც არიან შემსწავლელები სოციალური ჯგუფის ან საზოგადოებრივი პრაქტიკის მიღმა და თუმცა მასწავლებელს შესაძლოა მეტი ცოდნა ან გამოცდილება (თუნდაც უახლოესი განვითარებისას) ჰქონდეს, მას უნდა გააჩნდეს მწყემსის ან ფასილიტატორის როლი და არა ავტორიტეტული ფიგურის ან ექსპერტის. მოცემულ კონტექსტში შემსწავლელები თანამშრომლობენ მასწავლებლებთან და თანატოლებთან საკუთარი მიზნების შექმნის პროცესში, ისევე როგორც იმის გარკვევაში, თუ რას, ან, როგორ სწავლობენ. დიუი რუკის მეტაფორას იყენებდა ამ მოსაზრების გატარების მიზნით: „რუკა, შინაარსი, წინა გამოცდილების წესრიგში მოყვანა და სწორად გააზრება, შემდგომი გამოცდილების გზამკვლევეს წარმოადგენს, ის აჩვენებს მიმართულებას და ეხმარება კონტროლის განხორციელებაში, ამას მცდელობების შემცირების ხარჯზე“, მაგრამ „რუკა ვერ დაიკავებს მოგზაურობის ადგილს“ (58, გვ. 199).

პლატონის (მაგალითად - მენონი, სახელმწიფო) შემდეგ სხვა ფილოსოფოსებზე მეტად, თავისი მოღვაწეობის მანძილზე, დიუი იკვლევდა და განავრცობდა საგანმანათლებლო საკითხებს. და თუმცა მას არ შეუქმნია ტერმინი „პროგრესული განათლება“, იგი მაინც ასოცირდება პროგრესულ განათლებასთან. დიუი დარწმუნებული იყო, რომ განათლება და სოციალური დემოკრატია თანაზიარია. მისი აზრით, სკოლები შეფასებაზე უფროა კონცენტრირებული, ვიდრე ცოდნის გადაცემაზე. „სტუდენტებს ცოდნის მოპოვებაში უნდა დავეხმაროთ, რომ შემდგომ მათ შეძლონ სხვებთან ერთად თანამშრომლობის გზით ცხოვრება, ან მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღება, რაც მათ სწავლაზე მოახდენს ზეგავლენას. ამასთანავე, იგი კარგად აცნობიერებდა, რომ სკოლები ხშირად რეპრესიულ სასწავლო დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც არ აღვივებენ ან არ იძლევიან გამოკვლევებისა და ზრდის საშუალებას. მისი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ლაბორატორიული სკოლის დაარსება. დიუი აგრეთვე იცავდა მასწავლებლების უფლებებსა და აკადემიურ თავისუფლებას. მან დატოვა მემკვიდრეობა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი დონის თეორიული და კვლევითი აქტივობების საფუძვლებს, ისეთ მრავალფეროვან სფეროში როგორცაა,

კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) თეორია, გამოკითხვა, სწავლა, მასწავლებლის განათლება და საგანმანათლებლო საზოგადოება“ (13, გვ. 24).

როგორც მოცემული პარაგრაფიდან ჩანს, დიუი ყოველთვის დაინტერესებული იყო ეპისტემოლოგიით, ანუ ცოდნის თეორიით და იმით, თუ როგორ ვიძენთ ცოდნას. მისი აზრით ტრადიციული ეპისტემოლოგიები, რაციონალისტები იქნებიან ისინი თუ ემპირისტები, მკაცრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან „გონებას“ და „სამყაროს“. მან დაიწყო ახალი ეპისტემოლოგიური მოდელის კონსტრუირება, რომელსაც ჩვენ **პრაგმატულ ეპისტემოლოგიას** ვუწოდებთ. დიუის განათლებისა და განვითარების თეორია გამომდინარეობს მისი პრაგმატული ეპისტემოლოგიიდან, მეტაფიზიკიდან, ეთიკიდან და ესთეტიკიდან. დიუისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს ინდივიდის ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და მორალური განვითარება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ამრიგად, დიუი წლების განმავლობაში ხვეწდა და აღრმავებდა ინსტრუმენტალიზმს, ტრადიციული განათლების ეპისტემოლოგიების ძირითადი პრინციპების საკუთარ ჭრილში განხილვის შედეგად. მისი აზრით, ტრადიციული ჭეშმარიტების ფარდობითობის თეორია - იდეა, რომ ჩვენ შეგვიძლია ფაქტების აღმოჩენა და ობიექტური რეალობის აპრიორი ფაქტების დადგენა, ითხოვს წარმოდგენის არსებულ რეალობასთან „შესაბამისობის“ საკითხს. სწავლების გამოცდილების შესახებ საუბრისას დიუი ხშირად იყენებდა ტერმინს „კვლევა“. დიუის კვლევის იდეის ათვლის წერტილად გვევლინება მისი განსაკუთრებული ხედვა განსჯის, რეფლექსიის ბუნებისა და ფუნქციების შესახებ.

§ 2. ჯონ დიუის პედაგოგიკური იდეების თეორიული და მეთოდური საფუძვლები

დიუის პედაგოგიკურ სისტემაში სწავლა გულისხმობს პირადი იდეებისა და ცნებების ფორმირებას. სწავლის პროცესი მიმდინარეობს მაშინ, როცა რაღაც ხდება მოსწავლის „შიგნით“. ეს კი, უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებლის კონტროლს არ ექვემდებარება.

განათლების ტრადიციული მოდელის საპირისპიროდ, დიუიმ შემოგვთავაზა ახალი სისტემა, რომლის მიზანია სწავლა პრობლემების გადაწყვეტის მეთოდით. ადამიანი მოქმედებს იდეების საფუძველზე და მიღებული შედეგების მიხედვით ცვლის თავის მოქმედებას. იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვლება გარემო პირობები, ადამიანი ცვლის თავის პირველ ჰიპოთეზას (ვარაუდს). დიუი იყენებს ცნებას - „აზრის დასრულების აქტი“, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს: არსებული სიტუაციის სირთულეების განსაზღვრა, მათი ანალიზი, შესაძლო გადაწყვეტილების მიღება და მიღებული გადაწყვეტილების შედეგების შემოწმება.

დიუი თვლიდა, რომ ადამიანი, რომელსაც აქვს პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების ჩვევა, უკეთ იქნება მომზადებული მომავალი რთული და პრობლემებით სავსე ცხოვრებისთვის. აღზრდისა და სწავლების დროს ბავშვს უნდა მივაწოდოთ არა თეორიული ცოდნა, არამედ კონკრეტული, პრაქტიკული საქმეები, სადაც ბავშვები არა მარტო შეიმეცნებენ სამყაროს, არამედ სწავლობენ ერთად მუშაობას და სირთულეების დაძლევას.

დიუის სისტემით მომუშავე სკოლებში არ იყო შესასწავლი საგნების მუდმივი სასწავლო პროგრამები, გადასაცემად შეირჩეოდა თეორიული ცოდნისა და ინფორმაციის ის ნაწილი, რომელსაც ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება და მოსწავლეს მომავალში გამოადგებოდა.

ის ორიენტაციას აკეთებდა კონკრეტულ, პრაქტიკულ მიზნებზე და ეს მიდგომა აისახა კიდევ მის მიერ შემოთავაზებულ სწავლების მეთოდებზეც. ამრიგად, დიუიმ შემოგვთავაზა, აბსტრაქტული, თეორიული ცოდნის მიწოდების სანაცვლოდ, სასკოლო სწავლების ისეთი სისტემა, სადაც მოსწავლე „კეთებით“ გაამდიდრებს

საკუთარ გამოცდილებას და დაეუფლება გარემოს დამოუკიდებლად შემეცნების საშუალებებსა და მეთოდებს (46).

ადამიანის ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებასთან, რომელიც არის განვითარების საშუალებაც და მასალაც. ამიტომ ბავშვის აღზრდისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრების მატერიალური მხარის შესახებ ცოდნის მიწოდება, რომელიც მას გამოადგება არა მხოლოდ სკოლაში, არამედ ცხოვრებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საგნებად დიუი მიიჩნევდა ისტორიას და გეოგრაფიას, რომელიც ერთდროულადაა დაკავშირებული, როგორც ბუნებასთან, ასევე - საზოგადოების სოციალურ ცხოვრებასთან.

დიუის აზრით, მოსწავლემ თვითონ უნდა განსაზღვროს სასწავლო მასალის რაოდენობა და ხარისხი. მას უნდოდა, რომ მოსწავლის თეორიულ ცოდნას მიეღო კონკრეტული ფორმა, რომელსაც ექნებოდა კავშირი პრაქტიკულ ცხოვრებასთან. სწავლის პროცესი მიმდინარეობს მაშინ, როცა რაღაც ხდება მოსწავლის „შიგნით“. შემეცნებას, რომელიც მიმდინარეობს „მე“-ში, საქმე აქვს არა აზროვნებასთან (აზროვნება არის მხოლოდ ინსტრუმენტი), არამედ - გრძნობებთან, რწმენასთან, გაგებასთან, ძიებასთან, მიდრეკილებასთან. დიუის აზრით, სწავლა უფრო ეფექტური იქნება, თუ ის დაეფუძნება მოსწავლეთა შეკითხვებს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

დიუის თანახმად, პრაქტიკული საქმიანობის დროს, ბავშვები ეცნობიან მრავალ პროფესიას, რაც აძლევს მათ არა მარტო გარკვეულ ჩვევებს, არამედ ხელს უწყობს მათ განვითარებას, ასწავლის ყველა შრომის პატივისცემას, რომელიც მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისათვის. პროექტებით სწავლების მეთოდი არის განათლების მიღების ერთგვარი სისტემა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები იძენენ ცოდნას, პრაქტიკული დავალებების (პროექტების) დაგეგმვისა და შესრულების პროცესში. პროექტებით სწავლების მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივის, სამუშაოს დაგეგმვის ჩვევის, გარემოებებისა და სირთულეების გათვალისწინების განვითარებას; ასწავლის მიზანდასახულობასა და დამოუკიდებლობას (გვ. 64).

დიუის აზრით, მოსწავლეებს არ შეუძლიათ, დამოუკიდებლად დაგეგმონ პროექტები. მათ ამისათვის ესაჭიროებათ მასწავლებელი. პროექტი არის

მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი ინიციატივა, მასწავლებელი არის გიდი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს მასალით და აძლევს ზოგად მითითებებს. იგი თვლის რომ, სკოლაში უნდა ვასწავლოთ „ინსტრუმენტალური“ დისციპლინები, ნაცვლად თეორიული (ფაქტობრივი) დისციპლინებისა (ან მათი რიცხვი უნდა შემცირდეს). „ინსტრუმენტალური“ დისციპლინები ეხმარება მოსწავლეებს პრობლემების გადაწყვეტაში, მაშინ, როცა თეორიული (ფაქტობრივი) დისციპლინები ავითარებს „ფართო აზროვნებას“, რომელსაც არ აქვს პრაქტიკული გამოყენება.

კარაპუზი თავის ნაშრომში განმარტავს, რომ დიუი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სოციალური მეცნიერებების შესწავლას, ვიდრე სხვა დარგებისა, რომელიც შეისწავლის არასულიერ ფენომენებს: „მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ არა ზოგადად სოციალური მეცნიერებები, არამედ ვიწრო, აქტუალური პრობლემები, რომლებსაც ისინი ეხებიან. სოციალური საკითხების შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს ხანმოკლე კურსების ფორმით (რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები და მათ მიერ სოციალური პრობლემების გაგების უნარი). რაც შეეხება აკადემიურ კვლევებს, მათგან საინტერესოა მხოლოდ ის, რომელიც ავსებს ცოდნას მიმდინარე, ყოველდღიურ პრობლემებთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისათვის ეს შეიძლება იყოს შემდეგი კურსები: ადამიანის უფლებები, თანამედროვე ოჯახის პრობლემები, შრომის ბაზარი, ტერორიზმთან ბრძოლა, დემოკრატიის განვითარება, საარჩევნო ტექნოლოგიების შექმნა და ა. შ. კოლეჯის სტუდენტებისათვის - ეკოლოგიური პროგრამები, ეთნიკური და რელიგიური პრობლემების რეგულირების პროგრამები. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის - საერთშორისო ურთიერთობები, სოციოლოგია, პოლიტიკა“ (42, გვ. 37).

ისეთ ტრადიციულ დისციპლინებს, როგორებიცაა, მაგალითად, ისტორია და ფიზიკა, დიუის პრაგმატულ კონცეფციაშიც მოეძენება ადგილი, მაგრამ მხოლოდ იმ კუთხით, თუ რამდენად არიან ისინი სასარგებლო თანამედროვე სოციუმის მართვის გაგებისთვის.

დიუის აზრით, მთელი საზოგადოება უნდა იმყოფებოდეს მუდმივი სწავლის პროცესში იმიტომ, რომ ცხოვრება ვითარდება და ადამიანი უნდა რეაგირებდეს

ცვლილებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი დაითრგუნა იმ ცვლილებებით, რომელსაც შეხვდება და გაიგებს მათ მნიშვნელობას. ამ ხედვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო სივრცეში, ვინაიდან სწორედ ადამიანის წარმატების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

დიუი მიიჩნევდა, რომ „სასწავლო პროცესში აუცილებელია თამაშის ჩართვა. თამაში მიუთითებს ბავშვის გონებრივ აქტივობაზე. თამაში არის ბავშვის ყველა ძალის, აზრისა და ფიზიკური აქტივობის გავარჯიშება“ (67, გვ. 102).

სასწავლო პროცესში თამაშის მრავალნაირი სახეობა უნდა იყოს გამოყენებული - სპონტანური თამაშები, რომელიც იმეორებს უფროსების ცხოვრებას: ორგანიზებული თამაშები (წესების გამოყენებით); სათამაშოების დამზადება; კონსტრუქტორები და ა.შ. უმცროსკლასელებისთვის, მნიშვნელოვანია ისეთი სათამაშო აქტივობა, როგორცაა, თეატრალური წარმოდგენები და როლური თამაშები. თამაში იწვევს სწავლის პროცესში ბავშვის აფექტური (ემოციური) სფეროს ჩართვას, რაც ხელს უწყობს თვითგამოხატვას და უზრუნველყოფს სამყაროს შემეცნებას. პირველად სწორედ თამაშის დროს უჩნდება ბავშვს სამყაროსთან და თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. თამაში არის ძალზე ეფექტური საშუალება ბავშვის ინტელექტუალური, მორალური და ნებელობითი თვისებების ფორმირებისთვის.

პედაგოგის მთავარი ამოცანა მოსწავლეებისათვის იმ ფაქტების მიწოდებაა, რომელიც დაკვირვების, პრობლემის წამოჭრისა და გამოცდილების გაფართოების საშუალებას იძლევა. მასწავლებელი უნდა გრძნობდეს, რომელი განწყობები და ტენდენციები გამოიწვევს განვითარებას და რომელი არა. მასწავლებლის ვალდებულებაა, ხელიდან არ გაუშვას ამგვარი განვითარების პერსპექტივის მქონე „შემთხვევა“.

მასწავლებლის მთავარი მეთოდი საკუთარი საქმის კარგად ცოდნაა. ეს აძლევს მას საშუალებას, ისე დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რომ ის მაქსიმალურად ეფექტიანად წარიმართოს. მასწავლებელზეა დამოკიდებული, მაგალითად, თუ რა თანმიმდევრობით გააცნობს მოსწავლეებს ფაქტებს და მოვლენებს მეცნიერებიდან. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავად ჰქმნის თავის საგანს, ითვალისწინებს რა მოსწავლეების მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს.

სწავლება უნდა მიმდინარეობდეს შრომითი და თამაშის აქტივობის გამოყენებით. ბავშვმა ცოდნა უნდა შეიძინოს „კეთების“ საშუალებით; პრობლემური სიტუაციის კვლევით; სხვადასხვა მაკეტის თუ სქემის დამზადებით; კითხვებზე პასუხის გაცემით.

სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს კერძოდან ზოგადისკენ, შემეცნების ინდუქციური მეთოდის გამოყენებით.

დიუის მიხედვით, სკოლა უნდა იყოს სახელოსნო, ლაბორატორია, სადაც უმეტესი დრო და ადგილი უნდა დაეთმოს „კეთებას“ და არა „მოსმენას“. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს გამოცდილების მიღებით, რომელსაც შევიძენთ მხოლოდ გარემოს კვლევის შედეგად. იმისათვის, რომ სწავლა იყოს ეფექტური, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინტერესები და მამოძრავებელი იმპულსები. კერძოდ:

- საუბრის და ურთიერთობის მოთხოვნილება;
- კვლევის და დასკვნის გაკეთების მოთხოვნილება;
- საგნების „შექმნისა“ და მშენებლობის იმპულსი;
- მხატვრულ შემოქმედებაში თავის გამოვლინების იმპულსი.

ესენი ბავშვის ბუნებრივი იმპულსებია, მისი რესურსებია, რომელთა გავარჯიშებაზეც არის დამოკიდებული ბავშვის განვითარება. შესაბამისად, სწავლების ძირითადი მეთოდები უნდა იყოს - შრომა, თამაში, იმპროვიზაცია, ექსკურსიები, მხატვრული შემოქმედება, საოჯახო საქმიანობა.

სწავლება უნდა ეყრდნობოდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს, რათა სრულად წარმოჩინდეს მათი უნარები.

ყოველ მოსწავლეს უნდა ჩამოუყვალიბოთ როგორც ლიდერის, ასევე დაქვემდებარებულის ქცევის მოდელები, ვინაიდან მომავალში მან უნდა შეასრულოს სხვადასხვა როლი. მან უნდა შეძლოს ლიდერისთვის დამახასიათებელი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გამოვლენა. ამავე დროს უნდა დაემორჩილოს კანონებს, დაიკავოს გარკვეული ადგილი სოციალურ და საწარმოო ურთიერთობებში. ყოველივე ამაში კი ბავშვს უნდა დაეხმაროს მასწავლებელი, მან უნდა წარმართოს ბავშვის აქტივობა გარკვეული მიმართულებით.

სკოლა უნდა მიესალმოს ბავშვის თავისუფალი ნების გამოვლინებას და, ამავე დროს, ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარ ქცევაზე.

სკოლაში არ უნდა მიმდინარეობდეს კონკრეტული საგნების სწავლება, ვინაიდან ასეთი სწავლებისას სასწავლო მასალა წარმოდგენილია მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით, ხოლო ადამიანი არასდროს არ შეიმეცნებს ფაქტებს, ასეთი სუფთა ლოგიკური სტრუქტურით.

მასწავლებელმა უნდა შექმნას პირობები, სადაც გამოვლინდება მოსწავლის შინაგანი შესაძლებლობები და, ამავე დროს უნდა აღკვეთოს სიტუაციები, რომელიც ხელს უშლის ბავშვის განვითარებას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს თავისი ინდივიდუალური მიზნების დასახვაში (გვ. 19).

დიუსის აზრით წარმატებული სწავლის პირობებია:

- სასწავლო მასალის წარდგენა პრობლემების სახით.
- ბავშვის აქტივობა.
- სწავლის დაკავშირება თამაშსა და შრომასთან.

დიუსის მიაჩნია, რომ პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა მოიცავს ხუთ ეტაპს:

1. სირთულის (შეიძლება შფოთვის) განცდა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია პრობლემის აღმოცენების წყაროს გარკვევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემის გაცნობიერება. კითხვაზე - „რას წარმოადგენს პრობლემა?“ პასუხის გაცემა.

2. როცა პრობლემა გარკვეულია, გაურკვეველი სიტუაცია გარდაიქმნება პრობლემურ სიტუაციად. ხანდახან პირველი და მეორე ეტაპი გაერთიანებულია. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა თავიდანვე ცნობილია, რა არის პრობლემა. რა თქმა უნდა, პრობლემური სიტუაციის გაგება გულისხმობს პრობლემის სირთულების და მიზნის გაცნობიერებას.

3. მესამე ეტაპი ჰიპოთეზის (ვარაუდის) წამოყენებას ეთმობა. ეს ეტაპი საჭიროებს ლოგიკურ აზროვნებას, გარკვეულ იდეებს, ან აქტივობებს, რომელიც მიმართულია პრობლემის გადასაწყვეტად.

4. მეოთხე ეტაპზე მიმდინარეობს ჰიპოთეზების კრიტიკული განხილვა და შეფასება.

5. ბოლო ეტაპი კი ჰიპოთეზების ექსპერიმენტული შეფასების ეტაპია.

დიუის მიხედვით, პრობლემური სიტუაციების შექმნის მეთოდური ხერხები:

- მასწავლებელი აწვდის ბავშვებს საპირისპირო მოსაზრებებს ერთსა და იმავე საკითხზე.

- ქმნის პრობლემურ სიტუაციას და სთხოვს ბავშვებს მათ გადაწყვეტას.

- სთხოვს ბავშვებს, სხვადასხვა სიტუაციიდან განიხილონ ესა თუ ის მოვლენა. უბიძგებს მოსწავლეებს შედარებისკენ, განზოგადებისკენ, დასკვნის გაკეთებისკენ.

- მასწავლებელი სვამს კონკრეტულ კითხვებს.

ამრიგად, დიუიმ თავისი პედაგოგიური კონცეფციის რეალიზაცია ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებულ სკოლა-ლაბორატორიაში შეძლო. სკოლის მიზანს წარმოადგენდა ბავშვების აღზრდა და სწავლებისათვის ადეკვატური გარემოს შექმნა, კრიტიკული აზროვნების განვითარება და გამოცდილების შექმნა.

ჩვენთვის საინტერესოა, სწავლების მეთოდებიდან რომელს იყენებდნენ დიუის სკოლა-ლაბორატორიაში.

ეს მეთოდებია:

- კვლევა.

- ახალი მასალის შესწავლა რეალური სიტუაციების საფუძველზე.

- დისკუსიები, ჰიპოთეზების წამოყენება, დამატებითი ინფორმაციის მოძიება, შესაძლო გადაწყვეტილების განხილვა, გადაწყვეტილების მიღება.

- პრობლემის გადაწყვეტისას, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში არსებული ინფორმაციის გამოყენება და ინტეგრაცია.

- შრომა.

- თამაში.

დიუის სკოლა-ლაბორატორიაში **სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმებს წარმოადგენდა:**

ჯგუფური მუშაობა. დიუის აზრით, სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულნი ერთობლივი მიზნებისა (როგორც საკუთარი, ასევე სხვების) და ინტერესების თანამშრომლობის გზით განხორციელებაში. დიუის სწამდა, რომ პედაგოგიკური აქტივობა, რომელიც

ამგვარად არის ორგანიზებული, შეგნებული, პასუხისმგებელი, დემოკრატი მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენს.

შრომითი აქტივობის ანალოგიური „საქმიანობა“. ბავშვები სწავლობდნენ დურგლობას, ქსოვას, სანთლის ამოვლებას, მზარეულობას. სკოლა-ლაბორატორიაში ბავშვები ზრდიდნენ ხორბალს, აცხობდნენ პურს, რგავდნენ ხეებს, აშენებდნენ. ცოტა უფროსები კი, მეტალის გადადნობას და ღუმელის გაკეთებასაც სწავლობდნენ.

დიუს სკოლა-ლაბორატორიაში ბავშვები იკვლევდნენ გარემოს, რის საფემველზეც იძენდნენ არა მარტო ცოდნას, არამედ ეუფლებოდნენ ცოდნის მოპოვებისა და გამოყენების მეთოდებს. ეცნობოდნენ რა წარმოებას, ბავშვები სწავლობდნენ მექანიკასა და ფიზიკას, ეჩვეოდნენ მათემატიკურ გამოთვლებს. მაგალითად, მოსწავლეები მათემატიკას დურგლობასთან ერთად სწავლობდნენ, ქიმიას - კულინარიით, ისტორიას კი სხვადასხვა ისტორიული ადგილების მონახულებით.

უფროსი ასაკის ბავშვები ეხმარებოდნენ უმცროსებს. ბავშვების წარმატებები მთელ სკოლას ეცნობოდა.

დიუი თვლიდა, რომ ხელოვნებას აქვს განსაკუთრებული ღირებულება, რომელიც ადამიანის არსებობას აზრს აძლევს. ადამიანებს აქვთ ბუნებრივი მიდრეკილება იმღერონ, იცეკვონ, დახატონ და ა.შ. ამიტომ სკოლა-ლაბორატორიის ბავშვები მღეროდნენ, ხატავდნენ, დგამდნენ სპექტაკლებს, წარსული ცივილიზაციის ამსახველ მაკეტებს აგებდნენ.

დიუი მიჩნევდა, რომ სკოლა-ლაბორატორიაში სწავლის შედეგად, მოსწავლეს განუვითარდებოდა პიროვნების შემდეგი მახასიათებლები:

- აქტიურობა, ინიციატივის გამოჩენა, დამოუკიდებლობა.
- პასუხისმგებლობა.
- საკუთარი შემეცნებითი აქტივობის დაგეგმვის უნარი.
- მიზანდასახულობა.
- საკუთარი შეცდომების გასწორების მზაობა.
- მეტაშემეცნება (შემეცნებითი პროცესების გაცნობიერება).
- კომპრომისული გადაწყვეტილებების პოვნის უნარი.(15)

მის მიერ ჩატარებული პედაგოგიკური ექსპერიმენტის საფუძველზე, დიუიმ გამოყო ბავშვის განვითარების სამი პერიოდი:

4-8 წელი. ამ ასაკის ბავშვს ახასიათებს მოტორული აქტივობა. ამიტომ საჭიროა პირდაპირი კავშირი იდეასა და მოქმედებას შორის. სწავლებას არ უნდა ჰქონდეს გაკვეთილის ფორმა, არამედ უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვა აქტივობის სახით.

8-12 წელი. ბავშვი ცდილობს მოუძებნოს ახსნა სხვადასხვა ფაქტსა და იდეას. ბავშვი ხდება მკვლევარი და ნაკლებადაა მიმართული საბოლოო პროდუქტის მიღებაზე. ინტერესდება წიგნებით, რათა მიიღოს საინტერესო ინფორმაცია.

13 წელი და ზემოთ. ბავშვს შეუძლია გამოიყენოს თავისი ინტელექტუალური და ტექნიკური შესაძლებლობები მეცნიერების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში (67, გვ. 120).

დიუი თვლიდა, რომ სწავლების ტრადიციული სისტემა ანგარიშს არ უწევს ბავშვის მოთხოვნილებებსა და განვითარების თავისებურებებს. ამის საფუძველზე შედგენილმა სასწავლო პროგრამებმა და სახელმძღვანელოებმა კი შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი. „ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილება შემეცნებისადმი განიცდის დეფორმაციას, შეფასების სისტემისა და გამოცდების გამო. დიუის აზრით, სახელმძღვანელოებში მოცემულია ბევრი აბსტრაქტული ფაქტი, რომელიც ბავშვმა უნდა ისწავლოს და რომელიც ხშირად მისთვის გაუგებარია. ასეთი სკოლა ვერ მოამზადებს ახალგაზრდა თაობას საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, სადაც საჭიროა აქტიურობა, საკუთარი ძალების რწმენა, დამოუკიდებლობა, პირადი და საზოგადოების პრობლემების გადაჭრის უნარი“ (43, გვ. 23).

ქვემოთ მოცემულია ტრადიციული სწავლებისა და დიუის პედაგოგიკური თეორიის შედარებითი ანალიზი (ცხრილი 1).

ცხრილი 1.

	განათლების ტრადიციული სისტემა	დიუის პედაგოგიკური კონცეფცია
სწავლების მიზანი	ცოდნის სისტემის ფორმირება, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება	კრიტიკული აზროვნების განვითარება. ბავშვის პირადი გამოცდილების გამდიდრება
ძირითადი აქცენტი	ბავშვის ინფორმირებულობა	ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება
სწავლების პრინციპები	ცოდნის სიმყარე. მეცნიერული ცოდნის სისტემატიზაცია	ორიენტაცია ყოველი მოსწავლის საჭიროებებზე. ზოგადი და გონებრივი უნარებისა და ჩვევების განვითარება
ცოდნის მიღების მეთოდები	მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას გამზადებული სახით, მტკიცებულებების გარეშე.	კვლევა აქტივობები გარემოს შესამეცნებლად. ინტერაქცია.
სასწავლო პროგრამა	ყველა კლასისთვის არსებობს ერთიანი წლიური სასწავლო გეგმა.	არ არსებობს მუდმივი სასწავლო გეგმა. გაკვეთილებზე ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და დამოკიდებულია, მათ მიერ ათვისებულ მასალაზე.
სასწავლო საგნები	ყოველი გაკვეთილი ეძღვნება ერთ სასწავლო დისციპლინას, თემას. ბავშვები მუშაობენ ერთსა და იმავე თემაზე.	არ არსებობს საგნობრივი გაკვეთილები
მასწავლებლის საქმიანობა	მასწავლებელი ხელმძღვანელობს ბავშვების აქტივობას.	მასწავლებელი ქმნის პირობას ბავშვის განვითარებისთვის.
სწავლების შედეგები	სისტემატიზირებული ცოდნის მიღება.	აქტივობა, ინიციატივა, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, საკუთარი

		<p>საქმიანობის დაგეგმვა, აზროვნების მობილობა, მიზანდასახულობა, შეცდომების გამოსწორების მზაობა, მეტაშემეცნება, კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების უნარი</p>
--	--	--

თავისი მოსაზრებებით დიუი დაუპირისპირდა ბიჰევიორიზმს, რომელიც მიიჩნევდა, რომ ინფორმაცია ბავშვს გარედან მიეწოდება. ხოლო სწავლის პროცესში ცენტრალური ფიგურაა მასწავლებელი, რომელიც გარკვეული ინსტრუქციებითა და მითითებებით ასწავლის მოსწავლეს.

დიუის პედაგოგიკური კონცეფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონსტრუქტივიზმის ადრეული ვერსია, სადაც სწავლა შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის გარემოსთან აქტიური ურთიერთობის შედეგად. აქტივობა გულისხმობს კვლევის, ექსპერიმენტის ჩატარებას - საგნის გამოყენებას, გამოცდას, თამაშს, იმის გარკვევას, თუ როგორ და რატომ მუშაობს ესა თუ ის საგანი (40, გვ. 102-106).

ამრიგად, დიუის სკოლა-ლაბორატორია აღიარეს, როგორც პროგრესულ სასწავლო დაწესებულებად, რომელმაც ბიძგი მისცა მთელი რიგი მსგავსი სასწავლო დაწესებულებების განვითარებას. მეცნიერებმა თავი დაანებეს კაბინეტებში ჯდომას და გადაინაცვლეს ექსპერიმენტულ პედაგოგიკურ ლაბორატორიებში. დიუის პედაგოგიკურმა კონცეფციამ რადიკალურად შეცვალა სწავლების მეთოდებისადმი მიდგომა, გააქტიურა სწავლების პროცესი, ბიძგი მისცა სკოლის დემოკრატიზაციას.

დიუის თეორიის ძირითადი იდეები:

- სწავლა გამოცდილებით.
- ღირებულია მხოლოდ ის, რაც იძლევა პრაქტიკულ შედეგს.
- სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს საფუძვლად უნდა ედოს ბავშვის ინტერესები.
- სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის მომავალ საქმიანობაზე საზოგადოებაში.

- სასწავლო პროექტის მეთოდი - ეს არის სწავლების სისტემა, რომლის დროსაც მოსწავლეები იძენენ ცოდნას, პრაქტიკული დავალებების (პროექტების) დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

- ფუნდამენტური დისციპლინების ნაცვლად (ან მათი რიცხვი უნდა შემცირდეს), სკოლაში გათვალისწინებული უნდა იყოს „ინსტრუმენტული“ დისციპლინები.

- აუცილებელია უწყვეტი განათლება ყველა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანისათვის. მთელი საზოგადოება მუდმივი სწავლისა და გადამზადების პროცესში უნდა იმყოფებოდეს.

- აუცილებელია სასწავლო პროცესში მუდმივად გამოიყენებოდეს თამაში.

- პედაგოგის ამოცანაა, პირობები შექმნას ბავშვის შინაგანი შესაძლებლობების განვითარებისთვის და მოხსნას ის სირთულეების, რომელიც ხელს უშლის მის განვითარებას.

წარმატებული სწავლებისათვის აუცილებელი პირობებია: პრობლემების წამოჭრა, ბავშვის აქტივობა და სწავლის დაკავშირება თამაშთან, შრომასთან, ბავშვის ცხოვრებასთან.

§ 3. ჯონ დიუსის პედაგოგიური შეხედულებების ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

დიუსის პედაგოგიკურ თეორიებში ხაზგასმითაა გამოკვეთილი მისი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხედვა. იგი გამოყოფს და აზუსტებს ფილოსოფიის იდეას. მისი შეხედულებებიდან გამომდინარე, ფილოსოფიის განსაზღვრება შეუძლებელია მარტივად. ამის გამო, ისეთი კონცეფციების განსაზღვრება როგორცაა ზოგადობა, ტოტალურობა და სისრულე ყველაზე ადვილად არის შესაძლებელი იმ კუთხით, რომლითაც ისინი სამყაროს მიმართ დისპოზიციას ავლენენ. თვისობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით, ეს პირობები არ ეხება ცოდნის შინაარსს,

რადგან სისავსე და დასრულებადობა განხილვას არ ექვემდებარება. „გამოცდილების ბუნება, როგორც რაღაც მუდმივად მოქმედის, ცვალებადი პროცესის, რაც ამას ეწინააღმდეგება. უფრო ხისტად რომ ვთქვათ, ეს უფრო მეცნიერებას ეხება ვიდრე ფილოსოფიას. თავისთავად ცხადია, რომ სამყაროს შესახებ ფაქტების გასაცნობად მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, ანთროპოლოგიას, ისტორიას და სხვ. უნდა მივმართოთ და არა ფილოსოფიას. მეცნიერების საქმეა, თქვას ის, თუ რა განზოგადებებია დასაშვები სამყაროს შესახებ და კონკრეტულად რა არის მათი შინაარსი. თუმცა, როდესაც ვსვამთ კითხვას იმის შესახებ, თუ რა დისპოზიციებს იწვევს ჩვენში სამეცნიერო აღმოჩენები სამყაროს მიმართ მოქმედების თვალსაზრისით, ამ დროს ფილოსოფიურ საკითხს ვეხებით“ (57, გვ. 26).

„ამ თვალსაზრისით, „ტოტალურობა“ რაოდენობრივი დაჯამების უიმედო მოქმედებას არ ნიშნავს. ეს უფრო მეტად რეაგირების მოდუსის კონსისტენტურობას გულისხმობს, მოვლენათა მრავალგვარობასთან მიმართებაში. კონსისტენტურობა არ ნიშნავს პირდაპირ იდენტურობას. ერთი და იგივე რამ ორჯერ არ ხდება. რეაგირების ზუსტი გამეორება მცირე ნაკლს მაინც მოიცავს. ტოტალურობა განგრძობადობას ნიშნავს, ძველი ჩვევის გამოყენებასა და მისი შენარჩუნების საჭირო ადაპტირებას. იმის ნაცვლად, რომ ის აღნიშნავდეს დასრულებული მოქმედების მზა სქემას, ის ნიშნავს მრავალფეროვან მოქმედებებს შორის ბალანსის შენარჩუნებას ისე, რომ თითოეული სესხულობს და გასცემს მნიშვნელობას სხვასთან მიმართებაში. ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც გახსნილია და მგრძობიარე ახალი აღქმების მიმართ და რომელსაც აქვს მათი დაკავშირებისთვის საჭირო კონცენტრაცია და პასუხისმგებლობა, შესაბამისად, გააჩნია ფილოსოფიის დისპოზიცია. ფილოსოფიის ერთ-ერთი გავრცელებული განმარტება ის არის, რომ ეს არის სიმშვიდე და გამძლეობა სიმწიფეებთან და დანაკლისთან მიმართებაში. აგრეთვე თვლიან, რომ ფილოსოფია არის ძალა, წუწუნის გარეშე აიტანო ტკივილი. ეს გავლენა ერთგვარი აღიარებაა სტოიკური ფილოსოფიის გავლენის, ვიდრე ზოგადად ფილოსოფიის მახასიათებლის. მაგრამ ის გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ფილოსოფიის ჰოლისტური ხასიათის ნაწილია ძალა, რომ ისწავლო, ან შინაარსი, გამოხშირო ფაქტები გამოცდილების ყველაზე უსიამოვნო გამოვლინებიდანაც კი; გამოიყენო ის რაც

ისწავლე, იმისათვის, რომ გააგრძელო სწავლა. ანალოგიური ინტეპრეტირება დასაშვებია ფილოსოფიის საზოგადო და საბოლოო ბუნების შესახებ. თუ მათ პირდაპირ შევხედავთ, ესენი აბსურდული განცხადებებია, რომლებიც სიგიჟის ინდიკატორად შეგვიძლია მივიჩნიოთ. საბოლოო ბუნება არ ნიშნავს, რომ გამოცდილება დასრულებული და ამოწურულია, არამედ, მნიშვნელობის უფრო ღრმა დონეებზე ჩასვლის დისპოზიციას, ზედაპირის ქვეშ ჩასვლისა და ყოველ მოვლენასა და საგანს შორის კავშირების პოვნას ნიშნავს. მსგავსად, ფილოსოფიური განწყობა ზოგადია იმ გაგებით, რომ ეს უარყოფს ნებისმიერი რამის იზოლირებულად მიღებას, ცდილობს მოქმედება კონტექსტში განიხილოს, რაც მის მნიშვნელობას შეადგენს. დიუი ფილოსოფიას აზროვნებასთან აკავშირებს ცოდნისაგან განსხვავებით. მისი აზრით, დამტკიცებული ცოდნა არის მეცნიერება. ის წარმოადგენს დასაბუთებულ, მოწესრიგებულ და შენახულ ობიექტებს. აზროვნება კი, მეორე მხრივ, მიმართებების მომავალზეა ორიენტირებული. მას ახასიათებს დაულაგებლობა და არეულობის გადალახვას ისახავს მიზნად. ფილოსოფია არის აზროვნება, რაც იმით არის ნაკარნახევი, რაც ვიცით. ეს არის იდეა შესაძლებლის შესახებ და არა ჩანაწერი აღსრულებული ფაქტის შესახებ. შესაბამისად, ის ჰიპოთეტურია, როგორც ყველა სახის აზროვნება. ის გვაჩვენებს იმას, რაც უნდა გაკეთდეს, რაც უნდა გამოიცადოს. მისი ღირებულება არა დასრულებული პრობლემის გადაჭრის გზებში, არამედ სიმძნელების აღრიცხვაში და მათი გადალახვისთვის საჭირო მეთოდების შემოთავაზებაშია. ფილოსოფია თითქმის შესაძლებელია აღიწეროს, როგორც აზროვნება, რომელსაც საკუთარი თავი აქვს გაცნობიერებული, რომელმაც განზოგადება მოახდინა გამოცდილებაში“ (18, გვ. 323).

დიუი „ტოტალური“ მიდგომის საჭიროებას იმის გამო ხედავს, რომ ცხოვრების სხვადასხვა კონფლიქტური ინტერესების შესაბამის მოქმედებებში მათი ინტეგრირების საჭიროება არსებობს. როცა ინტერესები იმდენად ზედაპირულია, რომ ერთი მეორეში გადადის, ან როდესაც ისინი საკმარისად ორგანიზებული არ არის იმისთვის, რომ ერთმანეთთან კონფლიქტი გამოიწვიოს, მაშინ ფილოსოფიის საჭიროება არ შეიძინევა. მაგრამ როდესაც სამეცნიერო ინტერესი კონფლიქტშია რელიგიურთან, ან როდესაც ეკონომიკურის სამეცნიერო ინტერესია კონფლიქტში

რელიგიურთან, ანდა ეკონომიკურის სამეცნიეროსთან ან ესთეტიკურთან, ან წესრიგის კონსერვატიული მოთხოვნების თავისუფლებისადმი პროგრესულ ინტერესთან, ან როცა ინსტიტუციონალიზმის - ინდივიდუალიზმთან, მაშინ ჩნდება სტიმული, რომ ნაპოვნი იქნას უფრო კომპლექსური ხედვის წერტილი, საიდანაც განსხვავების კვლავ საერთოში დაბრუნება, ან გამოცდილების კონსისტენტურობისა და განგრძობადობის აღდგენა იქნება შესაძლებელი. ხშირად ამგვარი დაპირისპირება შესაძლოა მოგვარებული იყოს ინდივიდის მიერ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მიზნების დაპირისპირების არეალი შეზღუდულია და პიროვნება გადაჭრის ამ დაპირისპირების პრობლემას. დიუის მიხედვით ამგვარი საშინაო ფილოსოფია თავისთავადი და ხშირად ადეკვატურია, მაგრამ ისინი არ გადაიზრდება ხოლმე ფილოსოფიურ სისტემებში. ეს უკანასკნელი ჩნდება, როდესაც საზოგადოებაზე გავლენა აქვს ქცევის განსხვავებული იდეალებისთვის ბრძოლას და როდესაც ჩნდება ცვლილებების საჭიროება, ეს მახასიათებლები ხსნის იმას, თუ როგორ ჩნდება ზოგიერთი მიდგომა, რომელიც, კონკრეტული ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ არის შემუშავებული. დიუი ამტკიცებს, რომ ეს თვისებები მეტ-ნაკლებად ახასიათებდა ფილოსოფიებს. თუმცა, ეს წინააღმდეგობა ფილოსოფიის მიმართ, განმეორებით კი არ არის დაკავებული, არამედ ის ადამიანური ბუნებას, მის სამყაროსაც მიემართება, სადაც განისაზღვრება ადამიანის არსი. თუ ცხოვრებაში არის გარკვეული ბუნდოვანება, ეს ბუნდოვანება ფილოსოფიამ უნდა აირეკლოს. თუ სიძნელის გამოწვევის სხვადასხვა დიაგნოზი არსებობს, თუ ინტერესების კონფლიქტი მეტ-ნაკლებად არის განსხვავებული ადამიანთა სხვადასხვა ტიპებში, მაშინ უნდა არსებობდეს ერთმანეთისგან განსხვავებული კონკურენტი ფილოსოფიები“ (18, გვ. 325).

ფაქტი, რომ ფილოსოფიური პრობლემები სოციალურ პრაქტიკაში ფართო სირთულეების გამო ჩნდება, ის შენიღბულია, რადგან ფილოსოფოსები იქცნენ სპეციალიზებულ კლასად, რომელიც სპეციფიკურ ენას იყენებს, ისეთს, რომელიც არ ჰგავს იმ ლექსიკას, რომელშიც ეს პრობლემებია ფორმულირებული. მაგრამ, როდესაც სისტემა გავლენას იხვეჭს, მისი კავშირი ინტერესთა კონფლიქტთან, რომელიც სოციალურ გარდაქმნას მოითხოვს, შეიძლება ყოველთვის დავინახოთ. ამ

თვალსაზრისით თვალსაჩინო ხდება მჭიდრო კავშირი ფილოსოფიასა და განათლებას შორის. დიუი ამუქებს იმ ფაქტს, რომ ფატობრივად განათლება გვთავაზობს უკეთეს ფონს, რომ ფილოსოფიური დისკუსია წარიმართოს ადამიანური, ნაცვლად ტექნიკური პერსპექტივიდან. დიუი მიიჩნევს, რომ ფილოსოფიის შემსწავლელი, თავის თავში ყოველთვის საფრთხის წინაშე დგას, რომ მიიღოს ეს, როგორც სასწრაფო და მკაცრი ინტელექტუალური ამოცანა, როგორც ამას ფილოსოფოსები ამბობენ ხოლმე და ჩაითვალოს, რომ ეს მარტომ უნდა გადაჭრას. მაგრამ, როდესაც ფილოსოფიური საკითხები განიხილება მანტელური დისპოზიციების ტიპის კუთხით, რომელთაც იგი ეპასუხება, ან განსხვავების კუთხიდან, რომელთაც განათლებაში აქვს ადგილი, ცხოვრებისეული სიტუაციები არასოდეს იქნება დაშორებული მათ მოსაზრებას. თუ თეორიას გავლენა არა აქვს განათლებაში, იგი ხელოვნური უნდა იყოს. განათლების კუთხით დანახული შეხედულება საშუალებას აძლევს ინდივიდს თვალი გაუსწოროს ფილოსოფიურ პრობლემებს, რომლებიც ჩნდება, როდესაც ისინი აზრს მოკლებული არ არის, და როდესაც მათი აღიარება ან უარყოფა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნიშნავს. დიუი ფიქრობს, რომ „თუ ჩვენ გვსურს განვიხილოთ განათლება, როგორც ფუნდამენტალური დისპოზიციების ფორმირების პროცესი, იქნება ეს ინტელექტუალური თუ ემოციონალური, ფილოსოფია ამ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც განათლების ზოგადი თეორიაც კი. თუ ფილოსოფია არ არის სიმბოლური, ან ვერბალური, ან მცირერიცხოვანი ჯგუფის სენტიმენტალური ახირება, ან მეტ-ნაკლებად პირობითი დგომა, მის მიერ წარსული გამოცდილების შემოწმება და მისი ღირებულებათა პროგრამა გავლენას მოახდენს ქცევაზე. საჯარო აგიტაცია, პროპაგანდა, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ქმედება ეფექტურია დისპოზიციების ცვლილებისათვის, რომელთაც ფილოსოფია სახავს, როგორც სასურველს, მაგრამ მხოლოდ იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ისინი არიან საგანმანათლებლო ხასიათის, ანუ იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ისინი ცვლიან მენტალურ და მორალურ განწყობებს. ასეთი მეთოდები კომპრომენტირებულია იმ ფაქტით, რომ ისინი გამოიყენება მათ მიმართ, ვისი ჩვეულებებიც უკვე ჩამოყალიბებულია, მაშინ, როცა ახალგაზრდობის სწავლებას უფრო თავისუფალი და ფართო არეალი აქვს. მეორეს

მხრივ, სკოლების საქმიანობა იქცევა რუტინულ ემპირიულ მოვლენად, თუ მისი მიზნები და მეთოდები არ არის მოქმედებაში მოყვანილი თანამედროვე ცხოვრებასთან შესაბამისობაში, როგორც ფილოსოფია უზრუნველყოფს. პოზიტიური მეცნიერება პრაქტიკულად ყოველთვის ითვალისწინებს იმ შედეგებს, რომლის მიღწევაც სურს საზოგადოებას. ამის გარეშე, ეს გულგრილობა იქნებოდა იმის მიმართ, შენს აღმოჩენებს ავადმყოფების სამკურნალოდ გამოიყენებენ თუ დაავადების გასაგრძელებლად, იმისათვის, რომ გაიზარდოს საარსებო საშუალებები, თუ იმისათვის, რომ შექმნან იარაღი სიცოცხლის მოსასპობად. თუ საზოგადოება ამ საკითხებიდან ერთ-ერთით უფრო დაინტერესებულია, ვიდრე მეორეთი, მაშინ მეცნიერება დასახავს გზას მის მისაღწევად. ამდენად, ფილოსოფიას ორმაგი ამოცანა აქვს დაკისრებული: უნდა გააკრიტიკოს არსებული მიზნები, მეცნიერების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნოს ღირებულებები, რომლებიც დრომორჭმულია ახალი რესურსების გამოისობით, რომელი ღირებულებებია სენტემენტალური იმდენად, რომ არ არსებობს მათი რეალიზების არანაირი მნიშვნელობა: და მეორე, მეცნიერების შედეგების ინტერპრეტირება მომავალში სოციალური შედეგების მოსატანად. შეუძლებელია, რომ ამას რაიმე წარმატება ჰქონდეს ეკვივალენტების გარეშე განათლებაში, რა უნდა გაკეთდეს და რა - არა. მექანიკურ სფეროში მეცნიერება იქცევა საგნების ორგანიზების მეთოდად ისე, რომ გამოყენებულ იქნას მათი ენერჯია სასურველი მიზნებისათვის. განათლების სფეროსათვის, ფილოსოფიას შეუძლია წამოაყენოს მეთოდები ადამიანთა ენერჯიის გამოსაყენებლად ცხოვრებისეულ, სერიოზულ და გონივრულ კონცეფციებთან შესაბამისობაში. განათლება არის ლაბორატორია, რომელშიც ფილოსოფიური განსხვავებები კონკრეტდება და მოწმდება“ (16, გვ. 325).

საგულისხმოა, რომ ევროპული ფილოსოფიები სათავეს (ათონელთა შორის) განათლებასთან დაკავშირებული საკითხების წნეხის არსებობის პირობებში იღებს. ფილოსოფიის უფრო ადრეული ისტორია, რომელიც ბერძნებმა განავითარეს მცირე აზიასა და იტალიაში, მეცნიერების ისტორიის ნაწილი უფროა, ვიდრე ფილოსოფიისა, იმ გაგებით, რა შინაარსიც დღეს ამ სიტყვაში დევს. მას თავისი ბუნება ჰქონდა და იმას ეხებოდა, თუ როგორ იქმნება საგნები და როგორ უნდა

შეიცვალოს ისინი. მოგვიანებით მოგზაურმა განმანათლებლებმა, რომელთაც სოფისტების სახელით ვიცნობთ, დაიწყეს ბუნებრივი ფილოსოფოსების შედეგებისა და მეთოდების გამოყენება ადამიანთა ქცევებთან მიმართებაში.

„როდესაც სოფისტები, პირველი პროფესიონალი განმანათლებლები ევროპაში, ახალგაზრდობას სიქველეს ასწავლიდნენ, პოლიტიკურ საკითხებს, ქალაქებისა და ოჯახების მოწყობას, ფილოსოფია უკვე შეეხო ინდივიდის კავშირს უნივერსალურთან, ზოგიერთ კლასთან ან ჯგუფთან, დაუკავშირა ადამიანი ბუნებას, ტრადიცია დაკავშირა აზროვნებასთან, ცოდნა - მოქმედებასთან. შესაძლებელია, რომ სიქველე ისწავლებოდეს?- კითხულობდნენ ისინი. რა არის სწავლება? ეს დაკავშირებულია ცოდნასთან და რა არის მაშინ ცოდნა? როგორ მიიღწევა იგი? გრძნობების თუ რაიმე საქმიანობის ფარგლებში შეგირდობის საშუალებით? თუ აზროვნებით, რომელმაც წინასწარი ლოგიკური დისციპლინირების გზა გამოიარა? რამდენადაც სწავლება ეხება ცოდნას, იგი მოიცავს გზას უცოდინარობიდან სიბრძნემდე, სისრულის ნაკლებობიდან სრულყოფილებამდე, არყოფნიდან ყოფნამდე. როგორ ხდება ეს? ნამდვილად შესაძლებელია ცვლილება, გარდაქმნა, განვითარება? და თუ კი, როგორ? და თუ ჩავთვლით რომ, ეს კითხვები პასუხგაცემულია, რა არის სწავლების, ცოდნის კავშირი სიქველესთან? ეს უკანასკნელი კითხვა საფუძვლად დაედო პრობლემას, აზროვნების კავშირის შესახებ მოქმედებასთან, თეორიის კავშირს პრაქტიკასთან, რამდენადაც სიქველე მოქმედებაში არსებობდა. განა ცოდნა, აზროვნების აქტივობა, არ იყო უკეთილშობილესი თვისება ადამიანისა? იყო თუ არა ინტელექტუალური აქტივობა საუკეთესო რამ, მაშინ, როცა მეზობლობა და კარგი მოქალაქეობა მეორეხარისხოვნად იქცა. ან მეორე მხრივ, იყო ინტელექტუალური ცოდნა იმაზე მეტი, ვიდრე ცარიელი და პატივმოყვარე პრეტენზია, რომელიც ხასიათის დემორალიზებას და სოციალური კავშირების რღვევას ახდენდა? განა ჭეშმარიტი, რადგან ამავედროულად მორალური ცხოვრება არ მიიღებოდა მხოლოდ საზოგადოებაში გავრცელებულ ადათ-წესებთან შეჩვევით? განა არ იყო ახალი განათლება კარგი მოქალაქეობის მტერი, რამდენადაც იგი ერთგვარი მეტოქე აღმოჩნდა ტრადიციებისა?“ (45, გვ. 85).

„ორი ან სამი თაობის მანძილზე ასეთი საკითხები მოწყვეტილი იყო განათლებაზე პრაქტიკული გავლენის თვალსაზრისით და განცალკევებულად, როგორც ფილოსოფიის საკითხები, ანუ დამოუკიდებელი კვლევის მიმართულება განიხილებოდა. მაგრამ ფაქტი, რომ ევროპული ფილოსოფიური აზროვნების ნაკადი ამოიზარდა, როგორც თეორია საგანმანათლებლო პროცედურისა, ადასტურებს მჭიდრო კავშირს განათლებასა და ფილოსოფიას შორის. დიუის აზრით, „განათლების ფილოსოფია“ არ არის მზა იდეების გამოყენება პრაქტიკაში, რომელთაც განსხვავებული წყარო და მიზანი აქვთ. ესაა უბრალოდ ზუსტი ფორმულირება სწორი მორალური და მენტალური ჩვეულებების ფორმირების პრობლემისა, თანამედროვე სოციალური ცხოვრების სიმწელებთან შესაბამისობაში. ფილოსოფიის ყველაზე ტევადი განსაზღვრება, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, არის ის, რომ ესაა განათლების თეორია თავის ყველაზე ზოგად ფაზაში“ (18, გვ. 328).

ჯონ დიუი ფილოსოფიას განიხილავს, როგორც აზროვნების ფორმას, რომელიც როგორც ყველა აზროვნება, გამოდის იქიდან, თუ რა არის გაურკვეველი გამოცდილების შინაარსში; რომელიც მიზნად ისახავს დაბნეულობის შემცირებას და ჰიპოთეზების შემოთავაზებას მის გასაფანტავად, რომელთა შემოწმებაც ქმედებაში უნდა მოხდეს. ფილოსოფიურ აზროვნებას ახასიათებს ის, რომ ის საკითხები, რომლებთანაც მას აქვს საქმე, გაბნეულია სოციალურ პირობებსა და მიზნებში, რომლებიც ინტერესებისა და ინსტიტუციონალური მისწრაფებების კონფლიქტს წარმოადგენს. რამდენადაც ერთადერთი გზა ჰარმონიული გარდაქმნისა არის ემოციონალური და ინტელექტუალური დისპოზიციების მოდიფიკაცია, ფილოსოფია არის ექსპლიციტური ფორმულირება სხვადასხვა ცხოვრებისეული ინტერესებისა, სხვადასხვა მოსაზრებებისა და მეთოდებისა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მიღწეულ იქნას ტრანსფორმაცია ისე, რომ იგი არ დარჩეს მხოლოდ ჰიპოთეზად იმის შესახებ, რაც სასურველია, ჩვენ მივდივართ იმ დებულების დასაბუთებამდე, რომ ფილოსოფია არის განათლების თეორია, როგორც განზრახულად განხორციელებული პრაქტიკა.

დიუი ლობირებდა დაწყებითი განათლების პროცესში უნივერსიტეტის აქტიურ მოღვაწეობას, რომლის მიზანი იქნებოდა შეექმნა სხვა ლაბორატორიების ტოლფასი

ლაბორატორია. ასეთი სკოლა გამოყენებითი ფსიქოლოგიის ლაბორატორიაა. ეს ნიშნავს, რომ აქ ხდება ბავშვის გონებრივი შესაძლებლობების და ღონისძიებების შემდგომი კვლევა, რომლებიც, სავარაუდოდ, ბავშვების ზრდისათვის ნორმალურ პირობებს ყველაზე მეტად შექმნიან და განავრცობენ.

დღიუ თვლიდა, რომ ეს არ იქნებოდა მასწავლებლის მოსამზადებელი სკოლა ან დეპარტამენტი. „ეს არ არის სკოლის მოდელი. ის არ ისახავს მიზნად კონკრეტული იდეისა თუ დოქტრინის დემონსტრირებას. მისი ამოცანა ბავშვის გონებრივი აქტივობისა და ზრდის პროცესების, რომლებიც თანამედროვე ფსიქოლოგიამ შეისწავლა, განათლების ფონზე დანახვაა. ეს პრობლემა თავისი ბუნებით უკიდვეგანია. ნებისმიერ სკოლას შეუძლია მხოლოდ აქა-იქ შეუწყოს ხელი და განათლების ამ ფონზე განხილვის აუცილებლობას დაუჭიროს მხარი. ამ მიზანს, რა თქმა უნდა, სკოლის პირობები უნდა შეესაბამებოდეს. ზრდის პროცესებისა და კანონების ისეთ ხელოვნურ პირობებში, რომლებიც ბავშვის ცხოვრების მთავარი მოვლენების გამომჟღავნებას უშლის ხელს, შესწავლის მცდელობა აშკარა აბსურდია“.

(37, გვ. 76 -78).

ამ ლაბორატორიის პრაქტიკული დანიშნულება იქნება სწავლების ისეთი კურსის შექმნა, რომელიც ბავშვის უნარებისა და გამოცდილების ზრდის ბუნებრივ ისტორიას შეესაბამება. აქ საკითხი ეხება საგნების ისეთი პროპორციით შერჩევას, რომლებიც ზრდის პროცესში შერჩეული მასალების სასიცოცხლო მონაწილეობას გამოიწვევს; ბავშვის ზრდის ამა თუ იმ საფეხურის სრული სამეცნიერო ცოდნის წარმოჩენას ვერავინ შეძლებს. იმის მტკიცება, რომ უკვე მასალა აღმოჩენილია, რომელიც ბავშვის ზრდას სრულად შეუწყობს ხელს, მხოლოდ თვითდაჯერებულობა იქნება. საგანმანათლებლო ლაბორატორიას შეუძლია ამტკიცოს, რომ დღეისათვის საკმარისად არის ცნობილი იმ პირობებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც გონებრივ ინტერესს გამოიწვევს.

დღიუ ხაზს უსვამს ფსიქოლოგიის იმ მთავარ ჰიპოთეზებს, რომლებიც გადმოღებულია სამუშაო პროცესებში და განიხილავს იმ საგანმანათლებლო ანალოგიებს, რომლებიც შესაძლოა მათ დონეზე იქნას დაყენებული.

დღევანდელ და ძველ ფსიქოლოგიას შორის კონტრასტზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება ამ საკითხის განხილვასთან მიგვაახლოოს. ეს კონტრასტი სამმაგი ხასიათისაა. ძველი ფსიქოლოგია განიხილავს გონებას, როგორც წმინდად ინდივიდუალურს, გარე სამყაროსთან პირდაპირ და შიშველ ურთიერთობაში მყოფს. ერთადერთი შეკითხვა, რომელიც მაშინ ისმებოდა, ეხებოდა იმ გზებს, რომლებითაც სამყარო და გონება ურთიერთქმედებდა. ძველი ფსიქოლოგიის მიერ აღიარებული მთელი პროცესი თეორიულად იგივე იქნებოდა, მთელ სამყაროში ერთადერთ გონებას რომ ეარსება. დღევანდელი ფსიქოლოგია კი გონებას, როგორც სოციალური ცხოვრების ფუნქციას, ისე განიხილავს, რომელსაც დამოუკიდებლად მოქმედება და განვითარება არ შეუძლია, რომელიც სოციალური ქმედებებისაგან მუდმივ სტიმულს ითხოვს და მისი წყაროებით იკვებება. „მემკვიდრეობითობის იდეამ გაგვაცნო შეხედულება, რომ ინდივიდის წყობა, როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური, არის მისი რასისაგან მემკვიდრეობით მიღებული, რომელსაც ინდივიდი წარსულიდან იღებს და რწმენით გადასცემს მომავალს. ხოლო განვითარების იდეა გონებას განსხვავებულად განიხილავს: გონება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური, მონოპოლური საკუთრება, ის კაცობრიობის ძალისხმევისა და აზროვნების შედეგია; ის ვითარდება გარემოში, რომელიც სოციალურია, ისევე როგორც ფიზიკური, და მის ჩამოყალიბებაზე სოციალურ საჭიროებებსა და მიზნებს ძლიერი გავლენა აქვს. ველურობასა და ცივილიზაციას შორის ძირითადი განსხვავება არა შიშველ ბუნებაშია, არამედ სოციალურ მემკვიდრეობითობასა და სოციალურ გარემოში“. (37, გვ. 80).

დიუი ხედავდა აშკარა აუცილებლობას, მოეხდინა საგანმანათლებლო პრაქტიკის ადაპტაცია და ჰარმონიულობა არსებულ ფსიქოლოგიურ თეორიებთან და თვლიდა, რომ ორივეს წარმომშობი ერთი ნიადაგი იყო. მას შემდეგ, რაც ჩაითვალა, რომ გონება საკუთარ თავს სამყაროსთან პირდაპირი კონტაქტის გზით ივსებს, ბავშვის სწავლებისათვის საკმარისად იქნა მიჩნეული მისთვის განსაზღვრული მოცულობის იმ მოვლენების განყენებულად მიწოდება, რომლებსაც სახელად ჰქვია გეოგრაფია, არითმეტიკა, გრამატიკა და ა. შ. მაგრამ მხედველობიდან იქნა გამორჩენილი, რომ მოვლენების ეს განმსაზღვრელი მოცულობები უბრალოდ

წარსული სოციალური ცხოვრებიდან გადმოსული შერჩევითი მოცულობებია, ზუსტად ისე, როგორც ისინი სოციალური სიტუაციებიდან წარმოიშვნენ და სოციალურ საჭიროებებს პასუხობდნენ. ბავშვისთვის სასწავლო საგანში არ არსებობს არც სოციალური ელემენტი და არც შინაგანი მომხიბვლელიობა. ის მთლიანად ბავშვის გარეთ, მასწავლებელში - წახალისებაში, გაფრთხილებაში, იძულებასა და სხვადასხვა საშუალებებში, რომლებიც ბავშვის გონებას ამუშავებენ იმ მასალის მიმართულებით, რომელსაც არ აქვს მხოლოდ ფრაგმენტული კავშირი სოციალურ ცხოვრებასთან.

დიუის აზრით, ძველი ფსიქოლოგია ცოდნისა და ინტელექტის ფსიქოლოგია იყო. ემოცია და ძალისხმევა იქ მხოლოდ ფრაგმენტული და მეორადია. აღქმას ბევრი ადგილი ეთმობოდა და მოქმედებაზე ლაპარაკი თითქმის არ იყო. კამათი მიმდინარეობდა იდეებსა და იმაზე, აღქმიდან იღებდნენ ისინი სათვეს, თუ სხვა რომელიმე თანდაყოლილი ნიჭიდან. მაგრამ ქცევების საჭიროებიდან მათი წარმოშობის შესაძლებლობა იგნორირებული იყო. მათი ზემოქმედება მართვასა და ქცევაზე გარეგნულ დამატებად ითვლებოდა. დიუი ემხრობოდა ჯეიმსს და თვლიდა რომ ინტელექტი, აღქმისა და იდეების სფერო, სხვა არაფერი იყო, თუ არა „შუა განყოფილება, რომელიც ჩვენ, იმის გამო რომ ვერ ვხედავთ, ხშირად ბოლო გვგონია, უზარმაზარი რაოდენობისა და სირთულის აღქმის მრავალფეროვნებაში, რომელიც შეიძლება მას ავსებდეს. მას შეიძლება მხოლოდ ერთი არსებითი ფუნქცია ჰქონდეს, მიაგნოს იმ მიმართულებას, რომელსაც ჩვენი აქტივობა, უახლოესი თუ დროში დაშორებული, უნდა დაადგეს“. (62, გვ. 89)

დიუი ამტკიცებდა, რომ სამყარო დაყოფილია სექციებად, რომლებსაც სწავლებები ეწოდება. შემდეგ თითოეული მათგანი დაყოფილია უფრო პატარა ნაწილებად და ყოველი მათგანი სასწავლო კურსის თითო წელს შეესაბამება, თუმცა იგი ამ ტიპის სასწავლო პროგრამას აბსურდულად მიიჩნევდა, გამოდიოდა რა უ. ს. ჯექმანის მოსაზრებიდან: „გეოგრაფიის მასწავლებლებს ალბათ ეჩვენებათ, რომ ზეცამ გაუღიმა, როდესაც სულ ოთხი თუ ხუთი კონტინენტი მოუვლინა. როდესაც გეოგრაფიის კურსი იწყება, პროგრამაში წელიწადში ერთ კონტინენტს ამატებენ, მერვე წელიწადს კი მათ შესწავლას ამთავრებენ“ (34, გვ. 87).

დიუი სერიოზულად განიხილავდა გონების ზრდის იდეას, როდესაც ზრდის თითოეულ საფეხურს მხოლოდ მისთვის გამოკვეთილი თვისებები ახლავს, ეს ისევ განათლების სისტემაში ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებს. ნათელია, რომ სწავლების პერიოდში მასალის შერჩევა და დახარისხება უნდა მოხდეს მოცემული პერიოდისათვის დამახასიათებელი მთავარი მიმართულებებისა და აქტივობების გათვალისწინებით, და არა მზა ცოდნის სამყაროს უბრალო დაქუცმაცებით. იგი განათლების სისტემის ფსიქოლოგიური ჰიპოთეზებისადმი დამოკიდებულებაზე საუბარს იწყებდა ყველაზე მოსახერხებელი ზრდის სტადიების განხილვით. „პირველ საფეხურს (ოთხიდან რვა წლამდე ასაკი) ახასიათებს სოციალური და პირადი ინტერესების უშუალოება, ასევე, შთაბეჭდილებებს, იდეებსა და ქმედებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სიწრფელე და სისწრაფე. ამ პერიოდში გამოხატვა სწრაფი და დაუყოვნებელია. აქედან გამომდინარე, ამ ასაკისათვის თემების შერჩევა ცხოვრების იმ სფეროებიდან ხდება, რომლებიც ბავშვის გარემოს უშუალოდ ეხება და რომელთა ასახვას ბავშვი შეძლებს სოციალურთან მიახლოებულ თამაშში, საქმიანობაში ან ხელოვნების ნაწარმოების მინიატურულ ასლში, ისტორიებში, მხატვრულ წარმოსახვასა და საუბარში.

მეორე პერიოდის (რვა-ცხრა წლიდან თერთმეტ-თორმეტ წლამდე) მიზანი ბავშვში მომხდარი ცვლილებების, რომლებსაც მასში უფრო მუდმივი და რეალური შედეგების მიღწევის შესაძლებლობის მზარდი შეგრძნება იწვევს, ამოცნობა, მათზე რეაგირება და იმ ქმედებების გაკონტროლების აუცილებლობაა, რომლებიც ამ მიზნების მიღწევის უნარის გამოსამუშავებლად საჭირო. როდესაც ბავშვი აცნობიერებს მკაფიო და მყარ მიზნებს, რომლებიც მის ყურადღებას ითხოვს, ადრინდელი ცხოვრების ბუნდოვანი და ცვალებადი მთლიანობა იმსხვრევა. უბრალოდ თამაშის აქტივობა კმაყოფილებას აღარ იწვევს. უნდა იგრძნო, რომ რაღაცას, განსაზღვრულ და მყარ შედეგს მიაღწიე. აქედან მომდინარეობს მოქმედების წესების აღიარება, მუდმივი შედეგების მიღწევისათვის შესაფერისი, რეგულარული საშუალებები და განსაკუთრებული პროცესების, მართვის მნიშვნელობა, რომ მათ გამოყენებამ უნარები განავითაროს” (16, გვ. 115).

დიუისთან ექსპერიმენტული მხარე ეთმობა იმ პროცესების შესწავლას, რომლებსაც ადამიანისათვის ღირებული შედეგები მოაქვს. ბავშვის აქტივობა ადრეულ ასაკში უფრო პირდაპირ პროდუქტიულია, ვიდრე კვლევითი. მისი ექსპერიმენტები აქტიური ქმედებების საშუალებებია, ზუსტად ისე, როგორც მისი თამაშობები. მოგვიანებით, ის დაინახავს, როგორ გამოიყენება სხვადასხვა მასალა და ქმედება კონკრეტული შედეგების მისაღწევად. ამიტომ ის მკვეთრად განსხვავდება ექსპერიმენტის ჩატარებისაგან, ამ სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობით, სადაც მიზანი ფაქტების აღმოჩენა და პრინციპების მრავალფეროვნებაა; ეს კი მხოლოდ მეორე პერიოდისთვისაა მისაღები. იმის გამო, რომ ამ ექსპერიმენტში პრაქტიკული ინტერესი დომინირებს, ის არის გამოყენებითი, და არა, წმინდა მეცნიერების შესწავლა. მაგალითად, შერჩეულია პროცესები, რომლებიც კოლონიური ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესად ჩაითვალა. ესენია: გამოთეთრება, ღებვა, საპნისა და სანთლის წარმოება, მოკალული ჭურჭლის წარმოება, სიდრისა და ძმრის დამზადება, რასაც გარკვეული ქიმიური პროცესების შესწავლასთან, ზეთებისა და ცხიმების მომზადებასთან, ელემენტარულ მეტალურგიასთან მივყავართ. „ფიზიკაც“ ასეთივე გამოყენებითი შეხედულებებიდან იღებს სათავეს. შესწავლა იწყება სართავი ბორბლისა და საქსოვი დაზგის გამოყენებით. სწავლის პროცესში ერთვება მექანიკური პრინციპების ყოველდღიური გამოყენებაც კლიტეებში, სასწორში და ა.შ. ამის შემდეგ გადავდივართ ელექტრონულ მოწყობილობებზე: ელექტროზარებზე, ტელეგრაფებზე და ა.შ.

დიუი აქ ხედავს პრობლემას: 1. ბავშვს შევთავაზოთ რაც შეიძლება მეტი პირადი აქტივობა საქმიანობაში, თვითგამოხატვაში, საუბარში, შექმნასა და ექსპერიმენტირებაში, რათა მისი როგორც მორალური, ასევე ინტელექტუალური ინდივიდუალობა არ ჩაიძიროს სხვების არაპროპორციულ გამოცდილებაში, რომელსაც ბავშვი წიგნებიდან ითვისებს; 2. პირდაპირი გამოცდილება ისე წარვმართოთ, რომ ბავშვმა იგრძნოს საჭიროება, ტრადიციულ სოციალურ საშუალებებს მიმართოს და მართოს ისინი, მივაწოდოთ მოტივები და გავხადოთ მისი რესურსები გონიერი, შესაძლებლობების გამაძლიერებელი, ნაცვლად იმისა, რომ მონურად მორჩილი იყოს. მას შემდეგ, რაც ეს პრობლემა გადაწყდება, მუშაობა ენაზე,

ლიტერატურასა და რიცხვებზე მექანიკური გავარჯიშების, ფორმალური ანალიზისა და შეგრძნებებზე დამყარებული ინტერესების თუნდაც გაუცნობიერებელი გამოყენების უბრალო კომბინაცია აღარ იქნება; საეჭვო აღარ იქნება, რომ წიგნები და ყველაფერი, მათთან დაკავშირებული, მათთვის განკუთვნილ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ.

დიუი ცდილობდა ამ პრობლემის გადაწყვეტას. იგი თვლიდა, რომ „ტრადიციულ სკოლებში ბავშვების წინსვლა ეწირება ახალ საგნებს, რომლებიც სასწავლო პროგრამაში შემოდის, მისი აზრით ეს იყო საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ არ იყო ნაპოვნი ზუსტი ბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება სკოლებში მცირეა, დღემდე შემდეგ სავარაუდო შედეგებს მოიცავს: 1. საქმიანობის უფრო პირდაპირი საშუალებები, კონსტრუქციული და დასაქმებითი სამუშაო, სამეცნიერო დაკვირვება, ექსპერიმენტირება და ა.შ. კითხვის, წერისა (მართლწერის) და რიცხვებთან მუშაობის საჭირო გამოყენების უამრავ საშუალებასა და შემთხვევას გვაძლევს. ეს საკითხები შეიძლება შეტანილ იქნას სკოლაში არა როგორც იზოლირებული სწავლება, არამედ, ბავშვის გამოცდილებაზე დამყარებული. პრობლემა ისაა, რომ ეს შემთხვევები ჩვენს სასარგებლოდ, სისტემურად, პროგრესული გზით გამოვიყენოთ. 2. სისწრაფე და მნიშვნელობა, რომელსაც ეს სწავლებები უზრუნველყოფს, საშუალებას იძლევა, მათზე ჩვეულებრივ დახარჯული დრო საგრძნობლად შევამციროთ. 3. სიმბოლოების საბოლოო გამოყენება, იქნება ეს კითხვაში, თვლასა თუ თხზულებაში, უფრო გონიერი და ნაკლებად მექანიკური, მეტად აქტიური და ნაკლებად პასიურად აღმქმელი, მზარდი შესაძლებლობების მქონე და ნაკლებად გამართობი ხდება“ (16, გვ. 122).

მეორე მხრივ, მზარდი გამოცდილება ნათელს ხდის შემდეგ მოსაზრებებს; „1. ადრეულ ასაკში, სიმბოლოების აღქმისა და გამოყენების სწავლებისას, შესაძლებელია ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობები გამოვიყენოთ როგორც პრინციპებში, ისე მუშაობის სხვა მიმართულებებში, რომლებიც ბევრად უფრო პირდაპირია. უპირატესობა ენიჭება ლიმიტირებულ და განსაზღვრულ შედეგს, რომელსაც ბავშვი თავისი წინსვლის გასაზომად გამოიყენებს. 2. აღნიშნული ფაქტის გაუთვალისწინებლობამ შედეგად მოიტანა ამ მიმართულებით საქმიანობის

ზოგიერთი საფეხურის დროში გაჭიანურება, რის გამოც ბავშვი, რომელმაც ინტელექტუალურ წინსვლას მიაღწია, გრძნობს, რომ ის, რაც ადრე შესაძლებლობისა და შემოქმედების ფორმა იყო, მოსაწყენი ამოცანა ხდება. 3. სასკოლო პროგრამაში საჭიროა ამ სწავლებაზე დახარჯული დროის პერიოდული კონცენტრაცია და ცვლილება, ყველანაირ სწავლებაზე, სადაც ტექნიკის ან სპეციალური მეთოდის ფლობა არის რეკომენდირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამაში ყველა საგნის ერთდროულად და ერთნაირი ტემპით სწავლების შეტანის ნაცვლად, ზოგიერთმა საგანმა პერიოდულად წინა პლანზე უნდა წამოიწიოს და ზოგიერთი უკანაზე დარჩეს, სანამ ბავშვი არ გააცნობიერებს, რომ მას საკმარისი ძალა და უნარი აქვს, რომ ისინი დამოუკიდებლად გამოიყენოს. დაწყებითი განათლების მესამე პერიოდი საშუალო სკოლისას ესაზღვრება. ის დგება მაშინ, როდესაც ბავშვს სინამდვილის სხვადასხვა ფორმისა და აქტივობის სახეობების საკმარისი, პირდაპირი ცოდნა აქვს; როდესაც იგი საკმარისად ფლობს გამოცდილების სხვადასხვა ფაზისათვის შესაფერისი აზროვნების, ძიებისა და აქტივობის მეთოდებსა და საშუალებებს, რათა გონიერი მიზნების მისაღწევად თავისთვის სასარგებლოდ დაეუფლოს გამოკვეთილ ცოდნასა და ხელოვნებას. მაშინ, როდესაც სკოლას ჰყავს ამ ასაკის ბავშვების განსაზღვრული რაოდენობა, მას, რა თქმა უნდა, საკმარისი გამოცდილება არა აქვს, რომ ტიპური დასკვნები გააკეთოს. მაგრამ ნამდვილად არსებობს იმედი, რომ, სირთულეებისა და საჭიროებების გაცნობიერების მიუხედავად, ბოლო ხუთი წლის ექსპერიმენტით მიღებული გამოცდილების მეშვეობით, ჩვენ შევძლებთ, ბავშვები ამ პერიოდამდე მივიყვანოთ და ეს პერიოდი სამყაროს, გონების მოწესრიგებულობისა თუ სწავლის ტექნიკური საშუალებების ფლობის მსხვერპლად შეწირვის გარეშე, ასევე, ცხოვრების ჰორიზონტის დადებითი მიმართულებით გაფართოებითა და ცხოვრებაზე უფრო ფართო, თავისუფალი და ღია შეხედულების ქონით გავატაროთ“.

(15, გვ. 45).

ჟ. დიუი თვლიდა, რომ საზოგადოების დემოკრატიზაციის მთავარი ბერკეტია „უნივერსალური განათლება“, განათლება ფართო აზრით, სკოლა დიუისთვის სოციალური რეკონსტრუქციის მთავარი იარაღია, ხოლო პედაგოგიკა - ფილოსოფიის პრაქტიკული გამომსახველობაა.

როგორც პრაგმატიზმის ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და შემქმნელი, დიუი უპირატესობას ანიჭებდა ყოველივეს და ყველაფრის ჭეშმარიტების დადგენის მთავარ კრიტერიუმებს. დიუის აზრით, მხოლოდ დასრულებული სამუშაოს შედეგებით შესაძლებელია ცნებების და თეორიების მართებულობის დადასტურება ან უარყოფა. საქმე ეხება იმ თეორიას და ცნებებს, რომლებიც ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის და გარდაქმნის იარაღად გვევლინებიან. ფილოსოფიას ჯ. დიუი განიხილავდა, როგორც გონივრული სწავლების მექანიზმს; როგორც ადამიანთა ცხოვრების ჩამოყალიბება-შექმნის საშუალებას. პრაგმატული ფილოსოფიით დადასტურებული მოქმედების და აქტივობის იდეას ადამიანთა აქტიური მოქმედების პედაგოგიური ორგანიზაციის პრობლემისაკენ მიმართავდა ჯ. დიუი. აღნიშნული იდეა არის დიუის სწავლების მიზანი, აზრი, მათი არსებობისა და განვითარების მეთოდი; ამავე დროს გააჩნდა უპირობო სოციალური ბუნება, ვინაიდან სარგებლობდა საზოგადოების წიაღში არსებობის უფლებით, სხვა ადამიანებთან კავშირის სისტემაში და კაცობრიობის მიღწევათა საფუძველზე.

მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20-ე საუკუნის დასაწყისი განათლებაში ცნობილია ე. წ. „პედოცენტრული რევოლუციის“ სახელწოდებით, რაც გამოიხატებოდა ახალი პედაგოგიური აზროვნების და მიმართულებების ძიებაში. ამ პროცესის არსი დიუიმ შემდეგნაირად გამოხატა: „განათლებაში მიმდინარე ცვლილებები აიხსნება სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებით. ესაა: ცვლილებები, რევოლუცია, ისეთივე, როგორც კოპერნიკმა მოახდინა, როცა ასტრონომიული ცენტრი დედამიწიდან მზეზე გადაიტანა. ჩვენს შემთხვევაში ბავშვი წარმოდგენილია, როგორც მზე, რომლის ირგვლივ ბრუნავს განათლების საშუალებები“. ამ შეხედულების გამო დიუი შეეჯახა ადამიანის და საზოგადოების ურთიერთობის ჰარმონიზაციის აუცილებლობის პრობლემას. პრობლემის გადაჭრა დიუის ესახებოდა დემოკრატიის განმტკიცება-განვითარებაში. დემოკრატია, როგორც პედაგოგიკის პრინციპი (???. 18).

დიუის მტკიცედ სწამდა, რომ საზოგადოებრივი წყობილებები, კანონები და ინსტიტუტები შექმნილია ადამიანისათვის და არა ადამიანი მათთვის. ანუ დიუი თვლიდა, რომ კანონები და ინსტიტუტები წარმოადგენენ „ინდივიდიუმების შექმნის საშუალებებს“. დიუი მოითხოვდა ნებისმიერი სახელმწიფო-საზოგადოებრივი

წყობილების განხილვას იმ თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა პირობები ადამიანთა შესაძლებლობების გამოთავისუფლებისათვის, ამ შესაძლებლობების რეალურ ძალად გარდასაქმნელად და „მათ ერთმანეთთან შესათანხმებლად და როგორც ეფექტური საზოგადოებრივი ძალების სიმბოლო“. ამავე დროს დიუი ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ „საზოგადოება და ინდივიდები, ესაა თანაფარდობითი არსებები, ისინი ორგანულად შეეფერებიან ერთმანეთს და ასევე, საზოგადოება მოითხოვს ინდივიდებისაგან მსახურებას და მისადმი მორჩილებას; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს იმისათვის, რომ მათ ემსახუროს“. დიუის აზრით, დემოკრატია მექანიზმია, რომელსაც ძალუძს საზოგადოების და მისი შემადგენელი თითოეული ინდივიდის რეალური ჰარმონიული ურთიერთობის უზრუნველყოფა. განიხილავდა რა დემოკრატias, როგორც „თავისუფალი, განვითარებადი საზოგადოების არსებობის აღმნიშვნელს“, ბოისვერტი ამბობს, რომ ჯ. დიუი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ინდივიდუალურ ჭრილში განხილული დემოკრატია მდგომარეობს შემდეგში: ყოველ ადამიანს პასუხისმგებლობის საკუთარი საზომი გააჩნია თავისი ჯგუფის მოქმედების სახის ჩამოყალიბებისათვის და მათი ქცევების სამართავად. გარდა ამისა, დემოკრატია გულისხმობს, აუცილებლობის შემთხვევაში, ჯგუფის მიერ დაცული ფასეულობების დაყოფას. ხოლო ჯგუფურ ასპექტში დემოკრატია ნიშნავს „ჯგუფის ინდივიდუალური წევრების პოტენციის გამოთავისუფლებას, რაც ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული საერთო ინტერესებთან და ემსახურებოდეს მთელი ჯგუფის კეთილდღეობას“ (47, გვ. 80).

ჯ. დიუი აღნიშნავდა, რომ „დემოკრატია მეტია, ვიდრე უბრალოდ მართვის ფორმების განსაზღვრა. უპირველეს ყოვლისა, ესაა ერთობლივი ცხოვრების, გამოცდილებების ურთიერთგაცვლის ფორმა.

დემოკრატის შემთხვევაში საზოგადოებაში მუდმივად მატულობს თავიანთი მოქმედებების სხვათა მოქმედებებთან ურთიერთშემთანხმებელი და სხვათა ინტერესების გამათვალისწინებელი, საკუთარი მიზნების და მიმართულებების განმსაზღვრელი ადამიანების რიცხვი. ჯ. დიუი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკური დემოკრატის იდეების რეალიზაციისათვის „საჭიროა ამ იდეების შეღწევა ადამიანთა

ყველა სახის ასოციაციებში: ოჯახში, სკოლაში, მრეწველობაში, რელიგიაში“. დემოკრატიის არსის განხილვისას, დიუი აქცენტს აკეთებდა მის კავშირზე განათლებასთან. იგი წერდა: „დემოკრატიის გარეგნული და უმთავრესად წმინდა ტექნიკური სომბოლოები და გამოხატულებებია - საარჩევნო ყუთი და უმრავლესობის უფლებები (წესები). აქ განიხილავდა ორ საფუძველს: 1. თითოეული ინდივიდის შესაძლებლობას, უფლებას და ვალდებულებას - ჩამოაყალიბოს საკუთარი მტკიცებულებები და ასევე გამოხატოს ის მტკიცებულებები, რომელიც შეეხება - მის ადგილს საზოგადოებრივ წყობილებაში და ამ წყობილების ურთიერთობას მის პირად კეთილდღეობასთან. 2. საზოგადოების თითოეული წევრის ინდივიდუალურობის და ტოლფასოვნების, ამავე დროს ყველა დანარჩენებთან თანატოლობის აღიარება, აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი საზოგადოებრივი ნების გამოცხადება უმრავლესობის იდეების ერთობლივ გამოხატულებად ითვლება. სწორედ ეს მეორე საფუძველია სერიოზული განათლების ღერძი. ჯერ კიდევ სკოლის კედლებში შევიმეცნებთ, რომ ჩვენი გონების და ხასიათის განმავითარებელი ცოდნა არა მარტო სახელმძღვანელოებთან და პედაგოგებთან ჩვენი ურთიერთობის პროცესში გვეძლევა, არამედ, პიროვნება ყალიბდება განათლებულ, ერუდირებულ ადამიანად, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საკუთარი გამოცდილების გაზიარების უნარს ავლენს; და ბოლოს - განსწავლულობა, განათლებულობა, ხომ გაცემა-დაუფლების, გამოცდილებების, იდეების გაცვლის შედეგია“ (41, გვ. 38).

დიუისტვის აშკარა იყო, რომ დემოკრატია და განათლება ორმხრივად, შეუცვლელად, სისხლხორცეულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მისი აზრით, „დემოკრატია თავისთავად წარმოადგენს პედაგოგიკის პრინციპს, მის კრიტერიუმს და პოლიტიკას“. იგი მიუთითებდა, რომ დემოკრატიულ პოლიტიკას „თავისთავად გააჩნია აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ვინაიდან იგი ჩვენ, დემოკრატიული საზოგადოების ინდივიდუალურ მოქალაქეებს, გვავალდებულებს და პასუხიმგებლობას გვაკისრებს, გავიაზროთ ჩვენს პიროვნებას რა სურს, ანუ როგორია ჩვენი მოთხოვნილებები და პრობლემები“. შარვაძის მიხედვით, დიუი თვლიდა, რომ

„დემოკრატია ვერ გაძლებს და ვერ განვითარდება განათლების მხრიდან თანადგომის გარეშე, დიუი გულისხმობდა ოჯახში და სკოლაში მიღებულ განათლებას.

დიუი აღნიშნავდა, რომ დემოკრატიის პირობებში, საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა, ა) თვით ამ საზოგადოების ქმედებები და ბ) საზოგადოების მართვა. ჯ. დიუი მიუთითებდა, რომ განათლებამ „უნდა მოამზადოს თითოეული ადამიანი პასუხისმგებლობისათვის: 1. აცნობს პიროვნებას ცხოვრების პირობებს და ხალხთა მოთხოვნილებებს, როგორც ერთიან მთლიანს; 2. უვითარებს თვისებებს და უნარებს - მართვის საქმეებში ნაყოფიერი მონაწილეობის გარანტიაა“. დიუი წერდა: „ბავშვები მხოლოდ ბრძანებების შესრულებას კი არ უნდა მივაჩვიოთ, არამედ, მათში უნდა განვახორციელოთ საკუთარი ძალებისადმი და საკუთარი აზროვნებისადმი რწმენა. ამ პროცესის თანმდევა წინააღმდეგობები დემოკრატიის სრულყოფილებისკენ და დემოკრატიული იდეალებისკენ მიმავალ გზაზე“ (41, გვ. 35).

ამრიგად, ჯონ დიუი ფილოსოფიას განიხილავს, როგორც აზროვნების ფორმას, რომელიც როგორც ყველა აზროვნება, გამოდის იქიდან, თუ რა არის გაურკვეველი გამოცდილების შინაარსში; რომელიც მიზნად ისახავს დაბნეულობის შემცირებას და ჰიპოთეზების შემოთავაზებას მის გასაფანტავად, რომელთა შემოწმებაც ქმედებაში უნდა მოხდეს. ფილოსოფიურ აზროვნებას ახასიათებს ის, რომ ის საკითხები, რომლებთანაც მას აქვს საქმე, გაბნეულია სოციალურ პირობებსა და მიზნებში, რომლებიც ინტერესებისა და ინსტიტუციონალური მისწრაფებების კონფლიქტს წარმოადგენს. რამდენადაც ერთადერთი გზა ჰარმონიული გარდაქმნისა არის ემოციონალური და ინტელექტუალური დისპოზიციების მოდიფიკაცია, ფილოსოფია არის ექსპლიციტური ფორმულირება სხვადასხვა ცხოვრებისეული ინტერესებისა და სხვადასხვა მოსაზრებებისა და მეთოდებისა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მიღწეულ იქნას ტრანსფორმაცია ისე, რომ იგი არ დარჩეს მხოლოდ ჰიპოთეზად იმის შესახებ, რაც სასურველია, ჩვენ მივდივართ იმ დებულების დასაბუთებამდე, რომ ფილოსოფია არის განათლების თეორია, როგორც განზრახულად განხორციელებული პრაქტიკა.

§4. ჯონ დიუის პედაგოგიური შეხედულებების შეფასება

უცხოელ მკვლევართა შრომებში

1960-1970-იან წლებში ჯ. დიუის პედაგოგიკურმა იდეებმა გაიარეს კრიტიკის ქარ-ცეცხლში. 1980 წლიდან აშშ-ში სასწავლო გეგმის განსაკუთრებული ფასეულობაა ის, რომ იგი დაეფუძნა მოსწავლეთა აქტიურ მოღვაწეობას მათი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით; ხოლო მასწავლებლებმა ორგანიზატორის და კონსულტანტის ახალი როლი შეიძინეს. აშშ-ში ამჟამად იმით, რომ ჯ. დიუის მიერ დამუშავებული (შექმნილი) „პროგრესული სკოლით“, ბავშვები სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ იმ საგნებს, რომლებსაც აუცილებლად ესწრებიან მთელი წლის განმავლობაში. ამ მოდელის პლიუსები აშკარაა, თუმცა გაააჩნია ერთი არსებითი მინუსი; ასეთ სკოლაში განათლების თანამედროვე შინაარსი უმდაბლეს თეორიულ დონეზეა. „ამერიკული სკოლის თავისებურებაა, საკუთარ ქვეყანაზე გათვლილი ვიწრო მიმართულება, დაფუძნებული ერთ, ან მაქსიმუმ ორ დისციპლინაზე და ცოდნის ფართო დიაპაზონის სრული არარსებობა. ამერიკული სკოლის უკანასკნელი წლების კრიზისმა გვიჩვენა, რომ „პროგრესული სკოლა“ არ წარმოადგენს საგანმანათლებლო პანაცეას. 21-ე საუკუნეში სწავლების ამერიკული თეორიის და პრაქტიკის საფუძველია პრაგმატული პედაგოგიკის იდეები; ხოლო ჯ. დიუის მიმდევრების მიერ თანამედროვედ ინტერპრეტირებულ პროექტირების იდეებს მთავარი ადგილი უჭირავთ განათლების სფეროში“ (38, გვ. 35).

დიდ ბრიტანეთში ჯ. დიუის პედაგოგიურმა იდეებმა ფეხი მოიკიდეს მე-20 საუკუნის დასაწყისში. 1906 წელს გამოიცა სტატიების სერია: „სკოლა და ბავშვი“. 1929 წელს პედაგოგიური განათლების სფეროში ჯ. დიუის აღიარებდნენ პროგრესული მოდერნიზაციის ნიმუშად, მაგრამ ამ შეხედულებას გვერდს უვლიდნენ; თუმცა დიდი ბრიტანეთის პედაგოგები მაინც ეფუძნებოდნენ მეცნიერის მრავალ დებულებებს თავიანთ პედაგოგიურ დისკუსიებში; გადაჰქონდათ მისი პედაგოგიკის ელემენტები სკოლის პრაქტიკაში, რასაც დაუმსახურებლად ჩქმალავდნენ. ძირითადად იყენებდნენ იმ პედაგოგიურ იდეებს, რომლებიც შეეხებოდა: ა) სასწავლო პროცესის ცენტრში მყოფ მოსწავლეს-პიროვნებას; ბ) მოსწავლეთა ჩართულობას პრაქტიკულ შრომაში; გ) გამოცდილების მნიშვნელობას,

რომელიც სწავლების განუყოფელია; დ) მასწავლებლის როგორც კონსულტანტის ახალ როლს. მოცემული იდეები აქტუალურობას 1949 წლამდე არ კარგავდნენ. 60-იან წლებში საგანმანათლებლო პროცესი განიხილებოდა მოდერნიზაციის ისეთ პრიზმაში, რომელშიც მხედველობაში მიიღებოდა წარსულის გამოცდილება, განსაკუთრებით ეფუძნებოდნენ (ითვალსწინებდნენ) პროგრესული პედაგოგების მემკვიდრეობას. უფრო მეტიც, 1980 წლიდან დღემდე, პედაგოგები ემყარებიან ჯ. დიუის პედაგოგიკური კონცეფციის იდეებს და გადააქვთ მისი პედაგოგიკის ზოგიერთი ელემენტები სკოლის საგანმანათლებლო პროცესში. გერმანიაში დიუის პრაგმატიზმის იდეების აღიარება იქცა გამაღიზიანებელ მომენტად, რომელმაც გამოიწვია დისკუსია: გერმანული პედაგოგიური დისპუტის ჩარჩოებში.

1910 წელს გეორგ კერშენშტეიერმა, გერმანიაში „შრომითი სკოლის“ ფუძემდებელმა, აშშ-ში სტუმრობის შემდეგ, აღნიშნა, რომ ჯ. დიუის რეფორმატორული იდეები იყო გამორჩეული, და რომ დიუის იდეებში მოცემული იყო პრინციპული სხვაგვარი სკოლის, „შრომითი სკოლის“ - „აქტიურობის სკოლის“ მოდელი. გეორგ კერშენშტეიერი არა მარტო კრიტიკულად ანალიზებდა დიუის იდეებს, არამედ უმეტესად უდიდესი ამერიკელის თანამოაზრეც გახლდათ. სწორედ ამიტომ, გეორგ კერშენშტეიერს „გერმანელ ჯ. დიუის უწოდებენ“. ედვარდ შპრანგერი ჯ. დიუის პრაგმატიზმს ფილოსოფიურ-პედაგოგიურ ასპექტში მეტად მოკრძალებულად აღიღეს ანიჭებდა. შპრანგერის ავტორიტეტულობამ და კერშენშტეიერთან მეგობრობამ განაპირობა მომავალში ის გარემოება, რომ გეორგ კერშენშტეიერმა შეწყვიტა ჯ. დიუის ტექსტების პროპაგანდა. ლ. გურლიტის მიერ თარგმნილ ჯ. დიუის სტატიებში, განიხილებოდა ჯ. დიუის კონცეპტუალური დებულებების არსში გაურკვევლობა. რაც იწვევდა იმ იდეის დაკნინებას, რომელიც, დისციპლინის დაუფლების და ფორმალური განათლების მიზნით, აღიარებდა გამოცდილებას და გამოცდილებების გაცვლას. მოწონებულია იდეა შრომითი ძალების სოციალური პოლიტიკოპედაგოგიური ჩართვის შესახებ, მაგრამ უარყოფილია ნაციონალიზმის გამო დემოკრატიული ფონი. ლ. გურლიტმა ვერ შეძლო დაწვრილებით გადმოეცა სწავლების ორგანიზაციის არსი ჯ. დიუის

მიხედვით. ჯ. დიუის თვითმართვის და თვითრეგულაციის იდეებს გერმანელი კოლეგა არ ცნობდა.

გერმანელი რეფორმატორები ყურადღებას ამახვილებდნენ სკოლისა და ცხოვრების ურთიერთკავშირზე. ისინი განიხილავდნენ საკითხებს, მასწავლებლის ახალი როლის შესახებ, აქცენტს აკეთებდნენ შრომით მოღვაწეობაზე, სოციალიზაციაზე. პეტერ პეტერსონმა გამოსცა პუბლიკაციები პროექტული მეთოდის შესახებ, სადაც თითქოს პირდაპირ არაა მინიშნებული ამერიკელი რეფორმატორის იდეები, მაგრამ საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ამ პუბლიკაციებში.

ს. უ. ჰესსენი ამტკიცებდა, რომ ჯ. დიუი განიხილავს რეალობაზე, პიროვნების ერთიანობაზე, გონებრივ განვითარებაზე ორიენტირებულ, დინამიური ფილოსოფიის პრაქტიკულ მხარეს, გამოცდილების უწყვეტ რეკონსტრუქციასთან კავშირში და შემდეგში ექსპერიმენტული აბსტრაქციის ინსტრუმენტის - ლოგიკის მნიშვნელობას. მან თავის ნაშრომში გადმოგვცა ჯ. დიუის ზოგიერთი ცენტრალური, რეალური დებულებების აღწერა, რომელშიც განიხილებოდა, ჯერ უცნობი თეორიები, ხოლო შემდეგ საფუძვლად დაედო იდეას, აზროვნების სხვადასხვა მეთოდების სრულყოფისათვის. ს. უ. ჰესსენმა ერთგვარად თითქოს იპოვა ჯ. დიუის პედაგოგიკის უარყოფითი მხარე. ამერიკელი მეცნიერი არ აცხადებს პრაგმატული პედაგოგიკის პრაქტიკულ მნიშვნელობას საშუალო სკოლებში, ვინაიდან, მისი მაგალითები ეხებოდა ჩიკაგოს ექსპერიმენტული რვაწლიანი კლასების პირველ საფეხურს. მან ასევე, ეჭვქვეშ დააყენა პედაგოგიკის ფილოსოფიასთან კავშირის იდეა. ს. უ. ჰესსენი შრომითი სკოლის იდეებში უახლოვდებოდა ჯ. დიუის იდეებს. ცენტრში დგას პიროვნების ინტერესები, რომელიც რეალიზდება პრაქტიკული მოღვაწეობით, ამ უკანასკნელში შეიცნობა კაცობრიობის კულტურული და ღირსეული ცხოვრება.

საფრანგეთში ჯ. დიუის პედაგოგიური შეხედულებები მრავალწლიანი დისკუსიის საგნად იქცა. ერთნი იცავდნენ ჯ. დიუის პრინციპს „სწავლება საქმიანობის დახმარებით“, მეორენი კი ემხრობოდნენ სწავლების ავტორიტეტულ მეთოდებს. 1924-25 წლებში ემილ დიურკეიმში ხაზს უსვამდა რა განათლების

დემოკრატიზაციის აუცილებლობას, მიუთითებდა პრაგმატიზმის მნიშვნელობას სოციალიზაციის საწყის საფეხურზე.

1960 წელს ფრანგმა მკვლევარები: ფერნანდ ური და აიდა ვასკესი ფიქრობდნენ რომ ღირდა თუ არა ფრანგი მკითხველისათვის ჯ. დიუის მემკვიდრეობის გაცნობა. მათი აზრით, ჯ. დიუის ოპტიმიზმი ამერიკული დემოკრატიის მიმართ, მხოლოდ ნაწილობრივ იყო მისაღები ფრანგებისათვის. მაგრამ უკვე 70-90-იან წლებში ჯ. დიუის იდეები ჩართეს საფრანგეთის პედაგოგიურ მოღვაწეობაში. ფრანგი პედაგოგები გეორგ სპაიდერსი და სხვები აკრიტიკებდნენ მეცნიერებს მასწავლებლის როლის დაკნინების შესახებ თავიანთ შეხედულებებში. ისინი ხედავდნენ, რომ ფრანგი მეცნიერები მიისწრაფოდნენ მასწავლებლისათვის მიენიჭებინათ უფლება - ეჩვენებინათ მოსწავლეებისათვის, რომ მათი აქტივობა მიმდინარეობს ფართო შემეცნებითი კონტექსტის ჩარჩოებში. გერმანელების მსგავსად, ფრანგებიც, პროექტული მეთოდის ნაკლოვანებებს უსამართლოდ მიაწერდნენ ჯ. დიუის. ფრანგმა მეცნიერმა დელადელმა მთელი რიგი ნაშრომები მიუძღვნა პრაგმატიზმს, მის დამფუძნებლებს და ასევე ჯ. დიუის. გამოცდილების მნიშვნელობის მუდმივი რეკონსტრუქციის იდეა მოითხოვს-სკოლის პრაქტიკის მუდმივ შესაბამისობას ცხოვრების ცვალებად პირობებთან. საფრანგეთში ჯ. დიუის მიღებული მემკვიდრეობა გამოცდილების მნიშვნელობის (ფასეულობის) შესახებ, მეტად მიმზიდველი იდეა აღმოჩნდა „ახალი აღზრდის“ მოძრაობის მიმდევრებისათვის. ფრანგი მეცნიერები ცდილობდნენ ამ მიმართულებით მოეხდინათ ჯ. დიუის რეკომენდაციების რეალიზება სკოლის პრაქტიკაში. თუმცა თანამედროვე საფრანგეთში, სწავლების პროცესებით თვითმართვის იდეები სხვადასხვაგვარად აღიქმება. ცნობილია, რომ იტალიაში 1943-1955 წლები ითვლება პროგრესული აღზრდის აღიარების და დაცემის პერიოდად. იტალიაში მეცნიერების ამოცანას წარმოადგენდა: ჯ. დიუის იდეების გათვალისწინებით სასწავლო გეგმის დემოკრატიზაცია, სასწავლო მასალების სრულყოფა დემოკრატიისა და პროგრესის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრესული აღზრდის იდეას ეწინააღმდეგებოდნენ ოპოზიციის და ეკლესიის წარმომადგენლები. სწორედ ამიტომ, 1955-დან 1985 წლამდე იტალიაში სასწავლო გეგმები არ შეცვლილა. მხოლოდ 1960-

იან წლებში, სწავლების თეორიის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის აქტივიზაციის მეშვეობით, შეაღწია იტალიაში პროგრესივიზმის იდეებმა. 1980 წელს ურბინოს უნივერსიტეტში ჩატარდა ჯ. დიუსადმი მიძღვნილი კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მრავალი მეცნიერი ამბობდა, რომ ქვეყანაში პროგრესულ პედაგოგიურ მოძრაობაზე ძლიერ გავლენას ახდენს ჯ. დიუსის პედაგოგიკა; ხოლო ზოგიერთი „რევოლუციის კრახს“ მიუთითებდა. აღსანიშნავია, რომ 1982 წლამდე იტალიაში არ ჩატარებულა არც ერთი კვლევა, რომელიც სათანადოდ გააშუქებდა ჯ. დიუსის იდეების გავლენას იტალიის საგანმანათლებლო რეფორმაზე (18, გვ. 64).

1924 წელს ჯ. დიუი ეწვია თურქეთს, ამ პერიოდში ქვეყანამ უარყო მუსულმანური თეოკრატიზმი. ამ ქვეყანაში გაუნათლებელი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი ძალიან მაღალი იყო და ამიტომ განათლების თანამედროვე სისტემის შექმნა ახალგაზრდა რესპუბლიკის გადარჩენის ტოლფას საკითხს წარმოადგენდა. თურქეთში, სხვა რეფორმების გატარებასთან ერთად, განათლების სისტემაში, ლათინურ ანბანზე გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. აშშ-ში დაბრუნებულმა ჯ. დიუიმ გამოაქვეყნა თავისი ანგარიში და რეკომენდაციები თურქეთის საგანმანათლებლო სისტემის შესახებ. იგი მიუთითებდა, რომ განათლება, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის, როგორც ქვეყნის მომავლის აღზრდაში ჩადებული წვლილია. ჯ. დიუსის სურდა გაეცნო თურქი მეცნიერებისათვის პროგრესული პედაგოგიური იდეები და აგრეთვე, ურჩევდა მათ გაცნობოდნენ სხვა ქვეყნების პედაგოგიურ შეხედულებებს. ჯ. დიუსის აზრით უმჯობესი იყო, რომ პედაგოგის პროფესიისათვის კადრი შერჩეულიყო ინტელიგენციიდან, მათთვის საგნობრივი ცოდნით შეიარაღება და პროგრესული მეთოდების და ხერხების გამოყენება სწავლებაში აუცილებლობას წარმოადგენდა. 20-იან წლებში მუსტაფა ნეკატიმ რეალობად აქცია ამერიკელი კოლეგის მეთოდების და ხერხების გამოყენება განათლების სფეროში. ჯ. დიუსის იდეებმა შრომისა და სწავლის შეერთების თაობაზე ფართო რეალიზაცია განიცადეს თურქეთის სასოფლო ინსტიტუტებში. ასევე შესრულდა ჯ. დიუსის სურვილი მასაწავლებელთა მომზადების თაობაზე თურქეთის განათლების პრაქტიკაში. 1924 წელს თურქულ ენაზე გამოქვეყნდა არნი ბასმანის მიერ ნათარგმნი ნაშრომი: „სკოლა და საზოგადოება“. თუმცა მოგვიანებით მოხდა ჯ.

დიუის იდეების არასწორი ინტერპრეტაცია. დღეისათვის შეინიშნება პრაგმატიზმის იდეების ზეგავლენა თურქულ საგანმანათლებლო სისტემაზე. მაგრამ ფუძემდებლური როლი უჭირავს ეროვნული კულტურის ძირითადი ნიშან-ბაზების გათვალისწინებას. ბულერტი აღინიშნავს, რომ დასავლეთის მსგავსად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იაპონია იყო ერთადერთი არადასავლური ქვეყანა, რომელმაც სხვა ქვეყნებისაგან დამოუკიდებლად, შეძლო განათლების სისტემის მოდერნიზაცია. იაპონელებმა დასავლეთის ქვეყნებიდან ამოირჩიეს საკუთარი ქვეყნისათვის მისაღები საგანმანათლებლო სისტემები. ასე მაგალითად, იაპონიაში დაწყებითი სკოლის აუცილებელი გაკვეთილებია: მათემატიკა, კალიგრაფია, მუსიკა, იაპონური ენა და კომპიუტერი. მრავალფეროვანი კერძო გაკვეთილები და მეცადინეობები ანვითარებენ ზნეობრივ და ესთეტიკურ ფასეულობებს ბავშვის პიროვნებაში. მე-19 საუკუნის ბოლოს, იაპონელების ყურადღება მიიპყრო ჯ. დიუის იდეამ, რომ სწავლების და აღზრდის მთელი პროცესის აუცილებელი ცენტრი ბავშვია (44, გვ. 50).

20-იანი წლებიდან პოპულარულია: რეფორმატორულ იდეებზე დაფუძნებული დალტონ გეგმა, ხოლო იდეებმა: მოსწავლეთა პრაქტიკულ შრომაში ჩართულობის, განათლების განუყოფელი შრომის მნიშვნელობის და რეფლექსიის შესახებ პროგრესული პედაგოგების აღიარება მოიპოვეს. მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე სკოლებში გამოიყენება კომპიუტერები. პრაქტიკულად ყველა კლასშია ადგილობრივ ქსელში ჩართული და სწრაფი ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. კომპიუტერის გამოყენების საფუძვლებს დაუფლებული დაბალი კლასის მოსწავლეები ინფორმაციას იღებენ ინტერნეტიდან. შექმნილია სპეციალური პროგრამები და მონაცემთა ბაზები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობას, მათ ურთიერთდაკავშირებას ელ-ფოსტით. ე.ი. მოსწავლეები სკოლაში კომპიუტერის გამოყენების საფუძვლებს ეუფლებიან, როგორც ინფორმაციის მიღების წყაროს. კომპიუტერული სკოლის გარდა, იაპონიაში განვითარებულია „ღია დაგეგმარების“ მეთოდიკა. ასეთ სკოლაში, ფართო ინტერიერში ტიხრებითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი თითოეული კლასი.

სასწავლო პროცესის ამგვარი ორგანიზებით კლასები ერთმანეთთან მუდმივ კონტაქტშია და სწავლება უფრო ეფექტური და დამოუკიდებელია.

იაპონიაში არსებული მეთოდები ძირითადად შეესაბამებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების შრომით სკოლებში მიღებულ „მეთოდების პროექტებს“. დალტონ გეგმის და მეთოდების პროექტების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა, სასწავლო მუშაობის ხასიათთან დაკავშირებული, ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბება. ინდივიდუალიზმი კი შეიქმნა კოლექტიურობის მომენტის გაძლიერებით და მეთოდების შინაარსის სოციალისტურად გარდაქმნით. მესამე ეტაპი: 1925-1929 წლები, ამ პერიოდში ხდება ჯ. დიუის პედაგოგიური იდეების გააზრება და მათ საფუძველზე ახალი პედაგოგიური მიდგომების ჩამოყალიბება.

დღეისათვის გამოიყენება ჯ. დიუის პრობლემური სწავლების გადამამუშავებული ეტაპები: მოსწავლეთა ინტერესების, უნარების და შესაძლებლობების გამაქტიურებელი, უფრო მეტად, ვიდრე გაკვეთილი, დავალება ან ცალკეული საგნები. ამ ეტაპების ამოცანებია: მოქნილი, კრეატიული, საზრიანი, თანამშრომლობისათვის მომზადებული მოსწავლეების და არაპასიური პიროვნების აღზრდა. უწყვეტი განათლების პედაგოგიური იდეა, განათლების ყველა ეტაპის ურთიერთკავშირი, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, მეტად ფართოდაა გავრცელებული (48, გვ. 80).

ამრიგად, დიუის შემოქმედების ძირითად ნაკლად მიიჩნეოდა თეორიული და სისტემატიური ცოდნის უარყოფა, მასწავლებლის როლის დაკნინება სასწავლო პროცესში, გამეორების, ლექციის, გაკვეთილის, საერთოდ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უგულებელყოფა. დიუი ახდენდა პრაქტიკის წინსწრებას თეორიისაგან, იგი უპირატესობას ანიჭებდა მხოლოდ სასწავლო რესურსებს, ხოლო ასეთი რესურსებით აღჭურვილი სკოლის შენახვისათვის საჭირო იყო დიდი თანხები. აგრეთვე, მისი თანამედროვეები დიუის აკრიტიკებდნენ პიროვნების განვითარებაში სოციალური როლის დაკნინების გამო.

თავი II

ჯონ დიუის დიდაქტიკური სისტემა

§1. დიდაქტიკური სისტემების განვითარების ეტაპები

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სკოლაზე მდგრადი კონსერვატიული ტრადიციული შეხედულების მიუხედავად, პროდუქტიული განათლების იდეა თანდათან ძალაში შედის. ამ ფონზე, საგანმანათლებლო პროცესის მიზნის მისაღწევად, ახალი ხერხების გამომხატველი ალტერნატიული მიდგომები და ასევე შესაბამისი იდეების და კლასიკური პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის გამთვალისწინებელი მეთოდები შეადგენენ თანამედროვე დიდაქტიკური თეორიის საფუძველს. განათლების მოდერნიზაცია მიმართულია: განათლების ინოვაციური პარადიგმის ძიებისკენ და სკოლაში, სწავლების პროცესში ოპტიმალური გზების სრულყოფისკენ. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია წარსულის პედაგოგიური კონცეფციების თეორიული გადამუშავება, მის არსში გარკვევა, თანამედროვე პედაგოგიური თეორიის განვითარებაზე მათი გავლენის დადგენა. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია ჯ. დიუის (1859-1952) ცნობილი ამერიკელი პედაგოგის, ფსიქოლოგის და ფილოსოფოსის შეხედულებები. იგი გამოირჩევა კრიტიკული აზროვნებით და თავისუფალი ინიციატივით. მას გამოცემული აქვს 80-მდე მონოგრაფია და სტატია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული პერიოდი მიუწვდომელი იყო. დღეისათვის მნიშვნელოვანია ჯ. დიუის პედაგოგიური შრომების ახლებური ხედვა. განსაკუთრებით საინტერესოა ჯ. დიუის იდეები, როგორცაა: ისტორიულ გარემოში, კულტურის შემოქმედებითად დაუფლების მეშვეობით, პიროვნების ჩამოყალიბება; სოციოკულტურული კონტექსტის წამყვანი როლი განათლებაში; თეორიის და პრაქტიკის ურთიერთკავშირის პრინციპის რეალიზაცია; მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და მათი შემეცნებითი დამოკიდებულობის განვითარება. სწავლების წიგნურ-ვერბალური მეთოდების აბსოლუტიზაციაზე უარის თქმა; ხელით შრომის როლი სწავლის პროცესში.

პედაგოგიკის და განათლების მეცნიერებების მკვლევარები ჯ. დიუის პედაგოგიური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, დიუის პედაგოგიური თეორიის ცალკეულ დებულებებს და მის პრაქტიკულ მოღვაწეობას განათლების სფეროში. თანამედროვე პირობებში, სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზე, გამოიცა და ითარგმნა, ჯონ დიუის ნაშრომები. მათში დანართებისა და კომენტარების სახით განხილულია ამერიკელი პედაგოგის პედაგოგიკური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური შეხედულებები და პრინციპები. სხვადასხვა

ენაზე ნაშრომთა სიმრავლის მიუხედავად, ჩვენი აზრით, დღემდე არ არსებობს ერთიანი, განმაზოგადოებელ-გამაერთიანებელი ნაშრომი, რომელშიც სრულყოფილადაა თავმოყრილი პედაგოგიკის სფეროში ჯ. დიუის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა და წვლილი სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში; ჩვენი აზრით, ამ კუთხით, დღეისათვის არსებობს შემდეგი წინააღმდეგობები:

- ჯ. დიუის დიდაქტიკურ თეორიაში და საგანმანათლებლო პრაქტიკაში იდეების არსებობასა და მიღწეულ წარმატებას შორის წინააღმდეგობა.
- საგანმანათლებლო პრაქტიკაში ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის ისტორიულ-კულტურულ აუცილებლობას და პედაგოგიურ აუცილებლობას შორის წინააღმდეგობა.

ჩვენ მიერ შესწავლილი უცხოენოვანი ლიტერატურის საფუძველზე გამოიკვეთა ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის განვითარების შემდეგი ეტაპები:

პირველი ეტაპი: 1879-1884 წწ. პირველადი პედაგოგიური გამოცდილების დაგროვების პერიოდი; სასკოლო განათლების პროცესის ჩამოყალიბების ანალიზი; ფილოსოფიური შეხედულებების ფორმირება, რომელმაც გავლენა იქონია რეფლექსური აზროვნების თეორიის ჩამოყალიბებაზე. ამ პერიოდში დიუიმ მიიღო პედაგოგიურ მოღვაწეობაში პირველდაწყებითი გამოცდილება, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ სასკოლო განათლების კრიტიკას. გერმანელი კლასიკოსი ფილოსოფოსების, ჰეგელის და კანტის შეხედულებების გაცნობის შემდეგ, დიუიმ აღიარა შემდეგი ცნებები: „ინდივიდი და საზოგადოება“, „სხეული და აზროვნება“, „იდეალური და რეალური“; რამაც განაპირობა ჯ. დიუის მიერ რეფლექსური აზროვნების თეორიის შექმნა.

მეორე ეტაპი: 1884-1894 წწ. მიჩიგანური პერიოდი, სწავლების იდეების, როგორც მოსწავლეთა გამოცდილების რეკონსტრუქციის იდეების შექმნა, რომლებიც დიდაქტიკური პრაგმატიზმის თეორიის ჩამოყალიბების თანამოქმედად ითვლება. ადამიანის ბიჰევიორისტული ქცევის და აღქმის განმარტების მიღება. მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, უ. ჯეიმსის იდეების ზეგავლენით, ჯ. დიუი იძლევა ადამიანის ქცევის და აღქმის ბიჰევიორისტულ განმარტებას. აქვე ხდება მისი იდეების ჩამოყალიბება მოსწავლეთა გამოცდილების რეკონსტრუქციის

შესახებ, რომელმაც შემდგომში შექმნა დიუის დიდაქტიკური პრაგმატიზმის თეორია.

მესამე ეტაპი: 1894-1904 წწ. ჩიკაგოს პერიოდი, საზოგადოების რეფორმირების გზების ძიების პერიოდი, განათლების რეორგანიზაციის გზით. ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სკოლა-ლაბორატორიაში, ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის პრაქტიკული რეალიზაცია. დიუი გაეცნო რა ჯ. ადამსის მოღვაწეობას, მან ეს პერიოდი, განათლების რეორგანიზაციის გზით, საზოგადოების სოციალურ პრობლემებს და საზოგადოების რეფორმირებას მოანდომა. ამ პერიოდში დიუიმ საკუთარი დიდაქტიკური იდეების განსახორციელებლად, ჩიკაგოს უნივერსიტეტში შექმნა სკოლა-ლაბორატორია. მან თავის მიერ დაარსებულ სკოლა-ლაბორატორიაში მოახდინა თავისი დიდაქტიკური კონცეფციების რეალიზაცია. სკოლა-ლაბორატორია ჩვენი აზრით ეს იყო, როგორც დიდაქტიკური სისტემა, რომელიც მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: განათლების მიზანს; განათლების შინაარსს; განათლების შექმნის საშუალებებს და ხერხებს; საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს; რეალური საგანმანათლებლო პროცესი, როგორც ადამიანის სწავლების, აღზრდის და განვითარების ერთიანობას; საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტს და ობიექტს; განათლების შედეგებს.

მეოთხე ეტაპი: 1904-1952 წწ. კოლუმბიური პერიოდი ესაა შემდგომი თეორიულ-ფილოსოფიური გადამუშავების პერიოდი, დემოკრატიის და განათლების პრობლემებისა. პროგრესული სკოლების გამოცდილების განზოგადება; საკუთარი პედაგოგიური იდეების გავრცელება და გავლენა სასკოლო პრაქტიკაზე. ლაბორატორიული სკოლის დახურვის შემდეგ, დიუი კოლუმბიის უნივერსიტეტის კათედრის გამგეა და აგრძელებს მუშაობას დემოკრატიისა და განათლების პრობლემებზე; განაზოგადებს პროგრესული სკოლების გამოცდილებას; აშშ-ში საკუთარი პედაგოგიური იდეების გავრცელებით, გავლენას ახდენს სასკოლო პრაქტიკაზე. (??? 38)

ზემოთ განხილული ოთხი ეტაპის პარალელურად ქართულ სინამდვილეში თამამად შესაძლოა გამოიყოს მეხუთე ეტაპი-მე-20 საუკუნის 90-იანი წლები და 21-ე საუკუნის დასაწყისი. ამ პერიოდში განათლებაში პრიორიტეტულია: სწავლების

ინდივიდუალიზაცია, მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების და მოთხოვნილებების მუდმივად გათვალისწინება. რასაც მოჰყვა ჯ. დიუის დიდაქტიკური იდეების აქტუალიზაცია: კვლავ დაიწეს დიუის მეთოდის პროექტის გამოყენება სწავლის პროცესში, ამდენად შესაძლებელი გახდა: მოსწავლეთა ცოდნის ორგანულად ინტეგრირება სხვადასხვა სფეროდან და ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, ახალი ცოდნის, ფასეულობების და იდეების შექმნა.

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული მასალიდან ირკვევა, რომ ჯონ დიუის დიდაქტიკურ კონცეფციას საფუძვლად დაედო სხვადასხვა პედაგოგებისა და ფსიქოლოგების იდეები. კერძოდ:

1. დიუიმ თავის კონცეფცია შექმნა იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის სისტემის საწინააღმდეგოდ და შეძლო თავისუფლების იდეაზე დამყარებული ახალი განათლების ფილოსოფიის დამკვიდრება „სკოლა ბავშვის და ბავშვისათვის“. იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის იდეების საფუძველზე დიუიმ დაამუშავა საკითხები: ა) სწავლის საფეხურები; ბ) მრავალმხრივი ინტერესის იდეები; გ) დიუის მიერ სწავლების უნივერსალური ჰერბარტული იდეის აღიარების უარყოფა.

ფ. ჰერბარტის და უ. ჯეიმსის იდეების შესაბამისად, დიუი გამოყოფს რეფლექსური გამოცდილების განვითარების შემდეგ ეტაპებს:

- დაუსრულებელ სიტუაციაში მყოფი ადამიანის მდგომარეობის აღქმის-უმეცრება, ამ მდგომარეობაში ჩაურევლობა, ამ სიტუაციაში დაეჭვება.

- ალბათური მომავლის დებულებების წამოყენება, ანუ ცნობილი მონაცემების წინასწარი ინტერპრეტაცია.

- პრობლემის დამაზუსტებელი და გამომრკვევი ყველა მონაცემების დაწვრილებითი შესწავლა (ძიება, მიმოხილვა, კვლევა, ანალიზი).

- წინასწარი ჰიპოთეზის შემდგომი დამუშავება.

- ამგვარად, დამუშავებული ჰიპოთეზის, როგორც სამოქმედო გეგმის მიღება.

2. ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციის საფუძვლების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს ამერიკელი ფსიქოლოგის ს. ჰოლლის იდეები.

- სწავლის მნიშვნელობა კონკრეტული ბავშვის ფსიქიკის ჩამოყალიბების პროცესში;

- ბავშვის მიერ ინდივიდუალური განვითარების პროცესში, შემოკლებული სახით, ადამიანთა მოდემის ძირითადი ეტაპების განმეორება;

- სწავლების პროცესში ბავშვის პიროვნების განვითარების განმაპირობებელი მონაცემების გათვალისწინების აუცილებლობა.

3. კვლევებით დადასტურებულია აგრეთვე, ფ. ფრებელის შეხედულებების გავლენა დიუს დიდაქტიკურ კონცეფციაზე:

- ბავშვისთვის დამახასიათებელი მოქმედების ბუნებრივად თანდაყოლილი ინსტიქტის შესახებ;

- ბავშვი კი არ ემზადება ცხოვრებისათვის, არამედ, უკვე ცხოვრობს შემოქმედებითი, გაჯერებული ცხოვრებით;

- დიუსისთვის მიუღებელია: ა) ფრებელისთვის დამახასიათებელი ფორმალიზმი, ბ) მეტისმეტად მკაცრი სისტემატიზაცია, ხელოვნურობა, გ) ბავშვის დამოუკიდებლობის შეზღუდულობა თამაშებში და მეცადინეობებში.

4. დიუსის დიდაქტიკურ კონცეფციაზე ბავშვის სწავლის პროცესში რეფლექსური აზროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ გავლენა მოახდინა უ. ჯეიმსის ფილოსოფიამ და ფსიქოლოგიამ. უ. ჯეიმსის შეხედულებების საფუძველზე დიუსიმ დაამუშავა იდეები:

- აზროვნება არის ჩვენი ცნობიერების ინტელექტუალური კომპონენტის ექსპილიციტური (მკაფიო) გამოხატულება;

- უწყვეტი აზროვნების იდეა;

- აზროვნების დამოკიდებულება შემეცნებით ინტერესზე.

ამრიგად, ჯონ დიუსის დიდაქტიკური სისტემის პრინციპული პოსტულატებია:

- პიროვნული ორიენტაცია, ე. ი. პედაგოგის უნარი, დაინახოს თითოეულ ბავშვში უნიკალური პიროვნება;

- მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთზემოქმედებაში - ობიექტ-სუბიექტური ურთიერთობის დადგენა;

- ბავშვის თვითგანვითარების და თავისუფალი თვითრეალიზაციის ურთიერთმოქმედების, როგორც განათლების მიზნის, გარკვევა;

- სასკოლო განათლების უკიდურესი ინტელექტუალიზმის უარყოფა და შემოქმედებითი მიდგომის გატარება, რომლის თანახმადაც სასწავლო პროცესის ცენტრია, ბავშვის მიერ მიღწეული, დამოუკიდებელი გამოცდილება. (??? 41)

ზემოთ აღნიშნული დადებითი იდეების განხორციელება შეუძლებელი იყო ამერიკაში, იმ დროს, როდესაც ჰერბარტიანული სისტემა ბატონობდა. როგორც მელიქიშვილი წერს, ამ იდეების, კიდევ უფრო დაკონკრეტება ჰერბარტიანული სისტემის აშკარა უარყოფას წარმოადგენს. ეს იდეებია:

- მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების და მოთხოვნებითი ინტერესების გათვალისწინება;

- მათი ინტელექტის, გრძნობების, ნების კომპლექსური განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება;
- მოქმედების უნარის არსებობა არასტანდარტულ სიტუაციაში;
- ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გამოვლენის, ჩამოყალიბების და გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბება;
- სწავლების შინაარსის და ტემპის ინდივიდუალიზაცია;
- მოსწავლეთა მომზადება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

ჩვენი შეხედულებით, ჯ. დიუსის დადებითი დიდაქტიკური მხარეების აღნიშვნასთან ერთად, თანამედროვე პირობებში დიუსის გამოცდილების გამოყენებისას, უნდა გავითვალისწინოთ დიუსის დიდაქტიკური შეხედულებების ნეგატიური კომპონენტები, როგორებიცაა:

- მოსწავლეთა სპონტანური მოღვაწეობის მნიშვნელობის გადაფასება, მათ ემოციონალური და ინტელექტუალური განვითარების პროცესში;
- სწავლების ფორმების ორგანიზაციის ხარჯზე, შემთხვევითი პრაქტიკული სამუშაოების სიჭარბე, რომელიც უზრუნველყოფს სისტემატიზირებული ცოდნის ჩამოყალიბებას;
- სწავლების არაეკონომიური კვლევითი მეთოდის ცალმხრივი უპირატესობა; აზროვნების განსავითარებლად ცოდნის შეძენის პროცესის მნიშვნელობის არასაკმარისი შეფასება;
- სწავლების შინაარსის განსაზღვრა, მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით.

§2. პროექტის მეთოდი სკოლაში

ეს მეთოდი პედაგოგიკაში ფართოდ გამოყენებადია. იგი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასოფლო-სამეურნეო სკოლების სინამდვილეში და შემდგომ, გასული საუკუნის დასაწყისში, გადატანილი იქნა ზოგადსაგანმანათლებლო ამერიკულ სკოლებში. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, მეთოდი უკვე სრულად იყო ჩამოყალიბებული. ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდნენ ჯონ დიუი და უილიამ კელაპტრიკი. მათ პროექტული მეთოდის ძირითადი თეორიული პრინციპი ასე ჰქონდათ წარმოდგენილი: „გამოვიდეთ თვით ბავშვის ინტერესებიდან; არა შორეული მომავალი, სადღაც გარედან წინასწარ განპირობებული ყოველგვარი პედაგოგიური სინკლიტები, რაც მოზრდილთა მიერ შედგენილ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში არის ფიქსირებული, არამედ, ბავშვთა დღევანდელი დღის ინტერესები, დაკავშირებული უშუალოდ თვით ბავშვების მიმდინარე, პრაქტიკულ და სულიერ მოთხოვნილებებთან, ერთი სიტყვით, უშუალოდ დაკავშირებული ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებასთან“ (13, გვ. 25).

1926 წელს ჟურნალში, „ახალი სკოლისაკენ“, გამოქვეყნდა სტატია სათაურით „პროექტების მეთოდი და მისი გამოყენება საბჭოთა სკოლაში“. წერილს საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა. იგი გვაუწყებდა, რომ პროექტების მეთოდი ამერიკაში წარმოიშვა და მისი შემქმნელი არის ჯონ დიუი და მიზნად ისახავს ჩვეულებრივი სწავლება შეცვალოს აქტიური-ცხოვრებითი აღზრდით. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოვლინებას. სკოლა შესაძლებლობას იძლევა ის დავუკავშიროთ ადგილობრივ გლეხურ მეურნეობას, ცხოვრებას და სხვა.

პროექტული მეთოდით ხელახლა დაინტერესება 1982 წლის ბოლოდან იწყება. სკოლის პროგრამებში უკვე აშკარად გამოიკვეთა აზრი, პროექტული მეთოდის გამოყენება სწავლების კომპლექსურ სისტემაში. პირველი პროექტული პროგრამების წინასიტყვაობა ასე ასაბუთებდა სკოლაში მუშაობის სისტემის შეცვლას: „სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამა ჩვენი სინამდვილის ღრმად შესწავლას ემყარება და

ქვეყნის მშენებლობაში სკოლისა და ბავშვთა უშუალო პრაქტიკულ მონაწილეობას აღიარებს სასწავლო მუშაობის ერთ-ერთ ფორმად“ (25, გვ. 432).

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ასოცირდება ამერიკელ ფილოსოფოსთან და ფსიქოლოგთან ჯონ დიუისთან. მან შემოგვთავაზა სწავლების წარმართვა აქტიურ საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მისი აზრით მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი არა მარტო სწავლების პროცესში, არამედ თვით ცოდნის, მეცნიერული ცნებებისა და დებულებების ქმნადობის პროცესშიც. სკოლაში განათლების მთავარი შედეგი უნდა იყოს მოქალაქეობრივი მოწიფულობა, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის პრაქტიკულ უნარებს, ასევე ინდივიდის პიროვნული ნიშნების განვითარების დონეს. მას მიაჩნია, რომ სკოლა არ არის განცალკევებული კუნძული, სადაც სწავლება მიმდინარეობს გარე სამყაროსგან იზოლირებულად. წარმატებას და მუშაობის მაღალი ხარისხის საწინდარს, ადგილობრივ სოციალურ გარემოებას წარმოადგენს, ანუ ისეთი კავშირების დამყარება, როდესაც ადგილობრივ საზოგადოებას სკოლის ხელშეწყობა ბუნებრივად მიაჩნია, ხოლო სკოლა აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებაში და ემსახურება მას საკუთარი პოტენციალით. „ჩემს პედაგოგიკურ კრედიტში“ ჯონ დიუი წერდა: „სკოლა, უპირველეს ყოვლისა სოციალური ინსტიტუციაა. აღზრდა არის სოციალური პროცესი, ხოლო სკოლა არის უბრალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ის ფორმა, სადაც გაერთიანებულია ყველა მისი ფაქტორი, ბავშვის მიერ წინა თაობების დანატოვარის გაზიარებისათვის საჭირო ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, ასევე საკუთარი ძალების საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენების პირობები“ (77, გვ. 222).

დიუის მიხედვით ადგილობრივ საზოგადოებაში აქტიურად ჩართული სკოლა ნიშნავს:

1. მონაწილეობს ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებაში;
2. ხელმისაწვდომს ხდის საკუთარ რესურსებს;
3. ააქტიურებს მოზარდებს;
4. მოიძიებს დამატებით სახსრებს საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის;

5. უერთდება ადგილობრივ გაერთიანებებს, თანამშრომლობს ადგილობრივ სუბიექტებთან;
6. ქმნის ადგილობრივ გარემოზე და საზოგადოებაზე თანაპასუხისმგებლობის შეგრძნებას, ეხმარება ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში (77, გვ. 78).

დიუი თვლის, რომ სკოლა პირველი საჯარო დაწესებულებაა, რომელთანაც შეხება აქვს ახალგაზრდას - ეს არის მისი შეხედულების ჩამოყალიბების ადგილი. ადგილი, სადაც მოსწავლე ეცნობა საქციელის გარკვეულ მოდელებს და სადაც სწავლობს საზოგადოებაში ფუნქციონირებას - მიმღებლობას, სხვების საჭიროებებზე მგრძნობელობას, აქტიურ მოქმედებას. სკოლაში განათლების მთავარი შედეგი უნდა იყოს ინდივიდის მოქალაქეობრივი მოწიფულობა, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის პრაქტიკულ უნარებს, ასევე ინდივიდის პიროვნული ნიშნების განვითარების დონეს. სამოქალაქო კულტურის დონე იზრდება, თუ სკოლაში სწავლის გარემო შეესაბამება და ჰარმონიულია ადგილობრივი საზოგადოების საქმიანობასთან. საზოგადოებას თავისი შვილებისათვის იმავე უნდა უნდოდეს, რაც ყველაზე კარგ მშობელს საკუთარი შვილისათვის. სკოლის ყველა სხვა იდეალი ვიწროა და სულაც არ არის მომხიბლავი. სხვა მიმართულებით სიარული ჩვენს დემოკრატიას ანგრევს. ყველაფერი, რასაც საზოგადოებამ მიაღწია, მის მომავალ წევრებს სკოლის საშუალებით გადაეცემა. აქ ინდივიდუალიზმი და სოციალიზმი ურთიერთშეთანხმებულია. საზოგადოება თავის თავთან მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართალი, თუ ის მართალია ყველა იმ ინდივიდის აღზრდის საკითხში, რომელიც ამ საზოგადოებას შეადგენს. თვითმართვის პროცესში სკოლაზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია, რადგან, როგორც ჰორას მანმა თქვა: „იქ, სადაც რაიმე იზრდება, ერთი გამომგონებელი ათას რეფორმატორს უდრის“ (??? 77).

დიუი უმნიშვნელოვანეს ტენდენციად მიიჩნევდა სკოლაში ხელსაქმის, ხელობისა და საოჯახო საქმის - კერვა და კერძის მომზადება-შემოტანას. „ეს არ მომხდარა „გამიზნულად“, სრული გაცნობიერებით, რომ ახლა სკოლამ აღზრდის ის ფაქტორი უნდა შემოიღოს, რომელიც მანამდე მხოლოდ სახლის პირობებში გამოიყენებოდა, არამედ ინსტინქტურად, ექსპერიმენტის სახით, იმისათვის რომ დადგინდეს, არის თუ არა ეს მოსწავლეებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და

ამღევს თუ არა მათ იმას, რასაც სხვა გზით ვერ მიიღებდნენ. და მაინც, ამ ფაქტორის შემოტანის საჭიროება იმდენად მცირედაა გაცნობიერებული, რომ საქმე ხშირად უგულოდ, დაბნეულად და უაზროდ კეთდება. მიზეზები, რომლებითაც ამას ამართლებენ, შეუსაბამო ან ზოგჯერ, უბრალოდ, არასწორია“ (59, გვ. 54).

დიუსათვის მთავარი მიზეზი ამ საკითხის სკოლაში შეტანისა, იყო ამ საქმისადმი ბავშვების სპონტანური ინტერესისა და ყურადღების მიპყრობა. ის ფიქრობდა, რომ ბავშვები ყურადღებიანები, აქტიურნი ხდებიან და მხოლოდ ინფორმაციის მიმღებნი აღარ არიან; ისინი ხდებიან უფრო უნარიანი და, აქედან გამომდინარე, უფრო გამოსადეგი ოჯახში. ეს სამუშაო ამზადებს მათ მომავალი ცხოვრების პრაქტიკული მოვალეობებისათვის, გოგონებს ოჯახის გაძღვლისათვის და არა მხოლოდ მზარეულობისათვის ან თერძობისათვის; ხოლო ბიჭებს (თუ საგანმანათლებლო სისტემა შესაბამისად მოეწყობოდა, როგორც პროფესიული სკოლები), მომავალი პროფესიებისათვის. დიუსის აზრით, სხვადასხვა სახის აქტიური საქმიანობის შემოტანით სკოლა განიცდის განახლების პროცესს. მას უჩნდება შანსი, ცხოვრებას დაუკავშირდეს, ბავშვისათვის ისეთ გარემოდ იქცეს, სადაც ის მართული ცხოვრების მეშვეობით სწავლობს. სკოლა არ უნდა იყოს ადგილი, სადაც მან უბრალოდ უნდა ისწავლოს გაკვეთილები, რომლებსაც მის მომავალ ცხოვრებასთან ძალიან შორეული და ბუნდოვანი კავშირი აქვს. „სკოლა იღებს შანსს გახდეს მინიატურული, ჩანასახოვანი საზოგადოება. ეს ფუნდამენტური რამაა და სწავლების უწყვეტი და მოწესრიგებული ნაკადები მისგან გამომდინარეობს. ტიპური საქმიანობა, რომელსაც სკოლაში მისდევენ, განთავისუფლებულია ყველანაირი ეკონომიკური ზეწოლისაგან. მიზანი, სოციალური ძალისა და უნარის განვითარებაა და არა პროდუქტის ეკონომიკური ღირებულება. ეს განათლების დანიშნულების ვიწრო გაგებისგან თავის დაღწევა და ადამიანის სულიერი შესაძლებლობებისადმი გახსნილობაა, რომელიც სკოლის პრაქტიკულ საქმიანობას ხელოვნების, მეცნიერების და ისტორიის ცენტრებს დაუკავშირებს“ (60, გვ. 67).

ეს ნიშნავს, რომ სკოლაში საქმიანობა ერთფეროვანი სამუშაოს: მზარეულის, თერძობისა და დურგლობის ხელობის დაუფლების პრაქტიკული საშუალება და მეთოდი კი არ უნდა გახდეს, არამედ, ბუნებრივი მასალისა და ბუნებრივი პროცესების

სამეცნიერო წვდომის აქტიური ცენტრი, ანუ ის საწყისი, საიდანაც ბავშვები ჩაერთვებიან ადამიანის ისტორიული განვითარების პროცესის რეალიზებაში. ამ ყველაფრის მნიშვნელობა, მიმდინარე სასკოლო მუშაობიდან აღებული, ერთი მაგალითით უკეთ ჩანს, ვიდრე ზოგადი მსჯელობით. საშუალო ინტელექტის სტუმრისათვის არაფერია უფრო უცნაური, ვიდრე იმის დანახვა, თუ როგორ კერავენ და ქსოვენ ათი, თორმეტი და ცამეტი წლის ბიჭები გოგონებთან ერთად. თუ ჩვენ ამას შევხედავთ, როგორც ბიჭების მომზადებას იმისათვის, რომ დილის მიკერება ან ნაკუწებისგან სახნის შეკერვა შეძლონ, მივიღებთ ვიწრო და პრაქტიკულ შეხედულებას, რომელიც ამ სახის საქმიანობის სკოლაში შემოღების აუცილებლობას ნაკლებად გაამართლებს. მაგრამ თუ ამას მეორე მხრიდან შევხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ ეს სამუშაო არის საწყისი წერტილი, საიდანაც ბავშვს შეუძლია, თვალი მიადევნოს და გაჰყვეს კაცობრიობის განვითარების ისტორიულ პროცესს, ასევე, გაითავისოს ის მასალა და მექანიკური პრინციპები, რომლებსაც იყენებს. ამ საქმიანობისას ადამიანის განვითარების ისტორია მეორდება. მაგალითად, ბავშვებს პირველად ეძლევათ სართავი სელი, ბამბა, მატყლი, პირდაპირ ცხვრის გაპარვის შედეგად მიღებული. შემდეგ შეისწავლიან ამ მასალის სხვადასხვაგვარად გამოყენებას, მაგალითად, ბამბის ინდუსტრია შალის ინდუსტრიაზე ბევრად გვიან იმიტომ განვითარდა, რომ ბამბის ბოჭკოს თესლისგან ხელით განცალკევება ძალიან ძნელია. ბავშვების ერთი ჯგუფი ოცდაათი წუთის განმავლობაში მუშაობდა და ერთ უნციაზე ნაკლები ბამბა დააგროვა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ერთი ადამიანი დღეში ერთ ფუნტზე მეტ ბამბას ვერ დააგროვებდა, ამიტომ მათთვის გასაგები ხდება, რატომ ატარებდნენ მათი წინაპრები შალის და არა ბამბის ტანსაცმელს. კიდევ ერთი, რასაც ისინი ამ სამუშაოს შესრულებისას გაიგებენ, არის ის, რომ ბამბის ბოჭკო შალის ბოჭკოზე ბევრად მოკლე იყო, უფრო ზუსტად - გოჯის მესამედი, მაშინ, როდესაც მატყლის სიგრძე სამ გოჯს აღწევს, და რომ ბამბის ბოჭკო, მატყლის ბოჭკოსგან განსხვავებით, გლუვია და ერთმანეთს არ ეწებება. ამიტომ, მატყლის დართვა უფრო ადვილია. ყველაფერი ეს ბავშვებმა თვითონ, რეალურ მასალასთან შეხებისა და მასწავლებლების დასმული დამხმარე კითხვებისა თუ მოსაზრებების საშუალებით შეისწავლეს (60, გვ. 21).

დიუი განმარტავს, რომ ყოველივე ზეოთ ნათქვამს გავლენა აქვს მეცნიერების სწავლებაზე. დღევანდელ პირობებში, იმისათვის, რომ აქტივობები წარმატებული იყოს, ის სამეცნიერო ექსპერტის მიერ რაღაც მიმართულებით უნდა წარიმართოს, ეს გამოყენებითი მეცნიერების შემთხვევაა. ამ კავშირმა უნდა განსაზღვროს მისი ადგილი განათლებაში. ეს მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ მსგავსი საქმიანობები (ე. წ. ხელსაქმე და ინდუსტრიული სამუშაო) სკოლაში მეცნიერების შეტანის საფუძველს იძლევა და, იმის ნაცვლად, რომ ხელისა და თვალისათვის უბრალო იარაღი იყოს, ავითარებს რაც მათ მატერიალურად აქცევს, მნიშვნელობას სძენს და იმასაც, რომ ასე მოპოვებული შემეცნება თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის ფასდაუდებელი ინსტრუმენტი ხდება, პლატონი ამბობს, რომ მონა ის ადამიანია, რომელიც თავის ქმედებებში საკუთარ იდეებს კი არ გამოხატავს, არამედ - სხვისას. დღეს ჩვენი სოციალური პრობლემა უფრო აქტუალურია, ვიდრე პლატონის დროს. მეთოდი, მიზანი და გაგება იმ ადამიანის ცნობიერებაში ჩნდება, ვინც საქმეს აკეთებს და მის საქმიანობას მნიშვნელობა მხოლოდ მისთვისვე ექნება.

დიუი გაკვირვებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ სკოლაში საქმიანობა ასე ფართოდ და მრავლისმომცველადაა გაგებული, მაინც რატომ ისმოდა საწინააღმდეგო გამოთქმები ასეთი საქმიანობების სკოლაში შეტანისა. დიუი აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ ეჩვენებოდა, ის ადამიანები, რომლებიც ამას ამბობდნენ, სადაც სხვა სამყაროში ცხოვრობენ. მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის ადგილი, სადაც ყველას აქვს პროფესია და საქმე, რაიმე ხელობა. მაგრამ მთავარი არის ის, რომ თითოეულს ექნება ისეთი განათლება, რომელიც საშუალებას მისცემს, ყოველდღიურ სამუშაოში ყველაზე მთავარი - ადამიანის დანიშნულება დაინახოს. დიუის აზრით, სასკოლო სისტემის მოდიფიკაციები, რომლებიც ხშირად უბრალო დეტალების ცვლილებებად და სკოლის მექანიზმის გამოსწორებად აღიქმება, სინამდვილეში, ევოლუციის ნიშნები და მტკიცებულებებია. აქტიური საქმიანობის, ბუნების შესწავლის, ელემენტარული მეცნიერების, ხელოვნების ისტორიის შემოტანა; უბრალოდ, სიმბოლურისა და ფორმალურის მეორე პლანზე განდევნა, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობაში მორალური ატმოსფეროს - დისციპლინის შეცვლა; უფრო აქტიური, გამომსახველი, თვითმართული ფაქტორების შემოტანა, ეს

ყველაფერო უბრალო შემთხვევები არ არის, ეს უფრო დიდი სოციალური ევოლუციის საჭიროებებია. რჩება მხოლოდ ამ ფაქტორების ორგანიზება, მისი მნიშვნელობის სრულ და უკომპრომისო კუთვნილებად ქცევა. „ამის გაკეთება ნიშნავს თითოეული ჩვენი სკოლის ჩართვას უფრო ფართო სოციალური ცხოვრების ამსახველ სულით გაჟღენთილ საქმიანობაში. როდესაც, სკოლა თითოეულ მოსწავლეს ამ პატარა ერთობის წევრად ზრდის, მას ქმედების სულისკვეთებით ადავსებს და თვითმართვის ეფექტიანი საშუალებით აღჭურვავს, ჩვენ მივიღებთ უფრო ღრმა და უკეთეს გარანტიებს დიდი საზოგადოებისა, რომელიც ღირებული, მშვენიერი და ჰარმონიული იქნება“ (16, გვ. 32).

ცვლილებების კუთხით, მოსწავლეების პოზიციებში ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის მეთოდია, რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე იქნა შემუშავებული. განვიხილოთ, რას ნიშნავს მეთოდი იმის თვალთახედვით, ვინც ითვისებს საგანს. ასევე უნდა ითქვას, რომ მეთოდი არ არის რაღაც გარეშე და ცალკე მდგომი რამ. ის არის საგნის ათვისების ეფექტური საშუალება. ეფექტური იმ თვალსაზრისით, რომ საშუალებას გვაძლევს, მასალა გამოვიყენოთ (ანუ მიზანს მივუსადაგოთ) დროის და ენერჯის მინიმალური დაკარგვით. ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ მოქმედების გზები და განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე. მაგრამ ნებისმიერი მათგანი წარმოადგენს მხოლოდ მასალასთან ურთიერთობის გზას. მეთოდი არ არის საგნის საპირისპირო რამ, პირიქით, ის არის საგნის სასურველ მიზნამდე ეფექტური მართვის საშუალება. ის უპირისპირდება უწესრიგოდ შერჩეულ და არასწორად გათვლილ სვლებს, არასწორად გათვლილი არასწორად ადაპტირებულს ნიშნავს.

სასწავლო საკითხებს სამი ელემენტის მთლიანობა შეადგენს: სასწავლო საგნების, სწავლების მეთოდების და მართვის. დავიწყოთ მეთოდით. დიუის აზრით, იქიდან გამომდინარე, ვინც კარგად იცის საგანი, ნაკლებად იცნობს მეთოდებს, ეს ბევრს აძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ პედაგოგიკა, როგორც გონების წვრთნის მეცნიერება, ამაოა. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ აზროვნება არის საგნის მიმართვა რაიმეს დასრულებისკენ და გონება არის ამ პროცესის უშუალო მონაწილე, ნებისმიერი განცალკევება და გაყოფა საგანსა და მეთოდს შორის არის მცდარი. ის

ფაქტი, რომ საბუნებისმეტყველო საგნების მასალა არის ორგანიზებულად ჩამოყალიბებული, იმის ნიშანია, რომ ის უკვე დაექვემდებარა ინტელექტს, ანუ მოხდა მისი, ასე ვთქვათ, მეთოდოზირება (17, გვ. 58).

ჯონ დიუის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები, რომელიც სოციალური პროექტების მოდელს დაედო საფუძვლად, შედეგია:

1. დემოკრატია სწავლების ღია მიზანია;
2. ბავშვების ჩართვა სოციალურ ურთიერთობებში (სოციალიზაცია) არის იმავდროულად სწავლების საშუალება და შედეგი;
3. რეფლექტური აზროვნება, როგორც ინტელექტუალური განვითარების მოდელი, წარმოადგენს ყველაზე სასარგებლო სწავლების საშუალებას დამოკრატისთვის (78, გვ. 18).

დიუის მოსწავლემ და მისი იდეოლოგიის გამგრძელებელმა ვილიამ ჰ. კილპატრიკმა წარმოადგინა სწავლების სისტემა, რომლის ცენტრში საპროექტო საქმიანობა მოექცა, რომელმაც ბავშვებში „ეგოისტური ინდივიდუალიზმის“ აღმოფხვრა შეძლო, რათა მათ ესწავლათ საკუთარ საქმეზე ზრუნვა. კილპატრიკი მიიჩნევდა, რომ პროექტის მეთოდი ემყარებოდა „სწავლის ბუნებრივ კანონზომიერებას“. პროექტის მეთოდი არა მხოლოდ სწავლის საშუალებას სხვადასხვა დისციპლინებში, არამედ თვით სამეცნიერო დისციპლინაა. დღეს პროექტის მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია სკოლაში, რადგან იძლევა თეორიული ცოდნისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების რაციონალურად შერწყმის საშუალებას, რეალობაში არსებული კონკრეტული პრობლემების ბავშვების მონაწილეობით გადაჭრის შესაძლებლობას. „ვიცი რისთვის მჭირდება ყველაფერი ის რასაც ვსწავლობ და ვიცი როგორ შემიძლია ამ ცოდნის გამოყენება“, ეს არის ძირითადი თეზისი თანამედროვე პროექტის მეთოდისა, რომელიც იზიდავს მრავალ საგანმანათლებლო სისტემას და ცდილობს დაიცვას გონივრული ბალანსი აკადემიურ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს შორის (78, გვ. 45).

დიუისა და კილპატრიკის მიხედვით პროექტი, როგორც მეთოდი, შესანიშნავად შეესაბამება ჰუმანისტური პერსპექტივის კონტექსტს. ამ მეთოდში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს კომუნიკაციას და თანამშრომლობას, ნაკლებია ცოდნის ცალმხრივად

გაზიარების როლი. სწავლა მიმდინარეობს ერთობლივად, თითოეული მოსწავლის გამოცდილება და ცოდნა არის ღირებული და აქტიურად ვიყენებთ სწავლის პროცესში. ერთობლივი სწავლის მნიშვნელობა ეფუძნება სწავლის პროცესის სოციალურ ხასიათს. ცოდნა, ღირებულებები, დამოკიდებულებები და პასუხისმგებლობა იზადება გარკვეულ კონტექსტში თანამშრომლობის დროს და არა მხოლოდ ინდივიდუალური პროცესების ფარგლებში. მეტი მონდომებით ვასრულებთ მხოლოდ იმ ამოცანებს, რომელსაც თვითონ ვირჩევთ. ამიტომ, როდესაც პროექტის მეთოდზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ისეთ მუშაობას, რომელიც თითოეული ჩვენთაგანის მიერ ჭეშმარიტების ძიებისას ნებისმიერი ლოგიკური გზის არჩევას ეფუძნება - „ყველაფერი ცხოვრებიდან და ცხოვრებისთვის“. ამიტომ პროექტის მეთოდი გვადლევს ირგვლივ სამყაროს, როგორც ლაბორატორიის გამოყენების საშუალებას, სადაც შემეცნებითი პროცესები მიმდინარეობს (75, გვ. 79).

დიუი თვლის, რომ პროექტის მეთოდით სწავლება წარმოადგენს ალტერნატივას საკლასო გაკვეთილის სისტემასთან მიმართებაში, სადაც მიმდინარეობს მარტივი და პასიური სწავლება. პროექტით სწავლა აფართოვებს ცალკეული შემეცნებითი საგნების ვიწრო ჩარჩოებს და იძლევა კომპლექსური ცოდნის მიღების საშუალებას. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ქმედების მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებების მთლიან სპექტრს, საიდანაც მოსწავლე ირჩევს მისთვის ყველაზე სასურველს და „არგებს მას საკუთარ შესაძლებლობებს“, ანუ ყოველგვარი თავსმოხვევის გარეშე, რაც ახშობს მოსწავლის სწავლის სურვილს და არ აწესებს ხელოვნურ ბარიერებს (76, გვ. 77).

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროექტის მეთოდით სწავლება აძლიერებს მეცნიერების მიმართ ინტერესს და სწავლის სურვილს, იმიტომ, რომ პროექტი:

1. ორიენტირებულია ინდივიდზე;
2. იყენებს დიდაქტიკური მიდგომების დიდ სპექტრს (სწავლა საქმით, დამოუკიდებლად სწავლა, ერთობლივი სწავლება, როლების თამაში, პრობლემური და ეურისტული სწავლება, დისკუსია, ჯგუფური სწავლება და სხვა);

3. მოსწავლის მონდომების დონე იზრდება მუშაობის პროცესში ინტერესის გაზრდით;
4. მოსწავლეს აძლევს საშუალებას ისწავლოს საკუთარ და სხვის გამოცდილებაზე დაყრდნობით;
5. კმაყოფილებას ანიჭებს მოსწავლეებს, რომლებიც ხედავენ საკუთარი შრომის შედეგებს;

პროექტით მუშაობისას მასწავლებელი ძალზედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ის:

1. განსაზღვრავს ამოცანას და მის ფარგლებს;
2. ეხმარება მოსწავლეებს პროექტზე მუშაობისთვის საჭირო წყაროების მოძიებაში;
3. თავად წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს;
4. ახდენს მთლიანი პროცესის კოორდინირებას, მუდმივად ახალისებს და ხელს უწყობს მოსწავლეებს;

პროექტის მეთოდის ფორმალური პლიუსები:

- შესაძლებელია სწავლის ყველა დონეზე გამოყენება;
- შესაძლებელია საკლასო გაკვეთილის ფორმატის და საგნების სწავლების ფორმატის ჩანაცვლება;
- მასწავლებელი არ წარმოადგენს მოცემული სფეროს ექსპერტს, ცოდნის მიწოდების უტყუარ წყაროს, არამედ, ის მოსწავლის მრჩეველია ცოდნის მოპოვების გზაზე;
- იყენებს ჯგუფში მუშაობების მრავალ ფორმას;
- მეთოდი ინტერდისციპლინარულია - პროექტის განხორციელება მოითხოვს სხვადასხვა სამეცნიერო საგნების ჩაღრმავებას;
- თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს სხვადასხვა საგნების მასწავლებლებს;
- საშუალებას იძლევა პროექტის ფართო სოციალურ გარემოში განხორციელებისა, მაგ. ბიბლიოთეკაში, სოციალური დახმარების სახლში, თეატრში, მუზეუმში, ზოოპარკში და სხვა, რაც სასკოლო და არასასკოლო ცხოვრებას ერთმანეთთან აკავშირებს;

- პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე მხედველობაში მიიღება მოსწავლის ინდივიდუალური ინტერესები, უნარები, მისწრაფებები და საჭიროებები;

- აერთიანებს გეგმიური და ორგანიზებული სწავლების და „უნებური“ სწავლების პროცესებს;

- იძლევა ცოდნის ათვისების საშუალებას პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის გზით და არა ზეპირი ათვისების გზით;

- აერთიანებს თეორიულ ცოდნას და მის პრაქტიკაში გამოყენებას;

- აძლიერებს მოსწავლეების აქტიურობას, მოიძიონ ინფორმაციის სხვა წყაროები და არა მხოლოდ სახელმძღვანელო.

- სკოლაში სწავლას ხდის მოსწავლეებისათვის მიმზიდველს და სკოლაში მოსწავლეები შემოქმედებით უნარს ავითარებენ;

- აღვივებს კვლევით უნარებს და ინოვაციებისკენ მიდრეკილებას, აღვიძებს ინტერესს;

- ავითარებს წარმოსახვის უნარს და კრიტიკულ აზროვნებას;

- ასწავლის მუშაობის დაგეგმვას;

- შესაძლებელია სწავლის ყველა დონეზე გამოყენება;

დროთა განმავლობაში პროექტთა მეთოდმა განიცადა ევოლუცია. აღმოცენდა რა თავისუფალი აღზრდის იდეიდან, ის გახდა ინტეგრირებული კომპონენტი სტრუქტურირებულ და განვითარებულ განათლების სისტემაში. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის ქართველ მასწავლებელთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პროექტთა მეთოდის მექანიკურად გადატანა ჩვენს სკოლაში არ შეიძლება, საჭიროა იქედან ავიღოთ დადებითი. იგი უნდა გამოვიყენოთ სკოლისა და ცხოვრების კავშირის განმტკიცებისათვის, რაც უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას, მუშაობაში სტიმულირებასა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

დღესდღეობით პროექტზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა არის ინტერაქტიურობის მაღალი ხარისხი. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ეს ერთი მხრივ, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და ამასთანავე მოზარდებს უვითარებს თანამშრომლობით,

კვლევით და ანალიზურ უნარებს. ისინი სწავლობენ არჩევანის გაკეთებას და გადაწყვეტილების მიღებას.

ამდენად, პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესის სადავეები მათ ხელშია. საბოლოო ჯამში, ყოველივე ზემოთ აღნიშნული, მოსწავლეს უვითარებს სოციალურ, ემოციურ, ეთეტიკურ და კოგნიტურ უნარებს, ფიზიკურ და მორალურ მხარეებს.

§3. პრობლემური სწავლება

პედაგოგიკურ თეორიაში პრობლემური სწავლების იდეა ახალი არაა და იგი სწავლების პრაქტიკაში არასისტემატური ფორმით ხშირად გვხვდებოდა და გვხვდება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ პრობლემის ხშირად დაყენების მეთოდსაც კი, არ შეუძლია უზრუნველყოს მისი ფუნქციების პრობლემური სწავლებით შესრულება. რას წარმოადგენს პრობლემა და პრობლემური სიტუაცია? პრობლემას უწოდებენ დავალებას, შესრულების საშუალებებსა და შედეგს, რომელიც მოსწავლისათვის წინასწარ უცნობია, მაგრამ მას აქვს ცოდნა და უნარი იმისა, რომ განახორციელოს ამ შედეგის ძიება, ან შესრულების საშუალება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ის საკითხია, რომელზედაც პასუხი მოსწავლისათვის უცნობია, მაგრამ შეუძლია შეუდგეს მის ძიებას.

დიუი განიხილავდა რა სასკოლო სისტემას, როგორც საზოგადოების შემქნელ ერთადერთ, ფუნდამენტალურ ინსტრუმენტს, ხაზგასმით აღნიშნავდა, „ვიდრე არ გადაწყვეტილა საკითხი მართებულად, „რა და როგორ ვასწავლოთ“, სკოლების საგანმანათლებლო მოღვაწეობა საფრთხეა დემოკრატიისათვის. დიუის ღრმად სწამდა, რომ სკოლა „პირველი, პირველსაფეხუროვანი და მეტად გააზრებული არხია, რომლის მეშვეობითაც რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფისათვის ფასეული ღირებულებები და ის მიზნები, რომლის განხორციელებისაკენ მიისწრაფვის საზოგადოება, ვრცელდება და ხდება ინდივიდისათვის მისაწვდომი აზრი,

განსახილველი და ასარჩევი საკითხი“. იგი ამტკიცებდა, რომ სკოლა, დემოკრატიის პირობებში, თუკი ის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის როლს საგანმანათლებლო ინსტანციაში, ემსახურება ცოდნისა და გააზრების შესახებ დემოკრატიული იდეების განხორციელებას, ანუ ემსახურება მოქმედების ენერგიას, რაც პიროვნების აზრის და გონის განუყოფელი შემადგენელია. დიუმ შემოიტანა წინადადება, რომ „ყოველი სკოლა გადაქცეულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ჩანასახად, გაეჩაღებინათ სკოლაში აქტიური მუშაობა, რომელიც საზოგადოების უფრო ფართო მასების ცხოვრების ამსახველია და ხელოვნების, ისტორიის და მეცნიერების სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ჩვენი საზოგადოება თითოეული ბავშვისგან ეცდება, თუკი სკოლა შეძლებს: ა) ჩამოაყალიბოს პატარა საზოგადოების მსგავსი წევრი, რომელიც მზადაა ემსახუროს საზოგადოებას; ბ) შეაიარაღოს ბავშვი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებებით; დიუი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ყველაზე მყარ და მტკიცე გარანტიას იმისა, რომ ფართო საზოგადოება გვეყოლება უფრო ღირსეული, უფრო მისაღები და უფრო ჰარმონიული“. დიუის ღრმად სწამდა, რომ განათლება ძირითადი მეთოდია სოციალური გარდაქმნებისა და პროგრესისათვის. იგი ამბობდა, რომ განათლება, შემოტანილი „კანონის ძალით და დასჯის შიშით დაფუძნებული გარეგან მექანიკურ წყობაში მომხდარ ცვლილებებზე, ყოველთვის გარდამავალი და არამტკიცეა“ (??? 16).

აღზრდა არეგულირებს: ა) სოციალურ ცნობიერებაში მონაწილეობისათვის მომზადების პროცესს და ბ) ამ ცნობიერების მონაცემებისადმი ინდივიდუალური შემოქმედების მისადაგებას. სწორედ ეს არის სოციალური გარდაქმნის ერთადერთი საიმედო მეთოდი. დიუის შეხედულებით, სკოლისა და დემოკრატიის ურთიერთდაკავშირების იდეების აღმოცენება და გავრცელება, წარმოადგენდა ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან ფაზას განათლებაზე მისი თანამედროვე შეხედულებების განვითარებისათვის. დიუისათვის საზოგადოების დემოკრატიული რეფორმირება - ადამიანის განმავითარებელი გარემოს შექმნის საწინდარია, რაც უზრუნველყოფს ადამიანის, როგორც დემოკრატიის სუბიექტად ჩამოყალიბებას. ასეთ განმსწავლელ და აღმზრდელ გარემოდ დიუის სკოლები ესახებოდა. დემოკრატიის ჩვევების სწავლება, უპირველეს ყოვლისა, კლასებში უნდა

განხორციელდეს, ვინაიდან სწორედ კლასი უნდა გარდაიქმნას მკვლევართა თანასაზოგადოებად. ჭეშმარიტების კვლევაში, ტოლფასოვნების პრინციპით, თითოეული მოსწავლის ჩართვა ყველაზე მეტად შეესაბამება პრინციპს, „მონაწილეები დემოკრატიის შექმნაში“, დემოკრატიის შესწავლის პროცესს თანახლავს აუცილებელი ეთიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ჩვევების განვითარება.

დიუსის მიაჩნია, რომ თავისუფლების პრობლემა და საკუთარი პოზიციის სხვა ადამიანების პოზიციასთან შეთანხმება მეტად რთულია ბავშვებისათვის. ეს საკითხი უფრო გაიოლებულად გადაწყდება ხოლმე თანატოლებთან თავისუფალი დიალოგური ურთიერთობისას, რაც უზრუნველყოფს: ა) აზრების თავისუფლებას; ბ) აზრების ფორმულირების, გამოთქმის და საფუძვლიანობის აუცილებლობას; გ) ინტელექტუალურ პასუხისმგებლობას, კრიტიკის და მოსმენის უნარს (გაგებას, მიღებას, დამტკიცებულად უარყოფას); დ) კომპრომისების მიღწევის ხელოვნებას, კონსესუსამდე მისვლას; ე) ინდივიდუალობის უფლებას; ვ) ჭეშმარიტების კოოპერატიულ ძიებაში მონაწილეობის შეტანის ვალდებულებას, ამაში იგულისხმება: უფლება-თავისუფლება და უფლება-ზღვრულობა; პირადი გამოცდილების დაგროვება; დიალოგის შემოტანის, მონაწილეობის, საჯაროდ განხილვა-ძიების გამოცდილება, ცოდნის მოპოვება-გამოყენების გამოცდილება და კოგნიტური, ზნეობრივი, სოციალური, ინდივიდუალური განვითარების მიღწევა.

დიუი განათლებას განიხილავდა, როგორც აღზრდის, სწავლების, ადამიანის განვითარების პროცესს, რომელსაც შედეგად მოჰყვება მიღებული ნორმების შესაბამისი სოციუმის წევრთა რიცხვის ზრდა. განიხილავდა რა განათლებას (ფართო აზრით) სოციალური მემკვიდრეობის საშუალებად, ჯ. დიუი ამტკიცებდა: რომ „განათლება უპირველეს ყოვლისა გამოცდილების გადაცემაა სწავლების საშუალებით“ და რომ „საერთო გამოცდილება ყველა მოსწავლის შეხედულებების შემცვლელია“ და რომ „ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანების არსი საბოლოოდ მდგომარეობს იმ წვლილში, რომელიც მას შეაქვს საზოგადოებრივი გამოცდილების ხარისხის ზრდაში“. ჯ. დიუსათვის ჭეშმარიტი განათლება მიიღწევა ბავშვში მომთხოვნელების უნარების გაღვივების გზით, რა მოთხოვნელებსაც მას

წარუდგენს სოციალური პირობები, რომელშიც თვითონ ბავშვი იმყოფება. ეს მოთხოვნები უბიძგებს ბავშვს იმოქმედოს ერთიანი მთლიანი კოლექტივის წევრის სახით, აიძულებს მას თავისი ქმედებების და ჩვევების პირველდაწყებითი ვიწრო წრიდან გამოვიდეს და იმსჯელოს საკუთარ მეზე იმ სოციალური ჯგუფის კეთილდღეობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომელსაც თვითონ ეკუთვნის (76, გვ. 17).

ჟ. დიუსი შეხედულებით, ფორმალური სასკოლო სწავლების გავრცელების კვალდაკვალ იზრდება განხეთქილების გაზრდის საშიშროება ადამიანთა ბუნებრივ გაერთიანებაში არსებულ გამოცდილებასა და სკოლაში მიღებულ გამოცდილებას შორის; „სკოლა დაკავებულია კულტურის იმ ელემენტებით, რომელიც გამომდინარეობს ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურიდან, მაგრამ უპირატესად არსებობს, სიმბოლოებით გამოხატული, სპეციალიზირებული ინფორმაციის სახით. გამომდინარე აქედან, განათლება-სწავლებაზე საყოველთაოდ აღიარებული წარმოდგენის მქონენი, ვერ ხედავენ განათლების სოციალურ როლს, რომელიც ადამიანთა გაერთიანების ყველა ფორმების იდენტურია და რომელიც ადამიანთა ცნობიერებაზე ზეგავლენის მომხდენია. იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის და სპეციალური ინტელექტუალური ჩვევების მიღება არ ახდენს გავლენას სოციალური წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე, მაშინ ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილება გაუაზრებელია, ხოლო სკოლა უშვებს ადამიანებს მხოლოდ შესწავლილი ცოდნით შეიარაღებულს“ (19, გვ. 22).

ამდენად, ერთ-ერთ ძირითად პედაგოგიურ პრობლემად დიუსი ესახებოდა სწავლება-განათლების შემადგენლობაში არსებული ფორმალურს და არაფორმალურს, მიზანმიმართულს და სპონტანურს შორის წონასწორობა.

ჟ. დიუსი ამტკიცებდა, რომ ადამიანი ცხოვრობს, მოქმედებს და ვითარდება ადამიანთა გარემოს ზეგავლენით და ადამიანის თითოეული ნაბიჯი დამოკიდებულია გარემომცველი ადამიანების მოლოდინებზე, მოწონებებზე და მსჯელობებზე; სოციალური გარემო ინდივიდუუმებში აყალიბებს ინტელექტუალურ და ემოციურ შეხედულებებს, ადამიანების იმგვარ საქმიანობაში ჩართვით, რომელიც აღძრავს და გააძლიერებს გარკვეულ მოთხოვნაზე, გააჩნია გარკვეული მიზნები,

რასაც თან სდევს გარკვეული შედეგები. ადამიანთა შეხედულებებში მთავარის ჩამოყალიბება მიმდინარეობს გარემოს სპონტანური ზემოქმედებით სწავლებისაგან დამოუკიდებლად. მხოლოდ მიზანმიმართულ სწავლებას ძალუმს წარმოაჩინოს შესაძლებლობები, ამ მეთოდით აღმოცენებულ, უფრო სრულყოფილი უნარების გამოსავლენად (19, გვ. 16).

დიუი განიხილავდა სკოლას: 1. როგორც მიზანმიმართულ, ორგანიზებულ სოციალურ გარემოს, მიმართულს მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებაზე; 2. სკოლა მოწოდებულია შექმნას გამარტივებული გარემო, მოსწავლეთა მიერ სოციალური გარემოს ფუნდამენტალური ელემენტების დაუფლების უზრუნველსაყოფად. 3. სკოლა წარმოადგენს წმინდა გარემოს, რომელიც იცავს მოსწავლეებს სოციალური გარემოს მიუღებელი ნიშან-ხაზებისაგან (საზოგადოებაში რეალურად არსებული შესასრულებელი საქმეების გასუფთავება და ოპტიმიზაცია). 4. სკოლა ის მაკომპენსირებელი გარემოა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გადალახონ ბუნებრივი სოციალურ გარემოში მოქმედი შეზღუდვები (უფრო ფართო და დაბალანსებული გარემოს შექმნა, ვიდრე ის, რომლის ზეგავლენის ქვეშაც მოექცეოდნენ საზოგადოების მოუმწიფებელი წევრები, იმ შემთხვევაში ისინი თავისთავად იარსებებდნენ (20, გვ. 17).

დიუი სკოლას მიიჩნევდა, როგორც სოციალურ დაწესებულებას, ხოლო განათლებას, როგორც სოციალურ პროცესს, რომელიც ცხოვრებისთვის მომზადების პროცესი კი არ არის, არამედ თვით ცხოვრება; იგი ამტკიცებდა, რომ „სკოლამ უნდა წარმოადგინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ფორმა, რომელშიც თავმოყრილია ყველა ფაქტორი, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ მოსწავლეთა პრაგმატულ განვითარებას. მოსწავლეებმა კაცობრიობის მემკვიდრული კაპიტალიდან ამოიღონ ცოდნა და მიმართონ თავიანთი უნარები საზოგადოებრივი მიზნებისაკენ... სკოლა ბავშვის თვალში უნდა წარმოადგენდეს ისეთივე რეალურ და მიმდინარე ცხოვრებას, როგორც არის ის ცხოვრება, რომელსაც იგი მიჰყავს სახლში, მეზობლებსა და მეგობრებთან სათამაშოდ“ (37, გვ. 98). დიუის ღრმა რწმენით, სკოლა ხელოვნურად შექმნილი საგანმანათლებლო გარემოა და იგი მაქსიმალურად დაახლოებული უნდა იყოს ბავშვის ცხოვრების ბუნებრივ სოციალურ გარემოსთან.

„მიზანშეწონილია შეიქმნას ბავშვებისათვის სკოლაში ისეთივე ბუნებრივი გარემო, როგორშიდაც ისინი სკოლის გარეთ იმყოფებიან. ეს არის წინაპირობა ორი ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად. უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს მაქსიმალურად მიუახლოვდეს სასწავლო-აღმზრდელობითი სასკოლო სიტუაციები ბავშვთა რეალურ ყოველდღიურ ყოფას, რაც უზრუნველყოფს ბავშვმა შეიცნოს თავისი პიროვნულობა; და მეორე - ასწავლის ბავშვს იმოქმედოს და იურთიერთოს ადამიანის რეალურ სოციალურ ყოფასთან მიახლოებულ სიტუაციებში. „ჩვენ“, როგორ დიუი აღნიშნავდა, „ცხოვრებიდან გამომდინარე აღზრდაში უნდა მოვიძიოთ სახელმძღვანელო იდეები სკოლაში საქმეების წარმოსაჩენად.... სწავლების პირველი წლები მიმდინარეობს წარმატებით, სკოლამდე გაცილებით ადრე; ამ პერიოდში მიღებული ცოდნა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ მოთხოვნილებებთან, რომლებიც გამომდინარეობს ბავშვის არსებობის გარკვეული პირობებიდან... აღზრდის წარმატებული მეთოდების მოსაპოვებლად, უმჯობესია მივმართოთ იმ უშუალო მეთოდს, როცა მიღებული ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენს და არა სკოლას, სადაც სწავლება ხშირად ორნამენტიანია. ჩვეულებრივ სკოლები მოქმედებენ ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ; სკოლები მოზრდილთა მეცნიერებით სარგებლობენ, იყენებენ იმ მასალას, რომელსაც არავითარი კავშირი არ გააჩნია განვითარებადი ორგანიზმის მოთხოვნილებებთან და ცდილობენ თავს მოახვიონ ე. წ. დიდების მეცნიერება ბავშვებს; ნაკლებად ითვალისწინებენ ზრდის ამ პერიოდში მოსწავლეთა მოთხოვნილებებს“ (75, გვ. 50).

დიუი გამოყოფდა განათლების სამ ზოგად მიზანს: 1. განვითარება ბუნებასთან შესაბამისობაში; 2. სოციალური ეფექტურობა; 3. კულტურასთან ურთიერთობა. ბუნებასთან შესაბამისობაში ბავშვთა განვითარების ორგანიზაცია მოითხოვდა ბავშვის დაყენებას საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში, ადამიანის ორგანიზმის ზრდის ბუნებრივ კანონზომიერებების, ადამიანის ფსიქიკის მომწიფების გათვალისწინებით ორიენტაციას. სოციალური ეფექტურობის ცნების გაგებას, დიუი ავსებდა დემოკრატიული შინაარსით და უკავშირებდა მას კულტურის დაუფლებას: „განათლების სისტემის მიზანი - სოციალური ეფექტურობის პედაგოგიური აზრი, მდგომარეობს თავისუფლების თავისუფლად განვითარებაში და საერთო

საქმიანობაში სრულად მონაწილეობაში. ამის მიღწევა შეუძლებელია კულტურის გარეშე, ამიტომ საგანმანათლებლო პროცესის შედეგია კულტურასთან შერწყმა, რადგანაც სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედებაში ადამიანი უცილობლად სწავლობს, ღებულობს უფრო ფართო შეხედულებებს სამყაროზე და უფრო ბევრს იგებს, რასაც ვერასოდეს ვერ გაიგებდა, თუკი არ ექნებოდა ურთიერთობა სხვა ადამიანებთან“ (50, გვ. 22). სავარაუდოა, რომ ინდივიდუალური კულტურის დაუფლება უმჯობესია განისაზღვროს როგორც უნარი, აზროვნების სპექტრის მუდმივი გაფართოებისა და მათი ზუსტი ინტერპრენტაციისა.

ჯ. დიუის აზრით, სოციალური ეფექტურობა, არის ადამიანის უნარი, ღირსეული მონაწილეობა მიიღოს საერთო გამოცდილებაში, რაც ზნეობრიობის საფუძველს წარმოადგენს. დიუისათვის ქცევის ზნეობრივი და სოციალური მახასიათებლები საბოლოო ჯამში იდენტურია. დიუი მტკიცე დამცველი იყო ისეთი სკოლის, რომელიც დაფუძნებულია საგანმანათლებლო სქემაზე, სადაც სწავლება უწყვეტი შემოქმედებაა, სოციალური გავლენის მქონეა და ტიპური სოციალური სიტუაციების გამომყენებელია. ამგვარ პირობებში, თვით სკოლა გადაიქცევა სოციალური ცხოვრების ტიპურ ფორმად, მინიატურულ თანასაზოგადოებად, რომელიც მჭიდროდ ურთიერთქმედებს ერთობლივი გამოცდილების მქონე სხვა სუბიექტებთან, სკოლის გარეთ. სოციალურ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის უნარის განმავითარებელი - განათლების (სწავლების) ყველა სახეები და ასპექტები, წარმოადგენენ ზნეობრივი აღზრდის არსს. იგი აყალიბებს პიროვნებას, რომელიც არა მარტო ასრულებს სოციალურად აუცილებელ კონკრეტულ საქმეს, არამედ, დაინტერესებულია ზრდისათვის აუცილებელი გამოცდილების უწყვეტი რეორგანიზაციით. ცხოვრების თითოეულ კვანძში და სიტუაციებში სწავლება-განათლებისადმი ინტერესი, სწორედ ესაა ჭეშმარიტი ზნეობრივი ინტერესი. დიუის ამოსავალი წერტილი იყო შემდეგი: ადამიანთა ინდივიდუალური მოქმედებების მართვა ხორციელდება იმ სოციალური სიტუაციით, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, ურთიერთქმედებენ რა სხვა ადამიანებთან. კულტურის ათვისების პროცესში, ბავშვის განვითარებას უნდა მოჰყვებოდეს ამავდროულად მისი სოციალურად ჩამოყალიბება. დიუისათვის განათლების იდეალური მიზანია თვითკონტროლის სწავლება და

მისკენ მიმართულების აღება, რომელიც მიზანშეწონილია ბავშვის სოციალურ სიტუაციაში ჩართვით, სადაც თვითკონტროლი, პროდუქტიული ურთიერთმოქმედებისათვის აუცილებელი პირობაა (50, გვ. 18).

დიუსთან განათლების პროცესში ბავშვის განვითარების მართვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს: ა) მის ზრდასთან შეთანხმებული ურთიერთქმედება; ბ) მისი აქტივობისადმი „ხელისკვრა“ გარკვეული მიმართულებით; გ) მოქმედების მიმართვა თვით ბავშვის საკუთარი მიზნებისაკენ. მართვა უნდა შეესაბამებოდეს მომენტის პირობებს და ამავდროულად აწესრიგებდეს ცალკეულ ქმედებებს. იგი ამტკიცებდა, რომ „ერთის მხრივ, წმინდა გარეგანი ხელმძღვანელობა შეუძლებელია და გარემომ, საუკეთესო შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს სტიმულები, რაც ამა თუ იმ რეაქციის გამოწვევის უზრუნველყოფელია. მეორეს მხრივ, თვით რეაქციები დაფუძნებულია ინდივიდში უკვე არსებულ ტენდეციებზე. სხვა ადამიანების ქმედებათა გონივრული და ბრძნული ხელმძღვანელობა უცილობლად ითვალისწინებს ადამიანებისთვის დამახასიათებელ ინსტინქტებს და ჩვევებს. ნებისმიერი მართვა სხვა არაფერია თუ არა, გადამიმართულება, გადართვა, გადატანა უკვე მიმდინარე მოქმედებებისა, სხვა რაკუსში, სხვა რელსებზე და თუ არ გავიაზრებთ მოქმედი ძალების რაობას, არსს, მაშინ მართვის ყველა ჩვენი მცდელობა განწირულია. პედაგოგმა უნდა გამოიყენოს ნებისმიერი საშუალება, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადამიანის საკუთარი უნარების ამოქმედება დასახული მიზნის მისაღწევად, შექმნას ადამიანში შინაგანი მოთხოვნილება საჭირო მიმართულებით მოქმედებისათვის. ბავშვში მიზანდასახულობის ჩამოყალიბებისათვის მთავარია ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა. დიუსის აზრით, „მართვის მეტად ფუნდამენტალური საშუალებები, სხვა ადამიანების მხრიდან პირადი მითითებების და მორალის კარნახი როდია, არამედ, გონიერებაზე ზეგავლენა (რაც ვლინდება ურთიერთგაგების ჩვევების ჩამოყალიბებით), რაც ყალიბდება სხვა ადამიანებთან ერთად მრავალფეროვანი საგნების ურთიერთშეთანხმებული გამოყენებით“ (65, გვ. 29).

ერთი ადამიანის მეორეზე ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივ და ხელოვნურ ფიზიკურ პირობებზე დაყრდნობით, იმგვარად, რომ მასში გავალვიძოთ

საპასუხო აქტივობა. დიუისათვის განათლება არა „თხრობა და მოსმენა“, არამედ აქტიური და კონსტრუქციული პროცესია. განათლება ეყრდნობა ბავშვურ მოტივაციას, უარყოფს დასჯას და მოფერებას. აუცილებელია თითოეული მოსწავლის კონკრეტული უნარების განვითარებაზე ზრუნვა, და არა ყველა მოსწავლისაგან მოვითხოვოთ და ველოდოთ ერთიან გასაშუალებულ და პირობით სტანდარტებთან შესაბამისობას. ჯ. დიუი, თვლიდა, რომ საკითხი: „უნდა ამზადებდეს თუ არა განათლება ბავშვებს მომავლისთვის“, ესაა ფსევდოსაკითხი. თუკი განათლება არის ზრდა, მაშინ განათლებამ რაც შეიძლება სრულყოფილად უნდა გამოიყენოს იმჟამად არსებული შესაძლებლობები და ამავე დროს მოამზადოს ადამიანები მომავლის მოთხოვნილებებთან შესაბუნებრად“. დიუი უარყოფდა აზრს, რომ „განათლება მომზადების და მზადყოფნის პროცესია, რომლის მიზანია განათლების ყოველ ეტაპზე დამატებითი შესაძლებლობების ზრდა, განათლების არსის შესაჯამებლად“, დიუი წერდა: „ერთნი განათლებას განიხილავენ, როგორც თანდაყოლილი უნარების გამოვლენას, რომელიც შიგნიდან გამომდინარეობს; მეორენი, განათლებას განიხილავენ, როგორც პიროვნების გარედან ფორმირებას, ბუნების ობიექტების და წარსულის კულტურული არტეფაქტების შესწავლის გზით, მაგრამ შეიძლება კონცეფციას საფუძვლად დაედოს პიროვნების განვითარების იდეა და დავამტკიცოთ, რომ განათლება არის გამოცდილების მუდმივი რეორგანიზაცია და გარდაქმნა. განათლება საბავშვო ასაკში, ყმაწვილობის და მოზრდილ ასაკში მიმდინარეობს ერთნაირად, ვინაიდან გამოცდილების ღირებულებას ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვრავს ათვისებულობა (დაუფლებულობა); ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს ფაქტი, რომ ცხოვრებაში მთავარია შევავსოთ ცხოვრების ყოველი წამი, ცხოვრების საკუთარი გაგებით (აღქმით)“ (57, გვ. 23).

ამრიგად, განათლება შეიძლება ასე განვმარტოთ: ესაა გამოცდილების გარდაქმნა ან რეორგანიზაცია, რომელიც აფართოებს მის არსს და ზრდის ადამიანის უნარს, აირჩიოს მიმართულება მომდევნო გამოცდილებისათვის.

დიუის მიხედვით, ცნება „განათლება“ უცილობლადაა დაკავშირებული ცნებასთან „გამოცდილება“. დიუი განიხილავდა: ა) გამოცდილებას, როგორც ცოცხალი ყოფიერების ურთიერთქმედების შედეგს ფიზიკურ და სოციალურ

გარემოსთან; ბ) როგორც პროცესს, ისტორიას, კომუნიკაციას; გ) როგორც ადამიანის ცხოვრებისეულ სამყაროს ყველა მისი მიმართულებით. საკუთარი გამოცდილებისადმი რეფლექსური დამოკიდებულება, ბუნების და კულტურის ურთიერთშეუღლების გაცნობიერება; აზრების, მოქმედებების და პრაქტიკის უწყვეტობა, აღიარებული იყო, როგორც აუცილებელი პირობები, გონივრული გააზრებისა და მოქცევისათვის, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობისათვის. ამტკიცებდა რა, რომ „განათლება წარმოადგენს განვითარებას გამოცდილების პროცესში, გამოცდილების მეშვეობით და გამოცდილებისათვის“. დიუი ხაზს უსვამდა, რომ „ყოველგვარი ჭეშმარიტი გამოცდილება ფლობს აქტიურობას“. ბავშვის მიერ მოქმედების და ურთიერთობის გამოცდილების დაგროვება, ამ გამოცდილების მუდმივი რეკონსტრუქცია შეადგენდნენ საგანმანათლებლო პროცესის ღერძს და ბავშვის განვითარების საფუძველს. განათლება მოწოდებულია ბავშვს მისცეს არა მზა ცოდნა, არამედ, ქმედითი ცოდნა, რომლებიც მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების მსვლელობაში და წარმოადგენს მრავალფეროვან შემეცნებით, ზნეობრივ და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებებს. დიუიმ თავდაყირა დააყენა სწავლების ტრადიციული სქემა: ბავშვი ჯერ ეუფლება ცოდნას, უნარებს და ჩვევებს, ხოლო შემდეგ იწყებს მის გამოყენებას. იგი თვლიდა, რომ ბავშვი ეჯახება რა პრობლემებს, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში, მან უნდა გადაჭრას ეს პრობლემები აქტიური მოქმედებით, ამისათვის გამოიყენოს აუცილებელი ცოდნა, და ფლობდეს მათი პრაქტიკული გამოყენების გამოცდილებას, დაგროვებული ჰქონდეს (გააჩნდეს) სხვადასხვა უნარები და ჩვევები. ამავე დროს ცოდნა, უნარ-ჩვევები, თავიანთი კულტურული მნიშვნელობით, მარტივად, ფორმალურად როდი აითვისება, არამედ ათვისების პროცესს თან ახლავს ემოციური ელფერი, შეივსება პიროვნული აზრებით. დიუის მიხედვით, განათლების ორგანიზაციას საფუძველად უდევს მოქმედებითი სწავლების პრინციპი. რეალურ ცხოვრებასთან ბავშვის დაახლოების პროცესის შემაჯამებელი ლოზუნგი არის „სწავლება მოქმედების, საქმიანობის მეშვეობით“. ბავშვისათვის ასათვისებელი, ურთულესი გაკვეთილი - პრაქტიკული გაკვეთილი. ბავშვმა უნდა ისწავლოს ადამიანებთან და სამუშაოსთან

შეგუება, მომარჯვება და ამ საქმეში წარუმატებლობას ვერ აღმოფხვრის წიგნების უამრავი რაოდენობაც კი. ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე მარტივი და ყველაზე შესაფერისი მეთოდია-პრაქტიკული მეთოდი. ასეთ ფონზე სხვადასხვა საგნები: არითმეტიკა, გეოგრაფია, ენები, ბოტანიკა და ა. შ. თავისთავად, ცნობილი გადანახდენები - წარსული წლების კაცობრიობის ძალისხმევის შედეგი და სხვადასხვა თაობების საქმიანობაა. სკოლაში ცოდნის ეს მარაგი ცოდნის მარტივი ნაკრები როდია, არამედ, ერთიანი და მთლიანია. გამომდინარე აქედან, ბავშვის ყოველდღიური გამოცდილება და სასკოლო დავალებების მასალა, წარმოადგენს ერთიანი მთლიანის ნაწილს, ადამიანის ცხოვრების დასაწყისს და დასასრულს. ერთიმეორესთან მათი დაპირისპირება, ნიშნავს მოზარდი ორგანიზმის - ბავშვობის და მოწიფულობის ასაკის, ერთმანეთთან დაპირისპირებას“ (70, გვ. 58).

დიუსის შეხედულებით, ბავშვის ბუნებრივი ზრდის ორიენტაციაზე მხარდაჭერა და მისთვის თვალყურის დევნება, ნიშნავს იმას, რომ „ჭეშმარიტი განვითარებისათვის აუცილებელია მეხსიერების ფაქტებით გადატვირთვის ნაცვლად, ცოტა ტიპური დებულებების ღრმა და მრავალმხრივი გაცნობა, რაც ხელს შეუწყობს პირადი გამოცდილების პრობლემებთან გამკლავებას. უარი უნდა ეთქვას ყველა სფეროში უამრავი რაოდენობის ცოდნის დაუფლებას. ამის ნაცვლად, დრო დაეთმოს იმ სამუშაოებს, რომლებითაც ბავშვები გაეცნობიან ცოდნის დასაუფლებლად და შეეხებიან დებულებებს და ფაქტებს, მეთოდებს და საშუალებებს, რომლებიც მათში აღძრავს სულიერ შიმშილს და ცოდნის წყურვილს“ (34, გვ. 108).

დიუი ადამიანის განათლების ორგანიზაციის საკითხში ერთმანეთთან ორ თვალსაზრისს აპირისპირებდა: ძველს, ჰერბარიტარულ პედაგოგიკაზე დაფუძნებულს და ახალს - პედოცენტრულს. პირველი თვალსაზრისის მომხრეები ეძებენ მტკიცე და სწორად განლაგებულ რეალობას, ასეთი მდგომარეობა გაკვეთილებზე მხოლოდ გარკვეული საგნების სწავლებისას იქმნება. ისინი თითოეულ საგანს ჰყოფენ დარგებად, დარგებს გაკვეთილებად, გაკვეთილებს ფაქტებად და ფორმულებად. ბავშვი იძულებულია შეისწავლოს ნაბიჯ-ნაბიჯ თითოეული ნაწილი და საბოლოოდ პედაგოგები მიაღწევენ თავიანთ მიზანს, ხოლო

ბავშვი მთლიანად დაეუფლება მთელ საკითხს. ანუ, სწავლის გრძელი გზა იოლად გავლილად მოეჩვენება ბავშვს, ამგვარ თანამიმდევრულ ეტაპებად დაყოფის პირობებში. „ამიტომ“, ხაზს უსვამს დიუი, „მთავარი აქცენტი გადასაცემ საგნებში გადატანილია ლოგიკურ გადანაწილებაზე და თანმიმდევრობაზე. სწავლების ასეთი შეხუდულების შემთხვევაში პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ლოგიკურ და თანამიმდევრულ ნაწილებად დაყოფილი სახელმძღვანელოების შექმნა და მათი მიწოდება ასეთივე გარკვეული და თანამიმდევრული სახით მოსწავლეებისათვის. პროგრამის შინაარსი წარმოადგენს მიზანს და განსაზღვრავს მეთოდს. ბავშვი უბრალოდ მოუმწიფებელი არსებაა, იგი უნდა მომწიფდეს, იგი ზედაპირია და საჭიროა მისი გაღრმავება; მისი ვიწრო გამოცდილება უნდა გაფართოვდეს. მან უნდა მიიღოს. მისი როლი შესრულებულია, თუ იგი დამჯერება და იძლევა მისი მართვის საშუალებას“. მეორე თვალსაზრისის მომხრეების თანახმად, ბავშვი ყოველივეს საწყისი წერტილი, ცენტრი და დასასრულია: „საჭიროა მუდამ მხედველობაში ვიქონიოთ მისი განვითარება, ზრდა; ვინაიდან სწორედ ეს მაჩვენებლებია საზომი მეტრი. ისინი მხოლოდ ის საშუალებებია, რომელთა ღირებულებას ჰქმნის მისაღწევი მიზანი. მიზანია არა ცოდნა, ან განსწავლულობა, არამედ, პიროვნების გამოვლენა. საკუთარი თავის დაკარგვის ფასად მსოფლიო ცოდნის დაუფლება საშინელებას წარმოადგენს. ამავე დროს, არავითარი ცოდნა არ ჩაინერგება გარედან ბავშვში. სწავლება აქტიური პროცესია; რომელიც ვარაუდობს მთელი შემდგომი გონიერების მიღწევას. იგი ეფუძნება შიგნიდან მომდინარე ორგანულ ასიმილაციას. არსებითად, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი ბავშვის ადგილზე და მისგან გამოვიდეთ. ბავშვმა, და არა პროგრამამ, უნდა განსაზღვროს სწავლების ხარისხი და რაოდენობა“ (34, გვ. 62).

დიუის აზრით, სწავლების პრინციპი არ შეიძლება იყოს ბავშვის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისება. მისი აზრით, განათლების მიზანია მოსწავლის თვითრეალიზაცია და თვითგამოხატვა. ამ პროცესის მსვლელობაში მუდმივად ხდება მოსწავლის გამოცდილების გამდიდრება და რეკონსტრუქცია. ბავშვი სწავლების ბუნებრივი საწყისი ეტაპია, რომელიც თანდათან და ლოგიკურად ეუფლება საგანს. პედაგოგი ეყრდნობა რა მოსწავლეებში უკვე არსებულ

გამოცდილებას, მათ ინტერესებს - ახდენს მათი შემეცნებითი, შემოქმედებითი და გაცნობითი საქმიანობების გააქტიურებას, მხარდაჭერას და განვითარებას; ხელს უწყობს უნარების ათვისებას და პრობლემების გადაჭრას; ეხმარება მსოფლმხედველობის გაფართოებაში და შინაგანი მოთხოვნილების სისტემატიზირებაში, კლასიფიცირებაში, სხვადასხვა მოვლენების ახსნაში. ბავშვში, ასე თანდათან, საკუთარი ცოდნიდან აღმოცენდება ლოგიკურად მოწესრიგებული სისტემა, რომელიც ბავშვის აქტივობებს მომავლისაკენ წარმართავს. განათლება უნდა ეყრდნობოდეს კვლევით მეთოდს, რომელიც დაეხმარება ბავშვს დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს და გადაჭრას პრობლემები, რაც გამოიწვევს შემეცნებითი აქტივობების სტიმულაციას და რაც დააკავშირებს ერთმანეთთან სამყაროს და ბავშვის პირად გამოცდილებას. დიუი, თვით ცივილიზაციის სოციოკულტურულ სივრცეს წარმოადგენდა, როგორც პრობლემური სიტუაციების ველს, რომელთა მიღწევა და დაუფლება ადამიანის ცხოვრების შინაარსის შემადგენელია. შემეცნებითი პრობლემების გადაჭრის საქმეში, დიუის შეხედულებით, ბავშვის სრულფასოვანი სწავლება შესაძლებელია: მისი მოღვაწეობის ორგანიზაციის საშუალებით, რაც განუყოფლად დაკავშირებულია დამოუკიდებელ კრიტიკულ განვითარებასთან და შემოქმედებით აზროვნებასთან. „სწავლების მეთოდების უწყვეტი სრულყოფილებისაკენ და განახლებისაკენ მიმავალი ერთადერთი პირდაპირი გზაა“, წერდა დიუი, „აზროვნების წამახალისებელ, მასტიმულირებელ და შემამოწმებელ პირობებზე კონცენტრირება. შესწავლის ერთადერთი მეთოდია აზროვნება, რომელიც ჭეშმარიტად გონიერების გამამდიდრებელია. ე. ი. აზროვნების მეთოდზე საუბრისას, მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თვით აზროვნებაა გონის გამოყენების მეთოდი გამოცდილების მიღების პროცესში“ (55, გვ. 36)

დიუის მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო სიტუაციებმა უნდა მოიცვან ყველა პრობლემა, რომელიც ასტიმულირებს აზროვნებით პროცესს და ახდენს ბავშვის აქტიური შემეცნებითი მოღვაწეობის ორიენტირებას. ამავე დროს, ერთის მხრივ, პრობლემები უნდა იყოს საკმაოდ რთული და აზროვნების მაპროვოცირებელი და მეორეს მხრივ, არც იმდენად რთული, რომ ბავშვმა ვერ გადაჭრას. იწვევს რა

ზოგიერთ შემეცნებით აფორიაქებას, რომელსაც თან ახლავს ახალი შემეცნებითი პროცესების გამოვლენა, მათ უნდა მოგვცენ რაღაც უკვე ცნობილის შეგრძნება, ანუ უნდა დაეყრდნონ ბავშვში უკვე არსებულ გამოცდილებას, რაც, აქედან გამომდინარე, თავისუფალი კამათის და ახალი ჰიპოთეზის გადაჭრის საშუალებას იძლევა. ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნება გააზრებული რომ იყოს, არაა მიზანშეწონილი, მას მივაწოდოთ მზამზარეული ცოდნა. ადამიანი, აზროვნებს მხოლოდ მაშინ, როცა რთულ, პრობლემურ სიტუაციებს დამოუკიდებლად გადაჭრის და ეძებს ამ პრობლემიდან საკუთარ გამოსავალს. თუკი მშობელმა ან მასწავლებელმა უზრუნველყვეს აზროვნების მასტიმულირებელი პირობები დაპოზიტიური სიტუაციების შექმნით შეძლეს ბავშვის ერთობლივ გამოცდილებაში ჩართვა, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვმაც თავის მხრივ ყველაფერი გააკეთა თვით თავისი სწავლების სტიმულირებისათვის. დანარჩენი დამოკიდებულია მათზე, ვინც სწავლებასთან უშუალო შეხებაშია. იმ შემთხვევაში თუ ბავშვს ძალუძს საკუთარი გადაწყვეტილებების მოძიება (რა თქმა უნდა, არა იზოლაციაში, არამედ მასწავლებელთან და სხვა მოწაფეებთან ურთიერთქმედებაში) და პრობლემიდან გამოსვლა, მაშინ ბავშვი არა მარტო ისწავლის, არამედ მიაწოდებს მათ უამრავ მზა „იდეებს“ და, როგორც წესი ვაკეთებთ ამას, მაგრამ ასევე, როგორც წესი, არ ვიღებთ საკუთარ თავზე თვალყურის დევნების შემდგომ სირთულეს, ჩაერთო თუ არა მოსწავლეები იმ სიტუაციებში, სადაც მისი საკუთარი ქმედებებით მიმდინარეობს მზა „იდეების“ გენერაცია, მხარდაჭერა, შეფასება ე. ი. აზრების აღქმა და საგნების ურთიერთდაკავშირება. თუმცა ეს არ ნიშნავს მასწავლებლის განზე დგომას და შორიდან თვალთვალს. მოსწავლეთათვის მზა საგნობრივი შინაარსის მიმწოდებელი, ხოლო შემდგომში მათი სიზუსტის შემმოწმებელი ალტერნატიული მეთოდი გულისხმობს მონაწილეობას და თანამონაწილეობას. ამგვარ ერთობლივ მოღვაწეობაში მასწავლებელი და ასევე მოსწავლე გაუთვინობიერებლად, ორივე სწავლობს და უფრო უკეთესია, რაც უფრო ნაკლებად გაცნობიერდება ეს პროცესი ორივე მხრიდან - ცოდნის გამცემის და ცოდნის მიმღების მხრიდან. ამავე დროს, დიუი ყურადღებას ამახვილებდა შემდეგ თემებზე: 1. „აუცილებელია მასალის გაცნობა“; 2. „მიწოდებული მასალა უნდა იყოს მასტიმულირებელი, და არავითარ

შემთხვევაში დოგმატური და უცვლელი დასკვნების სახით მოცემული“; 3. „გადაცემის მეშვეობით მიწოდებული მასალა, უნდა შეეხებოდეს მოსწავლეთა პირად სასიცოცხლო საკითხებს“. მასწავლებელმა ბავშვთან სწავლება უნდა დაიწყოს უკვე არსებული გამოცდილებიდან, როგორც მისი შემდგომი საგანმანათლებლო საქმიანობის, გამშვები პუნქტიდან. „პედაგოგის ამოცანაა“, წერდა დიუი, „არსებული გამოცდილების ფარგლებში ამოარჩიოს ის ფაქტები, რომლის დახმარებითაც პოტენციურადაა შესაძლებელი ახალი პრობლემების წამოჭრა. აღნიშნული პრობლემები კი, დამატებითი დაკვირვებების აღმძვრელია და გააფართოებს შემდგომი გამოცდილების სფეროს“ (78, გვ. 123).

ჯ. დიუი მხარს უჭერდა საზოგადოებრივად აქტიურ სკოლას, რომელიც წარმოადგენდა სოციალური ცხოვრების, მინიატურული თანასაზოგადოების ფორმას და რომელიც სასურველი საზოგადოების რეალიზაციას უწყობს ხელს. დიუის შეხედულებით, განათლება არსებითად საზოგადოებრივად ორიენტირებულია. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, დიუის მიხედვით, ბავშვი პედაგოგიური მოსახლეობის ცენტრია; საზოგადოებრივად აქტიური განათლება მიმართულია უწყვეტი ზრდისათვის აუცილებელი გამოცდილების რეორგანიზაციისაკენ; რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გადაეცემა ურთიერთობის მეშვეობით და საერთო გამოცდილების ნაწილს წარმოადგენს. ყოველივე აღნიშნული, საბოლოო ჯამში, ცვლის ყველა მოსწავლის შეხედულებებს და საზოგადოებრივ გამოცდილებაში, პირადი წვლილის შეტანის აუცილებლობის მაჩვენებელი თვალსაჩინო გაკვეთილია.

დიუის მიხედვით, საზოგადოებრივად-ორიენტირებული განათლება დაკავშირებულია პრაქტიკასთან, რომელიც არსებობს ყოველდღიური ცხოვრების (სკოლისგარეშე) სფეროში; მიმართულია ბავშვის უნარზე, სოციალურ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობისათვის; ხორციელდება ბავშვის უნარების გაღვივებით, იმ სოციალურ პირობებში, სადაც იგი იმყოფება და რომლებიც იწვევენ ამ ერთიანობაში სოციალურ წევრად აღქმის საშუალებას.

სწავლებასთან ერთიანობაში საზოგადოებრივად ორიენტირებული განათლება, აღზრდა და ბავშვის ყოველდღიური ცხოვრება უზრუნველყოფს ბავშვების თანამშრომლობას და სწავლების პროცესში გაწეული საქმიანობის (მოღვაწეობის)

კვლევის ორგანიზებულად წარმართვას. ჯ. დიუის პედაგოგიურ კონცეფციაში: განათლება უზრუნველყოფს კულტურაში ბავშვის ორიენტირებისათვის, კრიტიკული აზროვნებისათვის, სოციალური ეფექტურობისათვის, მორალური პასუხისმგებლობისათვის, თვითკონტროლისათვის და თვითრეგულაციისათვის (დისციპლინისათვის), სხვა ადამიანებთან ურთიერთთანამშრობლობით, თავისუფალი შემოქმედებითი თვითრეალიზაციისათვის საჭირო უნარების განვითარებას. თანამედროვე ეპოქაში, მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის გლობალიზაცია მნიშვნელოვან კანონზომიერებას წარმოადგენს; გამომდინარე აქედან, განათლების სისტემის წინაშე დადგა არც თუ იოლი ამოცანა, მოამზადოს მომავალი თაობა პოლიკულტურულ გარემოში არსებობისათვის. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელია შესაბამისი იდეების, კლასიკური პედაგოგიკის და ფილოსოფიის სერიოზული ანალიზი. ამ საკითხებთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ჯ. დიუის შეხედულებებს. დიუის მიხედვით, პიროვნების ფორმირება ეს არის, ისტორიულ გარემოში შემოქმედებითი კულტურის დაუფლება და ამ მიმართულებით განათლებაში წამყვან როლს ანიჭებდა სოციოკულტურულ კონტექსტებს. დიუის აწუხებდა შემდეგი საკითხები: სოციალური უსამართლობის ზრდა, ადამიანური ღირებულებების გაუფასურება, აგრეთვე საზოგადოების უუნარობა გამკლავებოდა თავიანთ უფრო და უფრო გართულებულ პრობლემებს. მისი ვარაუდით, თანამედროვეობის მთავარი პრობლემაა, ადამიანურ ფასეულობებსა და მეცნიერების მიღწევებს შორის ადეკვატური ურთიერთობის შექმნა. ამ სიტუაციიდან გამოსვლა, მისი აზრით, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებების განმაპირობებელი ინტელექტუალური მეთოდების გავრცელებაა. სწორედ აქედან მოდის დიუის ინტერესი, სწავლების ლოგიკური მეთოდებისადმი. თანამედროვე პოლიკულტურული განათლების მიზანია ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება: ა) რომელიც შემოქმედებითად ფლობს სოციალურ გამოცდილებას; ბ) რომელსაც გააჩნია თავისუფალი ინიციატივა და მის მიერ გადაგმულ ნაბიჯებზე პასუხისმგებლობა; გ) რომელიც მიისწრაფვის სასიცოცხლო პირობების სრულყოფილებისაკენ; ერთი სიტყვით, ისეთი ადამიანის ჩამოყალიბება, რომელსაც პოლიკულტურულ გარემოში აქტიურად და წარმატებით

ცხოვრების უნარები გააჩნია. აღნიშნული მიზნის განხორციელება მჭიდროდაა დაკავშირებული დიუის მიერ წამოყენებულ აღზრდა-განათლების მიზნებთან. ჯ. დიუის პედაგოგიური იდეების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველს პრაგმატიზმი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც აუცილებელია ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფა და მისაღება მხოლოდ პრაქტიკული სასარგებლო შედეგების მომცემი ჭეშმარიტება. თუმცა, დიუის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი გამოცდილებაა. დიუის შეხედულებით, სწორედ პრაგმატიზმ-ინსტრუმენტალიზმი მეთოდი უნდა გახდეს სოციალური გამოცდილების დასაგროვებლად. დიუის მიხედვით, გამოცდილების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: 1. მითითებები, აღმოჩენები (გამომჟღავნებები) და დემონსტრირება. რადგან რეალობა, დიუის აზრით, მოცავს იმას, რაც მოძებნილი და ნაჩვენებია, ამდენად გამოცდილებაში უცილობლად არსებობს შეგრძნებითი მომენტი; 2. იგი ეყრდნობა სერიოზული ანალიზით მიღებულ მონაცემებს, შედეგებს; 3. იგი არ დაიყვანება შემეცნებით ურთიერთობაზე. პირიქით, არსებობს საგნებთან ურთიერთობისათვის მრავალი პირველადი ხერხები. ამ ხერხებთან შედარებით, შემეცნებას არავითარი პრივილეგია არ გააჩნია (221, გვ. 13).

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დიუი თვლიდა, რომ გამოცდილება: ა) შემოქმედება-მოღვაწეობის (საქმიანობის) მიზანმიმართული მართვის საფუძველია. ბ) ჰიპოტეზების წამოყენების და მათი ცხოვრებაში შემოწმების საშუალებაა. როგორც ცნობილია, სამყარო არამყარი და არამდგრადია, იგი ყოველდღიურად უქმნის ადამიანს საფრთხეს და პრობლემებს. „აზროვნება იწყება იქ, სადაც არსებობს პრობლემური სიტუაცია“. დიუის ეს ფორმულა საფუძველად დაედო მეოცე საუკუნეში პრობლემურ სწავლებას. რამდენადაც დიუის მიხედვით, აზროვნების სქემა ეტაპების ერთობლიობაა: პრობლემური სიტუაცია - მონაცემთა ანალიზი, ჰიპოტეზის წამოყენება და მისი შემოწმება. თუკი მოსწავლეთა გონება საერთოდ მუშაობს, სავსებით შეუძლებელია ისინი ელოდონ მასწავლებელსაგან მომზადების, გადმოცემის და შედარების საფეხურების კეთილსინდისიერად გავლას, ვიდრე მათ არ გამოუმუშავდებათ მოქმედი ჰიპოტეზა, ან განმაზოგადოებელი მეთოდი. მთავარია დავეხმაროთ იმ ფაქტების დაუფლებაში, რომლებიც პრობლემის

შემადგენელია და გონებაზე გარეგანი ლოგიკური სქემის თავს მოუხვევლად, უკვე საგნის არსში გარკვეულ მეზრძოლ გონს მივცეთ ჰიპოტეზის წამოყენების და შემოწმების საშუალება.

როგორც ცნობილია, ცოდნის მიღების ხერხების „ბატარეებით“ მოსწავლეთა შეიარაღება ითვლებოდა შრომითი ცხოვრებისადმი თაობათა მომზადების საუკეთესო საშუალებად. სწავლების ცენტრალური მიზანია, ასევე აზრობრივი უნარების და ამოცანების გადაჭრის ჩვევების განვითარება. ამ ორ ამოცანას შორის მტკიცე კავშირია, რაც შემდეგში მდგომარეობს შემოქმედებითი სწავლების მეთოდები და პრობლემის გადაჭრის პროცესში ცოდნის მომატება, იდეალში უნდა იქცეს შემეცნების მეთოდებად ფართო გაგებით, ე. ი. აღმოჩენის სამეცნიერო მეთოდებად, ჭეშმარიტების გააზრების და გადაფასების მეთოდებად. „აღმოჩენის“ პრინციპის აღიარება (ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვება, მასწავლებლის ან თვით მოსწავლეების მიერ წამოყენებულ პრობლემაზე პასუხის მიზანმიმართული ძიების გზით) საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია და „ამოცანების გადაჭრის“ ალფა და ომეგა (ან პრობლემური სწავლების ალფა და ომეგა) (31, გვ. 37).

დიუი პიროვნების ცალკეული, დიფერენცირებული, იზოლირებული უნარების და თვისებების განვითარების წინააღმდეგია. დიუი მომხრეა განვითარდეს პიროვნება, როგორც ერთიანი და მთლიანი. პიროვნების ცალკეული (ეთიკური, ესთეტიკური, ფიზიკური და სხვა) მხარეების განვითარებას დიუი ყველგან და ყოველთვის განიხილავს, როგორც აღზრდის დამლუპველს. პიროვნების მთლიანობაში განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ხასიათის აღრდაზე ზრუნვა. ხასიათში იგი განიხილავდა პიროვნების, ინდივიდის მოქმედ ძალთა სისტემას, მისი მოქმედების გამოვლენას, და არა მხოლოდ - განზრახვებსა ან მოტივებს. ინიციატიურობა, თავდაჯერებულობა, შემოქმედებითობა ყალიბდება ცხოვრების კონფლიქტებში, როგორც მაგალითად, შრომისმოყვარეობა და სისტემატიურობა (ყველა ჩამოთვლილი თვისება ძლიერი, ე. ი. დადებითი ადამიანისათვისაა დამახასიათებელი). ხასიათის აღზრდის პროცესში გამოვლინდება ისეთი პრობლემები, როგორცაა, ბავშვში არსებული ძალების თავისებურებების

შესწავლა და ამ ძალების გამომწვევი და მაკონტროლებელი პირობების წარმოჩენა; მიზანმიმართული მოქმედებისათვის განსახორციელებლად ბავშვის შესაძლებლობების გარკვეულ მუდმივ თავისებურებად ორგანიზება (ჩამოყალიბება) (32, გვ. 16).

დიუი თვლიდა, რომ პიროვნების განვითარება თავისთავში მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, აზროვნების ჩამოყალიბებას. მის საფუძველში დევს გამოცდილება და თვითრეალიზაცია. აზროვნება სწავლების ერთადერთი მეთოდია, რომელიც ჭეშმარიტად შეიძლება დასახელდეს „გონივრულ“ მეთოდად, ვინაიდან იგი იყენებს და ამდიდრებს გონებას. ამრიგად, აზროვნების მეთოდი გულისხმობს, რომ თვით აზროვნება წარმოადგენს გამოცდილების დაუფლების პროცესში, გონების გამოყენების მეთოდს. დიუი ამტკიცებდა, რომ პიროვნება განვითარებული ლოგიკური აზროვნებით და შემოქმედებითი იდეებით უნდა იყოს შეიარაღებული. შემეცნება, მათ მიერ განიხილებოდა, როგორც საქმიანობის გარკვეული სახეობა, რომელიც ახდენს გამოცდილების მასალის გარდაქმნას, ანუ შემეცნება გადაიქცევა „პრობლემის გონივრულად გადაჭრის უნარად“. გამოცდილება, დიუის მიხედვით, ეს არაა მოვლენების მიმართული დინება, არამედ, გაუთვალისწინებელი სიტუაციების სერიაა, რომლებიც მოითხოვენ სწრაფ რეაქციას და გადაწყვეტილების მომენტალურად მიღებას. აქ კი ჩვენ უპირობოდ მივმართავთ ჩვენი საქციელის (ქმედების) ყველაზე ეფექტურ რეგულატორს, ინტელექტს. ამრიგად, გამოცდილებას გააჩნია ორი სტადია: ერთი, რომელიც ჩვენ არ გვაკმაყოფილებს („გაურკვეველი სიტუაცია“), და მეორე, რომელიც მოცემულ მომენტში განიხილება, როგორც დამაკმაყოფილებელი („გადაჭრილი სიტუაცია“). კონკრეტულ სიტუაციებში წამოჭრილი კონკრეტული სირთულეები გვკარნახობენ მათი გადაჭრის შესაძლებელ ხერხებს. ამის შესატყვისად ვაგრძელებთ მოქმედებას, ან მივიწვევთ წინ და ვაცნობიერებთ, რომ ვიპოვეთ წიაღისეული, ან საბოლოოდ ვიბნევით და ვაგრძელებთ გაურკვეველობაში მოქმედებას. სწორედ ინტელექტი უნდა დაგვეხმაროს წარმოქმნილი სირთულის გამკლავებაში ან გარდავქმნათ გაურკვეველი, საეჭვო სიტუაცია გარკვეულ, გადაჭრილ სიტუაციად. ამგვარ სიტუაციას, დიუი პრობლემურ უწოდებს სიტუაციას. ამ სიტუაციისათვის

დამახასიათებელია წარმოქმნილი პრობლემის წინაშე გართულებების შეგრძნება. რათქმა უნდა, პრობლემის გადაჭრის მეთოდი მაქსიმალურად ფორმალური ხასიათის მატარებელია, ვინაიდან დამოკიდებულია სოციალურ და ზნეობრივ სიტუაციებზე. დიუის შეხედულებით, პრობლემური სიტუაციის გადაჭრის პროცესი ხუთი ეტაპისაგან შედგება:

- სირთულეების უსიამოვნო და საგანგაშო შეგრძნება. მოცემულ ეტაპზე აუცილებელია ამ სირთულის მიზეზის გამოვლენა და საკუთარ თავში პრობლემის გაცნობიერება; პასუხის გაცემა მთავარ კითხვაზე: რაშია პრობლემა.

- პრობლემის ფორმულირებისთანავე გაურკვეველი სიტუაცია გადადის პრობლემურში. ეს ეტაპი მოიცავს სირთულის გაცნობიერებას და მიზნის გარკვევას, რომლისკენაც მივისწრაფით. იმ შემთხვევაში, როცა დასაწყსიდანვეა დადგენილი პრობლემა, პირველი და მეორე ეტაპი ერთიანდება.

- წარმოდგება ჰიპოტეზა. იგი უკუაგდებს პრობლემას, აღწევს გარკვეულობას და საბოლოოდ გადაჭრის პრობლემას. მოცემული ეტაპი მოითხოვს გასაგები (მისახვდომი ცნებებით) გაჯერებულ აზროვნებას, ასევე ისეთი იდეების განსაზღვრას, რომლებიც შეიცავენ გონებრივი ოპერაციების მოსალოდნელ შედეგებს, ან მოქმედებას პრობლემის გადასაჭერელად.

- მიმდინარეობს წამოყენებული ჰიპოტეზის კრიტიკული განხილვა, მისი შედეგების თეორიული გადათვალისწინება და შეფასება.

- ხდება: ჰიპოტეზის ექსპერიმენტალური შემოწმება და მისი ფაქტიური შედეგიანობის ჩამოთვლა და ასევე მისი მეშვეობით მიღწეულის შეფასება.

პრობლემური სიტუაციის გარდაქმნა, ანუ მის გადაჭრილ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ, დიუი ამბობდა, რომ ამაშია კვლევის ჭეშმარიტად მეცნიერული მეთოდის ფუნქციონირება, რომლის დამახასიათებელი ნიშან-ხაზია გონიერების, ან საკუთარი ლოგიკური აზროვნების გამოყენება. პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის მთელ პროცესს აკონტროლებს ინტელექტი. დიუის შეხედულებით, რთული და ლოგიკურად შემოწმებული აზრი განიცდის გამოცდას „რეალური სამყაროსგან“ და მხოლოდ ამ გზით გადამოწმდება. თუ აპრობაციის მსვლელობაში მიმდინარეობს პრობლემის გადაჭრა შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჰიპოტეზა

გამართლდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა მისი მოდიფიცირება და თავიდან შემოწმება (55, გვ. 67).

ამრიგად, ლოგიკური აზროვნება მოიცავს ყველა ზემოთ აღნიშნულ ნაბიჯებს:

- პრობლემური სიტუაციის შეგრძნება;
- პრობლემის შესაძლებელი გადაჭრის ჩამოყალიბება;
- მიღებული გადაწყვეტილების აზრობრივი დამუშავება;
- „რეალურ სამყაროში“ ექსპერიმენტული შემოწმება.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, დიუს მიხედვით აზროვნების მეშვეობით სწავლების მეთოდები მდგომარეობს იმაში, რომ თვით აზროვნება წარმოადგენს საგანმანათლებლო გამოცდილების დაგროვების მეთოდისა. აქედან შესაძლოა დავასკვნათ სწავლების პროცესის შემდეგი ორგანიზაცია:

- გამოცდილების ბუნებრივ სიტუაციაში მყოფი მოსწავლე განუწყვეტელ მოქმედებაშია დაინტერესებული საკითხის შესასწავლად.
- ამ სიტუაციებში ნამდვილი პრობლემა, აზროვნების (გააზრების) სტიმულია.
- მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაციის მოპოვების, ინფორმაციის დაუფლების და კვლევის ჩატარების რეალური შესაძლებლობა, რაც აუცილებელია პრობლემის გადასაჭრელად.
- მოსწავლე ლეზულობს წინასწარ გადაწყვეტილებას და იღებს ამ პრობლემის გადაჭრის და მომავალში მისი განვითარების პასუხისმგებლობას.
- მოსწავლეს შეუძლია თავისი იდეების აპრობირება პრაქტიკაში და მათი უტყუარობის გამორკვევა.

ამრიგად, ლოგიკური მეთოდი უზრუნველყოფს თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც დამოუკიდებლად ეუფლება სოციალურ გამოცდილებას, შეუძლია ჰიპოტეზების წამოჭრა და მათი ჭეშმარიტების შემოწმება რეალურ სამყაროში. გარდა ამისა, ასეთი მეთოდი ავითარებს მოსწავლეთა აზროვნებას და ამადლებს მათ ინტელექტს. ეს შესაძლებელია „სწავლება საქმიანობის გზით“-მეთოდის გამოყენებით. სწავლების ლოგიკური მეთოდი სოციალური მნიშვნელობისაა, რადგანაც იგი: საზოგადოებაში მომავალი არსებობისათვის

ამზადებს მოსწავლეებს და ასწავლის მათ, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავიანთი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას.

პრობლემური სწავლების დანერგვა უზრუნველყოფს სამი ფუნქციის შესრულებას: 1. ცოდნათა ღრმა შეთვისებას მათი შემოქმედებით გამოყენების დონეზე; 2. შემეცნებისა და მეცნიერული აზროვნების მეთოდების დაუფლებას; 3. გამოცდილების, თვისების, შემოქმედებითი საქმიანობის ოპერაციების დაუფლებას. ეს ფუნქციები პრობლემური სწავლებით სრულდება დიდაქტიკის ყველა პრინციპისა და, კერძოდ, სწავლების ცხოვრებასთან კავშირის დაცვის დროს. ამასთანავე, ცხადია, პრობლემური სწავლება მოწოდებულია, ხელი შეუწყოს მეცნიერული მსოფლმხედველობის აღზრდის ეფექტურ დანერგვას, დამოუკიდებლად გარემომცველი სინამდვილის მოვლენების გააზრებას, თავისი შემფასებლური ურთიერთობის დადგენას და გადაწყვეტილების მიღებას შექმნილი სიტუაციის შესაბამისად აუცილებელი ქცევის შესახებ.

პრობლემური სწავლება წარმოადგენს სკოლის რიგ უმნიშვნელოვანესი მიზნების მიღწევის პირობასა და საშუალებას. მაგრამ, მართებული არ იქნებოდა აქედან გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ მთელი სწავლება პრობლემური უნდა გახდეს. ეს წინააღმდეგობა იქნებოდა სკოლის შესაძლებლობებთან, რადგან სწავლება გახდებოდა არაეკონომიკურად ორგანიზებული, დაირღვეოდა შეთვისების კანონზომიერების პროცესი, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ ფორმაში მზა ცოდნის დასაწყისიდანვე მიღებას. პრობლემურმა სწავლებამ მოცემული საგნის სწავლების საერთო სისტემაში შესაბამისი ადგილი უნდა დაიჭიროს.

ამრიგად, პრობლემური სწავლება არ არის სწავლების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც ადრინდელ ტიპს ცვლის, ის არ ასრულებს სწავლების უნივერსალური მეთოდის როლს. იგი არის სწავლების თანამდეროვე მთლიანი სისტემის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. იგი ვარაუდობს განათლების შინაარსის სახეებსა და სწავლების მეთოდების მიზნების მრავალგვარობას.

§4. პრაგმატიკული პედაგოგიკა

XX საუკუნეში აშშ-ში დაიწყო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ექსპერიმენტებითა და გამოკვლევებით გატაცება. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა: სტენლი ჰოლმა, მაკინ კეტელმა, უილიამ ჯემსმა და მათმა მოწაფეებმა: ედვარდ თორდაიკმა, ლიუ ტერმენმა და სხვებმა შექმნეს სპეციალური ლაბორატორიები, სადაც ჩატარდა უამრავი ცდა სასწავლო პროცესზე, ბავშვის განვითარებაზე, მის ინდივიდუალურ თვისებებზე და ა. შ. მათი კვლევითი საქმიანობის შედეგი იყო ის, რომ იმ დროიდან ფართოდ გავრცელდა ე. წ. „ტესტები“, რომელსაც იყენებდნენ ბავშვთა გონებრივი ნიჭის განსაზღვრის მიზნით. თავიანთ ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ექსპერიმენტებში ზემოთ აღნიშნული მეცნიერები ემყარებოდნენ თეორიას, რომელიც ბავშვის განვითარება-ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ ფაქტორად მემკვიდრეობას მიიჩნევდნენ. ამ პერიოდისათვის ბევრ ამერიკულ სკოლაში პრაქტიკულად ინერგებოდა „ექსპერიმენტალისტთა“ თეორიული გამოკვლევების შედეგები.

ამ პერიოდში ჯ. დიუი გამოჩნდა თავისი ახალი პედაგოგიური მოძღვრებით, რომელიც დააშენა ამერიკელი ფილოსოფოსების ჩ. პირსისა და უ. ჯემსის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიას და იგი ცნობილი გახდა პრაგმატიზმის სახელწოდებით. პირველი პრაგმატისტული იდეები ჩ. პირსმა ჩამოაყალიბა 1878 წელს სტატიაში – „როგორ გავხადოთ ჩვენი იდეები ნათელი“. მალე მისი შეხედულებები გაიზიარა ცნობილმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა უ. ჯემსმა, რომელმაც ამ ახალ მიმდინარეობას გამოუმეზნა სახელი „პრაგმატიზმი“. ჯ. დიუიმ პრაგმატიზმის დებულებაზე დაყრდნობით შეიმუშავა თეორია, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა „ინსტრუმენტალიზმის“ სახელწოდებით. იგი თავისი შინაარსით არაფრით არ განსხვავდება პრაგმატიზმისაგან. დიუი თავის თავს ჯემსის მოწაფედ თვლიდა და თვით ჯემსი იყო დიუის პირველი შრომების პროპაგანდისტი.

დიუის „ინსტრუმენტალიზმში“ „ორიგინალური“ მხოლოდ ის არის, რომ პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოყენებულ ცნებებს, თეორიებს, იდეებსა და კანონებს წარმოგვიდგენს როგორც იარაღებს, ინსტრუმენტებს (აქედანაა სახელწოდება

„ინსტრუმენტალიზმი“). ხოლო ამ ცნებების, თეორიების, იდეებისა და კანონების სისწორე და ჭეშმარიტება დამოკიდებულია პრაქტიკულ სარგებლიანობასა და წარმატებაზე, რაც მოაქვს რაიმე სამოქმედო გეგმას. ჯ. დიუიმ ინსტრუმენტალური ფილოსოფიის დებულებანი გადაიტანა განათლების დარგში და ჩამოაყალიბა აღზრდისა და განათლების ახალი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები. მისი თანამოაზრეები გახდნენ ამერიკელი პედაგოგები: უ. კილპატრიკი, ჯ. ჩაილდისი, ბ. ბოუდი, ჯ. კაუნტსი და სხვა. ჯ. დიუის პრაგმატიკული პედაგოგიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაგმატისტულ ფილოსოფიასთან. უფრო მეტიც, პრაგმატისტული პედაგოგიკა წარმოადგენს პრაგმატისტული ფილოსოფიის პრაქტიკულ რეალიზაციას ამერიკული სკოლის მუშაობაში. პრაგმატისტული პედაგოგიკის აღმოცენება შეიძლება დაუკავშიროთ ჯ. დიუის ერთ-ერთ პირველ ნაშრომს „ჩემი პედაგოგიური კრედიო“, რომელიც 1897 წელს გამოქვეყნდა. სწორედ ამ ნაშრომში განავითარა დიუიმ თავისი პედაგოგიური იდეები, თავისი დამოკიდებულება აღზრდა-განათლების მიმართ. დიუის მიხედვით, აღზრდის არსი შემდგომში მდგომარეობს: „აღზრდა უნდა დაიწყოს ბავშვის შესაძლებლობაში, ინტერესებსა და ჩვევებში ფსიქოლოგიური შეღწევით. მას ყოველ საფეხურზე კონტროლი უნდა გაეწიოს და განისაზღვროს ამ მოსაზრებით. ჩვენ ვთრგუნავთ ბავშვის ბუნებას, როდესაც შეგვაქვს სხვადასხვა სასწავლო საგნები: კითხვა, წერა, გეოგრაფია და ა. შ. სასწავლო მუშაობის ნამდვილი ცენტრი არის არა მეცნიერება, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია, არამედ, ბავშვის საზოგადოებრივი აქტიურობა. არ არსებობს სასწავლო საგანთა ერთიანი თანმიმდევრობა. პროგრესს შეადგენს არა სასწავლო საგანთა თანმიმდევრობა, არამედ, ცდისადმი - პრაქტიკული მოღვაწეობისადმი - ახალი მიდგომისა და ინტერესების განვითარება“ (75, გვ. 8).

რამდენადაც დიუი აქვეითებდა სწავლების შინაარსის მნიშვნელობას, იმდენად გადაჭარბებულად აფასებდა სწავლების მეთოდის მნიშვნელობას. მეოცე საუკუნის დასაწყისში დიუი განათლების საკითხებში საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტია. მისი პედაგოგიური იდეები მოთხოვნადი იყო არა მარტო განათლების თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის, არამედ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობებისთვისაც. ტრადიციული ავტორიტეტული

განათლების წინააღმდეგ მეზრძოლ ლიდერთა შორის დიუი ყველაზე მძლავრ ფიგურას წარმოადგენდა (გ. ვინეკენი, ლ. გურლიტი, ო. დეკროლი, ე. დემოლენი, ე. კეი, გ. კერშენშტეინერი, ე. კლაპერედი, უ. კილპატრიკი, რ. კუზინე, ბ. ლაი, გ. ლიტცი, ე. მეიმანი, მ. მონტესონი, პ. პეტერსონი, ც. რედი, კ. უოშბიორნი, გ. შარელმანი და სხვები). რუსეთში ახალ პედაგოგიურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ლ. ნ. ტოლსტოი. მე-19-მე-20-ე საუკუნეების მიჯნაზე ამ მოძრაობაში ჩართული იყვნენ: კ. ნ. ვენტცელი, ი. ი. გორბუნოვ-პოსადოვი, ს. ნ. დურილინი, ა. უ. ზელენკო, ე. ს. ლევიცი, ნ. უ. პოპოვი, ვ. ნ. სოროკო-როსინსკი, ნ. ვ. ჩეხოვი, ს. ტ. შაცკი და სხვები. ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში, დიუის შეხედულებებს უდიდესი ყურადღება ექცეოდა. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში შეიმჩნეოდა მცდელობები დიუის პედაგოგიური შეხედულებების რეალიზაციისათვის. განსაკუთრებით აშკარად დიუის პედაგოგიურ შეხედულებებს იყენებდნენ სსრფს-ს ე.წ. „ნარკომპროსის“ საცდელ-ექსპერიმენტულ სასწავლებლებში. 1921 წელს ჯ. დიუის ნაშრომის „დემოკრატია და განათლება“ წინასიტყვაობაში ც. ტ. შაცკი (საცდელ-ექსპერიმენტული სასწავლებლის პირველი შემქმნელი და ხელმძღვანელი) წერდა: „წიგნში თავმოყრილია აზროვნების უდიდესი სიმდიდრე, დიუი არსად, არცერთ სტრიქონში არაა მოწყვეტილი რეალურ სამყაროს; პირიქით, მისი ფილოსოფია, როგორც ახალი ერის დაწყების მაუწყებელი, სავსეა სიცოცხლით, ცხოვრების არსებითი მოთხოვნილებებით.

სწორედ ამ პერიოდში სწრაფად იწყო გავრცელება დიუის პედაგოგიურმა იდეებმა. 1918 წელს დიუიმ და მისმა მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი „შტაბი“, ე.წ. „პრაგმატიკული პედაგოგიკის საზოგადოება“, რომელმაც მიზნად დაისახა პრაგმატისტული იდეების პროპაგანდა და შემდგომი გავრცელება აშშ-ი.

„პრაგმატიკული პედაგოგიკა“ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში თავიდანვე დაეყრდნო ედვარდ თორნდაიკის დებულებას იმის შესახებ, რომ თითქოს ბავშვის მოთხოვნილებანი და ინტერესები წარმოადგენს თანდაყოლილ თვისებებს. აქედან გამომდინარე, პროგრესული პედაგოგიკა ასკვნის, რომ აღზრდისა და სწავლების მიზანი უნდა იყოს ამ თანდაყოლილი თვისებების გამომჟღავნება და მათი გარკვეული მიმართულებით წარმართვა. ედვარდ თორნდაიკს აღზრდა- განათლების არსი შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი: „აღზრდა ხან უნდა აღვიძებდეს და

ანვითარებდეს თანდაყოლილ ინტერესებს, ხან უნდა ზღუდავდეს მათ; უფრო ხშირად კი უნდა ხელმძღვანელობდეს და წარმართავდეს მათ (42, გვ. 41). ე. ი. გამოდის რომ, აღზრდა-განათლებას საქმე უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის „თანდაყოლილ მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან“. ჯ. დიუი აშკარად განიცდიდა თორნდაიკის გავლენას, როდესაც წერდა: რომ „აღზრდა-განათლება უნდა ემყარებოდეს თანდაყოლილ შესაძლებლობათა პირველდაწყებით დამოუკიდებელ არსებობას“ (38, გვ. 164.).

„პრაგმატიკული პედაგოგიკის“ მიმდევართა შეხედულებით ბავშვთა ინტერესები და თვისებები ვლინდება მის პრაქტიკულ საქმიანობაში. მათი აზრით საჭიროა ისეთი სკოლების ჩამოყალიბება, რომლებშიც მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს არა მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ და საფუძვლიან სწავლებას, არამედ, კეთების მეშვეობით ფართოდ რეკლამირებულ სწავლებას. ამის თაობაზე დიუი წერდა: „ადამიანის ორგანიზმის ინსტიქტები წარმოადგენენ მის მიერ ცოდნის ათვისების ბუნებრივ ინსტრუმენტებს. ინსტიქტები სხეულის აქტიურობაში ვლინდება; ამიტომ აღზრდა, რომელიც ახშობს სხეულის აქტიურობას, ახშობს ინსტიქტებსაც და, ამრიგად, ხელს უშლის ცოდნათა ათვისების ბუნებრივ მეთოდს“ (41, გვ. 30).

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ამერიკული სკოლა გაჰყვა იმ გზას, რომელიც დიუიმ იქადაგა. „დაე ბავშვმა აკეთოს ის, რაც მას სურს“. დიუი უარყოფს მოსწავლის მიერ ფაქტების, მეცნიერული დებულებისა და „სუფთა ცოდნის“ შეთვისების მნიშვნელობას, რადგან მას, მისი აზრით, „არავითარი სოციალური სარგებლობა არ მოაქვს წარმატების შემთხვევაში“ (34, გვ. 17).

დიუი აკრიტიკებდა ძველ ამერიკულ სკოლას. ამ სკოლებში, მისი აზრით, სასწავლო პროცესის ცენტრალური წარმმართველი ფიგურა იყო მასწავლებელი და სახელმძღვანელო, და არა თვით ბავშვის აქტიური მოღვაწეობა და მისი უშუალო ინსტიქტები“. ამ შემთხვევაში დიუი წერდა: „ბავშვი წარმოადგენს მზეს, რომლის გარშემო ბრუნავენ განათლების საშუალებანი“ (35, გვ. 38).

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, დიუის აზრით, ბავშვი სკოლაში კი არ უნდა სწავლობდეს - ამ სიტყვის პედაგოგიური მნიშვნელობით, არამედ, იგი უნდა

„ცხოვრობდეს“ სკოლაში, ისევე, როგორც სახლში ან მის გარეთ. „სწავლება?“ თვითონ სვამს კითხვას დიუი და იქვე პასუხობს: „რა თქმა უნდა, მაგრამ ცხოვრება პირველ პლანზე“ (37, გვ. 40). ამრიგად, დიუის აზრით, მოსწავლის ცხოვრება სკოლაში უნდა ნიშნავდეს იმ პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც ემყარება მის თანდაყოლილ თვისებებს. დიუის მიაჩნდა, რომ პრაქტიკული მეცადინეობას დიდ მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა აქტივიზაციისათვის, ცოდნის გამყარება-გადრმავეებისათვის, სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

პრაქტიკულ მეთოდთა ჯგუფში იგი გამოყოფდა ვარჯიშის მეთოდს. ვარჯიში არსი სასწავლო დანიშნულების ერთი და იმავე მოქმედების მრავალგზის შესრულებაში მდგომარეობს. მრავალგზისობა ცოდნის გამეორებისა აღრმავეებს ახალი ცოდნის კვალს სტუდენტის ცნობიერებაში. ვარჯიში შესაძლებელია იყოს როგორც ზეპირი, ასე წერილობითი. პრაქტიკულ მეთოდებში დიუი დიდ მნიშვნელობას აქცევდა ლაბორატორიულ მუშაობას, საცდელ მუშაობას, ასევე წერილობით და გრაფიკულ მუშაობას, რომლებიც ერთი მხრივ, გამოიყენებიან სწავლების ყოველი მეთოდის დროს (როგორც მისი ერთ-ერთი საშუალება), მეორე მხრივ კი, მათ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და როგორც მეთოდები, გამოიყენებიან იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლების საგანი ხდება ამა თუ იმ უნარ-ჩვევების ფორმირება.

1935 წელს შეიქმნა „პედაგოგ-ესენციალისტთა“ ჯგუფი, რომელიც გამოვიდა „პრაგმატიკული პედაგოგიკის“ წინააღმდეგ. ესენციალისტები: ბეგლი, კენდელი და სხვები არ უარყოფდნენ ბავშვის „თავისუფლებას, ინიციატივასა და აქტივობას“ გაკვეთილზე. მაგრამ მოითხოვდნენ მტკიცე დისციპლინას, მყარ სასწავლო პროგრამას და გაკვეთილზე მასწავლებლის ხელმძღვანელი როლის აღდგენას, მაგრამ მათ ცდას შედეგი არ მოყოლია. ჯონ დიუი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა თავისი პედაგოგიური კრედოს ერთგული გამტარებელი, „პედაგოგიური კრედოდან“ დაწყებული. ჯ. დიუი ყოველთვის უსვამდა ხაზს ბავშვთა აქტივობას, როგორც სწავლა-განათლების გადამწყვეტ სტიმულს. სწავლებას კი უქვემდებარებდა ბავშვის გონების შემთხვევით „გაღვიძებას“.

მელვინ ბეიკერი, ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარი აღწერს, რომელიც ჯონ დიუის პედაგოგიკურ შეხედულებებს იკვლევდა, აღნიშნავდა, თუ როგორ ტარდებოდა ყოველივე ეს პრაქტიკაში (ჩიკაგოს სკოლა- ლაბორატორიაში): „როდესაც ბავშვი სიმინდის ტარობით თამაშის დროს დაინტერესდა იმით, თუ რატომ სკდება სიმინდის მარცვლები, მასწავლებელმა გამოიტანა დასკვნა, რომ ეს მოსწავლე უკვე მომწიფებულია ბუნებისმეტყველების საგნის შესასწავლად. როდესაც ხატვის დროს მოსწავლე ამჟღავნებს უკმაყოფილებას თავის შედეგებით, მასწავლებელი თვლის, რომ მისთვის უკვე შეიძლება ხატვის ტექნიკის სწავლება და ცნებების მიწოდება ფორმისა და საღებავების შესახებ. როდესაც ბავშვი აკეთებს ყუთს და ამჟღავნებს ინტერესს იმისადმი, თუ საიდან იღებენ ფიცარს, მასწავლებელი ასკვნის, რომ ბავშვს შეიძლება უკვე ასწავლონ კითხვა, რათა დაიკმაყოფილოს ეს ცნობისმოყვარეობა, ხოლო როდესაც თავისი მიღწევებით აღტაცებული ბავშვი ცდილობს, რომ ყოველივე ჩაიწეროს, მასწავლებელს მიაჩნია, რომ დროა მას ასწავლონ წერა. მოსწავლის ყველა შემდგომი ნაბიჯი წყდება მასწავლებლის მიერ ბავშვთა გონების შემთხვევითი გაღვიძების საფუძველზე“ (48, გვ. 81).

დიუის მიაჩნდა, რომ მასწავლებელი სწავლების პროცესში უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, მაგრამ მისი უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს ცოდნათა სისტემატური და თანმიმდევრული გადაცემა. საკითხი იმის შესახებ, იჩენს თუ არა მოსწავლე ინტერესს გარკვეული სასწავლო საგნის მიმართ, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას ყველა მასწავლებლისათვის, მაგრამ ინტერესის უქონლობა არ უნდა ათავისუფლებდეს მოსწავლეს სასწავლო საგნის შესწავლისაგან. ვფიქრობთ, რომ მოსწავლეთა ინტერესები იცვლება, ვითარდება და ყალიბდება მეცნიერებათა საფუძვლების გაცნობისა და ათვისების პროცესში. ჯ. დიუი პირდაპირ აცხადებდა, რომ არ შეიძლება ბავშვს თავს მოვახვიოთ მზამზარეული ჭეშმარიტება. მისთვის ჭეშმარიტი უნდა იყოს მხოლოდ ის, რაც მან აღმოაჩინა და შეამოწმა. პროფესორი მ. ბერშტეინი წერს, რომ „თუ ყოველი ბავშვი აღმოაჩენს „თავის ჭეშმარიტებას“, მაშინ ჭეშმარიტება იქნება იმდენი, რამდენიც ბავშვია. ამას, რა თქმა უნდა, მივყავართ საერთო საკაცობრიო ჭეშმარიტების უარყოფამდე (43, გვ. 20).

იმ წარმოდგენას, რომ ცოდნა რაღაც უფრო მაღალი წყაროდან არის ნაწარმოები, ვიდრე ეს პრაქტიკული ქმედებაა და რომ, ის უფრო მაღალი და სულიერი ღირებულებისაა, დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ისტორიას მივყავართ, გამოცდილებისა და აზროვნების კონცეფციების, პლატონისა და არისტოტელესეულ განსაზღვრებამდე. მართალია, ამ ორ მოაზროვნეს მრავალ საკითხისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ ერთ რამეში მათი აზრი ემთხვეოდა. ისინი გამოცდილებას წმინდა პრაქტიკულ დამოკიდებულებასთან და შესაბამისად, მატერიალურ ინტერესებთან აიგივებდნენ, ადამიანის სხეულს კი მის ორგანოსთან. ცოდნა კი, ცალკე განიხილებოდა, რომელიც თავისთავად არსებობდა პრაქტიკული მიმართების ფლობის გარეშე და მის წყაროდ მხოლოდ არამატერიალური გონი მოიაზრებოდა. ამ თვალსაზრისით, ის დაკავშირებული იყო სულიერ და იდეალურ ინტერესებთან, ე.ი. იგულისხმებოდა, რომ გამოცდილება ყოველთვის გულისხმობდა რაღაცის ნაკლებობას, საჭიროებას, სურვილს. ის არასოდეს იყო თვითკმარი. რაციონალური ცოდნა, მეორე მხრივ, ითვლებოდა სრულყოფილ და ყოველისმომცველად თავისივე ფარგლებში. გამომდინარე აქედან, პრაქტიკული ცხოვრება განიხილებოდა, როგორც მუდმივი დინების პირობებში მყოფი რამ, ხოლო ინტელექტუალური ცოდნა მოიცავდა მუდმივ ჭეშმარიტებას (43, გვ. 45).

გამოცდილება წარმოდგენილია სხვადასხვა ხელსაქმეში, ომისა და მშვიდობის პერიოდების ხელობებში. მეწაღე, მესტვირე, ჯარისკაცი, ყველამ სხვადასხვა უნარ-ჩვევები გამოცდილების შეძენის შედეგად მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ სხეულის ორგანოები, განსაკუთრებით კი, გრძნობათა ორგანოები განმეორებით ასრულებდნენ რაღაც მოძრაობას, ეხებოდნენ და იყენებდნენ საგნებს, რისი შედეგის კონსოლიდაციაც მოხდა წარმოდგენასა და უნარში, რაც შემდეგ განმტკიცდა პრაქტიკაში. ამას გულისხმობდა ცნება „ემპირიული“, თავისი პირველადი მნიშვნელობით. ის მოიცავდა ცოდნისა და უნარების ცნებას, დაფუძნებულს არა პრინციპების განჭვრეტაზე, არამედ, დიდი რაოდენობის დამოუკიდებლად ჩატარებული ცდის შედეგზე. ანუ ის გამოხატავდა იდეას, რაც ამჟამად ცნობილია „ცდისა და შეცდომის“ მეთოდად, განსაკუთრებული აქცენტებით ცდის მეტ-

ნაკლებად შემთხვევით ხასიათზე. რაც შეეხება კონტროლსა და მართვას, ის დაყვანილი იქნა წინასწარ უსაფუძვლოდ დადგენილ, რუტინულ პროცედურამდე. თუ ახალი გარემოებები ძველს ჰგავდა, მაშინ ცდას წარმატებულად თვლიდნენ, ხოლო თუ ადგილი ჰქონდა გადახრას, წარუმატებლობა უფრო სავარაუდო იყო. დღესაც კი, როდესაც საუბარია ემპირიული ცოდნის მატარებელ ექიმზე, გულისხმობენ, რომ მას აკლია მეცნიერული განათლება და მისი დასკვნები ეყრდნობა მხოლოდ წარსულში გავლილი პრაქტიკის შედეგებს. სწორედ ამიტომ, რომ „გამოცდილებას“ აკლია მეცნიერული კვლევის, ანუ გონების აქტიური ჩართულობა, რთულია ის საუკეთესო მდგომარეობაში შენარჩუნდეს (21, გვ. 17).

ემპირიული (ფაქტებზე დაფუძნებული) ცოდნა ადვილად გადაიზრდება უცოდინრობაში. ასეთმა ადამიანმა არ იცის სად არის მისი ცოდნის საზღვრები. ამიტომ, როცა ის რუტინული პირობების მიღმა ექცევა, თავს აჩვენებს, თითქოს იცის საკითხი და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელთაც არ აქვს დასაბუთება, ანუ დამოკიდებულია იღბალზე, გადააქვს პასუხისმგებლობა სხვაზე, ან იტყუება. უფრო მეტიც, ის თვლის, რომ, რადგან ისწავლა ერთი რამ, იცის მეორეც. ეს დაახლოებით იგივეა, რასაც ათენის ისტორიაში ჰქონდა ადგილი. ხელოსნები თვლიდნენ, რომ მათ შეეძლოთ ემართათ საოჯახო საქმეები, განათლება და პოლიტიკა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იცოდნენ თავიანთი ხელობის სპეციფიკური საკითხების შესახებ. გამოცდილება, გონის მონაწილეობაზე დაფუძნებული რეალობისგან განსხვავებით, ყოველთვის მერყეობს თავის მოკატუნების, სიმულაციის, თავის მოჩვენების, გარეგნული ეფექტების ზღვარზე. გამოცდილების შედეგად წარმოიშობა უთანხმოებები, მოსაზრებებისა და ქმედებების კონფლიქტები თვითონ ინდივიდის შიგნით და ინდივიდებს შორის. გამოცდილებიდან არ გამომდინარეობს რწმენის სტანდარტი, რადგან გამოცდილების უშუალო თვისებაა საპირისპირო რწმენის წარმოჩენა, რაზეც ადგილობრივი ტრადიციების მრავალფეროვნება მიუთითებს. გამოცდილების ლოგიკური არსი ასეთია: ნებისმიერი რამ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად და მისაღებად კონკრეტული ინდივიდისთვის, თუ მისი გამოცდილება დაარწმუნებს მას იმაში, რომ ეს არის ჭეშმარიტი და კეთილი, კონკრეტულ ადგილსა და დროში. და ბოლოს, პრაქტიკა პირდაპირ კავშირშია გამოცდილების

საჭიროებასთან. კეთება გამომდინარეობს საჭიროებიდან და მიზნად რაიმეს ცვლილებას ისახავს. რაღაცის წარმოება და შექმნა რაიმეს სახეცვლილებას გულისხმობს. რაიმეს მოხმარებაც ცვლილებას ნიშნავს. ცვლილებისა და მრავალფეროვნების მრავალი თავისებურება ებმის რაიმეს კეთებას, მაშინ როდესაც რაიმეს ცოდნა ისევე მუდმივია, როგორც მისი ობიექტი. საგნის ინტელექტუალური და თეორიული ცოდნა ნიშნავს გაცდევ ცვალებადობის, განსხვავებულობის და შემთხვევითობის ფარგლებს. ჭეშმარიტებას ნაკლი არა აქვს, დიუის აზრით, მას არ ეხება გრძნობათა სამყაროს ცვალებადობა. მას კავშირი აქვს უკვდავსა და უნივერსალურთან. გამოცდილების სამყარო შეიძლება გაკონტროლდეს, მოწესრიგდეს და დასტაბილურდეს მისი გონების კანონების საგნად ქცევის შემთხვევაში (23, გვ. 18).

დიუი არ მიიჩნევს, რომ ეს განსხვავებები სრულად გვხვდება თავის ტექნიკურ გამოხატულებაში. მაგრამ ამ მიდგომებმა ძირფესვიანად შეცვალა კაცობრიობის აზროვნება და განათლებასთან დაკავშირებული იდეები. გამოცდილებისა და გონის, პრაქტიკისა და ინტელექტის ღირებულებების სათანადო შეფასებამ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა: მათემატიკური და ლოგიკური მეცნიერებების შედარებას; გრძნობებს და გრძნობათა ორგანოს მიერ განხორციელებულ დაკვირვებას; იმ შეგრძნებას, რომ ცოდნა ღირებულია იმდენად, რამდენადაც კონკრეტულის ნაცვლად იდეალურ სიმბოლოებს ეხება; ნაწილების შესახებ უარყოფით დამოკიდებულებას, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც უნივერსალურისგან დედუქციურად არ არის მიღებული; სხეულის უგულებელყოფას; ხელოსნობის, როგორც ინტელექტუალური ინსტრუმენტების გააზრების უარყოფას. გამოცდილებამ დაკარგა პრაქტიკული ქმედების მნიშვნელობა, რომელიც პლატონის დროიდან იყო გავრცელებული. ამ სიტყვაში აღარ გულისხმობდნენ რაღაცის კეთებას და კეთების გზას. ის გახდა სახელწოდება რაღაც რაციონალურის და კოგნიტურის. მასში გულისხმობდნენ, რაღაც მატერიალურს, რომელიც აზროვნების ვარჯიშისთვის ბალასტს და შეზღუდვას წარმოადგენდა. ჯონ ლოკთან, რომელიც იყო ყველაზე გავლენიანი ემპირიციისტი, სენსუალიზმის მნიშვნელობა დამრცობილი იყო გარკვეული მენტალური შესაძლებლობების აღიარების გამო, როგორც არის გამჭრიახობა,

აბსტრაგირება, განზოგადება, შედარება, რომლებიც შეგრძნების ობიექტებს ორგანიზებულ ფორმას აძლევენ და მათგან ავითარებენ ახალ იდეებს, როგორც არის ზნეობისა და მათემატიკის ფუნდამენტური კონცეფციები. მაგრამ ლოკის მიმდევრებმა, განსაკუთრებით კი, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთში, ლოკის დოქტრინა უკიდურესობამდე მიიყვანეს. ისინი გამჭრიახობას და განსჯის უნარს განიხილავდნენ კონკრეტულ შეგრძნებებად, რომლებიც ადამიანში სხვა შეგრძნების შერწყმით ყალიბდება. ლოკისთვის ბავშვის გონება დაბადებისას ცარიელი გონება (ტაბულა, რაზა) იყო, რაც იდეების შინაარსს ეხება, მაგრამ ჰქონდა თანდაყოლილი ქმედებები, რომლებიც მიღებულ შინაარსთან დაკავშირებით უნდა განეხორციელებინა. ფრანგმა მიმდევრებმა უგულბებლად თანდაყოლილი ძალები და მიღებული შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე ჩათვალეს.

ახალი ინტერესის პირობებში იდეა დაუჭირეს მხარი განათლების, როგორც სოციალური რეფორმის მეთოდის მიმართ. რაც უფრო ცარიელია გონება დასაწყისში, მით უფრო ადვილია სასურველი გავლენის მოხდენა მასზე. აქედან გამომდინარე, განაცხადა ჰელვეციულმა, ყველაზე რადიკალურმა და თანმიმდევრულმა სენსუალისტმა, რომ განათლებას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რადგან ის ყოვლისშემძლეა. სასკოლო სწავლების სფეროში ემპირიციზმმა წარმატებას მიაღწია წიგნის სწავლების წინააღმდეგ პროტესტის გზით. თუ ცოდნა ჩვენზე ობიექტური საგნების მიერ მომხდარი შთაბეჭდილებებიდან იბადება, მაშინ შეუძლებელია ცოდნის შექმნა იმ ობიექტების გარეშე, რაც ჩვენზე ახდენს შთაბეჭდილებას. სიტყვები და ლინგვისტური სიმბოლოები, იმ ობიექტების წინასწარი წარდგენის გარეშე, რომელთანაც არიან ასოცირებულნი, მხოლოდ მისი ფორმისა და ფერის მატარებლები არიან, რაც დიდ ცოდნას არ იძლევა. სენსუალიზმი ბევრად მოხერხებული იარაღი იყო იმ დოქტრინებისა და მოსაზრებების დასამარცხებლად, რომლებიც მთლიანად ტრადიციებსა და ავტორიტეტებს ეყრდნობოდა. მათ მიმართ ამ მიმდინარეობამ დასვა საკითხი, სად არიან ის რეალური ობიექტები, საიდანაც ვიღებთ იდეებსა და შთაბეჭდილებებს? თუ ეს ობიექტები არ არიან წარმოდგენილი, მაშინ იდეები ყალბი ასოციაციებიდან და კომბინაციებიდან ჩნდება. ემპირიზმი აქცენტს ასევე პირველად არსებულ ელემენტებზე აკეთებდა. მისგან გამომდინარე,

საგანმა უნდა მოახდინოს შთაბეჭდილება ჩემზე, ჩემს გონებაზე. რაც უფრო დავშორდებით ამ ცოდნის პირველად წყაროს, შეცდომის მით უფრო მეტ წყაროსთან გვექნება საქმე და მით უფრო ბუნდოვანი იქნება შედეგად მიღებული იდეა.

დიუი მიიჩნევდა, რომ ფილოსოფია მოისუსტებდა ამ საკითხის პოზიტიური მხარის წარმოჩენასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ბუნებრივ საგნებთან და პირველად წყაროსთან გაცნობის ღირებულება არ იყო დამოკიდებული თეორიის ჭეშმარიტებაზე. სკოლაში მათი წარდგენის შემთხვევაში, ისინი თავის საქმეს გააკეთებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ დავუშვათ, სენსუალიზმის თეორიის მიდგომა არასწორი იყო. მაგრამ ამ თეორიის აქცენტები გავლენას ახდენდნენ იმაზე, თუ როგორ არიან ბუნებრივი ობიექტები წარმოდგენილი, რაც ხელს უშლიდა ამ ობიექტებისგან მთლიანი სიკეთის მიღებას. „საგნების შესახებ გაკვეთილები“ ხშირად მიმართავდნენ გრძნობათა ორგანოების მეშვეობით მიღებული შეგრძნებების იზოლირებას და თავისთავად მიზნად მიჩნევას. რაც უფრო იზოლირებულია საგანი, მით უფრო იზოლირებულია შეგრძნების ხარისხი და უფრო მეტად გამოიყოფა შთაბეჭდილება, როგორც ცოდნის ერთეული. თეორია მოქმედებდა არა მარტო ამ მექანიკური იზოლაციის მიმართულებით, რომლის საშუალებითაც სწავლება გრძნობათა ორგანოების ფიზიკურ ვარჯიშს ემსგავსებოდა, არამედ, აზროვნების უარყოფის მიმართულებითაც. ამ თეორიის მიხედვით შეგრძნებითი დაკვირვების დროს აზროვნება საჭირო არ იყო. ფაქტიურად ამგვარი წმინდა თეორიულად აზროვნება შეუძლებელი იქნებოდა შემდგომ ვითარებამდე, რადგან აზროვნება განიხილებოდა მხოლოდ, როგორც, სენსორული ერთეულების კომბინირებისა და განცალკევების, განსჯას მოკლებულ მოვლენად (18, გვ. 268).

დიუის აზრით, პრაქტიკაში, მხოლოდ სენსორულ საფუძველზე შემეშავებული განათლების სქემა სისტემურად გამოცდილი არ ყოფილა, ყოველი შემთხვევისთვის - ადრეული ბავშვობის ასაკის ზემოთ. მისი აშკარა ნაკლოვანება იწვევდა იმას, რომ ეფუძნებოდა „რაციონალისტური“ ცოდნის (ანუ დეფინიციების, წესების, კლასიფიკაციების და სიმბოლოების მეშვეობით ცოდნის) გამოყენებას მშრალი სიმბოლოებისადმი „ინტერესის“ გასაჩენად. დიუი ამტკიცებდა, რომ სენსუალისტურ

ემპირიზმს, როგორც ცოდნის საგანმანათლებლო ფილოსოფიას, სულ მცირე სამი სერიოზული ნაკლი გააჩნია, ესენია:

1. მისი ისტორიული ღირებულება კრიტიკული იყო. ის გაჟღენთილი იყო სამყაროსა და პოლიტიკური ინსტიტუციების შესახებ იმდროინდელი რწმენებით. ანუ, ის წარმოადგენდა მკაცრი და მდგრადი დოგმების კრიტიკის მიზნით შექმნილ დამანგრეველ ორგანოს. ხოლო განათლების მოქმედება მოიცავს კონსტრუქციულობას და არა კრიტიკულობას. ის არ უნდა გულისხმობდეს ძველი რწმენის განადგურებას, ან აღდგენას. ის უნდა ემსახურებოდეს ახალი გამოცდილების მშენებლობას და საწყისიდანვე სწორი მიმართულებით, მის ინტელექტუალურ ჩვევაში გადაყვანას. სენსუალიზმი კონსტრუქციული ამოცანის შესრულებას ვერ მიესადაგება. გაგება აღნიშნავს საპასუხო რეაქციის ქონას გარკვეულ მნიშვნელობებთან და არა - პირდაპირ სტიმულთან. ხოლო მნიშვნელობა, არსებობს მხოლოდ კონტექსტთან მიმართებაში, რასაც სენსორულ შთაბეჭდილებებთან ცოდნის კომბინაციის სქემა გამორიცხავს. ამდენად, ეს თეორია განათლების თვალსაზრისით, ყურადღებას ამახვილებდა ფიზიკურ აღგზნების მნიშვნელობაზე, ან იზოლირებული საგნებისა და თვისებების დაგროვებაზე.

2. პირდაპირ სენსორულ შთაბეჭდილებას გააჩნია უპირატესობა იყოს პირველი, მაგრამ ასევე აქვს ნაკლი, იყოს შეზღუდული. ერთერთი ის არის, რომ ბუნებრივ ადგილობრივ გარემოცვას უნდა გაეცნო, იმისათვის, რომ შეიძინო ცოდნა მის მიღმა არსებული ადგილმდებარეობის შესახებ, აგრეთვე მოახდინო იდეების რეალიზაცია, როგორც ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის შესაძლებლობის დაკმაყოფილება. გეოგრაფიული ცოდნის თვალსაზრისით, როგორც მეთოდი და შინაარსი, ის გარდაუვლად შეზღუდულია. უფრო დეტალურად რომ წარმოვიდგინოთ, მარცვლების რაოდენობა, ფეხსაცმლის თასმების გასაყრელი ნახვრეტების რაოდენობა, მრიცხველის მაჩვენებელი შესაძლოა დაეხმაროს ბავშვს გაერკვეს რიცხვებში, მაგრამ უფრო რთული მათემატიკის გაგებაში, მათ შეიძლება პრობლემები შეუქმნან, თუ არ მოხდა მათი როგორც მხოლოდ დამხმარე საშუალებების გამოყენება. ამან შესაძლოა ზრდას შეუშალოს ხელი და დატოვოს განვითარება ფიზიკური სიმბოლოების ცოდნის დონეზე. როგორც კაცობრიობამ

განავითარა სპეციალური სიმბოლოები გამოთვლებისა და მათემატიკური აზროვნების ინსტრუმენტად გამოსაყენებლად, იმის გამო, რომ თითების გამოყენება რაოდენობრივ სიმბოლოებად პრობლემატური იყო, ასევე ინდივიდმა უნდა განიცადოს პროგრესი კონკრეტულიდან აბსტრაქტულ სიმბოლოებამდე, ანუ სიმბოლოების, რომელთა არსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ კონცეფტუალური აზროვნების მეშვეობით. ხოლო ფიზიკური საგნის მიმართ გრძნობათა ორგანოების გამოყენებაზე მთელი აქცენტის გადატანა ამ განვითარებას აფერხებს.

3. სენსუალისტურ ემპირიციზმს საფუძვლად უდევს მენტალური განვითარების ყალბი ფსიქოლოგია. გამოცდილება სინამდვილეში წარმოადგენს ინსტინქტურ და იმპულსურ აქტივობებს და მათ კავშირს საგნებთან მიმართებაში. ისიც კი, რასაც ახალშობილი „განიცდის“, არ არის საგნისგან პასიურად მიღებული შთაბეჭდილება. ეს არის გარკვეული აქტივობის, როგორც არის საგნის ხელის შეხების, გადადების, დახვევის და სხვა აქტივობის შედეგად მიღებული გამოცდილება. გამოცდილების უძველესი გაგება, როგორც პრაქტიკული ვითარების უფრო სწორია, ვიდრე გამოცდილების თანამედროვე აღქმა, როგორც გრძნობათა ორგანოების საშუალებით შეცნობის გზის. გამოცდილების ღრმად არსებული მოქმედი და მოტორული ფაქტების უარყოფა არის ტრადიციული ემპირიული ფილოსოფიის დიდი ნაკლი. არაფერია იმ სქემაზე უფრო უინტერესო და მექანიკური, რომელიც იგნორირებას უკეთებს, ან გამორიცხავს საგნების თვისებების შესწავლას მათი გამოყენების გზების საფუძველზე (19, გვ. 18).

ამასობაში, ფსიქოლოგიის, საწარმოო მეთოდების და მეცნიერებაში ექსპერიმენტული მეთოდების წინსვლამ გამოცდილების ახალი, შესაძლებელი და სასურველი კონცეფცია ჩამოაყალიბა. დიუი ამ კონცეფციას ხედავს, როგორც ანტიკური პერიოდის თეორიის აღდგენას, იმის თაობაზე, რომ გამოცდილება არის საწყისშივე პრაქტიკული და არა კოგნიტური. ანუ გამოცდილება ნიშნავს კეთებას და კეთების შედეგების განცდას. მაგრამ მოხდა ანტიკური თეორიის ტრანსფორმაცია, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ კეთება შეიძლება ისე წარიმართოს, რომ მან მოიცვას ყოველგვარი შინაარსი, რასაც აზროვნება შესთავაზებს და შედეგად მიიღოს საიმედოდ შემოწმებული ცოდნა. ამდენად, „გამოცდილება“ ცდება ემპირიული

ცოდნის ცნებას და ხდება ექსპერიმენტალური. გონი აღარ არის მიჩნეული რაღაც შორეულ და იდეალურ ნიჭად და მოიცავს ყველა რესურსს, რისი მეშვეობითაც აქტივობა თავისი მნიშვნელობით ნაყოფიერი ხდება.

თუ პრაგმატისული პედაგოგიკა ათავისუფლებს მასწავლებელს მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური გადაცემისგან, მაშინ რა როლი ენიჭება მას სკოლაში? ჯ. დიუი და მისი უახლოესი მოწაფე უ. კილპატრიკი ამაზე პირდაპირ საუბრობენ და პასუხობენ, რომ მასწავლებელი უნდა იყოს სასკოლო გარემოსა და სკოლაში მოსწავლეთა ცხოვრების ორგანიზატორი.

ამრიგად, პრაგმატისტული პედაგოგიკის განათლების კონცეფცია, შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. საქმოსნური პრაქტიკა (ამცირებს თეორიისა და სისტემატური ცოდნის როლს) ეფუძნება გამოცდილებით - კეთებით სწავლებას;
2. პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა წამყვანი როლის აღიარება;
3. სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის ფორმები: სახელოსნოები, ლაბორატორიები, მიწის ნაკვეთები;
4. სკოლამ ორიენტაცია უნდა აიღოს არა მომავალზე, არამედ აწმყოზე;
5. გარემო ზრდის, ცხოვრება ასწავლის;
6. მეთოდი ემორჩილება კეთების საქმეს;
7. მასწავლებელს აქვს სოციალური დანიშნულება;
8. ჯგუფური პროექტების დაგეგმვა;
9. სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეზე.

პრაგმატისტული პედაგოგიკის პედაგოგიური იდეები მდგომარეობს შემდეგში:

1. ბავშვის აქტივობის განვითარება;
2. ინტერესის აღძვრა, როგორც სწავლების მოტივი;
3. სასწავლო პროცესის საფუძვლად ბავშვის ინდივიდუალური გამოცდილების აღიარება;
4. თანდაყოლილი ინსტიქტების მიდრეკილებების გამოვლენა;
5. ინდივიდუალურ გამოცდილებაში ზნეობრივი აღზრდის განხილვა;
6. სკოლის მიზანი არა ინტელექტის განვითარებაა, არამედ ემოციური აღზრდა;

7. აზროვნების უნარის განვითარება;
8. მასწავლებელი მხოლოდ მრჩეველია;
9. შრომითი პროცესების გვერდით თამაშის, იმპროვიზაციის, თვითშემოქმედების პროცესებისათვის დიდი ადგილის დათმობა;
10. სახელმძღვანელოების ნაკლებად გამოყენება სწავლების პროცესში.

პრაგმატისტული პედაგოგიკის სწავლის ეტაპებია:

1. პრობლემის აღმოჩენა;
2. პრობლემის განსაზღვრა;
3. პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
4. ამ გზების შეფასება წარსული გამოცდილების საფუძველზე;
5. საუკეთესო გზის გამოცდა;
6. მასწავლებელი არ ცდილობს გაბატონდეს სასწავლო პროცესზე.

პრაგმატისტული პედაგოგიკის ნაკლი:

1. თეორიული და სისტემატური ცოდნის უარყოფა;
2. მასწავლებლის წამყვანი როლის უარყოფა სასწავლო პროცესში;
3. გამეორების, ლექციის, გაკვეთილის, საერთოდ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უარყოფა;
4. მხოლოდ სასწავლო რესურსებისადმი უპირატესობის მინიჭება;
5. სკოლის შენახვისათვის საჭირო დიდი თანხები;
6. პრაქტიკის წინსწრება თეორიასთან;
7. სოციალური როლის გაფეტიშება პიროვნების განვითარებაში.

§5. პროგრესული პედაგოგიკა

ამერიკული განათლების ფილოსოფოსის ჯონ დიუის სახელს უკავშირდება პროგრესული განათლების მოძრაობა, რომლის მთავარ პრინციპებს წარმოადგენდა გამოცდილებით სწავლა და სოციალური ინტერაქცია. ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სადაც მთავარი პრინციპია სწავლა კვლევით, საკუთარი გამოცდილებით. ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ეს არის ორიენტაცია ცოდნის პრაქტიკულობაზე.

დიუი ნაშრომში: „საბჭოთა რუსეთის და რევოლუციური სამყაროს შთაბეჭდილებები“, აღნიშნავდა რა ის, განათლების სიტემის მიღწევებს, ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი ახალი დასკვნები და განზოგადებები (სწავლების ცხოვრებასთან დაკავშირების შესახებ, სისტემატიკური ენციკლოპედიური განათლების შესახებ და სხვა), ამან კი დიუის საშუალება მისცა დაემუშავებინა „პროგრესული“ აღზრდის გეგმა და სტრატეგია. 1939 წელს დიუი ფორმალურად გავიდა პენსიაზე, მაგრამ მაინც აგრძელებდა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას; დიუიმ დაასრულა აღნიშნული გეგმა, თუმცა არავითარი ცვლილებები არ შეუტანია ამ გეგმაში. სკოლის დიუისეული გაგება დარჩა ოფიციალურ პედაგოგიურ სწავლებად აშშ-ში და ძლიერი გავლენა იქონია იაპონიის, იტალიის, ინდოეთის, კანადის და სხვა ქვეყნების განათლებაზე. რაც შეეხება სსრკ-ს, როგორც წინა პარაგრაფში ავღნიშნეთ, აქ 30-იან წლებიდან და 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე დიუის მიმართ დამოკიდებულება უარყოფითი იყო. ამას საფუძვლად ედო ორი მიზეზი: 1. სკოლა 30-იან წლებში დაცილდა წინა ათწლეულის განათლების მოდელს; 2. დიუის კრიტიკული გამოსვლები სტალინის და სტალინიზმის წინააღმდეგ. ამჟამად უარყოფითი დამოკიდებულება დიუისადმი დამღეულია.

დიუის მიერ წამოყენებული სკოლის რეფორმირების პროგრამა, აგრძელებდა სასკოლო განათლების არსებულ პრაქტიკას. ამ კრიტიკამ დაანახა დიუის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პრობლემატიკა და მეთოდოლოგიური კვლევები. დიუის შეხედულებით, სკოლის ყველაზე დიდი ნაკლოვანება მდგომარეობს შემდეგში, ბავშვს არ შეუძლია სკოლის გარეთ მიღებული გამოცდილება

თავისუფლად და მთელი სისრულით გამოიყენოს თვით სკოლაში; და პირიქით: მას არ გააჩნია შესაძლებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენოს ის, რასაც სკოლაში დაეუფლა. დიუი ფორმალური განათლების „სუფთა გონების ძალდატანებითი (იძულებითი) დისციპლინირების“ წინააღმდეგი იყო. რადგან თანამედროვე სკოლის ინერტული ტრადიცია ბავშვებში ხელს უწყობს სურვილს და მზაობას, აღზრდას, მითითების შესაბამისი მოქმედებისათვის. უყალიბებს მათ: კომფორტულობას, დაეჭვებისადმი და ექსპერიმენტებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. სხვადასხვა შენიღბული ძალდატანებით, პედაგოგიური „დღესასწაულებით“, სიყმაწვილის სინორჩე ჭკნება და მისი ცოცხალი ცნობისმოყვარეობა ქრება. სასკოლო სწავლება გადაიქცა ყმაწვილების უმწეობის გამოყენების ხელობად. ბავშვებს სკოლაში აგზავნიან მათი დისციპლინირებისათვის, მაგრამ სკოლა ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ურთულესია დისციპლინის მიღწევა. სკოლის გაკრიტიკებისასთან ერთად, დიუი მეტისმეტად აფასებდა აღზრდის ფუნქციას; იგი აღზრდას განიხილავდა როგორც სოციალური ბოროტების აღმოფხვრის სისტემატიურ საშუალებას, კაცობრიობის იმედების განხორციელების გზას. დიუი იმედოვნებდა აღმზრდელობითი მეთოდით თავი დაეღწია: ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან, კლასობრივი ბრძოლისაგან, ეკონომიური განადგურებისაგან, ომებისაგან. მასწავლებლის ხელში იგი ხედავდა „სამყაროს პალმას“.

დიუის ღრმად სწამდა, რომ სკოლა: ა) უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩანასახი; ბ) უნდა განიმსჭვალოს ხელოვნების, ისტორიის და მეცნიერების სულით; გ) სკოლაში კულტურის სწავლება სპეციალური განათლების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი საზოგადოება უფრო აღმატებული (წარჩინებული) და ჰარმონიული გახდება, თუკი სკოლა თავისი პატარა თავისუფალი ერთობის წევრს აღზრდის საზოგადოებისათვის სამსახურის სულისკვეთებით და უზრუნველყოფს მას შემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალებებით. დიუის შეხედულებით, სკოლა სოციალური ცენტრია და ამიტომაც დიუის მიზანია გადააქციოს სკოლა მინიატურულ საზოგადოებად, საზოგადოების ჩანასახად. მხოლოდ ურთიერთობაში და ამავე დროს ურთიერთობის პროცესში ადამიანი მიაღწევს მიზანს, გაიღრმავებს რწმენას, მიიღებს ცოდნას და მოიპოვებს მოტივებს. აღნიშნულს ვერ მივაღწევთ

ერთმანეთისადმი ამ უნარების აგურების მსგავსად გადაცემით, არც მათი ერთმანეთში (ინდივიდებს შორის) ნამცხვარივით ნაჭრებად განაწილება შესაძლებელი. გონიერების საზოგადოებრივ სფეროებში ადამიანის მონაწილეობის უზრუნველყოფელია ურთიერთობა, რაც იძლევა ემოციურ და ინტელექტუალურ შედეგებს, პიროვნების და მისი უნარების განვითარებას. განათლება და აღზრდა სხვადასხვა ადამიანებისათვის სხვადასხვა უნდა იყოს და მოქნილად უნდა იცვლებოდეს პერიოდულად პოლიტიკური შეხედულებების გავლენით (კარგი მოქალაქეების აღზრდა). აღზრდის დანიშნულება ზოგადად კეთილისმყოფელი ადამიანის „კარგი ადამიანის“ ჩამოყალიბება როდია, არამედ მოცემული საზოგადოების კარგი მოქალაქის კეთილისმყოფელების აღზრდაა. დიუი პირველია დასავლურ პედაგოგიკაში, რომელმაც მოგვაწოდა იდეა-სკოლა გადაიქცეს სკოლის გარშემო თავმოყრილი საზოგადოების აღორძინების საშუალებად. დიუის სკოლა „მცირე მასშტაბის კოოპერაციული საზოგადოებაა“, სოციალური სტრუქტურის ასლია. მისი მთავარი დანიშნულებაა, მისცეს ბავშვებს შესაძლებლობა დააგროვონ წარმატებული გამოცდილება თანამშრომლობაში საცხოვრებლად („კოოპერაციულ ინტეგრაციაში“).

ამრიგად, სკოლის უმთავრესი ამოცანაა ვასწავლოთ ბავშვებს თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება; განუვითაროთ მათ ურთიერთდამოკიდებულების ცნობიერება. ბავშვებთან ურთიერთობით პრაქტიკაში განუვითაროთ მათ სოციალური ქცევის ჩვევები და უნარები. დამატებითი მიზნები: მათი აქტივობის, შრომითი უნარების და ჩვევების განვითარება. მასწავლებელი იყო გიდი, მოსწავლეებს უზრუნველყოფდა მასალით და აძლევდა ზოგად მითითებებს. სასწავლო გეგმები იყო ინდივიდუალური, ეკითხებოდა მოსწავლეებს რისი სწავლა სურდათ და გულისხმობდა ბავშვის მთლიან პიროვნულ განვითარებას ინტელექტუალურს, მორალურს, სოციალურს, პროფესიულს. ასეთი მიდგომით დიუი გამოდიოდა ბიჰევიორიზმის წინააღმდეგ ფსიქოლოგიასა და სწავლაში. ამის მიხედვით ორგანიზმი ინტერაქციაშია, ურთიერთობაშია გარემოსთან, დიუის მიხედვითაც, ცნობიერება ყალიბდება და ცოდნა იქმნება სამყაროში სოციალური ურთიერთობის გზით დამეტყველების საშუალებით.

ჯონ დიუის აზრით, ყველა გამოცდილება არ უნდა განვიხილოთ, როგორც სასარგებლო. გამოცდილებაში ორი ასპექტია წარმოდგენილი: ერთი - განცდა (სასიამოვნოა თუ უსიამოვნო, ესა თუ ის გამოცდილება) და მეორე ასპექტი - ახალი გამოცდილების გავლენა მომავალზე, თუ რისთვის დამჭირდება მე ეს ყველაფერი. ეს უკანასკნელი უმნიშვნელოვანესია სწავლის პროცესში და მნიშვნელოვანია პედაგოგის როლი. დიუიმ ჩიკაგოს უნივერსიტეტში 23 სასწავლო პროგრამა შეადგინა, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომას, ბავშვის საჭიროებებს ითვალისწინებდა. დიუი ტესტებსაც არ წყალობდა, უფრო პროექტების მომხრე იყო. სწავლების მთავარი მეთოდი მის სკოლებში იყო უშუალო გამოცდილება. დიუის აზრით, სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულები თანამშრომლობის გზით ერთობლივი მიზნების, და როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინტერესების განხორციელებაში. დიუის სწამდა, რომ პედაგოგიური აქტივობა, რომელიც ამგვარად არის ორგანიზებული, შეგნებული, პასუხისმგებელი, დემოკრატი მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენს.

თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „დემოკრატია და განათლება“ დიუი თავის სისტემას უწოდებდა „პროგრესულ აღზრდას“. რატომ? და რას უნდა ნიშნავდეს ეს? ამ კითხვებზე საპასუხოდ, აუცილებელია ჩაუღრმავდეთ ჯ. დიუის ფილოსოფიურ-პედაგოგიურ იდეებს. დიუის პედაგოგიური იდეები უმეტესად დაკავშირებულია ი. კანტის იდეებთან და უ. ჯეიმსის პროგრესივიზმთან. ჯ. დიუი მიემხრო პროგრესივიზმს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი პოპულარული გახდა მის მიერ მიღწეული გამოცდილების შედეგად. (ცნობადობა ჯ. დიუიმ მოიპოვა მის მიერ ჩატარებული რეფორმებით საშუალო სკოლებში და იმდროინდელ გაბატონებულ პედაგოგიკაში). პრაგმატიზმი, არის ფილოსოფია, რომელიც დიუის მიხედვით, ვალდებული არის არა განჭვრიტოს და დააკოპიროს რეალობა, არამედ დაეხმაროს ადამიანებს ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრაში, მათი სასიცოცხლო „საქმეების“ მოგვარებაში. ფილოსოფია, დიუსეულად, მხოლოდ სამყაროს შეცნობის და გარკვევის მარტივი მეთოდი როდია, არამედ, სამყაროს პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა და პრაქტიკული ცვლილებებია უკეთესობისაკენ. ფილოსოფია არ არის პედაგოგიკის ბაზა, ისევე როგორც არც პედაგოგოკაა ფილოსოფიის ბაზა, ეს ერთი და

იგივეა, ვინაიდან ფილოსოფია არის ერთი და მეორეც, როგორც კაცობრიობის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანის-აღზრდის პრაქტიკული პრობლემის, გარკვეული და დაწვრილებითი გადაჭრა.

დიუის ფილოსოფია-პედაგოგიკა ეყრდნობა მთელ რიგ თავისებურ კანონებს, რომელთაგანაც უმთავრესია კატეგორია „გამოცდილება“. გამოცდილების ბუნებაში გარკვევა, როგორც დიუის მიაჩნია, შესაძლებელია მხოლოდ გამოცდილებაში შემავალი ურთიერთდაკავშირებული ელემენტების-აქტიურის და პასიურის დაუფლების შემდეგ. „გამოცდილებიდან სწავლა“ ნიშნავს, დავადგინოთ პირდაპირი და უკუკავშირები სამოქმედო საგნებსა და ჩვენი ზემოქმედების პასუხად საგნებისაგან მიღებულ განცდებს შორის. ასეთ პირობებში ქმედება (კეთება) ხდება ექსპერიმენტირებული; ხოლო ექსპერემენტირება წარმოადგენს შესასწავლ საგნებს შორის კავშირის დადგენა-აღმოჩენის საშუალებას. აღზრდა როდია ძალდატანებით გარედან თავსმოხვეული ბავშვზე და მოზარდზე, არამედ უნარების და იმ ჩანასახების ზრდაა, რითაც იზადება ადამიანი. აღზრდას დიუი განიხილავს, როგორც გამოცდილების ზრდას. ზრდა ეს არის მთავარი, გაბატონებული მოწოდება ყველა დროის ადამიანისა: გონებრივი და ზნეობრივი ზრდა. რამდენადაც ზრდა სიცოცხლისათვის დამახასიათებელი თვისებაა, აღზრდა იგივეა, რაც ზრდა. სასკოლო აღზრდის კრიტერიუმია ის საფეხური, რომელზედაც აღზრდას ძალუძს შექმნას უწყვეტი ზრდის სურვილი და წარმოადგინოს ამ სურვილის რეალიზირებისათვის საჭირო საშუალებები. დიუი ამ დებულებას უმნიშვნელოვანესად თვლის და ამტკიცებს: „აღზრდის ნების, როგორც ზრდის ცნების გაგება, ნიშნავს მივიღოთ დემოკრატიული საზოგადოება და პირიქით“ (82, გვ. 32).

დიუი თვლიდა, რომ ზრდა შეუძლებელია ცვლილებების გარეშე. ფიქსირებული და ყოვლისმომცველი გლობალური მიზნები არის უადგილო ოცნებები და შეუცვლელი მხოლოდ ცვლილებებია. სხვა საგნებში რა გავლენაც არ უნდა გამოეწვია ცვლილებებს, ისინი თვითონაც უცილობლად შეიცვლებოდნენ. უმნიშვნელოვანესია ცვლილებების ბუნების შესწავლა, ისე რომ, მათი საშუალებით შევძლოთ საკუთარი ინტერესების მართვა. ცვლილებებს პასიურად არ შეიძლება მივსდით, მაგრამ არც მათი უგულვებელყოფა შეიძლება. ისინი უნდა ვმართოთ. ცნებებთან: „ცვლილებები“,

„ზრდა“, „გამოცდილება“, „უწვეტობა“, „მუდმივობა“, „პროგრესირებადი გამოცდილება“, დიუის მიხედვით, მჭიდროდაა დაკავშირებული ცნებები: „პროგრესულობა“ და „პროგრესული აღზრდა“. პროგრესული აღზრდა სავსებით არ ნიშნავს რეაქციულის ან ტრადიციულის საპირისპიროს. პროგრესული ნიშნავს: თანდათანობით, რომლის ყოველი ეტაპი ზრდის, პროგრესის, განვითარების, სრულყოფის მატებელია. ეს ცხოვრებისეული პროცესია. ამრიგად, დიუისეული აღზრდის მთავარი იდეაა - გამოცდილების მუდმივი, პროგრესირებადი რეკონსტრუირების იდეაა. აღნიშნული იდეა ეწინააღმდეგება მომავალი ცხოვრებისადმი მომზადების იდეას - შორეული მომავლისადმი, როგორც სპონტანური შინაგანი ძალების გაფურჩქვნა, მისი გარეგანი ფორმირება და წარსულის აღდგენა. დიუის ეს მთავარი იდეა თანხვედრაშია პიროვნების და მისი სოციალური ბუნების შესახებ დიუისეულ შეხედულებებთან. დიუის აზრით, სოციალური კავშირების მიღმა მყოფი ადამიანი არის მითი და საოცრება. ინდივიდუალურობა დასაწყისიდანვე მოცემული როდია, არამედ, მისი ჩამოყალიბება ხდება ასოცირებული ცხოვრების ზეგავლენით. ჩვენი ინტელექტუალობა მოქცეულია გარკვეულ საზღვრებში, ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როცა საუბარია ინტელექტუალობის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილის შინაარსზე. იმავე ითქმის აზროვნებაზეც, ცნობიერებაზეც. როცა ბავშვი მოქმედებს, მის ირგვლივ მყოფი საზოგადოება-ცხოვრება რეაგირებს და პასუხობს ბავშვის მოქმედებებზე: მოწონებით, წახალისებით ან უკმაყოფილებით და შენიშვნებით. ცნობიერება - ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების გაცნობიერებული რეაქცია ჩვენს საქციელებზე, ყოფაქცევაზე. ცნობიერება - ესაა ჩვენში შემოტანილი საზოგადოების ცხოვრება, რომელიც იქცევა ჩვენს შინაგან ფორმულად და ტრიბუნალად. მაშასადამე, ყოველგვარი ქმედება, ეს არის ადამიანური ბუნების და გარემოს ელემენტების, როგორც ბუნებრივის, ასევე სოციალურის ურთიერთმოქმედება. ამრიგად, პიროვნების ჩამოყალიბება, მისი ყოფაქცევის ფორმირება არის განვითარებადი ადამიანის: ქმედების, მოქმედება-მოღვაწეობის, მზარდი აქტიურობის შედეგი (34, გვ. 19).

დიუი პროგრესივიზმის მეთოდოლოგიური დებულებების შესაბამისად, განათლების შინაარსის ბუნებას სოციალური სინამდვილის გარემოში განიხილავდა. განათლების შინაარსი უნდა ჩაინერგოს და მატერიალიზირდეს მოსწავლეთა მოქმედებებში. მოსწავლეები, მისი შეხედულებით, საზოგადოების მზარდი ნაწილებია. განათლების შინაარსის საწყისი საფეხური სოციალური შინაარსის და გამოყენების მქონე ქმედებებია, რასაც მიყვავართ მასალების და კანონების მეცნიერულ (თეორიულ) განხილვამდე; იმ მასალების და კანონების გაცნობიერებამდე, რომლებიც ამ ქმედებაში მონაწილე - მოცემული სახეებისათვის ცნობილია. საგნების ბუნების და მათი დამზადების ხერხების ცოდნა, აი, განათლების კონკრეტული შინაარსი. აღნიშნული ცოდნის დაუფლება ხდება მოსწავლეთა მოღვაწეობის პროცესში, რომელიც შესრულდება არა ცოდნის მისაღებად, არამედ, თვით მოღვაწეობისათვის (მოქმედებისათვის). დიუის მიაჩნია, რომ კონკრეტული სიტუაციებიდან, სპეციალურად ორგანიზებული გამოცდილებიდან „ქმედებიდან“ მიღებული და გადამუშავებული წარმოადგენს განათლების ჭეშმარიტ შინაარსს. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მისწრაფებებით ორგანიზებული ცოდნის მოპოვებაა ნამდვილი ცოდნა, რომელიც გვაძლევს მოცემულ სიტუაციაში ჩვენი მიზნების ადაპტაციის საშუალებას და სურვილს, ვიცხოვროთ არსებულ გარემოში.

„განათლების შინაარსის“ (ანუ შემადგენლობის) დიუისეული გაგება მოიცავს მოსწავლეთა ქმედების ყველა სახეს და არა მხოლოდ სასწავლო მასალას, ბავშვების მთელ გამოცდილებას. დიუის მიაჩნია, რომ სასწავლო დაწესებულებათა საგანმანათლებლო შემადგენლობაში ფაქტიურ (ინფორმაცია) ცოდნასთან ერთად, შედის აგრეთვე-ცოდნა მოქმედების ხერხების შესახებ, რაც აუცილებელი წინაპირობაა და ამ მოქმედების ეფექტურობის პირობები-მათი გამოყენების გამოცდილება. უნარები და ჩვევები განათლების ინტეგრარული შემადგენელი ნაწილია, რომელიც პრინციპული პედაგოგიური მნიშვნელობის მქონეა. სწორედ ამ თვალსაზრისითაა დიუიზმის აღნიშნული თეზისი აქსიომატული და უნივერსალური. განათლების შინაარსში (შემადგენლობაში) შედის ბავშვის მიერ სასწავლო გარემოს, პედაგოგიური სიტუაციების კვლევის პროცესში მიღწეული და გამდიდრებული გამოცდილება. ამ დროს ადრე შექმნილი ცოდნა წარმოადგენს შემადგენელ მასალას, რომელთანაც

„ასიმილირდება“ ახალი ცოდნა (მიეშენება მას და თან ახდენს ძველი ცოდნის გადაწყობას). აქედან, კეთდება აქცენტი მიღწეულ გამოცდილებაზე, რომელსაც მხოლოდ გარედან მოწოდებული მასალა კი არ ჰქმნის, არამედ, მისი შემადგენლობა იქმნება შინაგანი სიტუაციის და ბუნებრივი ქმედების ურთიერთზემოქმედებით. აღნიშნული ურთიერთზემოქმედება კი, მუდმივად ახდენს თვით ამ მოქმედებების და გარემოს მოდიფიცირებას.

დიუისეული დიდაქტიკის მთავარი მიზნის მისაღწევად დიდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წვლილი. მიზანი შემოქმედებითი გააზრებული ჩვევების დაუფლებაა, რომლის მისაღწევადაც სასწავლო გეგმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. დიუი მიიჩნევს, რომ სახიფათოა საგნების დაყოფა - „ინტელექტუალურად“, „ემოციალურად“, „ინსტრუმენტალურად“ და „მხოლოდ პიროვნულ ორიენტაციის ღირებულებებთან დაკავშირებულად“. ნებისმიერ საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოს უნდა გააჩნდეს ესთეტიკური ფასეულობა (ღირებულება), ნებისმიერმა ჰუმანიტარულმა დისციპლინამ უნდა განავითაროს აზროვნება. სასწავლო საგნის პედაგოგიური ღირებულების კრიტერიუმია შინაგანი პიროვნული ორიენტაციის სისტემის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილი, გამოცდილების მომატება და სრულყოფა. ჯ. დიუი სკოლაში უტილიტარული სწავლების წინამდებელი იყო. არ შეიძლება პედაგოგიური ფასეულობების დაყოფა „კულტურულად“ და „სასარგებლოდ“. უკავშირებდა რა ერთმანეთს პროფესიონალზმის და ვიწრო პროფესიონალზმის (უტილუტარულ) საკითხებს, დიუი მივიდა დასკვნამდე: პროფესიული განათლების მიღებისაკენ მიმართული მოძრაობა მოსწავლეთა მცირე ნაწილში აყალიბებს ზოგად კულტურას, იგულისხმება ის ნაწილი, რომელიც ერთგვარ სიამოვნებას იღებს ასეთი ცოდნით, ხოლო ფართო მასებს აძლევს პროფესიულ განათლებას სპეციალური მიზნებისათვის, რომლებიც სოციალური ექსპერტების ხელმძღვანელობითაა მიღწევადი. აღნიშნული სქემა ძველი სოციალური დაყოფიდან გონებრივ და ფიზიკურ შრომად, მისი დუალიზმიდან გამომდინარეობს. მაგრამ ეს ნიშნავს ძველი ტრადიციების შენარჩუნებას იმ პირობებში, როცა მათი არსებობა არაა გამართლებული. მრეწველობის განვითარებამ მიაღწია იმ საფეხურებს, როცა იგი

მთლიანად მეცნიერებაზე დამოკიდებული გახდა და სოციალური ურთიერთქმედების ყველა ფორმაზე იმდენად ძლიერა ზეგავლენა, რომ იქმნება ახალი საშუალებები, რათა მართებული პედაგოგიური მიდგომით მოვახდინოთ აღნიშნული ურთიერთმოქმედების მოდიფიცირება და ისეთი ფორმით, რომელიც აგვაშორებს თანამედროვე სამრეწველო და სავაჭრო მოწყობილობების ზეგავლენით მიღებულ არასასურველ სოციალურ შედეგებს.

დიუიმ ჰეგელის ფილოსოფიიდან ამოიღო და თავის პედაგოგიკაში დანერგა მთავარი აქსიომა - ინდივიდუალური გონიერებისა და შემეცნების შესახებ, მან ინდივიდუალური გონი და შემეცნება განიხილა, როგორც კოლექტიური გონის (ნიჭის) ერთიანი მთლიანი ფუნქცია. ჰეგელის ფსიქოლოგიიდან დიუსათვის მიუღებელი იყო სოციალური ცხოვრების საკითხები. დიუი წინააღმდეგი იყო ჰეგელისეული ფორმალური განათლების, ისევე როგორც, არ ეთანხმებოდა ლოკის ფორმალურ დისციპინას. დიუსათვის მისაღები იყო ჯეიმსის ის შეხედულება, სადაც ნათქვამია, რომ მოსწავლეთა ოპერატიული აქტიური ძალები (ჰერბარტის შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომელიც ამ ძალებს უგულვებელყოფდა), არსი და მამოძრავებელი მათი შემეცნებისა; თუმცა ეს საკითხი მკვეთრად ემიჯნებოდა ჯეიმსისეულ ინტერესის თეორიას. დიუი არ ეთანხმებოდა რეკაპიტულაციის თეორიის ფორმულირებას და ინტერპრეტაციას. იგი იზიარებდა რა ბიჰევიორისტების არსებითად პოზიტიურ გნოსეოლოგიას, ამავდროულად მკვეთრად აკრიტიკებდა ბიჰევიორიზმს (56, გვ. 69).

დიუი აღიარებდა ბიოგენეტიზმს და ამიტომ მან მიწასთან გაასწორა ადამიანური ბუნების უცვლელობის თეორია. თეორია, რომელიც, დიუს აზრით, ყველა შესაძლებელ სწავლებათა შორის, ყველაზე გამანადგურებელი და პესიმისტური იყო. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანში წინასწარ, დაბადების მომენტიდან, მოცემულია, თუ ის რა დანიშნულებით დაიბადა. ბუნებისაგან ადამიანს არ ეძლევა უმაღლესი სრულყოფილება, ისევე როგორც, არც მათი არსებობაა მოცემული; ისინი დამოუკიდებელი მოღვაწეობის პროცესში, პრაქტიკის მიღების მეშვეობით აღზრდადი და შექმნადია. დიუი მართალია ემერსონის მემკვიდრეა, მაგრამ რადიკალისტი არაა. ის თვითმყოფადია. მისი კონცეფცია მიზანმიმართულია

სოციალური წყობის სრულყოფილებისაკენ; სრულყოფა, დიუის შეხედულებით, მიიღწევა მოქნილი, შემოქმედებითი, კოოპერაციული და ლოიალური პიროვნების აღზრდით (45, გვ. 84).

ამრიგად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ჯონ დიუის სახელს უკავშირდება პროგრესული განათლების მოძრაობა, რომლის მთავარ პრინციპებს წარმოადგენდა გამოცდილებით სწავლა და სოციალური ინტერაქცია. ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სადაც მთავარი პრინციპია სწავლა კვლევით, საკუთარი გამოცდილებით. ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ეს არის ორიენტაცია ცოდნის პრაქტიკულობაზე.

§6. სოციალური კონსტრუქტივიზმი დიუის პედაგოგიკურ კონცეფციაში

კონსტრუქტივიზმი ანუ ქმედების თეორია და იგი განათლების სფეროში ხაზს უსვამს სწავლას სოციალურ კონტექსტში და სხვებთან ურთიერთობით. სოციალური კონსტრუქტივიზმი არის თეორიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს სამყაროში არსებულ და გააზრებულ ცოდნისა და მნიშვნელობების კონსტრუირების პროცესების კვლევას. სოციალური კონსტრუქტივიზმისათვის მნიშვნელოვანია ენისა და სოციალური კატეგორიების ანალიზი იმის ასახსნელად, თუ როგორ ახდენს ზეგავლენას მოცემულობად მიღებული კატეგორიები ჩვენს გამოცდილებებზე და მოვლენების „ბუნებრივად“, „უნივერსალურად“ და „უცვლელად“ აღქმაზე.

განათლებაში კონსტრუქტივიზმის კვლევის დონის ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი პერსპექტივებისა და პოზიციების გამრავლება. ის ცხადად გამოარჩევს სხვადასხვა თემებს, აქცენტებსა თუ შეფასებებს. სტეფმა და გეილმა თავიანთ ნაშრომში - „კონსტრუქტივიზმი განათლებაში“ გამოჰყო ექვსი ძირითადი პარადიგმა: „სოციალური კონსტრუქტივიზმი, რადიკალური კონსტრუქტივიზმი, სოციალური კონსტრუქციონიზმი, ინფორმაციულ-პროცესული კონსტრუქტივიზმი,

კიბერნეტიკული სისტემები და სოციოკულტურული მიდგომა შედეგიანი ქმედებებისადმი“. ყველა ეს ეგრეთწოდებული პარადიგმა ტრადიციულ ეპისტემოლოგიურ განცხადებებს წარმოადგენს, რომელიც ცოდნას „რეალობის“ ობიექტურ წარმოსახვის საშუალებად აღიქვამს. თუმცა მათი არგუმენტები იშვიათად არის მემკიდრეობით მიღებული ტრადიციული კონცეფციების საპირისპირო. უფრო მეტად იგი გვეკლინება ახლად ფორმულირებული ალტერნატივების სახით, რომელიც გამოდგება მითითებების მაგალითად.

ავტორი, რომელიც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე დაკავებული იყო ცოდნის კონსტრუქტივისტული თეორიის დეტალური აღწერით, გახლდათ ჯონ დიუი. მისი შრომები მოიცავდა „ეპისტემოლოგიური ტრადიციების რადიკალურ გამიჯვნას“ და წარმოადგენდა „იმ ტიპის შორმჭვრეტელობას, აღქმადობასა და ორიგინალობას, რომელიც იმ დროისათვის რთულად გასაგები იყო“, თუმცა „დიუის წერილობით კრიტიკას არ ჰქონდა დამანგრეველი მიზანი, ის გვთავაზობდა ცოდნის მოქმედებასთან დამოკიდებულების მონახაზს, დადებით ხედვას, რომელსაც საფუძვლად უდევს ბუნებრივი მეცნიერებების წინარე განვითარებები“ (60, გვ. 80).

დიუის ფილოსოფიას ლეიტმოტივად გასდევს ორგანიზმისა და გარემოს შორის კავშირის განსაზღვრის მცდელობა. მის ცნობილ სტატიაში რეფლექსის კონცეფცია ფსიქოლოგიაში (1896), დიუი აკრიტიკებს თანამედროვე ფსიქოლოგიას, რადგან ის მიიჩნევს ორგანიზმს, როგორც გარემოდან მოწყვეტილ არსებას. „ის არის ყურადღების მოტორული გამოხმაურება, რომელიც საბოლოოდ იღებს სხვა აქტივობის სტიმულატორის სახეს“ (50, გვ. 101). შედეგად დიუი ყურადღებას ამახვილებს განგრძობით, შიდა კავშირს ორგანიზმსა და გარე სამყაროს შორის და შემოაქვს ტრანსაქციისა და გამოცდილების ცნებები. ჯონ დიუის კონცეფციით განათლება გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს, კონსტრუქტივიზმის მიხედვით, წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა გამოცდილებით და სოციალური ინტერაქციით ცოდნის მიღება. დიუის ფილოსოფიისთვის ძირითადი გამოცდილებაა ის, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველაფერს, რაც კი შეიძლება გახდეს ჩვენი შემეცნების საგანი. იგი თვლის, რომ ყველაფერი გამოცდილებაა და გამოცდილება ყველაფერია. ასე რომ, დიუი თავის თავს ემპირიზმის მომხრედ

აცხადებს, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. იგი გამოცდილების ცნებაში ათავსებს მხატვრულ, სოციალურ და კულტურულ ფასეულობებსაც. გამოცდილება მოიცავს მთლიან საკაცობრიო ცხოვრებას, ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობებს და თვით ბუნებასაც. თუ როგორ ესმის დიუის გამოცდილება, შეიძლება დავაზუსტოთ მისი შემდეგი განსაზღვრებიდან:

„გამოცდილება მოიცავს სიზმრის ხილვას, ავადმყოფობას, სიკვდილს, შრომას, ომს, ორაზროვნებას, სიცრუეს და დაბნეულობას, ის მოიცავს ემპირიულის თანაბარ ტრანსცენდენტულ სისტემებს; მაგიას და ცრუ რწმენას ისევე, როგორც მეცნიერებას“ (50, გვ. 226). „იცოდე“ არის ინტერვენციის პროცესი და არა რეგისტრაციის თუ წარმოდგენის. ცოდნა ყოველთვის მონაწილეა მოქმედებისა და არ ეხება გარე, დამოუკიდებელ თუ ობიექტურ რეალობას.

დიუის მთავარი იდეა თავად გამოცდილების გარდაქმნა და რეკონსტრუქციაა, ცხადია, საქმე ეხება არა შემთხვევითი ერთეული მიზნის განხორციელებას, არამედ, გამოცდილების სისტემატურ სრულყოფას ცხოვრების ყველა სფეროში, ადამიანურ საქმიანობაში. უპირველეს ყოვლისა, დიუის მიზანი იყო განათლების სისტემის გარდაქმნა, ის მართალიც იყო, რადგანაც სწორედ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების დაბალი დონე ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაა საზოგადოებისათვის (45, გვ. 74).

დიუი კონსტრუქტივიზმის საკითხის განხილვას ტრადიციულ და პროგრესულ განათლებას შორის დაპირისპირებით იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ასეთი დაპირისპირების წინააღმდეგია, იგი მიმართავს ფილოსოფიას, რადგანაც წარმოდგენლად მიაჩნია განათლების საკითხების გადაწყვეტა ფილოსოფიის გარეშე. დიუი ტრადიციული სწავლების შინაარსს ახასიათებს, როგორც წარსულში შემუშავებული ინფორმაციისა და გარკვეული უნარ-ჩვევების ახალი თაობებისათვის გადაცემის პროცესს, რომელიც სკოლის ძირითად დანიშნულებას განსაზღვრავს. იგი არ ივიწყებს წარსულში ჩამოყალიბებული ქცევის სტანდარტებსა და წესებს და აღნიშნავს, რომ „მორალური აღზრდა ნიშნავს ამ წესებისა და სტანდარტების შესაბამისი ქცევის ჩვევების ფორმირებას“ (17, გვ. 257). დიუი აქვე აყალიბებს აზრს, იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა სწავლისადმი დამოკიდებულების პრინციპებში

აღმოაჩინოს: დამყოლობა, ათვისების უნარი და მორჩილება. აქ ნათლად ჩანს დიუის პროგრესივიზმისადმი დამოკიდებულება თავისუფლებასთან მიმართებაში. იგი თვლის, რომ მოსწავლეთა თავისუფლება მხოლოდ სპეციალურად ორგანიზებულ გარემოში შესაძლებელია განხორციელდეს.

დიუის არგუმენტი ცოდნისა და რეფლექსიის შესახებ, რომელიც ქმედების განგრძობითობის უზრუნველმყოფია, ხაზს უსვამს დროის გადამწყვეტ როლს. ცოდნა არ შემოიფარგლება გამოცდილი ერთეულებით, არამედ, სამომავლო გამოცდილებებით, რომელიც შედეგია აწმყო სიტუაციისა. არსებული სიტუატიიდან დასკვნის გამოტანა ამასთანავე ჰქმნის დაურწმუნებლობას. დიუი აღნიშნავს „დასკვნის გამოტანა... სამყაროში ქმნის სიმართლესა და სიყალბეს“ (61, გვ. 70). მაშასადამე, სიმართლე არის მტკიცე კავშირი არა განცხადებასა და რეალობას შორის, არამედ, მოსალოდნელ და რეალიზებულ მნიშვნელობას შორის, დროის გაბმულობის შესაბამისად. სიმართლის კონცეფციის ეს „დროებითობა“ შედეგია ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობის შესახებ დიუის ალტერნატიული შეხედულებისა. ტრანზაქცია არ შედგება იმ სუბიექტისგან, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს გარე სამყაროსთან. ყველა ორგანიზმი აქტიურად არის ჩართული საკუთარ ცხოვრებისეულ სამყაროში. არ არსებობს გამოცდილება რეალობის გარეშე, და რეალობა, რომელზეც გავლენას არ ახდენდეს გამოცდილება. ყველა ქმედება (მათ შორის ცოდნის მიღებისა) ქმნის ახალ რეალობას.

დიუის კონსტრუქტივიზმი არ ეხება ობიექტურ სამყაროს და არც საგნებს ანიჭებს ცოდნის შესაბამის სტრუქტურას. სოციალური ინტერაქცია საშუალებას აძლევს (და ამასთანავე აიძულებს) ყველას ყურადღება გაამახვილონ სხვა მონაწილეების ხელშეწყობაზე. სოციალური ინტერაქციის გასაგრძელებლად აუცილებელია სხვების მიერ გაკეთებული დასკვნების დაკვირვება და მხედველობაში მიღება. ადამიანური ინტერაქციის ამ საკითხის გაცნობის შემდეგ, არაა რთული იმის გაგება, რომ სუბიექტური რეალობის არსებობა არ წარმოადგენს არანაირ საფრთხეს ორმხრივი გაგების შესაძლებლობისათვის. ურთიერთგაგება გულისხმობს „ობიექტებს, მათ შორის ბგერებს, აქვთ ერთი და იმავე ფასეულობა ორივე მხრისათვის საერთო გზის მიყოლის განზრახვით“. დიუის აზრით, ეს არის

აგრეთვე შედეგი სამიზნე შეთანხმებისა, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური რეალობა ტრანსფორმირებულია იმ ფორმით, რომ ემსახურებოდეს ერთი და იმავე ფასეულობას და ერთი და იმავე მიზანს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თუმცა შეთანხმებულობისთვის საჭიროა ინდივიდუალური პერსპექტივების კოორდინაცია, ის არ გულისხმობს ამ პერსპექტივების იდენტურობას. ადამიანები აგრძელებენ თავიანთი საკუთარ რეალობაში არსებობას, თუმცა ეს რეალობა ამჟამად საკმარისად არის ტრანსფორმირებული, იმისათვის, რომ ქმედების შეთანხმებულობა იქცეს შესაძლებელი (34, გვ. 61).

დიუი დაასკვნის, რომ ახალი განათლება, ტრადიციული განათლებით, მასობრივი უკმაყოფილების შედეგია და ცდილობს ახალი განათლების ფილოსოფიური ფორმულა პროგრესულ სკოლებს შორის საერთო პრინციპებში აღმოაჩინოს. როგორც წინა პარაგრაფებში ავღნიშნეთ, ეს პრინციპებია: 1. ინდივიდუალურობის გამოხატვა და განვითარება; 2. თავისუფალი მოქმედება; 3. გამოცდილების მეშვეობით სწავლა; 4. სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზნების მიღწევის საშუალებების ათვისება; 5. დღევანდელი დღის შესაძლებლობათა რეალიზაცია; 6. ცვალებადი სამყაროს გაცნობა; მოცემულ პრინციპებს, რომელსაც დიუი ტრადიციული სკოლისთვის დამახასიათებელ ნიშნებთან დაპირისპირებაში განხილვას, დიუი ახალი განათლების ზოგადი ფილოსოფიის აბსტრაქტულ პრინციპებს უწოდებს და მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯანსაღ ლოგიკას შეიცავს, მაინც ვერ გადაწყვეტს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სასურველი მორალური და ინტელექტუალური ალტერნატივის განხორციელება პრაქტიკაში. დიუი ნათლად გრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც ახალ მოძრაობას სდევს თან, კერძოდ, „ახალი უფრო ძველის უარყოფაზეა ორიენტირებული, ვიდრე ახალი, კონსტრუქციული ფილოსოფიის შექმნაზე“ (17, გვ. 259). ფრიად ნათელი და შთამბეჭდავი აზრია. ისტორიამ არაერთგზის გვაჩვენა, რომ ახალი ხშირად იმ პროგრესულსაც შეიწირავს, რომელიც მართლაც მიღწევა ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. განათლების სისტემაში კი განსაკუთრებულად იგრძნობა ეს, თავად სისტემის უაღრესად კონსერვატული ბუნების გამო. ამ აზრის დასასაბუთებლად დიუი სვამს კითხვას: რა ადგილი და მნიშვნელობა ენიჭება სწავლების შინაარსსა და ორგანიზაციას

გამოცდილების ფარგლებში? როგორ ფუნქციონირებს შინაარსი? აქვს თუ არა გამოცდილებას ისეთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც განაპირობებს მისი შინაარსის პროგრესულ რგანიზაციას? რა შედეგებს ვიღებთ, როდესაც გამოცდილების მასალები არ არის პროგრესულად ორგანიზებული? ცნობილია, რომ არ არსებობს კითხვებზე მარადიული პასუხები, მაგრამ მარადიული კითხვები რომ ნამდვილად არსებობს, ამაში ეჭვი ანტიკურობიდან დღემდე არც არავის ეპარება. მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას დიუი იმ სოციალური ფაქტორების კარგად გააზრებაში ხედავს, რომლებიც „აქტიურადაა ჩართული ინდივიდუალურ გამოცდილებაში“ (17, გვ. 257). დიუი აღნიშნავს, რომ ძველის სრულ უარყოფასა და ოპოზიციას დაფუძნებული ფილოსოფია ამ კითხვებს უპასუხოდ ტოვებს და ეს ნიშნავს, რომ პრობლემას ვერც კი აცნობიერებ. დიუის მცდარად მიაჩნია პოზიცია, რომლის მიხედვითაც „უფროსების მხრიდან ნებისმიერი სახის მითითება და ხელმძღვანელობა პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფაა; არც აწმყოსა და მომავალზე ორიენტირებული განათლების იდეა ნიშნავს იმას, რომ წარსულის ცოდნა უმნიშვნელოა ან საერთოდ, არავითარ როლს არ ასრულებს განათლებაში“ (17, გვ. 261).

დიუი არ კმაყოფილდება მოცემული დებულებით, რადგანაც ეჭვობს, რომ ახალი განათლებაც შესაძლოა ისეთივე დოგმატური გახდეს, როგორც ტრადიციული თუ კრიტიკული თვალთ არ შეხედა მის მიერ არჩეულ პრინციპებს. მთავარ ამოცანად დიუი თვლის წარსულის ცოდნის მომავალთან ურთიერთობის ეფექტურ საშუალებად გადაქცევას. აქ იკვეთება სოციალური კონსტრუქტივიზმის საბოლოო მიზანი განათლებაში: როგორ უნდა გაეცნონ ახალგაზრდები ისტორიას იმგვარად, რომ ცოცხალი აწმყოს შეფასების საშუალებად ექცეს? იმისათვის, რომ მომავალი გათვალისწინებული იყოს საგანმანათლებლო პროცესის თითოეულ საფეხურზე, დიუი საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში კონტინუუმის პრინციპის გამოყენებას გვთავაზობს. მისი აზრით, თითოეულმა გამოცდილებამ პიროვნება უნდა მოამზადოს მომდევნო უფრო ღრმა და ფართო გამოცდილებებთან შესახვედრად, სკოლის მთავარი მიზანი უნდა იყოს სწავლის სურვილის განვითარება: „რა სარგებელი მოაქვს გეოგრაფიიდან და ისტორიიდან წინასწარ

განსაზღვრული მოცულობის ინფორმაციის მიღებას, წერისა და კითხვის უნარის განვითარებას, თუკი ამ პროცესში ინდივიდი კარგავს თავის სულს, მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული ღირებულებების შეფასების უნარს და თუკი კარგავს სურვილს, გამოიყენოს ის, რაც ისწავლა, რაც ყველაზე მთავარია კარგავს უნარს ჩასწვდეს მომავალი გამოცდილების მნიშვნელობას“ (17, გვ. 271).

„სოციალურ კონსტრუქტივიზმში“ დიუი განიხილავს საგანმანათლებლო-აღმზრდელი საქმიანობაში ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის საკითხებს, რაც თამაშის პროცესში ხორციელდება კონსტრუქტივიზმის საზოგადოებრივი ხასიათის გამო, ადვილად ასატანია. ტრადიციულ სკოლაში კი, დიუის აზრით, არ არსებობდა კონსტრუქტივიზმის სათანადო, ნორმალური პირობები. ახალ სკოლებში სოციალური კონსტრუქტივიზმის ძირითადი წყარო თავად იმ საქმიანობის ბუნებაა, რომელიც ერთობლივ საზოგადოებრივ წამოწყებას, ჯგუფურ ინიციატივას მოიცავს. დიუი აღნიშნავს, რომ უკლებლივ ყველას აქვს შესაძლებლობა მასში საკუთარი ინდივიდუალიზმი შეიტანოს და ყველამ თანაბარი პასუხისმგებლობა იგრძნოს. დიუი ამას იმითაც ადასტურებს, რომ „ბავშვების უმრავლესობა ბუნებრივად კომუნიკაბელურია, ისინი საზოგადოების მიმართ უფრო გახსნილნი არიან, იზოლაცია მათთვის მოსაწყენია“ (17, გვ. 283). დიუი აგრეთვე განიხილავს მასწავლებლის კომპეტენციას, ფუნქციებსა და მოვალეობებს. „განათლება თავისი არსით სოციალური პროცესია“, წერს იგი, მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს იმ ჯგუფის წევრი, რომელსაც გაერთიანებული ინდივიდები ქმნიან და მას ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, „წარმართოს ის კომუნიკაცია, ურთიერთქმედებები და ურთიერთკავშირები, რომლებიც ჯგუფის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის არსებობის საფუძველია. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი კარგავს გარეშე ზედამხედველის ან მოკარნახის როლს და ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს“ (17, გვ. 285).

დიუის კონსტრუქტივიზმი, ერთის მხრივ, ეწინააღმდეგება ტრადიციულ ეპისტომოლოგიურ პოზიციებს, რომელიც ეფუძნება მსგავს იდეალისტურ და რეალისტურ წარმომავლობას. დიუი კრიტიკულად განიხილავს მათ საერთო საფუძვლებზე, ანუ იმ საკითხებზე როგორცაა, განხეთქილება ობიექტსა და

სუბიექტს, რეალობას და ცოდნას, სამყაროსა და აღქმას შორის. მისი ხედვა, მეორეს მხრივ, ეფუძნება კონსტრუქტივისტულ ეპისტემოლოგიურ პროგრამას, რომელიც იწყება ცოდნის მოქმედებასთან დამოკიდებულებით. ეს საფუძვლები გვევლინება მეტად სანდოდ, რასაც უახლესი ნეოპრაგმატიკული კვლევაც გვიდასტურებს. უფრო მეტიც, ის საშუალებას გვაძლევს არგუმენტების შეფასების ცხადყოფისა, რომელიც წარმოიშვება სწავლების რადიკალურ კონსტრუქტივისტული და სოციო-კულტურული მიდგომებისგან. დიუის ტრანსაქციული ცოდნის თეორია ცხადყოფს, რომ დისკუსიები საგანმანათლებლო სამყაროში აგრძელებს არსებობას ცოდნისა და რეალობის გასაყარზე. მეტწილად, სწავლების კონსტრუქტივისტული პარადიგმა ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირშია ტრადიციულ, დუალისტიკურ ჩარჩოსთან.

ჩვენი აზრით, დიუის ცოდნის კონსტრუქტივისტულმა თეორიამ მარცხი განიცადა მრავლობითი სამყაროს არსებობის არსის აღწერაში, რადგანაც იგი იხილავს ცოდნისა და რეალობის ურთიერთობას და ხაზს უსვამს მათ შორის კავშირის არარსებობას. ის აგრეთვე ვერ ადასტურებს გარე სამყაროს არსებობას, არამედ, იჭერს აგნოსტიკურ პოზიციას სამყაროს რაობის შესახებ. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს, რა მხრივ არ არსებობს კავშირი, რა მიზეზით არ არის გარე „ობიექტები“. აღნიშნული მცდელობა უნდა ეფუძნებოდეს თვით ცოდნის პროცესის დეტალურ ანალიზს. დიუის ტრანსაქციონალიზმა საფუძველი ჩაუყარა „ნატურალიზირებული ეპისტემოლოგიის“ პროექტს, რომლის მიხედვითაც ცოდნისა და ქმედების ურთიერთობის დეტალური ანგარიში საშუალებას იძლევა აიხსნას მრავლობითი სამყაროს არსებობა. კონსტრუქტივისტულ თეორიას შესწევს უნარი დაამტკიცოს საკუთარი ნაყოფიერება, განსაკუთრებით მაშინ, როცა რეალობა და მრავალფეროვნება, სუბიექტურობა და ინტერსუბიექტურობა წარმოადგენს თამაშის აშკარა ფაქტორებს. ნამდვილ კონსტრუქტივისტულ ხედვას შესწევს უნარი მოგვცეს ამ საკითხების დეტალური ანალიზი. ის ადარსტურებს კარგი კონსტრუქტივისტული თეორიის პრაქტიკულობას.

§7. სკოლა-ლაბორატორია და მისი როლი სასკოლო

სისტემის განვითარების საქმეში

1896 წელს ჯონ დიუმ დაარსა ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებული პირველი ექსპერიმენტული დაწყებითი სკოლა (მოგვიანებით შეიქმნა საბაზო და საშუალო სკოლებიც), სადაც პროგრესული განათლების იდეების მიხედვით ასწავლიდნენ. ეს იყო საგანმანათლებლო იდეების გამოსაცდელი ერთგვარი სკოლა-ლაბორატორია. დიუმი ამბობდა, რომ ეს ისეთივე სამეცნიერო ლაბორატორია იყო, როგორც ნებისმიერი სხვა ლაბორატორიები. აქ განათლების ფაკულტეტის სტუდენტებს შეეძლოთ ჩაეტარებინათ ექსპერიმენტები, პრაქტიკაში გამოეცადათ გარკვეული თეორიები და იდეები.

სკოლა გაიხსნა 1896 წლის იანვარში. სწავლების პირველ წელს სკოლაში ირიცხებოდა 15 ბავშვი, მეორე წელს 25, მესამე წელს 40 და მეოთხე წელს 95 (4-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვები). დაწყებით სკოლას დასახული ჰქონდა ორი ამოცანა: 1. ბავშვების სწავლება; 2. უნივერსიტეტის ამოცანების შესაბამისი ზოგიერთი მეცნიერულ-პედაგოგიური სამუშაოს ჩატარება. დიუმ, მართალია საკუთარი პედაგოგიური პრინციპები სკოლაში გაატარა, თუმცა მასალის შერჩევა და მეცადინეობის გეგმის დამუშავება მთლიანად მასწავლებელთა პრეროგატივა იყო. დიუმის პედაგოგიური პრინციპები და მეთოდები სკოლაში ინერგებოდა თანდათანობით.

დიუმის სკოლაში თითქმის არ იყენებდნენ ისეთ ნაცად პედაგოგიურ ხერხებს, როგორებიცაა გამეორება, ლექცია, საერთო საკლასო მუშაობა, სავარჯიშოების დაფასთან შესრულება და ა. შ. სამაგიეროდ, მიმართავდნენ ფართომასშტაბიან ჯგუფურ პროექტებს, რომელიც მოიცავდა დურგლობას, ქსოვას, სანთლის ამოვლებას, მზარეულობას, ასევე რეკომენდირებული იყო მოსწავლეებს კლასის გარეთ გაეტარებინათ დრო: დაერგოთ, ემუშაებინათ, ესეირნათ ბუნებაში, მოეწყოთ ექსკურსიები. საგნები უკავშირდებოდა ყოველდღიურ ცხოვრებას: კულინარია, კერვა, ქსოვა, დურგლობა. სკოლა-ლაბორატორიაში ბავშვები ზრდიდნენ ხორბალს, ფქვავდნენ და პურს აცხობდნენ. ცოტა უფრო დიდები მეტალის გადადნობასა და

ღუმელის გაკეთებასაც სწავლობდნენ. სკოლა დაკავშირებული იყო მთელ სოციალურ საქმიანობასთან - ოჯახთან, ბუნებასთან, საზოგადოებასთან. მოსწავლეები მათემატიკას დურგლობასთან ერთად სწავლობდნენ; ქიმიას - კულინარიით, ისტორიას კი - იმის გააზრებით, თუ რა გავლენას ახდენდა იგი თანამედროვე ცხოვრებაზე. მაგალითად, დიუის აზრით მებაღეობა, ხის კონსტრუქცია და მეტალის შექმნა, ცხოვა და სხვა, არ არის მხოლოდ საარსებო ღირებულების მქონე. თანამედროვე ცხოვრებაში ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის გამუდმებული ზრდა ითხოვს, რომ განათლებამ უნდა გამოავლინოს მათი მეცნიერული მნიშვნელობა და სოციალური ღირებულება, შესაბამისად, მას მიაჩნდა, რომ სკოლებში ამ საქმიანობას უნდა ეწეოდნენ არა ფინანსური მოგების, არამედ მათი შინაარსის გარკვევის მიზნით. „არიან რა ეს საქმიანობები თავისუფალი გარე კავშირებისგან და ხელფასის გამომუშავების წნეხისგან, მათი ფუნქცია მდგომარეობს იმ გამოცდილების შექმნაში, რაც არის არსობრივად ღირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვს ადამიანის განმანთავისუფლებელი თვისებები“ (18, გვ. 205).

დიუი მიიჩნევდა, რომ მებაღეობას უნდა ასწავლიდნენ არა იმიტომ, რომ მომავალი მებაღეები გამოზარდონ, არც უბრალოდ დროის გასაყვანად, არამედ, მას ასწავლიან იმიტომ, რომ გაჭრან არხი ცოდნისაკენ იმის შესახებ, თუ რა ადგილი უჭირავთ ვთქვათ, ფერმერობისა და მებაღეობის ისტორიაში და რა ადგილი უკავია მათ თანამედროვე სოციალურ მოწყობაში. ისინი ასევე გარემოს დაცვის საკითხებში გასარკვევად სწავლობენ ნიადაგის შემადგენლობას, სინათლის როლს, სინესტის და ჰაერის შემადგენლობას, ცხოველების ცხოვრების წესებს და ა. შ. არაფერია ბოტანიკაში ისეთი, რისი ჩვენება და ცოცხალ მაგალითებზე შესწავლა არ შეიძლებოდეს. იმის ნაცვლად, რომ არსებობს საგანი, რომელიც სპეციფიკურ კვლევის საგანს, ბოტანიკას ეკუთვნის, ჩნდება საგანი, რომელიც ცხოვრების ნაწილია და აღმოჩნდება, რომ მას აქვს ბუნებრივი კავშირი ნიადაგთან, ცხოველებთან და ადამიანებთან. რაც უფრო ზრდასრული ხდება მოსწავლე, მით უფრო იოლად პოულობენ ისეთ პრობლემებს, რომლებიც საინტერესოა და რომელთა გადაჭრაზე ზრუნვა შესაძლებელია აღმოჩენების კეთების მიზნით, დამოუკიდებლად მებაღეობით უშუალო დაინტერესებით: ანუ იმ პრობლემებისგან განსხვავებით,

როგორცაა მცენარის გამრავლება და სხვა. ასე ხდება გადასვლა გააზრებულ, ინტელექტუალურ კვლევაზე (67, გვ. 24).

იმავე ილუსტრაციის გამოყენება ცხადია შეიძლება ყველა სხვა სასკოლო საგნისა და აქტივობების მიმართ: ხეზე მუშაობა, კულინარია და ა. შ. თვითონ სასწავლო საგნებიც თავის დროზე სასარგებლო სოციალური საქმიანობის წიაღიდან შეიქმნა. მაგალითად, ფიზიკა ჩამოყალიბდა იარაღებისა და მანქანების გამოყენების საფუძველზე. ამაზე უშუალოდ მიუთითებს ფიზიკის დარგში არსებული სხვადასხვა ტერმინები: მექანიკა, ბორბალი, ბერკეტი, დახრილი სიბრტყე და სხვა, რომელიც კაცობრიობის მიერ გაკეთებული უდიდესი ინტელექტუალური აღმოჩენებია. ისინი სწორედაც რომ ინტელექტუალურია, რადგან პრაქტიკული მიზნების მიღწევის საშუალებების სახით შეიქმნა. ელექტრულ მეცნიერებაში გაკეთებული ბოლო თაობის აღმოჩენები მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ახალ გამოყენებებთან ტრანსპორტის, კომუნიკაციების, განათებისა და ეკონომიკური საქონლის წარმოების სფეროებში. ყოველივე ზემოთაღნიშნულს აქვს სოციალური დანიშნულება. ის, რომ ესენი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი პიროვნულ მოგებასთან და ეს იმის გამო კი არ ხდება, რომ რაიმე ასეთი შინაგანი თვისება აქვთ, არამედ იმიტომ, რომ მათი გადამისამართება მოხდა კერძო გამოყენებისკენ. ცხადია, რომ ეს ყველაფერი სკოლას ანიჭებს მომავალ თაობასთან ამ კავშირების დამყარების მოვალეობას საზოგადოებრივ და სოციალური ინტერესების გათვალისწინებით. ამგვარადვე ქიმია, როგორც მეცნიერება ჩამოყალიბდა ისეთი პროცესების შედეგად, როგორც არის შეღებვა, ტანსაცმლის გათეთრება, მეტალის დამუშავება და სხვა.

აქტიური საქმიანობის კავშირი მეცნიერების მეთოდთან იმდენადვე მჭიდროა, როგორც საკუთრივ შესასწავლ საგანთან. იმ ეპოქებში, როდესაც მეცნიერული პროგრესი ნელა მიმდინარეობდა, განათლებულ ადამიანებს გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისადმი, განსაკუთრებით კი ისეთების მიმართ, რაც ფიზიკურ შრომას უკავშირდებოდა. ისინი იღვწოდნენ ცოდნა ძირითადი პრინციპებისგან განვეითარებინათ ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე. ექსპერიმენტული მეთოდების წინ წამოწევამ დაამტკიცა, რომ პირობების კონტროლის შემთხვევაში, ეს

მოქმედებები სწორი ცოდნის უფრო ტიპური გამოხატულებაა, ვიდრე იზოლირებული ლოგიკური მსჯელობა. ექსპერიმენტების წარმოება განვითარდა მეჩვიდმეტე საუკუნეში და იქცა დასაბუთების სარწმუნო საშუალებად, მას შემდეგ, რაც ადამიანთა ინტერესებში უმთავრესი გახდა ბუნების დამორჩილების სურვილი. ექსპერიმენტალური მეთოდის სასიცოცხლო გამოყენება იმ აქტიურ მოქმედებებთან მიმართებაშია, როდესაც იყენებენ ხელსაწყოებს, რათა მოახდინონ ფიზიკურ საგნებზე ზემოქმედება მათი უფრო სასარგებლოდ გამოყენებისთვის.

დიუი ამტკიცებდა, რომ არ უნდა ავუროთ ერთმანეთში თამაშსა და შრომას შორის არსებული ფსიქოლოგიური განსხვავება მათ ეკონომიკურ განსხვავებაში. ფსიქოლოგიურად თამაშის ფსიქოლოგიური მახასიათებელი არ არის სიამოვნება ან უმიზნობა. ფაქტია, რომ მიზანი უფრო, როგორც თვით აქტივობა უნდა წარმოვიდგინოთ, მოქმედებისა და შედეგების უწყვეტობის დადგენის გარეშე. თანდათან ის შრომაში გადადის. ორივე აქტივობა არის თავისუფალი და შინაგანად მოტივირებული განსხვავებით იმ მცდარი ეკონომიკური პირობებისგან, რომელთაც აქვთ ტენდენცია თამაშში გადააქციონ კეთილდღეობის მოპოვების უსარგებლო მცდელობად, ხოლო შრომა რუტინულ სამუშაოდ ღარიბებისთვის. ფსიქოლოგიურად შრომა არის ის აქტივობა, რომელიც შეგნებულად ითვალისწინებს იმ შედეგებს, რასაც ის მოიცავს. ის იქცევა შეზღუდულ სამუშაოდ როდესაც მისი შედეგები დარჩება აქტივობის მიღმა და ეს აქტივობა აღნიშნული შედეგების მიღების საშუალება გახდება. შრომა, რომელიც თამაშის მიდგომებით არის განმსჭვალული ხარისხობრივად ხელოვნების ტოლფასია, თავისი თვისებებით, თუ არა გავრცელებული აღიარებით.

დიუის სკოლა-ლაბორატორიაში სასწავლო გეგმა მოიცავდა ადგილობრივი სახანძროს მონახულებას, იმის ნაცვალად, რომ ესწავლებინათ იტალიის ისტორიაში შემონახული დიდი ხანძრების შესახებ. მასწავლებლები იყვნენ გიდეები, და არა მასწავლებლები ტრადიციული გაგებით. ისინი ბავშვებს საჭირო მასალას აძლევდნენ და მხოლოდ გზას უჩვენებენ, როგორ ემუშავათ. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხებოდა, თუ რისი სწავლა სურდათ და შემდეგ ცდილობდა, მიეწოდებინა შესაბამისი მასალები, რათა ბავშვებს დამოუკიდებლად ესწავლათ. სასწავლო გეგმას

უნდა გაეთვალისწინებინა ბავშვი მთლიანობაში, თავისი ინტელექტუალური, მორალური, ინდივიდუალური და პროფესიული თვალსაზრისით. დიუი ფიქრობდა, რომ სკოლამ უნდა უჩვენოს ბავშვებს თანამედროვე სამყაროს კომპლექსურობა. სანამ ტექნოლოგიები განვითარდებოდა, მიწათმოქმედების პირობებში ბავშვს აჩვენებდნენ მთლიან პროცესს, რაზეც ცხოვრებაა აგებული. თუ დღეს ბავშვი ღილაკს ხელს დააჭერს და ასე რთავს შუქს, ადრე ცხოველი უნდა მოეკლათ, ქონი დაემუშავებინათ და სანთელი გაეკეთებინათ. ყოველივე ამის მოყოლით, ბავშვები, თუ მსგავს შრომას საკუთარ თავზე არ გამოცდიდნენ, მხოლოდ ზედაპირულ ცოდნას მიიღებდნენ. მან სკოლაში წამოაყენა სწავლების პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები:

1. რა და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ სკოლა დაუახლოვდეს ოჯახს და გარემოს? სკოლა არ წარმოადგენდეს, მხოლოდ გაკვეთილების შესწავლის ადგილს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ დაინგრეს სკოლის და ყოველდღიური ცხოვრებას შორის გამყოფი ტიხრები? აღნიშნული სკოლის მიზანს წარმოადგენდა: ა) ბავშვებს ესწავლათ არა ის, რაც მათთვის ოჯახიდან იყო ცნობილი, არამედ სკოლაში ბავშვებს უნდა შენარჩუნებოდათ გარემოსადმი შინაურული დამოკიდებულება; ბ) ბავშვები სიამოვნებით უნდა დადიოდნენ სკოლაში და სასკოლო დავალებებში უნდა ღებულობდნენ ისეთივე უშუალო კმაყოფილებას, როგორც ეს ხდებოდა, მაშინ როცა ისინი სახლში საბავშვო სათამაშოებთან და მეცადინეობებთან ერთობოდნენ. ეს კი ნიშნავს ბავშვის გამოცდილების, მისი მოტივების და მიზნების გაერთიანებას; ანუ ყველაფერი, რაც კი ბავშვების ინტერესების სფეროშია სახლის პირობებში, ასევე მიმზიდველი უნდა იყოს სკოლაშიც; ე. ი. სკოლა თავისი სპეციალური პრინციპებით და მეცადინეობებით, არ უნდა გამოირჩეოდეს ბავშვის ყველა დანარჩენი ცხოვრებისაგან;

2. ისმება საკითხი, როგორ შევიტანოთ, მივაწოდოთ ბავშვებს სკოლაში: ისტორია, მეცნიერება, ხელოვნება მათთვის მიმზიდველი ფორმით. საუბარია იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეთა ცხოვრებაში რეალური მნიშვნელობისაა. როგორ გადავცეთ იმგვარად, რომ დაბალი კლასის მოსწავლეებმა ჩათვალონ (უმაღლესი სკოლის სტუდენტების მსგავსად), რომ ამ დავალებების ათვისება-სწავლა მათთვის ღირებულია. ცნობილია და სტატისტიკური მონაცემებით დადგენილია,

რომ სწავლების პირველი წლების ტრადიციული პროგრამა, ბავშვების მიერ სკოლაში გატარებული დროის 75-80% იხარჯება კითხვის, წერის და მათემატიკის მექანიკურ სწავლებაზე. რაშიც საინტერესო მომენტები ცოტაა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საჭირო და აუცილებელია. ამავე დროს ამგვარი სწავლება-სიცოცხლის, ბუნების და მშვენიერების შექმნების თვალსაზრისით, ძალიან მცირე რაემს იძლევა. ამიტომაც სკოლის მიზანს წარმოადგენდა: მასალა ისე მიეწოდოს პატარებს ბუნებაზე, სამყაროზე, ისტორიულ და სოციალურ განვითარებაზე, რომ მათ შეძლონ გამოავლინონ თავიანთი მსახიობური და მხატვრული მონაცემები (უნარები). პედაგოგიური თვალსაზრისით, სწორედ ეს იყო სკოლის ძირითადი ამოცანა.

3. როგორ უნდა გადავაქციოთ კითხვის, წერის და რიცხვების ფორმალური სწავლება, სხვა უფრო საინტერესო საკითხებთან ერთად ბავშვის ყოველდღიურ მზარდ გამოცდილებად? ამ ამოცანის რეალურად განხორციელების შემდეგ, ბავშვები თავად დაინტერესდებიან ტექნიკური უნარ-ჩვევების დაუფლებით. თავდაპირველად დაუშვებელია ფორმალური სწავლების პრიორიტეტად წარმოჩენა, არამედ სწავლება უნდა წარიმართოს ბავშვების საქმიანობასთან კავშირში. მათ შემდეგ რაც ბავშვები მიხვდებიან რიცხვების და ჩანაწერების გამოყენების მიზნებს, მეტად გაუჩნდებათ ათვისების, ტექნიკური გამოანგარიშების ან ჩანაწერების დაუფლების სურვილი. რა თქმა უნდა, ყოველივე აღნიშნული მისახვედრია მოსწავლეებისათვის მხოლოდ ნაცნობ თემებზე დაყრდნობით (43, გვ.15).

მოსწავლეთა ინდივიდუალური ყურადღების უზრუნველყოფისათვის შეიქმნა 8-10 კაციანი ჯგუფები, ჯგუფებში ბავშვების სულიერ მოთხოვნებს, მიღწევებს, ფიზიკურ თვითშეგრძნებას და ზრდას მუდმივად აკვირდებოდნენ მასწავლებლები. აქედან გამომდინარე, სასწავლო დატვირთვა კვირაში შეადგენდა 135 საათს, ე. ი. მოსწავლეთა თითოეულ ჯგუფზე მუშაობდა ერთი მასწავლებელი. მთლიანად სკოლა და სკოლის ზნეობრივი, ინტელექტუალური და ფიზიკური მეთოდები ეფუძნებოდა თითოეული ბავშვის ძალებს და მოთხოვნებს.

რაც შეეხება სკოლაში გამოყენებულ მეთოდებს, დიდი ყურადღება ეთმობოდა სკოლაში ხელით შრომას. სკოლაში ფუნქციონირებდა: ხის დამუშავების სახელოსნო, სამზარეულო და საფეიქრო სახელოსნო. რა თქმა უნდა, ხელით შრომა სკოლაში

შეტანილი იყო უშუალოდ საცდელი ხასიათის მქონე მეცნიერულ დავალებებში. ცნობილია, რომ მეცნიერული მუშაობის დიდი ნაწილი (მისი მნიშვნელოვანი და სპეციალური სფეროები) მოითხოვს უდიდეს ტექნიკურ მოქნილებას. პირველი კლასის მეცნიერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს აღნიშნული უნარი აპარატებთან და მასალებთან სამუშაოდ. პატარებისათვის სკოლაში შემოტანილია შემდეგი სახის სამუშაოები: (ისტორიულ მუშაობებთან დაკავშირებული) ინსტრუმენტების, იარაღების, სამკაულების და ჭურჭლების ძერწვა. ასევე, ბავშვების მორალური და ინდივიდუალური განვითარებისათვის აუცილებელი ფიზიკური ვარჯიშები. გამოცდილებამ დაადგინა, რომ სკოლაში ხელით შესრულებული მრავალფეროვანი შრომა საუკეთესო საშუალებაა, რადგან ბავშვს შეუნარჩუნდეს ერთნაირი (ტოლფასი, მსგავსი) დამოკიდებულება სკოლის და სახლის გარემოსადმი. შთაბეჭდილებების უდიდეს ნაწილს ბავშვი ღებულობს ფიზიკური მოღვაწეობით, მანამ მას არ გამოუმუშავდება გონებით სისტემატიური მუშაობის ჩვევა-უნარი. სკოლის ამოცანაა ამ მოღვაწეობას მისცეს მიზნობრივი და სისტემატიური მიმართულება, რათა მოსწავლეთა მოქმედებებმა დაკარგონ ჩვეული შემთხვევითობა, როგორც ამას ადგილი აქვს სკოლის გარეთ. ერთმანეთისაგან გამომდინარე პრაქტიკული დავალებების გაერთიანება ურთულესს პრობლემას წარმოადგენდა, რაც არცთუ წარმატებით იქნა გადაჭრილი. მრავალი სახის შრომა (სადურგლო, საფეიქრო, სამკერვალო, მზარეულის) შეადგენს ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების არსებით ნაწილს, ვინაიდან ეს საკითხები ეხება ჩვენს ყოფას, ჩაცმას, სახლს და პირად მოღვაწეობას. ამ სამუშაოების შესრულებისას, ბავშვები ეჩვევიან ხელის და თვალის მოძრაობის კოორდინირებას, მათ უვითარდებათ მხედველობა და შეხებითი მგრძნობელობა. გარდა ამისა, ბავშვებს ეძლევათ ჯანსაღი მოძრაობების საშუალება, ვინაიდან მათში არსებობს მოთხოვნილება გამოავლინონ სასკოლო პროგრამით დასაშვებზე მეტი ფიზიკური აქტივობა. ამავდროულად აღნიშნული ქმედება მოითხოვს მეხსიერების მუდმივ მონაწილეობას, განსჯას, მიზნების და საშუალებების შეთანხმებას; წესრიგისადმი, შრომისადმი მიჩვევას, ინსტრუმენტებთან და ჭურჭელთან ფაქიზი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და ყოველგვარი ქმედების სისტემატიურობას. ამასთანავე მთელი ეს პრაქტიკული მოღვაწეობა მომდევნო

დავალეების საფუძველია. საკვების მოზადების პროცესში ბავშვები ეცნობიან ქიმიას, სადურგლო საქმიანობა კი მათ აცნობს გეომეტრიის პრინციპებს, ხოლო საფეიქრო და სამკერვალო საქმიანობა იძლევა გარკვეულ მონაცემებს გეოგრაფიასა და ისტორიაში. პირველყოფილი იარაღების და პირველი გამოგონებების გაცნობით, მოსწავლეები სწავლობენ მათ გავლენას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

უნდა ითქვას, რომ უფრო მეტი ყურადღება სკოლაში დაეთმო პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული პრობლემის გამოკვლევას. დაწვრილებით იქნა დამუშავებული ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. გამომდინარე აქედან, მოსწავლეები მეცადინეობას იწყებენ იმ სამუშაოებიდან, რასაც ასრულებდნენ სახლში. ისე რომ, მეექვსე წელს ბავშვებმა შეძლონ გადასვლა ისეთი საკითხების შესწავლაზე, როგორცაა: მიწათმოქმედების უფრო მნიშვნელოვანი და სამრეწველო ფაქტორები, მინერალების მოპოვება (სამთო საქმე), მეტყევეობა და ა. შ. ისინი ეცნობიან მრეწველობის მნიშვნელოვან დარგებს, ამავდროულად სწავლობენ სახვადასხვა მასალების - ხის, მეტალის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც მათი სამეცნიერო მუშაობის დასაწყისია. სწავლების მეორე წელს ბავშვები ეცნობიან მრეწველობის და გამოგონებების ისტორიულ განვითარებას, შეისწავლიან ადამიანის განვითარების ყველა საფეხურს - პირველყოფილი ადამიანიდან რკინის საუკუნის ჩათვლით, საიდანაც იწყება კაცობრიობის ცივილიზაცია. ბავშვები ეცნობიან პირველყოფილი ადამიანების განვითარების ეტაპებს თანმიმდევრობით.

ვინაიდან ბავშვებისთვის უფრო ნაცნობია ცხოვრების პრიმიტიული ფორმები, რათა მომავალში გაუიოლდეთ, მარტივად შეეგუონ დავალეებათა სიმძიმის ცენტრს-კაცობრიობის პროგრესის შესახებ. მომდევნო 2 ან 3 წელი, ე. ი. მეოთხე და მეხუთე კლასები უნდა მიემდგნას ამერიკის ისტორიას, რაც ფაქტიურად ნიშნავს ისტორიის შესწავლის დაწყებას (რადგან შეუძლებელია პირველყოფილი ცხოვრების მიზმა აღნიშნულ ისტორიასთან). შემდგომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეისწავლება საბერძნეთის და რომის ისტორია. პირველი, ორი ან სამი წელი ეთმობა ბავშვთა ყურადღების და დამკვირვებლობის უნარის განვითარებას და გულისხმობს ბავშვებში მცენარეების და ცხოველებისადმი ინტერესის გაღვიძებას, ფლორისა და

ფაუნის ღირებულებაში და მავნებლობაში გარკვევას. შემდგომში, ყურადღების ცენტრი გადადის გეოგრაფიის, როგორც დედამიწის ძირითადი ელემენტის შესწავლაზე. მეცნიერებისადმი სხვაგვარ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს ბუნების ძალების გამოყენება მანქანების მეშვეობით. ამის დასტურია: ა) ელექტროობის შესწავლა ტელეგრაფის და ტელეფონის აგებულებაში გასარკვევად (ანუ ცოდნის მიღება განსაღვრული მიზნით ხდება და არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს). ბ) მექანიკის დაუფლება საკეტების და საათების მოწყობილობის შესწავლით. ამგვარი პრაქტიკული მეცადინეობების შედეგი აუცილებლად იქნება მომავალში ფიზიკის დავალებების მარტივად (იოლად) შესრულება. რაც შეეხება საკვების მომზადებას, ეს პროცესი უამრავ სასარგებლო მონაცემებს აძლევს მოსწავლეებს სიტბოსა და წყლის შესახებ. ამასთანავე, ყველა ამ მეცადინეობებში (სკოლაში ჩატარებული, მეცნიერული დატვირთვის მქონე, ზემოთ ჩამოთვლილი დავალებები და სამუშაოები) ხაზგასმით იკვეთება ფიზიკის და ქიმიის ელემენტები და ამდენად განსხვავდება ჩვეულებრივი სასწავლო პროცესისაგან. რა თქმა უნდა არ იგულისხმება, რომ მეცნიარების და ცხოველების შესწავლა ნაკლებად ღირებულია, მაგრამ საჭიროდ ჩათვალეს დასაწყისიდანვე წინა პლანზე წარმოჩინდეს ფიზიკის ელემენტების შესწავლა. აგრეთვე ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია ხელოვნების და მუსიკის მეცადინეობები; აღსანიშნავია, რომ არც ერთი მეცადინეობა იმ ხარისხით ვერ ავითარებს დამკვირვებლობას და თანამიმდევრობას, თითოეული ნაწილის მთლიანთან ურთიერთკავშირის ხედვას, როგორც ეს თეტიკური შთაბეჭდილებები (34, გვ. 19).

რაც შეეხება სკოლის ორგანიზაციულ მხარეს, სკოლაში თავდაპირველად საჭიროდ არ მიიჩნიეს მოსწავლეთა ასაკობრივი დაყოფა; მათი შეხედულებით სასწავლო პროცესი სასარგებლოა ბავშვებისათვის, როგორც უმცროსებისათვის, ასევე უფროსებისათვის, ვინაიდან ისინი ეჩვევიან ერთმანეთის დახმარებას. მოსწავლეთა რაოდენობის მომატების შემდეგ, მოხდა მათი ჯგუფებად დანაწილება. ბავშვების წერა-კითხვის ცოდნა დაედო საფუძვლად ჯგუფების დანაწილებას, არამედ მათ საერთო მიდრეკილებები და უნარები.

თუმცა სკოლის მესვეურები, კლასებად მკაცრად დაყოფის თავიდან აცილების მიზნით, ემხრობოდნენ ასაკთა არევის სისტემის იდეას. ბავშვები უნდა შეხვდნენ და გაეცნონ სხვადასხვა მასწავლებლებს. შეხვედრა ხდება სიმღერის გაკვეთილებზე და საერთო კრებებზე, სადაც განიხილება ანგარიშები სხვადასხვა ჯგუფების მუშაობების შესახებ. უფროსი ბავშვები კვირაში ნახევარი საათი მუშაობენ უმცროსებთან სახელოსნოებში, რაც (სკოლის მესვეურთა აზრით) სკოლაში სახლის, ყოფითი განწყობილების, ატმოსფეროს (შინაურული გარემოს) შემანარჩუნებელია და აღარ ხდება ბავშვების დაყოფა ცალკეულ კლასებად. მასწავლებელთა გადანაწილება ცალკეულ სექციებში და განყოფილებებში ხდებოდა თანდათანობით. სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი განყოფილებები: მეცნიერების, ისტორიის, ხელითი შრომის (ხის და მეტალის დამუშავება), მუსიკის, ხელოვნების (ხატვის, ძერწვის, აკვარელის) და ტანვარჯიშის. შემდგომში სკოლაში გამოიყო ენების და მათემატიკის განყოფილება. სკოლის მესვეურთა შეხედულებით, სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, სკოლაში ამ განყოფილებების არსებობა მიზანშეწონილია (23, გვ. 26).

მამასადამე, სკოლის მეპატრონეთა შეხედულებით სკოლის საქმეებისადმი და ბავშვების განვითარებისადმი ერთგული დამოკიდებულებით მიიღწევა პედაგოგიური ძალების შესაბამისი ორგანიზება და შესაბამისად ინტერესების, შრომის და მომზადების ბუნებრივი დანაწილება. რაც შეეხება დისციპლინას და წესრიგს, სკოლაში წინა პლანზე დგას ოჯახური გარემოსათვის დამახასიათებელი საუკეთესო მხარეების წარმოჩენა. ერთ მასწავლებელს დაქვემდებარებული და საკუთარ მოძრაობებში შეზღუდული მოსწავლეები ცხადია ეჩვევიან კლასში ცნობილ გარეგნულ „წესრიგს“. თუმცა აღნიშნულ სკოლაში, სადაც მრავალრიცხოვანი ჯგუფები ფუნქციონირებდნენ და გამოირჩეოდნენ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის თბილი პირადი ურთიერთობებით, უცნაური იქნებოდა ამგვარი წესრიგის მიღწევა. სკოლის მესვეურების შეხედულებით: თუკი ბავშვებს ეძლეოდათ მეტი თავისუფლება, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა დისციპლინის უარყოფას, არამედ მიმართული იყო სკოლის პირობებში, მოსწავლეებში ღრმა დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებისაკენ, რაც მოსწავლეთა უფრო სრული და ჰარმონიული განვითარების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, მესამე წლის ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში გადაჭრილი იყო რამდენიმე საკითხი. სწავლის ქირის მომატებასთან ერთად, სკოლის ზრდა მოწმობდა შემდეგს: ა) ინდივიდუალურ განვითარებას უქველად მოყვება მშობელთა უპირობო თანაგრძნობა; ბ) კოლეგა მასწავლებელთა ორგანიზაციის მტკიცებით სრულყოფილად მომზადებული პედაგოგები მზადყოფნაში არიან, სწავლებას იმდენივე დრო და ყურადღება დაუთმონ, როგორც უმაღლესი განათლებას.

ყოველდღიურმა გამოცდილებამ კი ცხადყო, რომ ბავშვებს შეუძლიათ იცხოვრონ სკოლაში ისე, როგორც სახლში; ამავდროულად, მიიღონ ცოდნა და გახდნენ უფრო ყურადღებიანი და დამჯერენი; ყველაზე პატარებშიც კი სწავლება ეფუძნება სიმართლეს, რომლისკენაც ტექნიკური უნარების ათვისების კვალდაკვალ, მიისწრაფვის ბავშვის გონება; და ბოლოს ბავშვების განვითარება, ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყველანაირი სიხარულის შენარჩუნებით, შეიძლება იყოს ბუნებრივი და სრულყოფილი. პროგრესულ სკოლებში ძალდატანებასა და მკაცრ დისციპლინას ინდივიდუალურობის გამოხატვა და თავისუფალი მოქმედება უპირისპირდებოდა. თუმცა, დიუსის აზრით, არასწორია ვიფიქროთ, რომ უფროსის მხრიდან ნებისმიერი მითითება ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფას ნიშნავს. ტექსტებითა და მასწავლებლების დახმარებით სწავლას აქ გამოცდილებით სწავლა ანაცვლებდა. მათი მოსწავლეები შორეული მიზნებისთვის კი არ ემზადებოდნენ, არამედ ყოველდღიურ სამყაროს ეცნობოდნენ.

დიუსის სკოლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და სასწავლო გეგმის მორგებას მოსწავლეებზე. ენობრივად ნიჭიერ ბავშვებს არ ართმევდნენ შესაძლებლობას, ეკითხათ და ესწავლათ ტრადიციული მიდგომებით. მაგრამ იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ იყვნენ ასე გაწაფულები, სასწავლო გეგმა სხვა საშუალებებს ითვალისწინებდა. თუკი მოსწავლეები შეძლებდნენ, რომ ანტიკური რომის ცოდნა გამოეხატათ რომის კოლიზეუმის მოდელის აგებით, იმის ნაცვლად, რომ დაეწერათ სემესტრის ბოლოს მოთხოვნილი თემა რომის ისტორიის შესახებ, მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ითვლებოდა. ექსპერიმენტულ სკოლებში ტრადიციულ ტესტებს, როგორც საგნის ცოდნის ინდიკატორს, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა

და უფრო მოსწავლეების პროექტების შეფასებაზე იყო აქცენტი გადატანილი. მოსწავლეებიც საკმაოდ ჩართულები იყვნენ სასწავლო პროცესში, რადგან მათ არ აძალებდნენ გაეკეთებინათ ის, რისი გაკეთებაც არ სურდათ.

პროგრესულ სკოლებში სასწავლო გეგმა თანდათან ფართოვდებოდა. აქ ტრადიციულ საგნებზე ფიქრობდნენ, რომ ის ხელოვნური და ვიწრო იყო, ამდენად ლიმიტირებული და არაბუნებრივი. ბავშვები უფრო მეტს ისწავლიდნენ პირდაპირი გამოცდილებით. თუმცა სასწავლო გეგმის გაფართოება გულისხმობდა არა უფრო მეტ ხელობაზე ორიენტირებულ და პროფესიულ საგნებს, არამედ ტრადიციული საგნების რეორგანიზებას. რეორგანიზებისას გაქრა ისტორია და სახელმწიფო მართვა, როგორც ცალკეული საგნები და გაჩნდა სოციალური მეცნიერებები. საბოლოოდ კი სოციალური მეცნიერებები დაჯგუფდა ინგლისურ ენასთან და შეადგინა „ძირითადი საგნების“ ნუსხა.

ერთი მხრივ, მოგეჩვენებათ, რომ დიუის სასწავლო გეგმაში თითქოს ადილი არ უნდა ჰქონოდა ხელოვნებას, სიმღერას, ცეკვას, მუსიკას, რადგან ეს ყველაფერი არ ჯდება განათლების, როგორც სოციალური წვრთნის მიზანში. მაგრამ დიუი დაწყებით სკოლებში ხელოვნების სწავლებას აუცილებლობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ხელოვნებას აქვს განსაკუთრებული ღირებულება, რომელიც ადამიანის არსებობას არსს სძენს. ადამიანებს გააჩნიათ ბუნებრივი მიდრეკილება იმღერონ, დახატონ და ა. შ. აქედან გამომდინარე, სასწავლო გეგმა მოიცავდა ხელოვნების ნიმუშების კეთებას, პიესების დადგმას და წარსული ცივილიზაციების ამსახველი მაკეტების აგებას (??? 81).

დიუის მთელი სიცოცხლე უხდებოდა თავისი თეორიის ახსნა-განმარტება. მთავარი, რისთვისაც დიუის და მის „გამოცდილებით სწავლებას“ აკრიტიკებდნენ, იყო ის, რომ იგი მოზარდებს აიძულებდა, ხელობა ესწავლათ და მათ უშუალოდ პროფესიული და სახელობო სწავლებისათვის ამზადებდა. თუმცა, თავად დიუი მიიჩნევდა, რომ გამოცდილებით სწავლების ამგვარი გაგება ძალიან ვიწრო და ზერელე იყო. დიუი ამბობდა, რომ ხეზე და მეტალზე მუშაობა, ქსოვა, კერვა თუ კულინარია, განხილული უნდა იყოს, როგორც სწავლის ერთ-ერთი მეთოდი, და არა როგორც კონკრეტული საგანი. იგი ამტკიცებდა, რომ ყველა ბავშვმა უნდა შეიძინოს

პრაქტიკული უნარები, მაშინაც თუ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აპირებს, რომელიმე კონკრეტული უნარის ფულის გამომუშავების მიზნით გამოყენებას.

დიუი საწარმოო შრომის აუცილებლობას სკოლაში განიხილავს ორი მხრიდან: პირველი გზა ესაა, ამჟამინდელი ცხოვრების ეკონომიკა; მეორე გზა კი ბავშვის ასაკის პედოლოგიკური თვისებები. ძველი სკოლა, სადაც გამეფებულია: უმოდრაობა, მეთოდების და პროგრამების ერთფეროვნება, სადაც სიმძიმის ცენტრი ბავშვებს უჭირავთ და სადაც გაბატონებულია მასწავლებელი და სახელმძღვანელო, რომელიც უნდა გარდაიქმნას იმგვარად, რომ სკოლის ცენტრალურ ფიგურად გახდეს ბავშვი. „ეს გარდაქმნა, ეს რევოლუცია ისეთივეა, როგორც მოახდინა კოპერნიკმა, მაშინ როცა, მან ჩვენი სისტემის ცენტრად აღიარა არა დედამიწა, არამედ მზე. ამჟამად ბავშვი არის ის მზე, რომლის ირგვლივაც ბრუნავს მთელი საგანმანათლებლო საშუალებები, მთელი სასკოლო ცხოვრების განმსაზღვრელი რადიუმით“ (54, გვ. 50).

დიუი თვლიდა, რომ ბავშვებისთვის დამახასიათებელია ოთხი ძირითადი თავისებურება: სოციალური ინსტინქტი (ურთიერთობის, საუბრის ინსტინქტი), შემოქმედებითობის (შექმნის) ინსტინქტი, კვლევის ინსტინქტი და მხატვრული შემოქმედების ინსტინქტი. ყველა აღნიშნული ინსტინქტი დაკმაყოფილდება შრომითი აღზრდით. დიუი მოუწოდებს პედაგოგებს კვალდაკვალ მიყვინენ ბავშვის ბუნებრივ განვითარებას; იგი მიუთითებს აღზრდის უმართებულობაზე, სადაც მიზანდასახულია ბავშვების მომზადება მხოლოდ მათი მომავალი როლისთვის. მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოება, რომ ეკონომიკური და მის კვალდაკვალ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, სწრაფი ტემპებით იცვლება და რომ ბავშვების გაზრდის მომენტისათვის ცხოვრების პირობები სრულიად სხვაგვარი იქნება. აღზრდაში ორიენტირება უნდა გაკეთდეს არა მომავალზე, არამედ ახლანდელზე (თანამედროვეობაზე). „აღზრდელიობითი საშუალებების შეფასების საფუძველი როდია ის, თუ მომავალში რას მიიღებს მოზარდი, არამედ ის, თუ რას მისცემს აღზრდის მეთოდები აღზრდის პროცესშივე ბავშვს. ამგვარად, აღზრდა არის თავისთავადი მიზანი, დამოუკიდებელი ფასეულობა“ (54, გვ. 15).

დიუი გვიხატავს რა შრომითი სკოლის სასურველ ტიპს, მას საფუძველად უდებს შემდეგ პრინციპებს: 1. საწარმოო შრომა, როგორც საფუძველი მთელი სასკოლო

ცხოვრებისა; 2. ცხოვრებისა და სკოლის სხვადასხვა მოვლენებს შორის სრული, მოქნილი, ცოცხალი კავშირი; 3. სკოლის პროფესიული ხასიათის ან თუნდაც გადახრის უარყოფა; 4. ერთიანი სკოლის ურთიერთკავშირი; 5. სკოლა ორგანიზებულია იმ საშუალებებით, რომლებიც ბავშვთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მოქმედებაში, მუშაობაში, შემოქმედებაში; 6. მომზადება არა მომავლისთვის, არამედ თანამედროვეობის გამოყენება: „დაე ბავშვმა მიიღოს სკოლაში ის გამოცდილება (და არა სკოლის კედლებს გარეთ), ანუ ბავშვი სკოლიდან მიდის იმ ცოდნით აღჭურვილი, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში“ (41, გვ. 29).

სკოლასთან მჭიდროდაა დაკავშირებული: 1. ოჯახური ცხოვრება; 2. გარემომცველი გარემო (ბაღი, პარკი, მინდვრები, სოფელი); 3. ხელობები და საერთოდ ადამიანთა საქმიანობები; 4. უნივერსიტეტი ყველა თავისი სიმდიდრით და საგანმანათლებლო საშუალებათა მრავალფეროვნებით: ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკებით, მუზეუმებით და ტექნიკური განყოფილებებით, ასევე პროფესიული ბავშვი, იმდიდრებს რა ცოდნას ახალი მონაცემებით, იყენებს მათ ცხოვრებაში, ბუნებაში და სხვადასხვა; ყოველდღიურ ცხოვრებას და სკოლას შორის მუდმივი ურთიერთქმედება არსებობს.

სკოლის შემადგენლობაში შედის მინდორთან, ბახჩასთან, ბოსტანთან და სოფელთან მუდმივ კავშირში მყოფი სასაბავშვო და სამზარეულო; და სამრეწველო მოქმედებასთან უშუალო კავშირში არსებული სასკოლო სახელოსნოები, რთვა, ფეიქრობა, კერვა. ყველა ამ ცალკეული სამუშაოების დამაკავშირებელი რგოლი უნდა იყოს ბიბლიოთეკა, ყოველგვარი გონებრივი საშუალებების თავმომყრელი და შემდგომში პრაქტიკული მუშაობების გამმუქებელი. ბიბლიოთეკას სასკოლო სახელოსნოსთან, სასაბავშვოსთან და სამზარეულოსთან აკავშირებს სასაუბრო ოთახი, სადაც ბავშვებს მოაქვთ თავიანთი გამოცდილება, ამოცანები, კითხვები, კერძო შემთხვევები და ყველა ამ მასალების განხილვას თან სდევს ცოდნის და გამოცდილების გაღრმავება სხვა ადამიანების გამოცდილების მიხედვით, ასევე, სამყაროში თავმოყრილი სიბრძნის დაუფლება, რაც განსახიერებულია ბიბლიოთეკაში; აქ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა.

შემდგომში სკოლის შემადგენლობაში შედის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ლაბორატორიები, გრაფიკული ხელოვნება და მუსიკა. სახელოსნოში და სამზარეულოში წამოჭრილი ფიზიკური და ქიმიური კითხვები გადაიჭრება ლაბორატორიებში; ცალკეული ლაბორატორიების დამაკავშირებელი რგოლი მუზეუმია, სადაც თავმოყრილია დამუშავების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ნედლეულის ნიმუშები; ყველაზე მარტივი და ყველაზე რთული წარმოების იარაღები; ნედლეულის მოპოვების ადგილმდებარეობის, პეიზაჟების ამსახველი ფოტოსურათების და ნახატების კოლექციები. აქვეა საუკეთესო ქსოვილების ნიმუშები.

როგორც ზემოთ ავლინებთ, დიუი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს შრომით სკოლაში ხელოვნების მნიშვნელობას: „კვანძის (ნასკვის) ერთი ხელთნაკეთი მხარე, ხელოვნებისათვის სუფთა ხელოვნებაა, მაგრამ თუ მან ცხოვრებასთან კავშირი დაკარგა, გადაიქცევა სენტიმენტალურ, ცარიელ ნამუშევრად. რა თქმა უნდა, სასკოლო სამუშაოების ყოველი მეცადინეობის შეთანასწორება, ცალკეულ დეტალებამდე შეუძლებელია ხელოვნებასთან. მხოლოდ ხელოვნებისა და სასკოლო მეცადინეობებს შორის ერთანობა აძლევს სიცოცხლის უნარიანობას ხელოვნებას და სიღრმეს მთელ საქმიანობას“ (21, გვ. 77).

სკოლა, რომლის იდეალსაც იძლევა დიუი, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ განვითარებას; ფიზიკური განვითარება მიიღწევა სკოლაში მთელი რიგი მეცადინეობებით. ამ იდეალურ სკოლაში, ტანვარჯიშის მეცადინეობების არარსებობა, როგორც დიუი აღნიშნავს, გამოწვეულია იმით, რომ „ჩვენი სკოლა განმსჭვალულია ფიზიკური შემოქმედებით, ტანვარჯიში კი, თანამედროვე სკოლის არანორმალურ პირობებში, მიზნად ისახავს გამოსაწოროს ბავშვთა განსაკუთრებული სისუსტე, ან კიდევ ცდილობს შექმნას უფრო ჯანმრთელი სხეული, როგორც საფუძველი უფრო ჯანსაღი სულისათვის“ (39, გვ. 102).

ნაშრომში „მომავლის სკოლა“ დიუი ასახავს რამდენიმე ამერიკული სკოლის მოღვაწეობას - შრომითი სკოლის იდეების პრაქტიკაში გამხორციელებას (ფეროპის სკოლა, მისურის სკოლა, ჰარის სკოლა და სხვა). დიუის პედაგოგიურ იდეებში იკვეთება შრომითი სკოლის ორი მიმართულების სინთეზი: 1) მოქმედების სკოლის -

სადაც პირველ ადგილზეა ქმედება (საქმიანობა); მისი მთავარი წარმომადგენელია ლაი, და 2) შრომის სკოლის, სადაც ძირითადი პრინციპია საწარმოო შრომა. „სწავლება საქმიანობის მეშვეობით“, აი ლოზუნგი, რომელიც სრულყოფილად აჯამებს ბავშვების ცხოვრების სინამდვილესთან კავშირს. ბუნებრივად როგორ სწავლობს ბავშვი? იგი არ კითხულობს წიგნებს, არ ისმენს ახსნა-განმარტებებს ცეცხლის ბუნებაზე, კვებაზე, მაგრამ იცვამს, იკვებება, ე.ი. სწავლობს ქმედებით (საქმიანობით). ამგვარი ციტატები უხვადაა დიუის ნაშრომებში, ამასთან ერთად ბროშურა „სკოლა და საზოგადოება“ მთლიანად წარმოადგენს მოთხოვნას, სკოლაში შეიტანონ არა უბრალოდ „ქმედება, საქმიანობა“, არამედ, საწარმოო შრომა და მის ირგვლივ, როგორც ცენტრალური საქმიანობის ირგვლივ, მთელი სასკოლო ცხოვრების კონცენტრირება.

ურთიერთშეთანხმებულობის აღიარებით შრომით სკოლას და საწარმოო სკოლას შორის, დიუიმ წამოწია „სიცოცხლის (ცხოვრების) სკოლის“ იდეა. დიუი ითვალისწინებს რა ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, ბავშვის ინდივიდუალურობას, საკუთარ პედაგოგიურ შეხედულებებს, უპირატესობას ანიჭებს მოქმედების სკოლის იდეებს. დიუის შეხედულებით საწარმოო შრომის მოტივაციას საფუძვლად უდევს ოფიციალური შეხედულებები. დიუის პედაგოგიკაში, „სიცოცხლის სკოლის“ თეორიაში, თანასწორი ადგილი უჭირავს, როგორც საწარმოო შრომას, ასევე „მოქმედების“ შრომას, სწორედ რომ ინდივიდუალური და სოციალური ფესვების სინთეზირების მცდელობაა შრომით სკოლაში.

განათლებაში დიუის გავლენამ გამოხატულება ჰპოვა გამოცდილებითი განათლების კონცეფციაში. ამ კონცეფციის მიხედვით, განათლება გამოცდილების განვითარებაა. ტრადიციულ სკოლაში მოსწავლეები იღებენ გამოცდილებას, მაგრამ არ შეუძლიათ მისი დაკავშირება მომავალთან და მისი ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენება. გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების ძირითადი პრობლემაა ისეთი აწყობა-გამოცდილების შერჩევა, რომელიც ნაყოფიერად და შემოქმედებითად ამოქმედებს მოსწავლეს. შესაბამისად, საჭიროა ახალი განათლებისათვის შესაფერისი მასალების, მეთოდებისა და სოციალური ურთიერთობების შემუშავება,

რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების თანმიმდევრულ უწყვეტობას და განგრძობითობას. თითოეული გამოცდილება, რომელსაც ადამიანი შეიძენს, ცვლის მას, როგორც ამ გამოცდილებაში მონაწილეს და მომდევნო გამოცდილებაში რაღაცით შეცვლილი, განსხვავებული ადამიანი გადადის. ადამიანის ყოველი გამოცდილება მისი განვითარების მამოძრავებელი ძალაა. იგი გავლენას ახდენს სურვილების, მიზნების და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. პედაგოგის მოვალეობაა სათანადოდ შეაფასოს რა მიმართულებით ვითარდება ახალგაზრდის გამოცდილება, რა დამოკიდებულებები და ტენდენციები უყალიბდება მას, რათა განასხვავოს მათ შორის რომელია შემდგომი ზრდისთვის ხელშემწყობი და რომელი საზიანო. ამისათვის კი მას უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა გაგების უნარი და მათ მიმართ კეთილგანწყობილი უნდა იყოს. ამავდროულად, პედაგოგებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორი გარემო უწყობს ხელს სამომავლო ზრდისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გამოცდილების შექმნას და როგორ უნდა გამოიყენონ არსებული ფიზიკური და სოციალური გარემო ამ მიზნებისთვის. უფრო მეტიც, საჭიროა შეიქმნას განათლების ისეთი სისტემა, რომელიც ობიექტურ პირობებს სისტემატურად დაუქვემდებარებს ინდივიდთა „შიდა“, სუბიექტურ პირობებს, ანუ მასწავლებელი, წიგნი, სასწავლო ინვენტარი მოემსახურება მოზარდთა უშუალო მიდრეკილებების გამოვლენასა და განვითარებას. ამრიგად, მასწავლებელმა სწორად უნდა განსაზღვროს ის გარემო, რომელიც ეფექტურ ურთიერთქმედებაში მოვა მოსწავლეთა უნარებთან და მოთხოვნილებებთან, რაც ხელს შეუწყობს ღირებული გამოცდილების დაგროვებას. სწავლების მეთოდების შერჩევა უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ რა სარგებლობას მოუტანს იგი კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადამიანს.

ამავდროულად, პედაგოგის მოვალეობაა თითოეული ინდივიდის და საგნის ცოდნის საფუძველზე შეარჩიოს ისეთი სასწავლო ჯგუფური აქტივობები, რომელშიც ყველა ინდივიდს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს და რომელშიც ყველა მოსწავლე ერთად მონაწილეობს. ამ სიტუაციაში მასწავლებელს ეკისრება პასუხისმგებლობა, ისე წარმართოს მოსწავლეთა ურთიერთობები, რომ შესაძლებელი გახდეს ჯგუფის, როგორც ერთი ორგანიზმის მუშაობა. ამგვარად, მასწავლებელი ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს. მეორე მხრივ, აზროვნების და

პიროვნების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია გარკვეული თავისუფლების ხარისხი, რომელიც მოსწავლეებს განუვითარებს მიზნების დასახვასა და ამ მიზნების განხორციელების უნარებს. დიუის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია თავისუფლების გარეგნული მხარეც. კერძოდ, ფიზიკური თავისუფლება, რადგან მხოლოდ ფიზიკურად თავისუფალ გარემოში არის შესაძლებელი მოსწავლეებმა გამოავლონონ თავისი ნამდვილი ბუნება, ხოლო სიჩუმე და უსიტყვო მორჩილება ხელს უშლის მასწავლებელს გაიცნოს მოსწავლეები. ამგვარად, გამოცდილებითი განათლების ერთ-ერთი მთავარი იდეაა სასწავლო საქმიანობაში მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ე.წ. „კეთებით სწავლების“ და „სოციალური სწავლების“ დროს. დიუის სჯეროდა, რომ სწავლა აქტიურია, სწავლება კი ფუჭი და შეზღუდული. მისი აზრით, ბავშვებს სკოლაში რეალური გარემო უნდა შევუქმნათ, ვუხელმძღვანელოთ მათ გამოცდილებას და წავახალისოთ საზოგადოებაში ჩართულობის მისეული უნარი. დიუის განათლების კონცეფციის ძირითადი პოსტულაცია, რომ ერთი მხრივ განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას და არა ფაქტების დამახსოვრებას, სამსახურისთვის მოსამზადებელ წვრთნას; მეორე მხრივ, განათლების სოციალური ფუნქცია სხვა დანარჩენ ფუნქციაზე მაღლა დგას.

ამრიგად დიუის სკოლა-ლაბორატორიაში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა გამოცდილებით სწავლაზე. თუმცა იგი მიიჩნევდა, რომ პედაგოგმა უნდა შეძლოს ისეთი გამოცდილება, რომელიც მომავალში წახალისებს და აქტიურად ჩააბამს მოსწავლეს სასწავლო პროცესში. მისი აზრით სკოლა-ლაბორატორიაში მიღებული გამოცდილება არ იყო მხოლოდ რაიმის პასიურად გამოცდა. ასეთ სკოლაში მასწავლებლებმა იცოდნენ თავიანთი მოსწავლის ადრინდელი გამოცდილების შესახებ. საგანი მზადდებოდა მოსწავლეთა მომზადების დონისა და მათი საჭიროებების გათვალისწინებით. იყო მუდმივი ინტერაქცია მოსწავლეებსა და მათი შესწავლის საგანს შორის. ტექსტებითა და მასწავლებლის დახმარებით სწავლას, აქ გამოცდილების მეშვეობით სწავლა ანაცვლებდა.

§8. დიუისა და ჰერბარტის დიდაქტიკური სისტემის შეპირისპირებითი ანალიზი

ჰერბარტის პედაგოგიკური შრომები ახალ ვითარებაში ახლებურ წაკითხვას საჭიროებს. იგი არის მრავალმხრივი მეცნიერი, რომლის ნაშრომების შეფასება იდეოლოგიური სტერეოტიპების პოზიციებიდან არ შეიძლება. მან პირველმა მიმართა აღზრდაში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის შეერთების მეცნიერულ ცდას. სხვა საკითხია, თუ როგორ შეძლო ჰერბარტმა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ყველა ჭეშმარიტების აღმოჩენა და კოორდინაცია. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჰერბარტი მრავალმხრივი თვალსაზრისით ცდილობს აღზრდის შესახებ მეცნიერებისა და ხელოვნების დამუშავებას და ეს მისი უდიდესი დამსახურებაა.

ჰერბარტის თანახმად, აღზრდის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ზნეობრივი პიროვნების, მორალურად ძლიერი ხასიათის ფორმირება; აღზრდა, მისი აზრით, უნდა დაეფუძნოს შემდეგ ეთიკურ იდეებს:

- სრულყოფის იდეა, რომელიც გულისხმობს პიროვნების ძლიერებას და ენერგიულ ნებისყოფას, ინტერესთა მრავალმხრივობას, მიზანსწრაფულობას.

- კეთილგანწყობილების იდეა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ადამიანმა საკუთარი თავგანწირვითაც კი მოუტანოს სიკეთე სხვა ადამიანებს, რომლებიც ამის საჭიროებას განიცდიან. ამგვარად, ჰარმონიულობა მყარდება ადამიანთა შორის.

- უფლების იდეა, რომელიც გამოიყენება ზნეობრივ მსჯელობაში, ორი ან რამდენიმე კონფლიქტის შემთხვევაში. ეს კონფლიქტები უნდა გადაწყდეს ნებაყოფლობითი შეთანხმებით შემუშავებული უფლებების საფუძველზე.

- სამართლიანობის იდეა - ემსახურება ნებისყოფის ჰარმონიულობას. იგი მსჯელობის საწყისს იმ პირთა დაჯილდოებაზე ხელმძღვანელობს, რომელთაც სამსახური გაუწიეს საზოგადოებას ან ცალკეულ პირებს, ანდა მსჯელობენ იმ პირთა დასჯაზე, რომელნიც არღვევენ ჰარმონიულობას. ჩვენ მანამდე არ ვიქნებით დაკმაყოფილებული, სანამდე სათანადო სამართლიანი მსჯავრი არ იქნება გამოტანილი.

• შინაგანი თავისუფლების იდეა, რომელიც იძლევა საშუალებას შეათანხმოს ადამიანის ნება მის სურვილებთან და მტკიცებულებებთან. თუ რწმენასა და ადამიანის ქცევას შორის არ არის თანხმობა, იგი არ შეიძლება ზნეობრივად თავისუფალ ადამიანად ჩაითვალოს, ის მონაა.

მართვის მთელი სისტემა, რომლის ამოცანაა, მოაშოროს ბავშვი უწესრიგობასა და დისციპლინის დარღვევას, ჰერბარტმა ძალადობაზე ააგო. ის ფიქრობდა, რომ ცნობიერება არ აქვს მანამ, სანამ სისტემატური სწავლების გზით არ შეიძენს გარკვეულ წარმოდგენებს.

ჰერბარტი სწავლებას აღზრდის უმთავრეს და ძირითად საშუალებად თვლიდა. ის ამბობდა, არ არსებობს ადამიანი სწავლების გარეშე. „სწავლება ზნეობრივი აღზრდის გარეშე არის უმიზნო შრომა“. მისი განმარტებით სწავლებამ აღსაზრდელში უნდა აღძრას მრავალმხრივი ინტერესი.

განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ჰერბარტს დიდაქტიკის განვითარებაში. პედაგოგიკური მეცნიერებისადმი ნოვატორული მიდგომით ქმნის განმავითარებელი სწავლების დიდაქტიკას და გამოყოფს სწავლების ეტაპებს (საფეხურებს).

სასწავლო პროცესი ჰერბარტის მიხედვით წარმოადგენს მოსწავლეთა ჩაღრმავებას სასწავლო მასალაში და ჩაღრმავებას თავის თავში, ანუ გააზრებას. ეს ორი მომენტი შესაძლოა იყოს სტატიკურ (მყარი) მდგომარეობასა და დინამიკურ (მოძრავ) მდგომარეობაში. აქედან მიიღება სწავლების ოთხი თანმიმდევარი საფეხურის თეორია: სიცხადე, ასოციაცია, სისტემა, მეთოდი.

ჰერბარტის თეორია ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნის შუა ხანებში. თანამედროვეთა შეფასებით, მან არაკეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა სკოლის განვითარებაზე: სწორედ მისი გავლენით დაიწყო იმ შეხედულებების განვითარება, რომელთა თანახმად სწავლების მიზანს წარმოადგენს შესასწავლი მზა ცოდნის გადაცემა; აქტიური სასწავლო პროცესში, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს მასწავლებელი, მოსწავლისათვის კი განპირობებულია პასიური როლი. განსაკუთრებით დახვეწილად ითვლებოდა, ყველასათვის, ერთი და იმავე „ფორმალურ საფეხურებზე“ დაფუძნებული გაკვეთილის სქემა; მასწავლებელი უნდა

მიჰყოლოდა მეთოდურ დებულებებს, ვერ ბედავდა შეღავათის გაწევას მოსწავლეებისათვის, პროგრამის მათ მოთხოვნებთან და ინტერესებთან შესაბამისობას.

ჰერბარტის მიერ შემოთავაზებულ სწავლებისა და აღზრდის სისტემას ჰქონდა ნათლად გამოკვეთილი ავტორიტარული ხასიათი. მაგრამ მისი კრიტიკული გააზრების გარეშე, არ იქნებოდა სრულყოფილი თანამედროვე დიდაქტიკური თეორია და პრაქტიკა (10, გვ. 42).

XIX საუკუნის მიწურულში ამერიკელმა პედაგოგებმა ფ. მაკმერიმ, დე გარმომ და მათმა მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს „ამერიკელ ჰერბარტიანთა საზოგადოება“ და მიზნად დაისახეს ჰერბარტის პედაგოგიური იდეების გავრცელება აშშ-ში.

ჰერბარტის პედაგოგიური იდეების გავრცელებამ გამოიწვია ის, რომ სკოლებში მეტი ყურადღება დაეთმო სწავლების მეთოდებისა და ბავშვის აღზრდის საკითხებს. ბევრ სკოლაში გადმოიღეს აგრეთვე გაკვეთილის აგების ჰერბარტისეული სქემა.

სწორედ ასეთ ვითარებაში აშშ-ის პედაგოგიურ სარბიელზე გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც ოდნავ შეარბილა ექსპერიმენტალისტთა დებულებანი და იგი დაუქვემდებარა თავის ახალ თეორიას. ეს იყო ჯონ დიუი, პრაგმატისტული პედაგოგიკის მამამთავარი. მან ამერიკული სკოლის მუშაობა ახალი გზით წარმართა.

დიუიმ დაიწყო იმით, რომ გააკრიტიკა ჰერბარტი და მისი ამერიკელი მიმდევრები. როდესაც ჰერბარტს აკრიტიკებდა, დიუი წერდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზაციის დროს საჭიროა გამოვიდეთ ბავშვის მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან, მისი ზრდისა და განვითარების კანონზომიერებებიდან და არა თვით საგნის ლოგიკიდან. დიუისა და მისი მიმდევრების მეცადნიეობით ჰერბარტის მიმდევართა პოზიცია თანდათან შეირყა. რამაც აშშ გარდაუვალი გახადა სკოლაში რეფორმა ჩაეტარებინა.

ამდენად, როგორც წინა პარაგრაფებში ავლნიშნეთ, ამერიკელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და პედაგოგის ჯ. დიუის დიდაქტიკა დამუშავებულია, როგორც ჰერბარტისტების ავტორიტარული პედაგოგიკის ალტერნატივა, რომელიც წინააღმდეგობაშია საზოგადოებისა და სკოლის პროგრესულ განვითარებასთან.

ფრიდრიხ ჰერბარტის იდეების საფუძველზე დიუიმ დაამუშავა საკითხები: ა) სწავლის საფეხურები; ბ) მრავალმხრივი ინტერესის იდეები; გ) დიუის მიერ სწავლების უნივერსალური ჰერბარტალური იდეის აღიარების უარყოფა და ჰერბარტის სისტემის საწინააღმდეგოდ მან წამოყენა შემდეგი ბრალდებები:

- დისციპლინარულ ზომებზე დაფუძნებული ზედაპირული აღზრდა;
- ცხოვრებასთან კავშირს მოკლებული სწავლება (წიგნიერება);
- მზა ცოდნის მოსწავლეებზე გადაცემა, დამახსოვრებაზე მიმართული პასიური მეთოდების გამოყენება;
- მოსწავლეთა ინტერესებისა დამოთხოვნილებების არასაკმარისი აღრიცხვა;
- საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან სწავლების შინაარსის მოწყვეტა;
- მოსწავლეთა უნარების განვითარებისადმი არასაკმარისი ყურადღება.

დაიწყო რა თავისი ექსპერიმენტები ჩიკაგოს ერთ-ერთ სკოლაში 1895 წელს, დიუიმ აქცენტი გააკეთა მოსწავლეთა საკუთარი აქტიურობის განვითარებაზე და მალევე დარწმუნდა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და მათი ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით აგებული სწავლება მეტად უფრო უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე „ვერბალური“ (სიტყვიერი, წიგნიერი) ცოდნის დამახსოვრებაზე დამყარებული სწავლება.

დიუის ძირითად წვლილად სწავლების თეორიაში წარმოჩინდა, მის მიერ დამუშავებული კონცეფცია, რომ ადამიანი, მაშინ იწყებს ფიქრს, როდესაც იმ სიძნელეებს ხვდება, რომელთა გადალახვას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მის ყოველ ქმედებაში (აზროვნებაში) არის საფეხურები: სიძნელის განცდა, მისი აღმოჩენა და განსაზღვრა, მისი გადაწყვეტის (ჩანაფიქრის) წარმოჩენა (ჰიპოტეზის ფორმულირება), სავარაუდო გადაწყვეტილებებიდან (ჰიპოტეზის ლოგიკური შემოწმება) გამომდინარე დასკვნების ფორმულირება და ჰიპოტეზის მიღებისა და უარყოფის განმსაზღვრელი შემდგომი დაკვირვებები და ექსპერიმენტები.

გადაწყვეტილების მოძიების პროცესში გადასალახავი „სიძნელეების“ შემდგომ დიუიმ შემოიტანა სიტყვა „პრობლემა“. დიუის აზრით, სწორად აგებული სწავლება უნდა იყოს პრობლემური. ამასთან მოსწავლეების წინაშე დასმული თვით პრობლემები პრინციპულად განსხვავდებიან ჰერბარტის მიერ

შემოთავაზებული სასწავლო დავალებებისაგან - „ყალბი პრობლემებისაგან“, რომელთაც აქვთ დაბალი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფასეულობა და ძირითადად შორს დგანან იმისაგან, რითაც ინტერესდებიან მოსწავლეები (5, გვ. 39-40).

მასწავლებელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეთა ინტერესებს, „მიაწოდოს“ მათ პრობლემის გაგებისა და გადაწყვეტის გზავნილები. დიუის აზრით, სავსებით შესაძლებელია განათლების ისეთი სისტემის შექმნა, სადაც მოსწავლის სუბიექტურ პირობებს დაექვემდებარება ობიექტური პირობები. ეს მოხდება მაშინ, როცა მასწავლებელი, სასკოლო წიგნი, სასწავლო ინსტრუმენტები და თვით სასკოლო გარემო, ანუ ყველაფერი ის, რაც უფროსების გამოცდილების პროდუქტია, დაექვემდებარება მოზარდების უშუალო მიდრეკილებებს, გრძნობებსა და სურვილებს. ტრადიციული განათლების სისტემის ნაკლი ის კი არ იყო, რომ ის სასკოლო მასალების შერჩევას, მასწავლებელთა გადამზადებას ან სკოლის საჭირო აღჭურვილობას ვერ აკმაყოფილებდა, არამედ ის, რომ ტრადიციული განათლების წარმომადგენლები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლის/მოზარდის უნარებსა და მიზნებს. სწორედ ამის გამო გახდა სწავლებისა და სწავლის პროცესი შემთხვევითობაზე დამოკიდებული: ის, ვინც კარგად ეგუებოდა არსებულ, უკვე პატივსაცემ და მარადიულ ფასეულობად ქცეულ სასკოლო გარემოს, კარგად სწავლობდა, ხოლო ისინი, რომლებსაც უჭირდათ ამ პირობებთან ადაპტაცია, სწავლობდნენ ისე, როგორც შეეძლოთ. „ყველაზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რაც შეიძლება სწავლის პროცესში გაჩნდეს, არის სურვილი სწავლის გაგრძელებისა. თუ საამისო სტიმული და მამოძრავებელი ძალა გამლიერების ნაცვლად შესუსტდა, საქმე გვაქვს გაცილებით სერიოზულ პრობლემასთან, ვიდრე უბრალოდ, მომზადების ნაკლებობა ან უქონლობაა. მოსწავლე, ფაქტობრივად, განიძარცვება თავისი ბუნებრივი, თანდაყოლილი შესაძლებლობებისგან, რაც სხვა შემთხვევაში ცხოვრებისეულ სიტუაციებთან გამკლავების საშუალებას მისცემდა“, წერს დიუი (17, გვ. 293).

ამავდროულად, პედაგოგის მოვალეობაა თითოეული ინდივიდის და საგნის ცოდნის საფუძველზე შეარჩიოს ისეთი სასწავლო ჯგუფური აქტივობები, რომელშიც

ყველა ინდივიდს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს და რომელშიც ყველა მოსწავლე ერთად მონაწილეობს. ამ სიტუაციაში მასწავლებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ისე წარმართოს მოსწავლეთა ურთიერთობები, რომ შესაძლებელი გახდეს ჯგუფის, როგორც ერთი ორგანიზმის, მუშაობა. ამგვარად, მასწავლებელი ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს. მეორე მხრივ, აზროვნების და პიროვნების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია გარკვეული თავისუფლების ხარისხი, რომელიც მოსწავლეებს განუვითარებს მიზნების დასახვისა და ამ მიზნების განხორციელების უნარებს. დიუის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია თავისუფლების გარეგნული მხარეც. კერძოდ ფიზიკური თავისუფლება, რადგან მხოლოდ ფიზიკურად თავისუფალ გარემოში არის შესაძლებელი მოსწავლეებმა გამოავლინონ თავისი ნამდვილი ბუნება, ხოლო სიჩუმე და უსიტყვო მორჩილება ხელს უშლის მასწავლებელს გაიცნოს მოსწავლეები (9, გვ. 241).

მოსწავლეები თავის მხრივ, უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტით ისინი თავისთვის სულ ახალ-ახალ ცოდნას შეიძენენ. გაკვეთილები აიგება „აზროვნების სრული აქტის“ საფუძველზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ:

- იგრძნონ კონკრეტული სიძნელე;
- განსაზღვრონ იგი (პრობლემის გამოვლენა);
- ჩამოაყალიბონ ჰიპოთეზა მისი გადალახვის მიხედვით;
- მიიღონ პრობლემის ან მისი ნაწილების გადაწყვეტა;
- შეამოწმონ ჰიპოთეზა დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების დახმარებით.

ჯონ დიუი ამტკიცებს, რომ ყოველგვარი თეორია, იდეა, ცნება უნდა შეფასდეს როგორც „ინსტრუმენტი მოქმედებისათვის“. დიუი თავის პედაგოგიკაში ხელმძღვანელ მომენტად აღიარებს „სარგებლობას“, მოითხოვს, რომ აღზრდა გამომდინარეობდეს ბავშვის ინსტრუმენტიდან და გამოცდილებიდან. დიუი პედაგოგიურ პროცესში წამყვანად აღიარებს არა მასწავლებელს, არამედ ბავშვს. მასწავლებელს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი როლი აკისრია ახალგაზრდების განვითარებაში; მასწავლებელმა მთელი მისი დაგროვებული ცოდნით უნდა დააინტერესოს მოსწავლე და ხელი შეუწყოს მის განვითარებას. დიუი ამბობს:

„გამოცდილება, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. მასწავლებლის მიერ მომავალი გამოცდილების დაგეგმვა და მოსწავლის წინა გამოცდილება ერთად აღებული, განსაზღვრავს საზოგადოების მომავალს“ (17, გვ. 23).

ჰერბარტიესულ სისტემასთან შედარებით დიუიმ შემოგვთავაზა თამამი სიახლეები, მოულოდნელი გადაწყვეტილებები. წიგნიერი სწავლების ადგილი დაიკავა აქტიური სწავლების პრინციპმა, რომლის საფუძველს წარმოადგენს მოსწავლეთა საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობა, აქტიური მასწავლებლის ადგილი ჩაანაცვლა - მასწავლებელმა - თანაშემწემ (დამხმარემ), რომელიც თავს კი არ ახვევს მოსწავლეებს შინაარსს თუ მუშაობის მეთოდებს, არამედ, მათ ეხმარება სიმწიფის გადალახვაში, როდესაც მოსწავლეები თვითონ მიმართავენ მათ დახმარებისათვის. ნაცვლად ყველასათვის საერთო სტაბილური სასწავლო პროგრამებისა, შემოიტანა საორიენტაციო პროგრამები, რომელთა შინაარსი მხოლოდ ზოგადად განისაზღვრებოდა მასწავლებლის მიერ. ზეპირი და წერილობითი სიტყვის ადგილი დაიკავა თეორიულმა და პრაქტიკულმა მეცადინეობებმა, რომელზეც ხორციელდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი საკვლევო სამუშაო.

მთლიანობაში ჯ. დიუის დიდაქტიკური იდეები მდგომარეობდა შემდეგში: 1. ბავშვის აქტიურობის განვითარება; 2. ინტერესის აღძვრა, როგორც სწავლების მოტივი; 3. სასწავლო პროცესის საფუძველად ბავშვის ინდივიდუალური გამოცდილების აღიარება; 4. თანდაყოლილი ინსტიქტების მიდრეკილებების გამოვლენა; 5. ინდივიდუალურ გამოცდილებაში ზნეობრივი აღზრდის განხილვა; 6. სკოლის მიზანი არა ინტელექტის განვითარებაა, არამედ ემოციური აღზრდა; 7. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება; 8. მასწავლებელი - მხოლოდ მრჩეველი; 9. შრომითი პროცესების გვერდით თამაშის, იმპროვიზაციის, თვითშემოქმედების პროცესებისათვის დიდი ადგილის დათმობა; 10. სახელმძღვანელოების ნაკლებად გამოყენება სწავლების პროცესში.

მაგრამ, მიუხედავად დიუის დიდაქტიკის მრავალი მიმართულებით რევოლუციური ხასიათისა, მასში აღმოჩნდა და გრძელდება უარყოფითი გამოვლინებები. ადვილი შესამჩნევია, რომ დიუი, ისევე როგორც ჰერბარტი,

სწავლების საფეხურებს მიაკუთვნებს ყველა სასწავლო საგანს და სასწავლო სამუშაოს, რომლის შედეგად ეს დონეები ღებულობენ ფორმალურ ხასიათს და პრეტენზიას აცხადებენ უნივერსალურობაზე. პრაქტიკა უარყოფს უნივერსალურ მოდელს და გვიჩვენებს, რომ სწავლება არ შეიძლება იყოს „სრულად პრობლემური“ - დიუის მიხედვით, არც „სრულად ვერბალური“ - ჰერბარტის მიხედვით და არც რაიმე სხვა იონური პროცესი.

მიგვაჩნია, რომ დიუის „პრაგმატისტული“ დიდაქტიკა ცდილობდა გადაეწყვიტა სწორედ ის საკითხები, სადაც ჰერბარტის „ტრადიციული დიდაქტიკა აღმოჩნდა უძლური“. შედეგად იყო შემუშავებული „უკიდურესად“ ერთი და იმავე პრობლემის ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, რომლებიც შესანიშნავ შედეგს იძლევა სწავლების ცალკეულ მომენტებში, მაგრამ უკიდურესობები არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, რაც მალევე აღმოცენდა ორთავე სისტემის მიღწევების ანალიზისას, რომლებიც ერთნაირად არ პასუხობდნენ სწრაფად მიმდინარე ცხოვრებისეულ მოთხოვნებს.

თავი III

აღზრდის საკითხები ჯონ დიუსისპედაგოგიკურ ნააზრევში

§ 1. აღზრდის ზოგიერთი საკითხი დიუსის

პედაგოგიკურ კონცეფციაში

დიუი ამტკიცებს, რომ ყოველგვარი თეორია, იდეა, ცნება უნდა შეფასდეს, როგორც „ინსტრუმენტი მოქმედებისათვის“. ის თავის პედაგოგიკაში ხელმძღვანელ მომენტად აღიარებს „სარგებლობას“, მოითხოვს, რომ აღზრდა გამომდინარეობდეს ბავშვის ინსტრუმენტიდან და გამოცდილებიდან.

დიუსის პედაგოგიკა სასწავლო პროცესში წინა პლანზე აყენებს არა სისტემურ ცოდნას, არამედ თვით ბავშვის პირად გამოცდილებას და პრაქტიკას. მისი აზრით, სკოლამ თითოეული ბავშვი უნდა გადააქციოს საზოგადოების წევრად, ჩაუნერგოს თავის გაწირვის უნარი და გაუჩინოს თვითმმართველობის საჭირო სახსარი.

როგორც წინა პარაგრაფებში ავლნიშნეთ, დიუსის აზრით, აღზრდა არეგულირებს: ა) სოციალურ ცნობიერებაში მონაწილეობისათვის მომზადების პროცესს, და ბ) ამ ცნობიერების მონაცემებისადმი ინდივიდუალური შემოქმედების მისადაგებას. სწორედ ეს არის სოციალური გარდაქმნის ერთადერთი საიმედო მეთოდი. დიუსის შეხედულებით, სკოლისა და დემოკრატიის ურთიერთდაკავშირების იდეების აღმოცენება და გავრცელება, წარმოადგენდა ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან ფაზას განათლებაზე მისი თანამედროვე შეხედულებების განვითარებისათვის. დიუსისათვის საზოგადოების დემოკრატიული რეფორმირება, ადამიანის განმავითარებელი გარემოს შექმნის საწინდარია, რაც უზრუნველყოფს ადამიანის, როგორც დემოკრატიის სუბიექტად ჩამოყალიბებას. ასეთ განმსწავლელ და აღმზრდელ გარემოდ დიუსის სკოლები ესახებოდა. დემოკრატიის ჩვევების სწავლება, უპირველეს ყოვლისა, კლასებში უნდა განხორციელდეს, ვინაიდან სწორედ კლასი უნდა გარდაიქმნას მკვლევართა თანასაზოგადოებად. ჭეშმარიტების კვლევაში, ტოლფასოვნების პრინციპით, თითოეული მოსწავლის ჩართვა ყველაზე მეტად შეესაბამება პრინციპს - „მონაწილეები დემოკრატიის შექმნაში,“ დემოკრატიის მკვლევართა შემსწავლელი თანასაზოგადოება-კლასი, დემოკრატიის შესწავლის

პროცესს თან ახლავს, რომელიც განაპირობებს აუცილებელი ეთიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ჩვევების განვითარებას (26).

დიუი განათლებას განიხილავდა, როგორც აღზრდის, სწავლების, ადამიანის განვითარების პროცესს, რომელსაც შედეგად მოჰყვება მიღებული ნორმების შესაბამისი სოციუმის წევრთა რიცხვის ზრდა. განიხილავდა რა განათლებას (ფართო აზრით) სოციალური მემკვიდრეობის საშუალებად, ჯ. დიუი ამტკიცებდა: რომ „განათლება უპირველეს ყოვლისა გამოცდილების გადაცემაა სწავლების საშუალებით“ და რომ „საერთო გამოცდილება ყველა მოსწავლის შეხედულებების შემცვლელია“, ამასთანავე „ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანების არსი საბოლოოდ მდგომარეობს იმ წვლილში, რომელიც მას შეაქვს საზოგადოებრივი გამოცდილების ხარისხის ზრდაში“ (66, გვ. 108).

ჯ. დიუისათვის ჭეშმარიტი განათლება „მიიღწევა ბავშვში მოთხოვნილების უნარების გაღვიძების გზით, რა მოთხოვნილებებსაც მას წარუდგენს სოციალური პირობები, რომელშიც თვითონ ბავშვი იმყოფება. ეს მოთხოვნილებები უბიძგებს ბავშვს იმოქმედოს ერთიანი მთლიანი კოლექტივის წევრის სახით, აიძულებს მას თავისი ქმედებების და ჩვევების პირველდაწყებითი ვიწრო წრიდან გამოვიდეს და იმსჯელოს საკუთარ მეზე იმ სოციალური ჯგუფის კეთილდღეობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომელსაც თვითონ ეკუთვნის.

ჯ. დიუის შეხედულებით, ფორმალური სასკოლო სწავლების გავრცელების კვალდაკვალ იზრდება განხეთქილების გაზრდის საშიშროება ადამიანთა ბუნებრივ გაერთიანებაში არსებულ გამოცდილებასა და სკოლაში მიღებულ გამოცდილებას შორის; „სკოლა დაკავებულია კულტურის იმ ელემენტებით, რომელიც გამომდინარეობს ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურიდან, მაგრამ უპირატესად არსებობს, სიმბოლოებით გამოხატული, სპეციალიზირებული ინფორმაციის სახით. გამომდინარე აქედან, განათლება-სწავლებაზე საყოველთაოდ აღიარებული წარმოდგენის მქონენი, ვერ ხედავენ განათლების სოციალურ როლს, რომელიც ადამიანთა გაერთიანების ყველა ფორმების იდენტურია და რომელიც ადამიანთა ცნობიერებაზე ზეგავლენის მომხდენია. იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის და სპეციალური ინტელექტუალური ჩვევების მიღება არ ახდენს გავლენას სოციალური

წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე, მაშინ ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილება გაუაზრებელია, ხოლო სკოლა უშვებს ადამიანებს მხოლოდ „შესწავლილი ცოდნით შეიარაღებულს“. ამდენად, ერთ-ერთ ძირითად პედაგოგიურ პრობლემად დიუის ესახებოდა სწავლება-განათლების შემადგენლობაში არსებული ფორმალურსა და არაფორმალურს, მიზანმიმართულსა და სპონტანურს შორის წონასწორობა (51).

ჟ. დიუი ამტკიცებდა, რომ ადამიანი ცხოვრობს, მოქმედებს და ვითარდება ადამიანთა გარემოს ზეგავლენით და ადამიანის თითოეული ნაბიჯი დამოკიდებულია გარემომცველი ადამიანების მოლოდინებზე, მოწონებებზე და მსჯელობებზე; „სოციალური გარემო ინდივიდუუმებში აყალიბებს ინტელექტუალურ და ემოციურ შეხედულებებს, ადამიანების იმგვარ საქმიანობაში ჩართვით, რომელიც აღძრავს და გააძლიერებს გარკვეულ მოთხოვნილებებს, გააჩნია გარკვეული მიზნები, რასაც თან სდევს გარკვეული შედეგები“. ადამიანთა შეხედულებებში მთავარის ჩამოყალიბება მიმდინარეობს გარემოს სპონტანური ზემოქმედებით სწავლებისაგან დამოუკიდებლად. მხოლოდ მიზანმიმართულ სწავლებას ძალუძს წარმოაჩინოს შესაძლებლობები, ამ მეთოდით აღმოცენებულ, უფრო სრულყოფილი უნარების გამოსავლენად (68).

ჟ. დიუი განიხილავდა სკოლას: 1. როგორც მიზანმიმართულ, ორგანიზებულ სოციალურ გარემოს, მიმართულს მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებაზე; 2. სკოლა მოწოდებულია შექმნას გამარტივებული გარემო, მოსწავლეთა მიერ სოციალური გარემოს ფუნდამენტალური ელემენტების დაუფლების უზრუნველსაყოფად; 3. სკოლა წარმოადგენს წმინდა გარემოს, რომელიც იცავს მოსწავლეებს სოციალური გარემოს მიუღებელი ნიშან-ხაზებისაგან („საზოგადოებაში რეალურად არსებული შესასრულებელი საქმეების გასუფთავება და ოპტიმიზაცია“). 4. სკოლა ის მაკომპენსირებელი გარემოა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გადალახონ ბუნებრივი სოციალურ გარემოში მოქმედი შეზღუდვები, უფრო ფართო და დაბალანსებული გარემო შეიქმნან, ვიდრე ის, რომლის ზეგავლენის ქვეშაც მოექცეოდნენ საზოგადოების მოუმწიფებელი წევრები, იმ შემთხვევაში თუ ისინი თავისთავად იარსებებდნენ (51).

განიხილავდა რა სკოლას, როგორც სოციალურ დაწესებულებას, ხოლო განათლებას, როგორც სოციალურ პროცესს, რომელიც მარტო ცხოვრებისთვის მომზადების პროცესი როდია, არამედ თვით ცხოვრებაა. გამომდინარე ამ შეხედულებიდან, დიუი ამტკიცებდა, რომ „სკოლამ უნდა წარმოადგინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ფორმა, რომელშიც თავმოყრილია ყველა ფაქტორი, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ. მოსწავლეებმა კაცობრიობის მემკვიდრული კაპიტალიდან ამოიღონ ცოდნა და მიმართონ თავიანთი უნარები საზოგადოებრივი მიზნებისაკენ. სკოლა ბავშვის თვალში უნდა წარმოადგენდეს ისეთივე რეალურ და მიმდინარე ცხოვრებას, როგორც არის ის ცხოვრება, რომელსაც იგი მიჰყავს სახლში, მეზობლებს შორის და მეგობრებთან სათამაშოდ“ (82, გვ. 89). დიუის ღრმა რწმენით, სკოლა ხელოვნურად შექმნილი საგანმანათლებლო გარემოა და იგი მაქსიმალურად დაახლოებული უნდა იყოს ბავშვის ცხოვრების ბუნებრივ სოციალურ გარემოსთან. „ჩვენ, როგორც დიუი აღნიშნავდა, ცხოვრებიდან გამომდინარე აღზრდაში უნდა მოვიძიოთ სახელმძღვანელო იდეები სკოლაში საქმეების წარმოსაჩენად. სწავლების პირველი წლები მიმდინარეობს წარმატებით, სკოლამდე გაცილებით ადრე; ამ პერიოდში მიღებული ცოდნა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ მოთხოვნილებებთან, რომლებიც გამომდინარეობს ბავშვის არსებობის გარკვეული პირობებიდან. აღზრდის წარმატებული მეთოდების მოსაპოვებლად, უმჯობესია მივმართოთ ბავშვთა უშუალო მეთოდს, როცა მიღებული ცოდნა მათთვის აუცილებლობას წარმოადგენს და არა სკოლას, სადაც სწავლება ხშირად ორნამენტია და ის რაღაც სკოლაზე მოხვეული ზედმეტობაა. ჩვეულებრივ, სკოლები მოქმედებენ ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ, ისინი მოზრდილთა მეცნიერებით სარგებლობენ, იყენებენ იმ მასალას, რომელსაც არავითარი კავშირი არ გააჩნია განვითარებადი ორგანიზმის მოთხოვნილებებთან და ცდილობენ თავს მოახვიონ ე. წ. დიდების მეცნიერება ბავშვებს; ნაკლებად ითვალისწინებენ ზრდის ამ პერიოდში მოსწავლეთა მოთხოვნილებებს“ (83, გვ. 50).

ჟ. დიუი განათლებას განმარტავდა არა, როგორც რაიმე მოვლენას - ბავშვზე გარედან მოვლენილს, არამედ, განათლებას იგი განიხილავდა, როგორც ზრდას, იმ თვისებების და უნარების განვითარებას, რომლითაც ადამიანი იზადება ამ ქვეყნად.

იგი ამტკიცებდა, რომ „ზრდა არაა ის პროცესი, რომელიც ბავშვს სხვა ადამიანად აქცევს; ბავშვები თვითონ იზრდებიან“. იგი აღნიშნავდა, რომ პედაგოგიკის ენაზე ეს ნიშნავს: უპირველეს ყოვლისა, რომ საგანმანათლებლო პროცესს არ გააჩნია მიზნები მის სფეროებს გარეთ, ის თვით საკუთარი მიზანია, და მეორე, განათლება ესაა უწყვეტი რეორგანიზაციის, გარდაქმნის, გარდაქცევის პროცესი. დიუის აზრით: „არ არსებობს მიზანი, გარდა შემდგომი ზრდისა და არც ისეთი რაიმე, რასაც დაემორჩილება განათლება, გარდა შემდგომი განათლებისა, ვინაიდან ზრდა ცხოვრების დამახასიათებელი თვისებაა, განათლება ისეთივეა, როგორც ზრდა, განათლებას მის გარეთ მიზანი არ გააჩნია. სასკოლო განათლების ღირებულების განმსაზღვრელია შემდეგი: განათლების მიღების შემდეგ რა დოზითაა ჩამოყალიბებული ბავშვში მისწრაფება უწყვეტი ზრდისაკენ და რამდენადაა განხორციელების საშუალებებით აღნიშნული მისწრაფება უზრუნველყოფილი ცხოვრებაში“ (81, გვ. 78). დიუისთან ბავშვის განვითარების მართვა განათლების პროცესში, გულისხმობს: ა) მის ზრდასთან შეთანხმებულ ურთიერთქმედებას; ბ) მისი აქტივობისადმი „ხელისკვრას“ გარკვეული მიმართულებით; გ) მოქმედების მიმართვას თვით ბავშვის საკუთარი მიზნებისაკენ. მართვა უნდა შეესაბამებოდეს მომენტის პირობებს და ამავდროულად აწესრიგებდეს ცალკეულ ქმედებებს. იგი ამტკიცებდა, რომ „ერთის მხრივ, წმინდა გარეგანი ხელმძღვანელობა შეუძლებელია, გარემომ საუკეთესო შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს სტიმულები, რაც ამა თუ იმ რეაქციის გამოწვევის უზრუნველყოფელია. მეორეს მხრივ, თვით რეაქციები დაფუძნებულია ინდივიდში უკვე არსებულ ტენდეციებზე. სხვა ადამიანების ქმედებათა გონივრული და ბრძნული ხელმძღვანელობა უცილობლად ითვალისწინებს ადამიანებისთვის დამახასიათებელ ინსტიქტებს და ჩვევებს. ნებისმიერი მართვა სხვა არაფერია თუ არა: გადამიმართულება, გადართვა, გადატანა უკვე მიმდინარე მოქმედებებისა სხვა რაკუსში, სხვა რელსებზე და თუ არ გავიაზრებთ მოქმედი ძალების რაობას, არსს, მაშინ მართვის ყველა ჩვენი მცდელობა განწირულია (53).

პედაგოგმა უნდა გამოიყენოს ნებისმიერი საშუალება, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადამიანის საკუთარი უნარების ამოქმედება დასახული მიზნის

მისაღწევად, შექმნას ადამიანში შინაგანი მოთხოვნილება საჭირო მიმართულებით მოქმედებისათვის. ბავშვში მიზანდასახულობის ჩამოყალიბებისათვის მთავარია ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა. დიუის აზრით „მართვის მეტად ფუნდამენტალური საშუალებები, სხვა ადამიანების მხრიდან პირადი მითითებების და მორალის კარნახი როდია, არამედ, გონიერებაზე ზეგავლენა (რაც ვლინდება ურთიერთგაგების ჩვევების ჩამოყალიბებით) და რომელიც ყალიბდება სხვა ადამიანებთან ერთად მრავალფეროვანი საგნების ურთიერთშეთანხმებული გამოყენებით“.

ერთი ადამიანის მეორეზე ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივ და ხელოვნურ ფიზიკურ პირობებზე დაყრდნობით, იმგვარად, რომ მასში გავადვიდოთ საპასუხო აქტივობა. დიუისათვის განათლება არის არა „თხრობა და მოსმენა“, არამედ, ის აქტიური და კოსტრუქციული პროცესია. განათლება ეყრდნობა ბავშვურ მოტივაციას, უარყოფს დასჯას და მოფერებას. აუცილებელია თითოეული მოსწავლის კონკრეტული უნარების განვითარებაზე ზრუნვა, და არა ყველა მოსწავლისაგან მოვითხოვოთ და ველოდოთ ერთიან გასაშუალებულ და პირობით სტანდარტებთან შესაბამისობას (86).

დიუი უარყოფდა აზრს, რომ „განათლება მომზადების და მზადყოფნის პროცესია, რომლის მიზანია განათლების ყოველ ეტაპზე დამატებითი შესაძლებლობების ზრდა. განათლების არსის შესაჯამებლად, დიუი წერდა: „ერთნი განათლებას განიხილავენ, როგორც თანდაყოლილი უნარების გამოვლენას, რომელიც შიგნიდან გამომდინარეობს; მეორენი განათლებას განიხილავენ, როგორც პიროვნების გარედან ფორმირებას, ბუნების ობიექტების და წარსულის კულტურული არტეფაქტების შესწავლის გზით, მაგრამ შეიძლება კონცეფციას საფუძვლად დაედოს პიროვნების განვითარების იდეა და დავამტკიცოთ რომ განათლება არის გამოცდილების მუდმივი რეორგანიზაცია და გარდაქმნა. განათლება საბავშვო ასაკში, ყმაწვილობის და მოზრდილ ასაკში მიმდინარეობს ერთნაირად ვინაიდან, გამოცდილების ღირებულებას ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვრავს ათვისებულობა (დაუფლებულობა); ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, რომ ცხოვრებაში მთავარია შევავსოთ ცხოვრების ყოველი წამი ცხოვრების საკუთარი

გაგებით (აღქმით). ამრიგად, განათლება შეიძლება ასე განვმარტოთ: „ესაა გამოცდილების გარდაქმნა ან რეორგანიზაცია, რომელიც აფართოებს მის არსს და ზრდის ადამიანის უნარს, აირჩიოს მიმართულება მომდევნო გამოცდილებისათვის“ (84).

დიუის შეხედულებით, ბავშვის ბუნებრივი ზრდის ორიენტაციაზე მხარდაჭერა და მისთვის თვალყურის დევნება, ნიშნავს იმას, რომ „ჭეშმარიტი განვითარებისათვის აუცილებელია მეხსიერების ფაქტებით გადატვირთვის ნაცვლად, ცოტა ტიპური დებულებების ღრმა და მრავალმხრივი გაცნობა, რაც ხელს შეუწყობს პირადი გამოცდილების პრობლემებთან გამკლავებას. უარი უნდა ეთქვას ყველა სფეროში უამრავი რაოდენობის ცოდნის დაუფლებას. ამის ნაცვლად, დრო დაეთმოს იმ სამუშაოებს, რომლებითაც ბავშვები გაეცნობიან ცოდნის დასაუფლებელ საკითხებს და შეეხებიან დებულებებს და ფაქტებს, მეთოდებს და საშუალებებს, რომლებიც მათში აღძრავს სულიერ შიმშილს და ცოდნის წყურვილს.

დიუის პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც გამოხატავდა ბავშვის ერთიან, მთლიან განვითარებას, აღზრდისა და სწავლების პროცესების ერთიანობას, აღმოცენებულია შემდეგი ცნებების გაცნობიერებასთან: 1. გონიერება-სოციალური გამოცდილების პროდუქტი; 2. გონიერება-საშუალება, რომლითაც ადამიანი გადაჭრის თავის სასიცოცხლო პრობლემებს; 3. მორალის და ქცევის წესების ერთმანეთთან გაიგივება, რომელიც რეალური სინამდვილის სიტუაციებში, ადამიანის მოქმედების შედეგებზეა დამოკიდებული (67).

ჟ. დიუიმ ცხადად დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება ბავშვის ბუნებრივი განვითარება დავუკავშიროთ პედაგოგიურ პროცესს. მან შეიმუშავა განათლების მოდელი, რომლის ჩარჩოებშიც ადამიანის, როგორც მოქალაქის ინდივიდუალური განვითარება და სოციალური არსების ჩამოყალიბება ერთმანეთთან ჰარმონიულად შეთავსებული, ორგანულად შეერთებულია. დიუიმ წინ წამოსწია და თანმიმდევრულად დაიცვა „პროგრესული განათლების“ იდეალი, როგორც განათლება, რომელიც პროგრესში გამოვლენილი (უწყვეტი რეკონსტრუქცია) ადამიანის გამოცდილებაა. აღნიშნული პროგრესი მას წარმოდგენილი ჰქონდა,

როგორც უწყვეტი პროცესი და შეადგენდა განათლების მიზანს, არსს, შედეგს და მნიშვნელობას (69).

ამრიგად, როგორც წინა პარაგრაფებშიც ნათლად ჩანდა, დიუისეული აღზრდა სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სწავლება-აღზრდის პროცესში მოქმედების შედეგების გაცნობიერების კვალდაკვალ, თამაში ბუნებრივად გადადის მუშაობაში, შრომაში. შრომა მოღვაწეობაა, ის მოიცავს თავის თავში, მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, საკუთარ შედეგებს, რეზულტატებს და მათ შესწავლას. შრომა, რომელშიც შენარჩუნებულია თამაშის ფასეულობები, არის ხელოვნება. აქედან გამომდინარეობს, დიუისეული აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში, სწავლების პროცესში სათამაშო მეთოდების და ხელოვნების უდიდესი როლი.

§ 2. მორალის თეორიები ჯ. დიუის

პედაგოგიურ ნააზრევში

მორალის თეორიების კუთხით, ქართულ ენაზე საინტერესო სტატიები გამოაქვეყნეს ასოცირებულმა პროფესორებმა: მ. ახვლედიანმა და ნ. ორჯონიკიძემ. ისინი აღნიშნავენ, რომ „ჯ. დიუი განათლებას სიცოცხლის შენარჩუნება-განახლების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. განათლებას მოაქვს ადათ-წესების, რწმენის, ბრძოლის, შრომის და სხვათა მუდმივი ცვალებადობა. ჯ. დიუის განათლება ამ უწყვეტობის, ე. ი. სიცოცხლის მარადისობის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა. ადამიანი ველურ ყოფაშიც და თანამედროვე პირობებშიც უსუსური იბადება. ხანდაზმულობაში, ისინი, რომლებიც განათლებასა და გამოცდილებას ფლობენ, კვდებიან, სიცოცხლე კი გრძელდება, ახლადგაჩენილსა და ხანდაზმულს შორის დისტანციის აღმოფხვრა მხოლოდ ცოდნის გადაცემით ხდება. ცოდნის გადაცემა ფიზიკური არსებობისათვის ბრძოლაში აუცილებელია და მით უფრო საჭიროა იგი შემოქმედებით, მეცნიერულ და მორალურ სფეროებში“ (2).

მ. ახვლედიანისა ნ. ორჯონიკიძის აზრით ჯ. დიუი საინტერესოდ აყალიბებს მორალის თეორიებს, რომლის მიხედვითაც სასკოლო სწავლებისა და დისციპლინის მიზანი პიროვნული ხასიათის ფორმირებაა. განხილულ უნდა იქნას ის შემაფერხებელი კონცეფციები, რომლებიც ინტელექტს, პიროვნულ ხასიათს უკავშირდებიან. პირველი ბარიერი ისაა, რომ მორალთან დაკავშირებულ მოქმედებებს ყოფენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებად. ხშირად მას შიდა და გარე, ან სულიერს და ფიზიკურ ფაქტორებს უწოდებენ. ეს დაყოფა გონებისა და სამყაროს, სულისა და სხეულის, მიზნებისა და საშუალებების დაშორიშორებაა. დუალიზმის კონცეფცია - მოტივი და ხასიათი განიხილება როგორც „შინაგანი“, შედეგები და ქცევა აღიქმება გონებისგან გარეთ არსებულ უბრალო ქცევად, რომელსაც მოტივი აქვს.

„ზოგიერთი სკოლა მორალურობას აიგივებს გონების შინაგან მდგომარეობასთან ან გარეგან ქცევასთან, შედეგებთან ურთიერთგანცალკავებულად. განზრახვით ნაკარნახევი მოქმედება შეიცავს საბოლოო მიზნის მიმართ გაცნობიერებულ მდგომარეობას. ადამიანის ფიქრები, დაკვირვებები, სურვილები და ანტიპათია ბუნებრივი, თანდაყოლილი აქტივობებია. მხოლოდ მათი მოქმედებით შეიძლება რუტინული ჩვევებისა და ბრმა იმპულსებისაგან თავდახსნა. ცნობიერი სურვილი, რომელიც წინ უსწრებს მოქმედებას, წარმოსახვის სტიმული ხდება. თეორიები ასეთ მომენტს იყენებენ იმისთვის, რომ ზღვარი გაავლონ შინაგანსა და გარეგან ქცევას შორის. ჯ. დიუი თვლის, რომ სოციალურ ასპექტში განუხორციელებელი სურვილი კლასს აიძულებს საკუთარ ფიქრებში ჩაიკეტოს აუცილებელი პირობების უქონლობის გამო. გამოსავალს იგი ასეთ შემთხვევაში საკუთარ ფიქრებთან ჩაკეტვაში ჰპოვებს. ეს ფიქრი დროებითია ისე, როგორც თხრილზე გადახტომის მსურველის შეყოვნება, სადაც უნდა მოხდეს ცნობიერების აქცენტირება გადაწყვეტილების მისაღებად. შეყოვნების ბევრი ასეთი მომენტი ახსოვს ისტორიას“ (2).

სკოლის მიზანია მოსწავლეს მისცეს სასარგებლო ჩვევები, რომ ისწავლოს თვითმართვა საჭირო შედეგების მისაღებად. როცა იარსებებს განგრძობადი აქტივობა, რომელიც მოიცავს მოსწავლის საკუთარ ინტერესებს გარკვეული შედეგის

მისაღწევად, სხვების დიქტატის გარეშე გარდაუვალი გაცნობიერებული განზრახვისა და სურვილის განვითარება და არა რეფლექსია - საკუთარ აზრებსა და განცდებში ჩაძირვა. ქცევაა მორალურობის საზომი.

ჯ. დიუი თავის წიგნში „დემოკრატია და განათლება“ ღრმა ანალიზს უკეთებს ინტერესისა და მოვალეობის დაპირისპირებას. იგი აღნიშნავს, რომ ხშირად იხმარება ეს ანტითეზა. პრინციპებისა და ინტერესების ურთიერთდაპირისპირებისას „ინტერესს“ ეგოისტურად თვლიან, რადგან საკუთარი მოგება სარგებლობადაა ნავარაუდევო. ამ პრინციპის მიმდევრები იყენებენ ტერმინს „საკუთარი ინტერესი“. ისმის კითხვა, რა სხვაობაა საკუთარ ინტერესსა და ინტერესის გარეშე ქმედებას შორის. თუ „საკუთარი“ მოქმედებამდე არსებული რამ არის ინტერესიდან გამომდინარე მოქმედება, ეს ნიშნავს საკუთარი თავის სასარგებლოდ მოქმედებას, ეგოისტური აქტია. გამოდის, რომ ადამიანები, რომლებიც ღირსეულად იქცევიან, ინტერესი არ გააჩნიათ. ექიმი, რომელიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მკურნალობს შავი ჭირით დაავადებულს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს პროფესიის კარგად აღსრულების ინტერესი. შეიძლება სხვა სახის დაინტერესებაც, მაგრამ ექიმი მის ამ თავგანწირულ მოქმედებაში პოულობს საკუთარ მეს. ამდენად, შეცდომაა პიროვნული ინტერესისა და პიროვნული მეს განცალკევება. ეს ორივე ტერმინი ერთი და იმავე ფაქტის ორი სახელწოდებაა. ინტერესი გულისხმობს პიროვნულობის იდენტურობას მის ობიექტთან. არაეგოისტურობა არ ნიშნავს არც ინტერესების ნაკლებობას იმის მიმართ, რაც ინდივიდმა უნდა გააკეთოს და არც პიროვნულობის ნაკლებობას, ის არის ტენდენცია პიროვნული მესა და ინტერესის გაიგივების. თუ ვივარაუდებთ, რომ სასკოლო გარემო უნდა იყოს ისეთი, რომ შეძლოს სასურველი საქმიანობის უზრუნველყოფა, ე. ი. სკოლას ამ საქმიანობისადმი ინტერესი ამომძრავებს. არის დრო, როცა ინტერესი წყდება და ყურადღება იფანტება. ამ დროს საჭიროა დახმარება. აღდგება ინტერესი, მოვალეობის გრძნობა. ისინი საშუალებებია საკუთარი საქმის შესასრულებლად. ადამიანი, რომელსაც აქვს უნარი გაუძლოს დროებით იმედგაცრუებას, იგი სიმძნელების მიღებისა და გადალახვისაგან მიიღებს სასურველ შედეგს.

„ჯ. დიუი ბევრს საუბრობდა ინტელექტისა და ხასიათის შესახებ. ის აღნიშნავდა, რომ მორალის საკითხის განხილვისას ხშირად წარმოიქმნება პარადოქსი. გონება განიხილება, როგორც გარკვეული ნიჭი, რომლიდანაც გამომდინარეობს მორალური ინტუიციები. ზოგჯერ მორალურ ცოდნას მიიჩნევენ ცალკე მიდგომად. განათლების სფეროში ასეთი დაყოფა უიმედობას ქმნის პიროვნული ხასიათის აღზრდის პროცესში, რადგან არ არის გათვალისწინებული ცოდნის შექმნისა და აზროვნების განვითარების პროცესთან კავშირი. პლატონისა და სოკრატეს თეორიები ცოდნას სიქველესთან აიგივებენ. ადამიანი მათი აზრით ბოროტებას განზრახ არ ჩადის, ბოროტებას აკეთებს მხოლოდ სიკეთის არცოდნით. არისტოტელე აღნიშნულ პრინციპს არ იზიარებს იმის გამო, რომ თვლის, სიქველე იგივე ხელობაა, როგორც მედიცინა. მორალური ცოდნაა ის, რასაც ვსწავლობთ და ვიყენებთ საქმიანობის დროს, რომელსაც მიზანი აქვს და გულისხმობს სხვებთან თანამშრომლობას. ის ავითარებს სოციალურ ინტერესს და მართავს ინტელექტს, რომ ინტერესი ამოქმედდეს პრაქტიკის ფარგლებში. სოციალურ პირობებში ისინი წარმოშობენ მორალურ ინტერესს და განავითარებენ მორალურ ხედვას. ნებისმიერი განათლება, რომელიც ავითარებს სოციალურ ცხოვრებაში ცოდნის ეფექტურად გაზიარების უნარს, მორალურია, ის აყალიბებს პიროვნულ ხასიათს, რომელიც დაინტერესებულია განვითარებისათვის მუდმივი ცვლილებებით. ჯ. დიუის კარგად აქვს განმარტებული ქცევის სოციალური და მორალური მახასიათებლები. მორალი ფართო ცნებაა. იგი მოიცავს ყველა ადამიანის მოქმედებას. ყველა მოქმედება კი ჩვევის პრინციპიდან გამომდინარეობს. სიმართლისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, მზრუნველობა -სიქველეების საფუძვლებია. ისინი კავშირში არიან ათასობით სხვა დამოკიდებულებებთან, რომელიც ადვილი შესამჩნევი არ არის. მხოლოდ მათი სხვა მრავალ ფაქტორთან ინტეგრირებითაა შესაძლებელი ეფექტური მოქმედება. ქცევის მორალური და სოციალური მახასიათებელი ერთმანეთის იდენტურია. ადამიანი არის ის, რისი გახდომის შესაძლებლობაც მას აქვს სხვებთან კავშირის დამყარების საფუძველზე“ (2).

დიუის აზრით უაზრობაა ისეთი სკოლების არსებობა, სადაც გაკვეთილების დასწავლა ხდება სოციალური ცხოვრებისაგან დაშორებით. სათამაშო მოედნები,

სახელოსნოები, ლაბორატორიები არა მარტო იმისთვისაა საჭირო, რომ ახალგაზრდობის ბუნებრივად აქტიური მიდრეკილებები მართოს, არამედ, იგი გულისხმობს ურთიერთობას, თანამშრომლობას.

დიუსის მიაჩნია, რომ „სკოლაში მიმდინარე სწავლა უწყვეტად უნდა იყოს დაკავშირებული სკოლის გარეთ არსებულთან. ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა ორივე მხარეს ერთმანეთთან ექნებათ უწყვეტი შეხების წერტილები. კავშირის დარღვევა სასკოლო ცოდნას ცხოვრებაში გამოუყენებელს გახდის. მისი აზრით, განათლების ფარგლებში ნებისმიერი მიზანი და ღირებულება მორალურია. დისციპლინა, ბუნებრივი განვითარება, კულტურა, სოციალური ეფექტურობა მორალური თვისებებია. საკმარისი არ არის ადამიანი იყოს კეთილი, ის კეთილი უნდა იყოს რაიმე მიზნით და ეს „რაიმე“ არის უნარი, იცხოვრო სოციალურ წევრად ისე, რომ რასაც სხვებთან თანაცხოვრებით იღებ, აბალანსებდეს საკუთარ წვლილს“ (2).

ამრიგად ჯ. დიუსის მორალის თეორიები ეხლაც თანამედროვე მოთხოვნებს ესადაგება და ამ მოთხოვნათა შუქზე სახავს გზებს ადამიანთა ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის.

თავი IV

ჯონ დიუი - ქართული პედაგოგიკური აზროვნება და თანამედროვეობა

§1. ჯონ დიუი და ქართველი პედაგოგები მე-19 საუკუნის

მეორე ნახევარში

ჯონ დიუი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ეს პერიოდი ქართველ განმანათლებელთა: ილიას, აკაკის, გოგებაშვილის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას ემთხვევა და როგორც ეპოქის შვილებს და პროგრესულად მოაზროვნეთ სჩვევიათ, ფართოდ და თითქმის ერთნაირი მიდგომით ეხმაურებიან დროის მოთხოვნებს.

როგორც ასოც. პროფ. მ. ახვლედიანი აღნიშნავს, ჯონ დიუი, თავის შრომებში ეხება რა „ისტორიის როგორც სასწავლო საგნის მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ ის ცვლილებები, რაც კაცობრიობამ განიცადა პირველყოფილი თემური წყობილებიდან დღემდე, ძნელი აღსაქმელია იმის ცოდნის გარეშე, რაც ისტორიამ შემოგვინახა, ამიტომ გააჩნია მას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა. წარსულისადმი (შორეული, ახლო) ინტერესის გაღვივებას და ცალკეულ მოვლენებს შორის კავშირ-ურთიერთობის დამყარებას უამრავი ასოციაციის გამოწვევა შეუძლია, რაც აფართოვებს ცოდნის ჰორიზონტს, ნათელყოფს როგორც წარსულის ავ-კარგს, ასევე აწმყოსა და მომავლის პერსპექტივებს, რაც მთავარია, იგი აქტივობის საფუძველი ხდება და გამოცდილების ათვისების პროცესთანაა მჭიდროდ დაკავშირებული“ (6, გვ. 38).

ავტორი ხაზს უსვამს აქტივობის მნიშვნელობას, რომელიც საჭიროა წინ უძღოდეს ისტორიის სწავლებას. ახლადმიღებული აღქმა, რომელსაც ცნობისმოყვარეობა დაედება საფუძვლად უამრავ ინფორმაციას ისრუტავს. ყველა მათგანს გააჩნია დიდი საგანმანათლებლო დანიშნულება, რადგან მოიცავს ფაქტებს, შეხედულებებს, მოვლენებს, რომელიც დიდ შინაარსს იძენს დროისა და ადგილის გათვალისწინებით. აქვე ჩნდება თანამედროვეობისა და მემკვიდრეობის პასუხისმგებლობა და იმის გააზრება, რომ თანამედროვეთა ცხოვრება მარადისობის შემადგენელი ნაწილია. (23) ხოლო დიდი ილია ამ მოსაზრებას ასეთი ფორმით

წარმოუდგენს საკუთარ მკითხველს: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო-მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზე დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი” (6).

ჯონ დიუის აზრით, „ისწავლო ისტორია, ნიშნავს შეიძინო თაობებს შორის კავშირ-ურთიერთობის აღქმის უნარი. ისტორია ფაქტების კრებულია და იმ სოციალური ჯგუფების აქტივობები, რომელთა ცხოვრებას ჩვენ ვაგრძელებთ და რომელთა მიმართებაშიც შუქდება ჩვენი ტრადიციები და ინსტიტუტები. ჯონ დიუი მუთითებს, რომ ისტორია, როგორც საგანი, ტიპიური ინფორმაციული ხასიათისაა. ის მოზარდში არ უნდა აკუმულირდეს, როგორც ინფორმაციული გროვა. საგნის დიდი მოცულობა და მრავალფეროვანი ინფორმაცია ზოგჯერ აბნევს მასთან შეხებაში მყოფ ადამიანებს. დაინტერესებული ადამიანები ვერ არკვევენ, რა მეთოდებითა და ხერხებით შეიძლება განხორციელდეს საგნის სწავლება ისე, რომ საჭირო კვალი დააჩინოს მოსწავლის გამოცდილებას. თუ განათლების ფუნქცია გამაერთიანებელია და სოციალური, ასეთი საგნები სოციალური და ინტელექტუალური გამოცდილების ზოგად ფუნქციას უნდა ასრულებდნენ, მათ უნდა დაამყარონ პირდაპირი და ცხოვრებისეული კავშირები საგნის შინაარსში მოცემულ ფაქტებს, პრინციპებსა და შედეგებს შორის (23).

„ილია ჭავჭავაძის აზრით, ერის ისტორიის ცოდნა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ცხოვრებისეული პრობლემების გასაცნობიერებლად, სულიერი ცხოვრების მოსაწყობად. უამისოდ, მისი აზრით, ამაოა ყოფა, უშინაარსოა არსებობა, პირუტყვის დონეზეა გაუცნობიერებელი კაცი. „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის, ამიტომ ასეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგან და ბევრში უკან ჩამორჩება“. სწორედ მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდის მნიშვნელოვან საქმეს უკავშირებს ერის მამა ისტორიის ცოდნის აუცილებლობას. განსაკუთრებით მოძღვრავს იგი ამ მიმართებით ერის შვილებს: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცნობიერების უღელის წევა, შვილს უნდა გამორკვეული

ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი-ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა“ (6).

როგორც პროფესორი მ. ახვლედიანი აღნიშნავს, ამონარიდი ადასტურებს, რომ ჯონ დიუის მოსაზრება, ისტორიის როგორც სასწავლო საგნის ფუნქციის შესახებ გასიგრძეგანებული ჰქონდა ქართველ მწერალს. ის ითხოვდა ისტორიის შესწავლას პირდაპირი ცხოვრებისეული კავშირების გათვალისწინებით, აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების შედეგების ილუსტრაციით. თუ სწავლების პროცესში არ გაუცხოვდება ფაქტები და მოვლენები, გონება დაიტვირთება, გაფართოვდება და კავშირში აღმოჩნდება რეალურ ქმედებებთან, თუ თემაზე მუშაობის პროცესში გაიზიარება თანამედროვეობასთან დამაკავშირებელი ძაფები, გამოცდილება მომწიფდება, რაც ჯონ დიუის მიხედვით საკითხებია, რომელიც იქცევა პედაგოგის რესურსად, კაპიტალად და თუ მოსწავლეთა შესაძლებლობებშიც ღრმად გაერკვევა იგი, შეიკვრება წრე მარადისობის კანონის შესაგრძობლად, ცხოვრებაში გასათვალისწინებლად. ჯონ დიუი განათლების ძირითად პრინციპად სოციალურ მხარეს მიიჩნევს, განათლების მიზნად სახავს ინდივიდისადმი სოციალური ურთიერთობის ინტერესის აღძვრას, სოციალური კონტროლისადმი შეჩვევას, გამოცდილების კომუნიკაბელურობას (18).

ანალოგიური მოთხოვნები აქვს ილია ჭავჭავაძეს განათლების მიმართ. ის პრინციპულად აყენებს საკითხს: „სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება, განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად. განათლება, სწავლა და ცოდნაა ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. ვინც მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ახლა. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს... ყოველივე ეს თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე. ამ ნიჭს, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან“ (32).

ამრიგად მ. ახვლედიანის აზრით, ილია ჭავჭავაძე ადამიანთა ნაკლოვანებებს მხოლოდ აღზრდის პრობლემებს უკავშირებს და გმობს სწავლებისადმი

სქოლასტიკურ დამოკიდებულებას, გაუაზრებელი ზეპირობის მეთოდებზე დაყრდნობას.

როგორც მ. ახვლედიანი წერს, „დიუი როგორც დემოკრატიული სულისკვეთებით გაქდენილი მეცნიერი ნაშრომის დიდ ნაწილს უთმობს სწავლებისა და სოციალური ურთიერთობების საკითხებს. მისთვის წოდებრივი სხვაობა, დისკრიმინაცია სწავლებისა და განათლების პროცესში ყოველად მიუღებელია. თუ ილია ჭავჭავაძის ნააზრევს განვიხილავთ მასთან კავშირში აზრთა სრულ დამთხვევას ამოვიკითხავთ. „ერის წარმატება ქონებრივი თუ გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანი მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდან ყველმ ერთად საყოველთაოდ“. ან კიდევ - „ახლა სულ სხვა დროა და ამ სხვა დრომ სხვა მოძღვრება მოიტანა, მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი. ეხლა ცალკე კაცია თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტოა მისთვის უნდა ერჩოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარ თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს“ (6).

მართებულად მიგვაჩნია მ. ახვლედიანის დასკვნა, რომ ჯონ დიუი და ილია ჭავჭავაძე თითქმის ერთი ეპოქის შვილები იყვნენ. ზუსტად იმ დრომ მოიტანა საგანმანათლებლო პრობლემების ასე აშკარად და მომწიფებული ფორმით წარმოდგენა მკითხველის წინაშე, დრო კარნახობდა ჯონ დიუის დემოკრატიული პოზიციებიდან განეხილა საგანმანათლებლო საკითხები, სწორედ დრო და ეპოქა კარნახობდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მისულიყვნენ ერთგვაროვან დასკვნამდე შორეული ქვეყნის მეცნიერი და ქართველი განმანათლებელი დიდი ილია, რომელიც ასკვნიდა:

„მხოლოდითი გზა თავადაზნაურობისთვისაა, რომ ყველა ერთად, გამოურჩევლად და გამოუკლებლად მოზიარე იქმნას ჭირსა და ლხინში და თავისი ქონებრივი და გონებრივი ღონე არ შეალიოს ამო ცდას ცალკე ვიყო და ცალკევე ბედნიერდებოდეთ“-სწორედ ეპოქის მოთხოვნათა ანარეკლია“.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე ინდივიდებზე ორიენტირებული, კონკრეტულ მიზანდასახულებაზე დაქვემდებარებული სწავლების, საგანთა ინტერაქციით დაინტერესებული, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების, კეთებით სწავლების მომხრეა. ამ გზით უნდა მას შესძინოს ერის შვილებს ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო უნარები, რაც დემოკრატიული საზოგადოებისაკენ აძლევს მკითხველს მიმართულებას. აკი ამბობს კიდევ: „ცალ-ცალკე წევა ცხოვრების ჟღერისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისათვისაკენ და ჭირისასხვისაკენ, მარტო თავისთავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია” (6, გვ. 38).

ჯონ დიუის თავის ნაშრომში „დემოკრატია და განათლება“, სწავლების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გეოგრაფიის, როგორც სასწავლო საგნს. იგი განსაზღვრავს მის ადგილს განათლების პროცესში და იძლევა კონკრეტულ მითითებებს სწავლებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად. ასოცირებული პროფესორი მ. ახვლედიანი და პროფესორი ი. ბასილაძე სტატიაში „საგანმანათლებლო შეხედულებათა საინტერესო დამთხვევა“, განიხილავენ ჯონ დიუისა (1859–1952) და ქართველ პედაგოგის ალექსი ჭიჭინაძის (1851–1917) მოსაზრებათა და მიდგომათა თანხვედრას და ურთიერთშეპირისპირებას გეოგრაფიის სწავლების საკითხებში. აფასებენ და განიხილავენ მას თანამედროვე თვალთახედვით.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, „ჯონ დიუის მიხედვით გეოგრაფიის სწავლებისა და სწავლისას საჭიროა სივრცობრივი და ბუნებრივი კავშირების აღქმის უნარი და იმის გაცნობიერება, რომ მისი სასწავლო კურსი შეიცავს ფაქტებისა და პრინციპების კრებულს, რომლის მედიუმი წარსულში სხვა ადამიანებმა აღმოაჩინეს და დღევანდელი ცხოვრობს ამ სივრცეში. გეოგრაფია, როგორც საგანი, უფრო ფიზიკური საკითხების მომცველი და საინფორმაციო ხასიათის მატარებელია. იგი გვასწავლის რამდენად არის აღქმული ადამიანსა და ბუნებას შორის კავშირ-ურთიერთობა, როგორ დაედო საფუძველი კაცობრიობის საერთო ყოფას. ჯონ დიუის აზრით ეს ყოფა თავისი განვითარებით, ექსპერიმენტებით, მიღწევებითა და მარცხით

ერთპოლიტიკა და მჭიდრო კავშირშია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სწორედ, ის განსაზღვრავს სოციალურ ცხოვრებას. ცივილიზაცია ბუნების სხვადასხვა ენერჯის ფლობაა. გეოგრაფია, როგორც საგანი ბუნებაზე აკეთებს აქცენტს. მისი კვლევა-ძიება ბუნების მოვლენათა შესწავლას და მის მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოვლენებს უკავშირდება (7).

თითქმის ანალოგიური შინაარსის საგანმანათლებლო მიზანდასახულებას აკისრებს ქართველი პედაგოგი ალ. ჭიჭინაძე გეოგრაფიას, როგორც სასწავლო საგანს. გეოგრაფია - წერს იგი, ავარჯიშებს ყმაწვილის მეხსიერებას, ავარჯიშებს მის გონებას სხვადასხვა საგანთა და მოვლენათა დაკვირვებაში, მათ შედარებაში, მაშასადამე, სწრთვნის მას აზროვნებაში და აჩვევს კანონიერად დასკვნის გამოყენებას. იგი აღუძრავს ხოლმე ყმაწვილს ესთეტიკურ გრძნობას, უწრთვნის ფანტაზიას, უღვიძებს სიბრძნისმოყვარეობას და უნერგავს სიყვარულს საზოგადოდ ბუნებისადმი და კერძოდ სამშობლო ქვეყნისადმი (7, გვ. 41).

ჯონ დიუის მიხედვით გეოგრაფია კლასიკური განმარტებით, სწავლობს დედამიწას, როგორც ადამიანთა საცხოვრებელი ადგილს, განმარტება საგანმანათლებლო რეალობას გამოხატავს. მისი აზრით ადვილია განმარტებისას ეს წარმოდგენა, ხოლო ძნელია მისი სწავლება, რადგან იგი ადამიანთა სასიცოცხლო ქმედებებთან, მათ ადგილ-სამყოფელთან, გადაადგილებასთან, წარმატებულ და წარუმატებელ დასახლებებთან არის დაკავშირებული. გეოგრაფია მოიცავს უამრავ ფაქტს და მოვლენას, მათ მიმართ აღძრულ ხედვებს და დასკვნებს, რომლებიც თანამედროვე ადამიანებს შთააგონებენ, რომ ცალკეული ადამიანი დროისა და სივრცის ნაწილია და არა მხოლოდ რომელიმე ქვეყნის ან ქალაქის მკვიდრი. ჯონ დიუის აზრით, გეოგრაფიის სწავლებას არ უნდა განვიხილავდეთ, როგორც განყენებულ მოვლენას, იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მოსწავლის თვალსაწიერ მოვლენებთან. საგაკვეთილო ინფორმაცია არ უნდა მოწყდეს ცხოვრებისეულ არეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქნილობა დაეკარგება გონებას და გაქრება მომავალი აღქმის ინტერესი (18).

ალექსი ჭიჭინაძე თავის მეთოდურ სახელმძღვანელოში „მოკლე საუბარი სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით“, წერს, რომ „ჯერ იმაზე უნდა

ვესაუბროთ შევირდს, რაც თვალწინ უძევს, რაც ექვემდებარება გარეგან გრძნობათა მოქმედებას და შემდგომ უნდა გადავიდეთ უფრო შერეულზე და განყენებულზე” (35). ჯონ დიუის აზრით, კი სწორედ ასეთი კავშირ-ურთიერთობით შეიქმნება ის საფუძვლები, რომელიც აუმჯობესებს გეოგრაფიის სწავლებას და სწავლების შედეგებს. ამ გამაერთიანებელი კავშირების გარეშე გეოგრაფია დაემსგავსება ერთგვარ ფრაგმენტების გროვას, რომელიც ცნობებს წარმოადგენს მთების სიმაღლეზეც, მდინარის დინებაზეც, წიაღისეულ მონაპოვარზეც და ტვირთიძვანაზეც, მაგრამ გაუჭირდება მისი ათვისება მოზარდს (7, გვ. 42). იგივე აზრს ავითარებს ალექსი ჭიჭინაძე და გეოგრაფიით დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ. „საუბარი ყმაწვილებთან დედამიწის სახეზე, მის მოძრაობაზე, შორეულ ქვეყანათა ბუნების სხვადასხვა გვარმთავრებაზე, იქაურ მთებზე, ჰავაზე, ნიადაგზე, ხალხთა ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა. ცარიელ სიტყვებად დარჩება, უაზრო, შეუგნებელი განმეორება იქმნება. მასწავლებლის ანუ წიგნიდან ამოღებულ სიტყვებისა, რომელნიც არ გამოიწვევენ მოსწავლეთა გონებაში არავითარს წარმოდგენას მისას, რაც ნამდვილად არსებობს ბუნებაში და ადამიანთა ცხოვრებაში“ (7, გვ. 42).

ჯონ დიუის აზრით, გეოგრაფია უკავშირდება წარმოსახვას, იგი მომხიბვლელია და იდუმალებით მოცული, თავგადასავლების შთაგონებაა და მოგზაურობების სტიმული, მისი დახმარებით ადამიანს შეუძლია თავი დააღწიოს მონოტონურობას, გეოგრაფია ბუნებრივი, ინტელექტუალური გარემოს განვითარების საწყისია, უცნობ სამყაროში შესასვლელად. თუ ასეთი მიდგომა არ იქნა, გეოგრაფია მკვდარი საგანი გახდება, იგი მხოლოდ ნაცნობი ობიექტების შეჯამებად დარჩება, თუ წარმოსახვას ვერ გამოვიყენებთ მოცემულ თემაზე ცოდნის გასაღრმავებლად (18).

როგორც მ. ახვლედიანი და ი. ბასილაძე აღნიშნავენ, ალექსი ჭიჭინაძის მეთოდურ სახელმძღვანელოში, აღნიშნული მოსაზრება სასწავლო მეთოდური მითითებებითაა განვითარებული. „სანამ თვით გეოგრაფიის სწავლას შეუდგებოდნენ, საჭიროა ელემენტალური ცოდნა მიიღონ ყმაწვილებმა, საჭიროა ივარჯიშონ იმისთანა მასალაზე, რომელიც მოამზადებს მათ საგნის შესათვისებლად, თან გააცნობს კიდევ გარემომცველს ბუნებას, გარემომცველს ხალხს, რომელთანაც

შესისხლხორცებული არიან დაბადებიდანვე“ (36). იგი თვით გეოგრაფიას, როგორც საგანს, თავის მხრივ ჰყოფს სპეციალიზებულ განხრებად. არსებობენ გეოგრაფიის მათემატიკური, ასტრონომიული, ფიზიოგრაფიული, ტოპოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური განხრები. ჯონ დიუი სვამს კითხვას, როგორ უნდა მოერგოს ყველა განხრა ერთ საგანს და პასუხობს: ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მას აღვიქვამთ ცოდნის დაგროვებისა და გამოცდილების გაღრმავების უზრუნველსაყოფად. ალ. ჭიჭინაძის აზრით, გეზი აღებული უნდა იყოს ნაცნობიდან უცნობი მასალისაკენ, მარტივიდან-რთულისაკენ, რაც სრულად ემთხვევა ჯონ დიუის მეთოდურ მითითებას (7, გვ. 42).

ალ. ჭიჭინაძის მიხედვით: „პირველად უნდა შემოიხაზოს სამშობლო ქვეყნის შესასწავლი ასპარეზის ის არე, რომ მხოლოდ საკლასო ოთახი, სკოლა და სკოლის ეზო მოექცეს მის ფარგალში. შემდგომ გავაფართოვებთ წრეს და მოწაფეები გაეცნობიან ქუჩას, რომელზედაც იმყოფება სკოლა და თვით სოფელი ანუ ქალაქი, სადაც სკოლა არსებობს. მესამე ფარგალი კიდევ უფრო ფართო იქნება; ამ ფარგალში მოექცევა მიდამოები სოფლისა ან უქალაქისა. ხსენებულ ფარგლებში რაც საყურადღებო საგნებია, მოსწავლემ თავის თვალთ უნდა ნახოს და გაიცნოს; ამასთანავე გაიცნოს იმავე ფარგლებში ადამიანის ყოფა-ცხოვრება და საზოგადოებრივი წესები. დაკვირვება და საუბრები მოსწავლეს გონებას განუვითარებენ, შესძენენ მას ცოდნას და ყოველივეს საფუძვლად დაედება შორეულ ადგილების გაცნობასა და შესწავლას“ (35).

ქართული პედაგოგი კატეგორიულად მოითხოვს სწავლებას პირადი დაკვირვებით, კეთებით „თითონ უნდა დაუკვირდეს სხვადასხვა ნიადაგს და მადნეულობას ამ ფარგალში, სხვადასხვა ცხოველებს და მცენარეებს; თითონ უნდა გამოიკვლიოს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ფიზიკური მოვლენანი, რომელნიც მის თვალწინ წარმოსდგებიან“ (8). ასე მოძღვრავს ალ. ჭიჭინაძე პედაგოგებს, მოითხოვს საგაკვეთილო მასალა მხოლოდ წარსულის ფაქტებითა და მოვლენებით არ ამოიწუროს და მზა მასალად არ მიეწოდოს მოზარდებს, იგი გაუცხოებული დარჩება თანადროულობასთან კავშირის გარეშე და ვერ აღძრავს ცნობისმოყვარეობას, ვერ დაგროვდება გამოცდილება.

ჯონ დიუი მიუთითებს, რომ ცივილიზაციის განსხვავება ცივ და ევროპულ ზონებში არ აღიქმება, თუ ვერ წარმოვიდგინეთ დედამიწას მზის სისტემის ერთ-ერთ წევრად და თუ არ შევითვისეთ ეკონომიკური აქტივობები და პოლიტიკური წყობები. ჯონ დიუი კატეგორიულად მიუთითებს რომ მკვდარი თემები არ კვებავენ წარმოდგენას, რომლის გარეშე შეუძლებელია გეოგრაფიის საფუძვლიანი დაუფლება. თემები უნდა გაცოცხლდნენ თვალსაჩინოებით, პირადი დაკვირვებით (18).

ორივე პედაგოგი მოითხოვს სინამდვილის ასახვას, მოსწავლეთა პირად დაკვირვებას საგნებზე, ბუნების მოვლენათა გამოკვლევას. „სწავლების იმ ფაზაში, როცა მოსწავლეები საკუთარი თვალთ ვერ ხედავენ, გონებით უნდა წარმოვუდგინოთ აღსაზრდელს ასეთი თემები. „მიწისძვრა, თვალთ-უწვდენელი ვაკეები და ცათამდის აღმართული მთის თხემები, ყინულის გვირგვინებით მორთულნი-აი ხსენებულის წიგნის ფურცლები, რომელნიც მართლად აიმდენს მოგვითხრობენ, რომ ამდენი ხანია კაცობრიობა არსებობს და ეს ფურცლები ჯერ კიდევ სრულად ვერ გადაუკითხავს. ბუნების შორის სიარულის დროს საჭიროა იმისთანა ხელმძღვანელი, რომელიც მზა ცოდნას კი არ გარდასცემდეს ხოლმე მოსწავლეთ, არამედ ხელს უწყობდეს მათ, რომ თითონვე ცნობდნენ ფაქტებს, ადარებდნენ ერთმანეთს და ამ შედარებისაგან გამოყავდეთ დასკვნა“ (7).

ალ. ჭიჭინაძე თვლის, რომ გეოგრაფიის გაკვეთილები უნდა ხვეწდნენ მოსწავლის ხასიათს, აჩვენდნენ მას აზროვნებას, ფიქრს, საკითხისადმი შემოქმედებით მიდგომას და სწამს პედაგოგს, რომ ეს თვისებები დაამშვიდებენ მომავალ მოქალაქეებს. „თვით მოქმედება და მტკიცე ხასიათი კი უძვირფასესი ღირსებაა ადამიანისათვის. როდესაც იგი თვითმოქმედია და მტკიცე ხასიათის არის, მაშინ იგი თავისუფალი არსებაა და რომელ საზოგადოებაშიაც ამისთანა ადამიანი ბევრია, იქ საერთო თავისუფლებაც სუფევს და ცხოვრება კეთილად არის მოწყობილი“ (36).

ამრიგად, როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე ალექსი ჭიჭინაძე დიუსგან დამოუკიდებლად ითხოვდნენ, რომ სწავლების პროცესი ყოფილიყო მოსწავლეზე ორიენტირებული და ირჩევდნენ მასალის კეთებით მიწოდების გზას.

§2. ჯონ დიუის პედაგოგიური იდეების გავრცელება

20-30-იანი წლების საქართველოში

1928 წელს ჯ. დიუი ხელმძღვანელობდა იმ ამერიკელი პედაგოგების ჯგუფებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ მოწვეული ა. ვ. ლუნაჩარსკის მიერ, რათა გაეცნო მათთვის იმდროინდელ საბჭოთა სკოლაში განათლების ორგანიზაცია. მოწვეული სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ საცდელ სადგურებს და სხვა საბავშვო დაწესებულებებს. მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე დიუიმ 1929 წელს გამოაქვეყნა ნარკვევები „შთაბეჭდილებები საბჭოთა რუსეთზე და რევოლუციულ სამყაროზე“, სადაც საბჭოთა კავშირის განათლებას და პედაგოგიკას მაღალი შეფასება მისცა. დიუი წერდა, რომ მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა სტუმრობამ ბავშვთა კოლონიაში, ლენინგრადში; „არსად მსოფლიოში არ შემხვედრია ამდენი გონიერი, ბედნიერი, საქმით გონივრულად დაკავებული ბავშვები...“ (43, გვ. 35). თუმცა 30-იანი წლებში ტოტალიტარული სტალინური რეჟიმის პერიოდში, როცა ორიენტაცია გადატანილი იყო ტრადიციული განათლების ავტორიტარულ ტრადიციებზე, დიუის პედაგოგიკამ ფეხი ვერ მოიკიდა. უკვე 1936 წელს დიუი ერთ დაფაზე ათავსებდა საბჭოთა კავშირის და ჰიტლერული გერმანიის განათლების მეთოდებს. იგი წერდა: „არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ალზრდის მეთოდები საბჭოთა რუსეთში გამოირჩევა სხვა ქვეყნის ალზრდის მეთოდებისგან. იგივე მეთოდები ვითარდება ჰიტლერულ გერმანიაში“ (43, გვ. 45). აქედან დაიწყო ერთგვარი გაუცხოების ეპოქა დიუის პედაგოგიკისადმი. აღნიშნული სიტუაცია უფრო გამწვავდა მას შემდეგ, როდესაც დიუი (ლ.დ. ტროცკის უშუალო მოთხოვნით) მოსკოვის 1937-1938 წლების პროცესების ალტერნატიული გადახედვის და მათ შორის ტროცკის მიმართ წარდგენილი დანაშაულებათა განხილვის საერთაშორისო კომისიის საპატიო ხელმძღვანელად დაინიშნა. დიუის ტროცკის მიმართ უფრო ნეგატიური განწყობილება გააჩნდა, ვიდრე სტალინის მიმართ. გამომდინარე აქედან, თავის სტატიაში - „უდანაშაულო“, ფარდა ახადა მოსკოვურ პროცესებს და ტროცკის დანაშაულობებს, კონკრეტულად კი გამოაშკარავა მისი ჯამუშობა და

კონტრევოლუციური ქმედებები, დაამტკიცა რა მათი შეუმდგარობა და აბსურდულობა (47).

გამომდინარე აქედან, 1980-იანი წლების შუა პერიოდამდე დიუის პედაგოგიკას ვერ ახსენებდნენ საბჭოთა კავშირში. დიუის გარდაცვალების წლებში გამოვიდა წიგნი სათაურით: „ჯ. დიუის პედაგოგიკა-ამერიკული რეაქციის სამსახურში“. მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოდან შეიმჩნევა საქართველოში დიუის პედაგოგიკის მიმართ ინტერესის გაღვივება. გამოდის ინტენსიურად დიუის ნაწარმოებები, სტატიები და წიგნები დიუის შესახებ. რაც აიხსენებოდა როგორც: ა) საშუალება-რეალური, ალტერნატიული, ტრადიციული განათლების მისაღწევად; ბ) ასევე ამერიკელი მოაზროვნის უდიდესი ჰუმანიტარული და დემოკრატიული პოტენციალის მქონე მემკვიდრეობით და გ) მისი იდეების უშუალო ზეგავლენით მთელი მსოფლიოს განათლების თეორია-პრაქტიკაზე. ეპოქა, როცა ევროპასა და აშშ-ში დასრულდა სამრეწველო გადატრიალება და საბოლოოდ დამკვიდრდა ინდუსტრიული საზოგადოება, ანუ მოსახლეობაში ქარბობდა ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი, ხოლო ეკონომიკაში-სამრეწველო წარმოება, დიუი ყურადღებას ამახვილებს განათლების პრობლემებზე. სახელმწიფო განათლების სისტემის შექმნის, საყოველთაო დაწყებითი განათლების შემოტანის, საშუალო და უმაღლესი სკოლის განვითარების პროცესები დროში დაემთხვა პატრიარქალური გლეხური წყობის ინტენსიური რღვევის პროცესებს, აგრეთვე, შვილების აღზრდის საქმეში ოჯახის როლის შესამჩნევ დაქვეითებას. ინდუსტრიულმა ცივილიზაციამ თან მოიტანა: ადამიანის და საზოგადოების განვითარების უკიდევანო სივრცე, მეცნიერების და ტექნიკის პროგრესი, განათლების განვითარება და მთელი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, მაგრამ ამ პროცესებს გააჩნდა უარყოფითი მხარე - პიროვნების გაუცხოების საკითხი უფრო გაღრმავდა.

ინდუსტრიული ცივილიზაცია ამკვიდრებდა იდეალს - მისწრაფებულს მანქანების მექანიკური წინასწარ მოხაზულობისაკენ, გამოთვლისკენ და საიმედოობისკენ; საზოგადოება წარმოდგენილი იყო, როგორც უდიდესი რთული მექანიზმი, მართვადი სახელმწიფოს მიერ, ხალხი გადაიქცეოდა ნედლეულის გარკვეულ სახედ, რომელიც აუცილებელი იყო მრავალი ეკონომიური, სოციალური,

პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად, ანუ ხალხი გადაიქცა საწარმოო და სოციალური მექანიზმის ხრახნებად. ყოველივე ამას თან ახლდა საზოგადოებრივი ანტაგონიზმის უსაზღვრო გამწვავება, საზღვრებს გარეთ რევოლუციური ბრძოლის გამძლიერება. მსოფლიო მიილტვოდა პროლეტარული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი რევოლუციებისაკენ. ანუ კაცობრიობა იდგა პირველი მსოფლიო ომის ზღვარზე.

ადამიანის პიროვნების გამაუცხოებელი-ინდუსტრიული ცივილიზაცია, ამავდროულად ამწვავებდა: ადამიანური ინდივიდუალურობის, თავისუფლების და შემოქმედებითი განვითარების პრობლემებს, უფრო მეტიც, ძლიერად დამკვიდრებულმა ბურჟუაზიულმა წყობილებამ შემოიტანა მიდრეკილება სამოქალაქო საზოგადოებისკენ, დემოკრატიისკენ, კანონიერი სამართლებრივი სახელმწიფოსკენ; რამაც უზრუნველყო საზოგადოებაში ადამიანის დამოუკიდებლობის ეკონომიკური გარანტიის ჩამოყალიბება. განათლება გადაიქცა საზოგადოების ფართო ფენის მიღწევად. გამძლიერდა მისი ინტეგრაციული ფუნქცია, რაც უპირველეს ყოვლისა, სამრეწველო (სპეციალიზაცია) და სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროებს შორის, სამრეწველო გადატრიალებით გამოწვეულ წინააღმდეგობას იგერიებს და ახდენს საზოგადოებაში პიროვნების ინტეგრაციას; მეორეს მხრივ, ამსუბუქებს კლასობრივ ანტაგონიზმებს - ზოგადი კულტურული ნორმების ხარჯზე (9, გვ. 240).

საქართველოს სკოლებში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის შესახებ თეორიული მსჯელობა და ახალი სკოლის მუშაობაში ამ მეთოდების გამოყენების დასაბუთება 20-იანი წლების დასაწყისიდანვე დაიწყო.

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სკოლებში უკვე დაიწყო სწავლების პროექტული და ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდების დანერგვა. როგორც ცნობილია, სწავლების პროექტული მეთოდები ჩვენს სკოლებში გაცილებით უფრო ადრე დაინერგა. პირველ ხანებში პროექტული მეთოდი გამოცხადებული იყო კომპლექსური სისტემის განხორციელების საშუალებად, მაგრამ შემდეგ თანდათან დაისვა სწავლების კომპლექსური სისტემის პროექტული მეთოდით შეცვლის საკითხი. როგორც პროფესორი უშანგი ობოლაძე მიუთითებს,

„განათლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა პროექტულ მეთოდს დაუჭირეს მხარი და მიზანშეწონილად ჩათვალეს სწავლების კომპლექსური სისტემა ამ მეთოდით ყოფილიყო შეცვლილი“ (28, გვ. 40).

როგორც ცნობილია, პროექტა მეთოდს საფუძვლად დაედო ამერიკელი პედაგოგის დიუის პედაგოგიური თეორიები. მისი აზრით, სასწავლო მუშაობის ამომავალი საწყისი უნდა იყოს არა მასწავლებლის აქტივობა, არამედ მოსწავლის განუწყვეტელი საქმიანობა. სკოლაში საქმიანობის სახეებს მოსწავლეები თვითონ უნდა ირჩევდნენ. მათი საქმიანობა უნდა უკავშირდებოდეს ირგვლივ მყოფ სინამდვილეს და ეყრდნობოდეს მოსწავლის აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. დიუის პროექტა მეთოდის დადებით მხარედ მიაჩნია ის, რომ „სკოლა სავსებით უნდა გაითქვიფოს ცხოვრებაში. მისი აზრით, სკოლა იგივე ცხოვრებაა, ამიტომ ბავშვი სკოლაში იმავე გზით და მეთოდებით უნდა იზრდებოდეს, როგორც იგი ცხოვრებაში იზრდება. ეს არის მოქმედება, საქმიანობა და ამ გზით ცოდნის შექმნა“ (11, გვ. 31).

დიუი კრიტიკულად აფასებს პროექტა მეთოდის ამერიკულ გაგებას. მისი აზრით, ამერიკულად გაგებული პროექტების დამახასიათებელია ფორმალიზმი, უპრინციპო საქმიანობა, ვიწრო პრაქტიციზმი. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: ამერიკაში ჩატარდა პედაგოგიური ექსპერიმენტი, აიღეს სამი კლასი და ოთხი წლის მანძილზე ატარებდნენ ექსპერიმენტს. ეს კლასები ყველაფრით თანაბარი იყო: მოსწავლეთა უნარისა და წარმატების, სასწავლო წლის ხანგრძლივობის, მშობელთა მატერიალური და კულტურული პირობების, მოსახლეობის ეკონომიკური და კულტურული დონის მხრივ, მასწავლებელთა მომზადებისა და ხარისხის მხრივ. განსხვავება ერთში იყო: საექსპერიმენტო კლასები მუშაობდა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გარეშე, პროექტების მეთოდით. ამ უკანასკნელში უკეთესი შედეგები მიიღეს. საქართველოს სკოლებში ცდილობდნენ მექანიკურად არ გადმოეტანათ ის აზრი, რომ „სკოლა ეს თვით ცხოვრებაა“ (26). მაშინდელი თანამედროვეებიცდილობდნენ ამ ცნებიდან დადებითის აღებას. იგი უნდა იყოს გამოყენებული სკოლისა და ცხოვრების განმტკიცებისათვის. პროექტა მეთოდის ქართული გაგება უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას,

მუშაობაში სტიმულირების, შემოქმედებითი უნარის გაშლას, სიმტკიცეს, გუნდურ მუშაობას და ა. შ.

დიუსის ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები, რომელიც სოციალური პროექტების მოდელს დაედო საფუძვლად, შემდეგია: 1. დემოკრატია არის სწავლების ღია მიზანი; 2. ბავშვების ჩართვა სოციალურ ურთიერთობებში იმავდროულად არის სწავლების საშუალება და შედეგი; 3. რეფლექტური აზროვნება, როგორც ინტელექტუალური განვითარების მოდელი, წარმოადგენს სასარგებლო სწავლების საშუალებას დემოკრატიისათვის.

„მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბოლოსათვის ქართველ მასწავლებელთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პროექტთა მეთოდის მექანიკურად გადმოტანა ჩვენს სკოლაში არ შეიძლება, საჭიროა იქედან ავიღოთ დადებითი. იგი უნდა გამოვიყენოთ სკოლისა და ცხოვრების კავშირის განმტკიცებისათვის, რაც უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას, მუშაობაში სტიმულირებას, შემოქმედებითი უნარის განვითარებას და ა. შ. შეძენას“ (11, გვ.33).

დიუსის გეგმით მუშაობა მეორე საფეხურის სკოლებში იყო რეკომენდირებული. პირველ ხანებში იგი საცდელად შემოიღეს რამდენიმე სკოლაში. ამ გეგმით მუშაობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული ქართული პრესის ფურცლებზე. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დიუსის პედაგოგიური პრინციპებით სწავლება პედაგოგიკის თეორიაში განიხილებოდა როგორც კომპლექსური სწავლებასთან ორგანულად დაკავშირებული სისტემა, რომელიც თითქოს უზრუნველყოფდა მოსწავლეთა თვითმოქმედებას და მათში დამოუკიდებლობის აღზრდას,

1925 წლის ივლისის პირველ რიცხვებში თბილისში ჩატარდა მასწავლებელთა კონფერენცია, სადაც ერთ-ერთ საკითხად განხილული იყო დიუსის გეგმით მუშაობის ერთი წლის შედეგები და გამოცდილება ამ გეგმით მუშაობის დარგში. როგორც მომხსენებელი, ისე სიტყვებში გამოსული პედაგოგები მიუთითებდნენ, რომ როგორც კომპლექსური, ისე დიუსის პედაგოგიური გეგმით მუშაობა კარგ შედეგს იძლევა.

პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები ცალკეული სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების შესახებ ამ მეთოდით მუშაობის დარგში, მაგრამ იშვიათი იყო შემთხვევა, რომ ვინმეს კრიტიკული შენიშვნა გამოეთქვას მუშაობის ამ

სისტემის შესახებ. კომპლექსური სისტემა და პროექტის მეთოდი, რომელმაც ჩვენში სწავლების ლაბორატორიულ ბრიგადული მეთოდის სახელწოდება მიიღო, გულისხმობდა მოსწავლეთა მონაწილეობას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ეს ნიშნავს სკოლიდან ცხოვრებაში გადასვლას. პროექტების საშუალებით სკოლა უშუალო მონაწილეობას ღებულობს ცხოვრების გარდაქმნაში.

პროექტულმა მეთოდმა ჩვენში უფრო სხვა სახე მიიღო. აქ პროგრამები და დავალებები ისე იყო მოფიქრებული, რომ რეალიზებული ყოფილიყო ამ მეთოდის წინაშე დასმული ამოცანები, კერძოდ: მოსწავლეთა ჩაყენება სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, მათი დაყენება სიძნელების წინაშე, ამ სიძნელეთა დამოუკიდებლად გადალახვის ორგანიზაცია და ა. შ.

ამ მიმართულებით სკოლების მუშაობის პრაქტიკაზე წარმოდგენას გვაძლევს საინსტრუქციო-მეთოდური ხასიათის წერილები, რომლებშიც ასახულია მოსწავლეთა მიმართ პროექტთა მეთოდებით წაყენებული მოთხოვნები საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ეს წერილები წარმოადგენდა პროგრამების დამატებებსა და მეთოდურ მითითებებს მასწავლებელთათვის. ეს იყო პროექტულ პროგრამებზე დართული ცოდნა-ჩვევების ცალკე პროგრამები, რომლის შესრულებაში სკოლებსა და მასწავლებლებს უნდა ეხელმძღვანელათ ადგილობრივი კონკრეტული პირობებით (12).

ამრიგად, 20-30-იანი წლების საქართველოში პროექტული სისტემით ცოდნა-ჩვევების აღზრდა მოსწავლეებში გაანგარიშებული იყო მოსწავლეთა მაქსიმალური აქტივობით და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობით, ხოლო ამ აქტივობის უზრუნველყოფა დაკისრებული იყო დიუის პედაგოგიურ იდეებსა და ლაბორატორიულ მეთოდებზე.

§ 3. ჯონ დიუის პედაგოგიკური შეხედულების მნიშვნელობა

თანამედროვე ქართული პედაგოგიკისათვის

როგორც წინა პარაგრაფებში ავღნიშნეთ, პროგრესულმა განათლებამ გასული საუკუნის 20-იან წლებში უკვე საკმაო პოპულარობა მოიპოვა და მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის განათლების ძირითად იდეოლოგიად იქცა. სკოლები, სადაც დიუის იდეების მიხედვით ასწავლიან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისევ განაგრძობს არსებობას, თუმცა გარკვეულწილად, სახეცვლილი ფორმით. ამ სკოლებმა ვერ შეინარჩუნეს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია - ექსპერიმენტულობა. ხშირად სვამენ კითხვას, თუ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ სკოლების უმრავლესობა ასეთი გამხდარიყო. დიუის სკოლაში იდეალური პირობები იყო შექმნილი: მოსწავლისა და მასწავლებლის შეფარდება - ათი ერთთან. პროფესორ-მასწავლებლები, ძირითადად, განათლების სფეროს ინტელექტუალთა საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლები იყვნენ. ძალიან დიდი დრო იხარჯებოდა პერსონალის დისკუსიებში იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა სკოლებში, რა ხარვეზები იყო და რა უნდა გაუმჯობესებულიყო. სკოლის ხარჯები საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდებოდა. სკოლას მართლაც რომ განსაკუთრებული გარემო ჰქონდა, ძალიან დიდი სივრცე ბალებისთვის და სათამაშო მოედნებისთვის. სავარაუდოდ, სკოლა საშუალო ფენას ემსახურებოდა, რადგან სწავლა ფასიანი იყო. ხშირად ის მასწავლებლები, რომლებიც სკოლას ათვალთვლიერებდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ზუსტად იმის გამო, რომ ეს განსაკუთრებული, ექსპერიმენტული სკოლაა და მასწავლებლები არ მუშაობენ იმავე პირობებში, რაშიც სხვები, შესაძლებელი იყო კარგი შედეგების მიღწევა. მართალია, დიუი აღიარებდა, რომ ექსპერიმენტებისთვის განსაკუთრებული რესურსები და სასარგებლო პირობებიაო საჭირო, თუმცა ეს პირობები, რომ ჩვეულებრივ სკოლებშიც იქნებოდა აუცილებელი, ამის შესახებ ნაკლებად საუბრობდა. ალბათ ეს იყო იმის მიზეზიც, რომ დიუის იდეები უფრო მეტად აღფრთოვანებას იწვევდა და ნაკლებად ინერგებოდა პრაქტიკაში.

ჯონ დიუის მრავალი კრიტიკოსი და მომხრე ჰყავდა და ჰყავს. სასურველია სკოლებს შეენარჩუნებინა მისი მიდგომის მთავარი მომენტი - ექსპერიმენტულობა. ამ

ტიპის სკოლები არ იყო იაფი. სწავლებაც ფასიანი იყო და ყველა ფენა მას ვერ წვდებოდა. მისი იდეები აღფრთოვანებას იწვევდა, თუმცა ნაკლებად ინერგებოდა პრაქტიკაში. მისმა პედაგოგიურმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა გასული საუკუნის 20-იანი წლების განვითარებაზე, როგორც აშშ-ს ასევე საბჭოთა სკოლაზეც. შემდგომში ეს ინტერესი სხვადასხვა მიზეზთა გამო შემცირდა. მეოცე საუკუნის ბოლოს კვლავ გაიზარდა ინტერესი დიუის მიმართ, რაც გამოიწვია მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობის განვითარებაზე ორიენტირებული აქტიური, პრობლემური და ძიებითი მეთოდებისა და სწავლების ფორმების მასობრივმა განვითარებამ. მან პედაგოგიკაში დაამკვიდრა სასწავლო მასალის აქტიური გააზრებული ათვისების ხელშემწყობი „კრიტიკული აზროვნების“ ფორმირების პრინციპები და მეთოდიკა.

ეს პრინციპებია:

- მოსწავლეს უნდა შეეძლოს ცნებებისა და თეორიების შინაარსის გადმოცემა სიტყვების, ნახატებისა და მათემატიკური გამოსახულებების მეშვეობით;
- მოსწავლეს უნდა შეეძლოს ინფორმაციის შეკუმშვა და განზოგადება. საკუთარი ეკონომიკური სტრუქტურების, კონცეპტუალური რუკებისა და სქემების შექმნა;
- მოსწავლეს უნდა შეეძლოს აბსტრაქტული აზროვნება, კონკრეტულისგან განყენებულად;
- მოსწავლეს უნდა შეეძლოს მოძებნოს ნებისმიერი მოვლენის მთავარი წამყვანი პრინციპები.

ვაჯამებთ რა დიუის პედაგოგიურ მემკვიდრეობას, მისი შეხედულების მნიშვნელოვანი ნაწილი ასე წარმოგვიდგება:

კონცეპტუალური დებულებები

1. ბავშვი ონტოგენეზში იმეორებს კაცობრიობის შემეცნების გზას;
2. ცოდნის ათვისება სპონტანური, უმთავრესი პროცესია;

3. ბავშვი მაშინ ითვისებს სასწავლო მასალას, როდესაც მას ცოდნის მიღების მოთხოვნილება უჩნდება და როდესაც თავად არის საკუთარი სწავლების აქტიური სუბიექტი.

განათლების კონცეფცია

1. საქმოსნური პრაქტიკა (ამცირებს თეორიისა და სისტემური ცოდნის როლს) და ეფუძნება გამოცდილებით-კეთებით სწავლებას;
2. პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა მთავარი როლის აღიარება;
3. სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის ფორმები: სახელოსნოები, ლაბორატორიები, მიწის ნაკვეთები;
4. სკოლამ ორიენტაცია უნდა აიღოს არა მომავალზე, არამედ აწყმოზე;
5. გარემო ზრდის, ცხოვრება ასწავლის;
6. მეთოდი ემორჩილება კეთების საქმეს;
7. მასწავლებელს აქვს სოციალური დანიშნულება;
8. ჯგუფური პროექტების დაგეგმვა;
9. სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეზე.

პედაგოგიური იდეები

1. ბავშვის აქტიური განვითარება;
2. ინტერესის აღძვრა, როგორც სწავლების მოტივი;
3. სასწავლო პროცესის საფუძვლად ბავშვის ინდივიდუალური გამოცდილების აღიარება;
4. თანდაყოლილი ინსტინქტების მიდრეკილების გამოვლენა;
5. ინდივიდუალურ გამოცდილებაში ზნეობრივი აღზრდის განხილვა;
6. სკოლის მიზანი არა არა მარტო ინტელექტის განვითარება, არამედ ემოციური აღზრდაც;
7. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
8. მასწავლებელი მხოლოდ მრჩეველი;

9. შრომითი პროცესების გვერდით თამაშის, იმპროვიზაციის, თვითშემოქმედების პროცესებისათვის დიდი ადგილის დათმობა;
10. სახელმძღვანელოების ნაკლებად გამოყენება სწავლების პროცესში.

სწავლის ეტაპები

1. პრობლემის აღმოჩენა;
2. პრობლემის განსაზღვრა;
3. პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
4. ამ გზების შეფასება წარსული გამოცდილების საფუძველზე;
5. საუკეთესო გზის გამოცდა;
6. მასწავლებელი არ ცდილობს გაბატონდეს სასწავლო პროცესზე.

ნაკლი

1. თეორიული და სისტემური ცოდნის უარყოფა;
2. მასწავლებლის წამყვანი როლის უარყოფა სასწავლო პროცესში;
3. გამეორების, ლექციის, გაკვეთილის, საერთოდ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უარყოფა;
4. მხოლოდ სასწავლო რესურსებისადმი უპირატესობის მინიჭება;
5. სკოლის შენახვისათვის საჭირო დიდი თანხები;
6. პრაქტიკის წინსწრება თეორიისგან;
7. სოციალური როლის გაფეტიშება პიროვნების განვითარებაში.

დიუსის იდეები, რომლებიც დღესაც აქტუალურია:

- სწავლა გამოცდილებით;
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმა - ფოკუსირებული კონკრეტულ თემებზე;
- ჯგუფური მუშაობა და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვა;
- სწავლა გაგებისათვის და არა ზეპირობა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ინდივიდუალიზაცია;

- დემოკრატიზაცია;
- მოქნილი, დინამიური სასწავლო გეგმები/კურიკულუმი;
- მასწავლებელი მრჩეველი და ფასილიტატორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს აღმოჩენით/გამოკვლევით სწავლაში;
- განვითარება ბუნებასთან შესაბამისობაში;
- სოციალური ეფექტურობა;
- კულტურასთან ურთიერთობა;
- გონიერება-სოციალური გამოცდილების პროდუქტი;
- გონიერება-საშუალება, რომლითაც ადამიანი გადაჭრის თავის სასიცოცხლო პრობლემებს;
- მორალის და ქცევის წესების ერთმანეთთან გაიგივება, რომელიც რეალური სინამდვილის სიტუაციებში, ადამიანის მოქმედების შედეგებზეა დამოკიდებული;
- ადამიანთა ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.

ნებისმიერი განვითარება სათავეს ადამიანთა მოდგმის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ინდივიდის ჩართულობიდან იღებს. ეს პროცესი, გაუცნობიერებლად თითქმის ჩასახვის მომენტიდან იწყება და თანდათანობით გამოკვეთს ინდივიდის ძალებს, ავსებს მის ცნობიერებას, აყალიბებს ჩვევებს, ავარჯიშებს იდეებს და აღძრავს მასში გრძნობებსა და ემოციებს. ამ არაცნობიერი განათლების მეშვეობით ადამიანი თანდათანობით კაცობრიობის მიერ თანაცხოვრების განმავლობაში დაგროვებული ინტელექტუალური და მორალური რესურსის თანამოაზრე ხდება.

ჭეშმარიტი განათლება ბავშვის ძალების იმ სოციალურ ვითარებათა მოთხოვნების მიერ სტიმულირებისგან მოდის, რომლებშიც იგი არსებობს. ეს მოთხოვნები წარმართავენ ბავშვს იმოქმედოს, როგორც საზოგადოების წევრი. საგანმანათლებლო პროცესს ორი მხარე აქვს - ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური; და არც ერთი არ შეიძლება დაექვემდებაროს მეორეს ან უგულვებელყოფილ იქნას რომელიმე. თანამედროვე ცივილიზაციის მდგომარეობის, სოციალური გარემოებების ცოდნა აუცილებელია ბავშვის შესაძლებლობათა სათანადო

გაგებისათვის, რათა თვალსაჩინო გავხადოთ მისი შედეგი და მიზანი. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მხარეები ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და განათლება არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც მათ შორის კომპრომისის, ანდა ერთის მეორეზე უპირატესობა. აუცილებელია მისი მიზანი, გამოყენება თუ ფუნქცია ვიცოდეთ, გარემოებებისთვის რომ მოამზადო. აღჭურვო მომავალი ცხოვრებისათვის, მოამზადო იგი ისე, რომ სრულად და აქტიურად ფლობდეს საკუთარ უნარებს; ადამიანი, რომელმაც განათლება უნდა მიიღოს, არის სოციალური ინდივიდთა საზოგადოება, რომელიც ინდივიდთა ორგანულ ერთობას წარმოადგენს (13).

ბევრი ლაბორატორიული სკოლა, რომელიც დაფუძნებულია თავდაპირველ https://translate.googleusercontent.com/translate_c?depth=1&hl=ka&prev=search&url=translate.google.ge&sl=en&sp=nmt4&u=https://en.wikipedia.org/wiki/John_Dewey&usg=ALkJrhhotJnqTthiXUViDF3nkeF4p6jiyQ ლაბორატორიულ სკოლაზე, ჯერ კიდევ მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მთელს მსოფლიოში. ისინი ცნობილია მრავალი სახელწოდებით: ლაბორატორიული სკოლები, სადემონსტრაციო სკოლები, კამპუს სკოლები, სამოდელი სკოლები, უნივერსიტეტების შვილობილი სკოლები, ბავშვთა განვითარების სკოლები. ზოგიერთი ლაბორატორიული სკოლა მხოლოდ სკოლამდელი ან საბავშვო ბაღის ბავშვებისთვისაა, ზოგი მეხუთე და მეექვსე კლასის ბავშვებზეა ორიენტირებული და ზოგიერთი კი ატარებს საშუალო სკოლის სტატუსს. კვლევა და ინოვაცია არის ასეთი სკოლების ძირითადი ბირთვი. კამპუსი არის მეტად დინამიური ადგილი მკვლევარებისათვის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის, მათ საშუალება აქვთ აირჩიონ ისეთი რელევანტური თემები და საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის სწორ განვითარებასა და განათლებას. ასეთი სკოლა ლაბორატორიის მასწავლებლები არა მხოლოდ ინიცირებენ საკლასო კვლევას, არამედ თვითონ ხდებიან ამ კვლევის გუნდის წევრები ბავშვებთან ერთად. ისინი საშუალებას აძლევენ ბავშვებს აქტიურად ჩაერთონ აკადემიურ პროცესში.

სკოლის მოსწავლეები წარმოადგენენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფსა და საზოგადოებრივ წრეს. სკოლა-ლაბორატორიის მოსწავლეები სწავლობენ და იზრდებიან ერთად მზრუნველ და ინდივიდზე მორგებულ გარემოში. სკოლა-

ლაბორატორია ორიენტირებულია ბავშვების კრეატიულობისა და წარმოსახვის უნარის განვითარებაზე და ეხმარება მათ პრობლემური სიტუაციის ამოხსნასა და კონფლიქტური რეზოლუციის უნარის ჩამოყალიბებაში. კვლევაზე ორიენტირებული კურიკულუმი მიზნად ისახავს ბავშვებში დანერგოს კრიტიკული აზროვნება, სიახლის კვლევის, პრობლემის ძიებისა და ამოხსნის უნარები (83).

ამრიგად, დიუს მიერ ინსპირირებული პროგრესული განათლების ფესვებს დღესდღეობით ვპოულობთ და ყველაზე პროგრესულ საგანმანათლებლო პროგრამებს ეს თვისებები აქვს საერთო მას ნააზრევთან:

- პრაქტიკული პროექტები, ექსპედიციური სწავლება, ექსპერიმენტული სწავლება;

- ინტეგრირებული კურიკულუმი - აქცენტი გაკეთებულია თემატურ ერთეულებზე;

- მეწარმეობის ინტეგრირება განათლებაში;

- ძლიერი აქცენტი პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკულ აზროვნებაზე;

- ჯგუფური მუშაობა და სოციალური უნარების განვითარება;

- გაცნობა და მოქმედება, როგორც სწავლის მიზნები, რომელიც ეწინააღმდეგება ცოდნას;

- კოლაბორაციული და კოოპერატიული სწავლის პროექტები;

- განათლება სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიისათვის;

- ინდივიდუალური მიზნებისათვის მაღალი ინდივიდუალური სწავლის ბუდალტერია;

- აქცენტი უწყვეტ სწავლასა და სოციალურ უნარებზე;

დასკვნები:

1. დიუს ძირითად წვლილად სწავლების თეორიაში წარმოდგა მის მიერ დამუშავებული კონცეფცია, რომ ადამიანი, მაშინ იწყებს ფიქრს, როდესაც იმ სიძნელეებს ხვდება, რომელთა გადალახვას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მის ყოველ ქმედებაში (აზროვნებაში) არის საფეხურები: სიძნელის განცდა, მისი აღმოჩენა და განსაზღვრა, მისი გადაწყვეტის (ჩანაფიქრის) წარმოჩენა (ჰიპოტეზის ფორმულირება), სავარაუდო გადაწყვეტილებებიდან (ჰიპოტეზის ლოგიკური შემოწმება) გამომდინარე დასკვნების ფორმულირება და ჰიპოტეზის მიღებისა და უარყოფის განმსაზღვრელი შემდგომი დაკვირვებები და ექსპერიმენტები.

2. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და მათი ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით აგებული სწავლება, უფრო უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე „ვერბალური“ (სიტყვიერი, წიგნიერი) ცოდნის დამახსოვრებაზე დამყარებული სწავლება.

3. ჯ. დიუს დიდაქტიკა დამუშავებულია, როგორც ჰერბარტისტების ავტორიტარული პედაგოგიკის ალტერნატივა, რომელიც წინააღმდეგობაშია საზოგადოებისა და სკოლის პროგრესულ განვითარებასთან, ჰერბარტის სისტემის საწინააღმდეგოდ მან წამოყენა შემდეგი დებულებები:

- დისციპლინარულ ზომებზე დაფუძნებული ზედაპირული აღზრდა;
- ცხოვრებასთან კავშირს მოკლებული სწავლება (წიგნიერება);
- მზა ცოდნის მოსწავლეებზე გადაცემა, დამახსოვრებაზე მიმართული პასიური მეთოდების გამოყენება;
- მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების არასაკმარისი აღრიცხვა;
- საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან სწავლების შინაარსის მოწყვეტა;
- მოსწავლეთა უნარების განვითარებისადმი არასაკმარისი ყურადღება.

4. მეოცე საუკუნის 20-იანი წლები, ეს არის ჯ. დიუსის პოზიტიური შეფასებისა და აქტიური დანერგვის პერიოდი;

5. მეოცე საუკუნის 30-40-იანი წლები ჯ. დიუსის დიდაქტიკური პრაგმატიზმის არაობიექტური შეფასების პერიოდია;

6. მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებიდან 80-იან წლებამდე ჯ. დიუის ყველა დიდაქტიკური კონცეფციის ძირითადი პოზიციების გამოვლენის და აბსოლუტური მიუღებლობის პერიოდი იყო;

7. მეოცე საუკუნის 90-იანი წლები ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციებისადმი ინტერესის გააქტიურება, როდესაც ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში თანდათანობით ვრცელდება დიუის თეორიის ძირითადი იდეები:

- სწავლა გამოცდილებით;
- ღირებულია მხოლოდ ის, რაც იძლევა პრაქტიკულ შედეგს;
- სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს საფუძვლად უნდა ედოს ბავშვის ინტერესები;
- სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის მომავალ საქმიანობაზე საზოგადოებაში;
- სასწავლო პროექტის მეთოდი - ეს არის სწავლების სისტემა, რომლის დროსაც მოსწავლეები იძენენ ცოდნას, პრაქტიკული დავალებების (პროექტების) დაგეგმვისა და შესრულების პროცესში;
- ფუნდამენტური დისციპლინების ნაცვლად (ან მათი რიცხვი უნდა შემცირდეს), სკოლაში გათვალისწინებული უნდა იყოს „ინსტრუმენტული“ დისციპლინები;
- აუცილებელია უწყვეტი განათლება ყველა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანისათვის. მთელი საზოგადოება მუდმივი სწავლისა და გადამზადების პროცესში უნდა იმყოფებოდეს;
- აუცილებელია სასწავლო პროცესში მუდმივად გამოიყენებოდეს თამაში;
- პედაგოგის ამოცანაა, პირობების შექმნა ბავშვის შინაგანი შესაძლებლობების განვითარებისთვის და იმ სირთულეების მოხსნა, რომელიც ხელს უშლის განვითარებას;
- წარმატებული სწავლების პირობებია: პრობლემების წამოჭრა, ბავშვის აქტივობა და სწავლის დაკავშირება თამაშთან, შრომასთან, ბავშვის ცხოვრებასთან.

8. ჯონ დიუი ფილოსოფიას განიხილავს, როგორც აზროვნების ფორმას, რომელიც როგორც ყველა აზროვნება, გამოდის იქიდან, თუ რა არის გაურკვეველი

გამოცდილების შინაარსში; რომელიც მიზნად ისახავს დაბნეულობის შემცირებას და ჰიპოთეზების შემოთავაზებას მის გასაფანტავად, რომელთა შემოწმებაც ქმედებაში უნდა მოხდეს. ფილოსოფიურ აზროვნებას ახასიათებს ის, რომ ის საკითხები, რომლებთანაც მას აქვს საქმე, გაბნეულია სოციალურ პირობებსა და მიზნებში, რომლებიც ინტერესებისა და ინსტიტუციონალური მისწრაფებების კონფლიქტს წარმოადგენს. რამდენადაც ერთადერთი გზა ჰარმონიული გარდაქმნისა, არის ემოციონალური და ინტელექტუალური დისპოზიციების მოდიფიკაცია, ფილოსოფია არის ექსპლიციტური ფორმულირება სხვადასხვა ცხოვრებისეული ინტერესების, მოსაზრებებისა და მეთოდებისა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მიღწეულ იქნას ტრანსფორმაცია ისე, რომ იგი არ დარჩეს მხოლოდ ჰიპოთეზად იმის შესახებ, რაც სასურველია, ჩვენ მივდივართ იმ დებულების დასაბუთებამდე, რომ ფილოსოფია არის განათლების თეორია, როგორც განზრახულად განხორციელებული პრაქტიკა.

9. დიუის შემოქმედების ძირითად ნაკლად მიიჩნეოდა თეორიული და სისტემატური ცოდნის უარყოფა, მასწავლებლის როლის დამცრობა სასწავლო პროცესში, გამეორების, ლექციის, გაკვეთილის, საერთოდ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უგულვებელყოფა. დიუი ახდენდა პრაქტიკის წინსწრებას თეორიისგან, იგი უპირატესობას ანიჭებდა მხოლოდ სასწავლო რესურსებს, ხოლო ასეთი რესურსებით აღჭურვილი სკოლის შენახვისათვის საჭირო იყო დიდი თანხები. აგრეთვე, მისი თანამედროვეები დიუის აკრიტიკებდნენ პიროვნების განვითარებაში სოციალური როლის დაკნინების გამო.

10. დიუის მიხედვით, სკოლა არის სახელოსნო, ლაბორატორია, სადაც უმეტესი დრო და ადგილი უნდა დაეთმოს „კეთებას“ და არა „მოსმენას“. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს გამოცდილების მიღებით, რომელსაც შევიძენთ მხოლოდ გარემოს კვლევის შედეგად. იმისათვის, რომ სწავლა იყოს ეფექტური, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინტერესები და მამოძრავებელი იმპულსები. კერძოდ:

- საუბრის და ურთიერთობის მოთხოვნილება;
- კვლევის და დასკვნის გაკეთების მოთხოვნილება;
- საგნების „შექმნისა“ და მშენებლობის იმპულსი;
- მხატვრულ შემოქმედებაში თავის გამოვლინების იმპულსი.

11. დიუის მიხედვით პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა მოიცავს 5 ეტაპს:

- **სირთულის (შეიძლება შფოთვის) განცდა.** ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია პრობლემის აღმოცენების წყაროს გარკვევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემის გაცნობიერება. კითხვაზე „რას წარმოადგენს პრობლემა?“ პასუხის გაცემა.

- როცა პრობლემა გარკვეულია, გაურკვეველი სიტუაცია გარდაიქმნება **პრობლემურ სიტუაციად.** ხანდახან პირველი და მეორე ეტაპი გაერთიანებულია. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა თავიდანვე ცნობილია, რა არის პრობლემა. რა თქმა უნდა, პრობლემური სიტუაციის გაგება გულისხმობს პრობლემის სირთულეების და მიზნის გაცნობიერებას.

- მესამე ეტაპი **ჰიპოთეზის (ვარაუდის) წამოყენებას** ეთმობა. ეს ეტაპი საჭიროებს ლოგიკურ აზროვნებას, გარკვეულ იდეებს, ან აქტივობებს, რომელიც მიმართულია პრობლემის გადასაწყვეტად.

- მეოთხე ეტაპზე **მიმდინარეობს ჰიპოთეზების კრიტიკული განხილვა და შეფასება.**

12. ბოლო ეტაპი კი, **ჰიპოთეზების ექსპერიმენტული შეფასების** ეტაპია. დიუის შემოქმედების ძირითად ნაკლად მიიჩნეოდა თეორიული და სისტემატური ცოდნის უარყოფა, მასწავლებლის როლის დაკნინება სასწავლო პროცესში, გამეორების, ლექციის, გაკვეთილის, საერთოდ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უგულვებელყოფა. დიუი ახდენდა პრაქტიკის წინსწრებას თეორიისგან, იგი უპირატესობას ანიჭებდა მხოლოდ სასწავლო რესურსებს, ხოლო ასეთი რესურსებით აღჭურვილი სკოლის შენახვისათვის საჭირო იყო დიდი თანხები. აგრეთვე, მისი თანამედროვეები დიუის აკრიტიკებდნენ პიროვნების განვითარებაში სოციალური როლის დაკნინების გამო.

13. გამოიკვეთა დიუის ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის განვითარების ოთხი ეტაპი, რომლის პარალელურად ქართულ სინამდვილეში, როგორც ავლნიშნეთ, თამამად შესაძლოა გამოიყოს მეხუთე ეტაპი მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან 21-ე საუკუნის დასაწყისამდე. ამ პერიოდში განათლებაში პრიორიტეტულია: სწავლების ინდივიდუალიზაცია, მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების და მოთხოვნილებების

მუდმივად გათვალისწინება. რასაც მოჰყვა ჯ. დიუის დიდაქტიკური იდეების აქტუალიზაცია.

14. პროექტის მეთოდით სწავლება აძლიერებს მეცნიერების მიმართ ინტერესს და სწავლის სურვილს, იმიტომ, რომ პროექტი:

- ორიენტირებულია ინდივიდზე;
- იყენებს დიდაქტიკური მიდგომების დიდ სპექტრს (სწავლა საქმით, დამოუკიდებლად სწავლა, ერთობლივი სწავლება, როლების თამაში, პრობლემური და ეურისტული სწავლება, დისკუსია, ჯგუფური სწავლება და სხვა);
- მოსწავლის მონდომების დონე იზრდება მუშაობის პროცესში ინტერესის გაზრდით;
- მოსწავლეს აძლევს საშუალებას ისწავლოს საკუთარ და სხვის გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- კმაყოფილებას ანიჭებს მოსწავლეებს, რომლებიც ხედავენ საკუთარი შრომის შედეგებს;

15. პრობლემური სწავლების დანერგვა უზრუნველყოფს სამი ფუნქციის შესრულებას: 1. ცოდნის ღრმა შეთვისებას მათი შემოქმედებით გამოყენების დონეზე; 2. შემეცნებისა და მეცნიერული აზროვნების მეთოდების დაუფლებას; 3. გამოცდილების, თვისების, შემოქმედებითი საქმიანობის ოპერაციების დაუფლებას. ეს ფუნქციები პრობლემური სწავლებით სრულდება დიდაქტიკის ყველა პრინციპისა და, კერძოდ, სწავლების ცხოვრებასთან კავშირის დაცვის დროს. ამასთანავე, ცხადია, პრობლემური სწავლება მოწოდებულია, ხელი შეუწყოს მეცნიერული მსოფლმხედველობის აღზრდის ეფექტურ დანერგვას, დამოუკიდებლად გარემომცველი სინამდვილის მოვლენების გააზრებას, თავისი შემფასებლური ურთიერთობის დადგენას და გადაწყვეტილების მიღებას, შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, აუცილებელი ქცევის შესახებ.

16. პრობლემური სწავლება არ არის სწავლების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც ადრინდელ ტიპს ცვლის, ის არ ასრულებს სწავლების უნივერსალური მეთოდის როლს. იგი არის სწავლების თანამდეროვე მთლიანი სისტემის

აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. იგი ვარაუდობს განათლების შინაარსის სახეებსა და სწავლების მეთოდების მიზნების მრავალგვარობას.

17. კვლევის პროცესში გამოიკვეთა რომ, პრაგმატისტული პედაგოგიკის განათლების კონცეფცია ეფუძნება შემდეგ მოთხოვნებს:

- საქმოსნური პრაქტიკა (ამცირებს თეორიისა და სისტემატური ცოდნის როლს) ეფუძნება გამოცდილებით - კეთებით სწავლებას;

- პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა წამყვანი როლის აღიარება; სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეზე; მასწავლებელს აქვს სოციალური დანიშნულება; მასწავლებელი მხოლოდ მრჩეველია;

- სასწავლო პროცესის საფუძვლად ბავშვის ინდივიდუალური გამოცდილების აღიარება;

- სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის ფორმებია: სახელოსნოები, ლაბორატორიები, მიწის ნაკვეთები;

- გარემო ზრდის, ცხოვრება ასწავლის; მეთოდი ემორჩილება კეთების საქმეს; ჯგუფური პროექტების დაგეგმვა;

- ბავშვის აქტივობის განვითარება; ინტერესის აღძვრა, როგორც სწავლების მოტივი; სასწავლო პროცესის საფუძვლად ბავშვის ინდივიდუალური გამოცდილების აღიარება; თანდაყოლილი ინსტიქტების მიდრეკილებების გამოვლენა;

- სკოლის მიზანი არა ინტელექტის განვითარებაა, არამედ ემოციური აღზრდა; აზროვნების უნარის განვითარება; შრომითი პროცესების გვერდით თამაშის, იმპროვიზაციის, თვითშემოქმედების პროცესებისათვის დიდი ადგილის დათმობა;

- სახელმძღვანელოების ნაკლებად გამოყენება სწავლების პროცესში;

- პრობლემის აღმოჩენა; პრობლემის განსაზღვრა; პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება; ამ გზების შეფასება წარსული გამოცდილების საფუძველზე; საუკეთესო გზის გამოცდა; მასწავლებელი არ ცდილობს გაბატონდეს სასწავლო პროცესზე.

18. კვლევის პროცესში აღმოჩნდა პრაგმატისტული პედაგოგიკის ნაკლი:

- თეორიული და სისტემატური ცოდნის უარყოფა;

- მასწავლებლის წამყვანი როლის უარყოფა სასწავლო პროცესში;

- გამეორების, ლექციის, გაკვეთილის, საერთოდ - საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უარყოფა;

- მხოლოდ სასწავლო რესურსებისადმი უპირატესობის მინიჭება;
- სკოლის შენახვისათვის საჭირო დიდი თანხები;
- პრაქტიკის წინსწრება თეორიასთან;
- სოციალური როლის გაფეტიშება პიროვნების განვითარებაში.

19. დიუის „პრაგმატისტული“ დიდაქტიკა ცდილობდა გადაეწყვიტა სწორედ ის საკითხები, სადაც ჰერბარტის „ტრადიციული დიდაქტიკა აღმოჩნდა უძლური“. შედეგად იყო შემუშავებული „უკიდურესად“ ერთი და იმავე პრობლემის ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, რომლებიც შესანიშნავ შედეგს იძლევა სწავლების ცალკეულ მომენტებში, მაგრამ უკიდურესობები არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, რაც მალევე აღმოცენდა ორთავე სისტემის მიღწევების ანალიზისას, რომლებიც ერთნაირად არ პასუხობდნენ სწრაფად მიმდინარე ცხოვრების მოთხოვნებს.

20. დიუის კონსტრუქტივიზმი, ერთის მხრივ, ეწინააღმდეგება ტრადიციულ ეპისტემოლოგიურ პოზიციებს, რომელიც ეფუძნება მსგავს იდეალისტურ და რეალისტურ წარმომავლობას. დიუი კრიტიკულად ამახვილებს ყურადღებას მათ საერთო საფუძვლებზე, ანუ იმ საკითხებზე როგორცაა, განხეთქილება ობიექტსა და სუბიექტს, რეალობას და ცოდნას, სამყაროსა და აღქმას შორის. და მეორე მხრივ, მისი ხედვა, ეფუძნება კონსტრუქტივისტულ ეპისტემოლოგიურ პროგრამას, რომელიც იწყება ცოდნის მოქმედებასთან დამოკიდებულებით. ეს საფუძვლები გვევლინება მეტად სანდოდ, რასაც უახლესი ნეოპრაგმატული კვლევაც გვიდასტურებს. უფრო მეტიც, ის საშუალებას გვაძლევს არგუმენტების შეფასების ცხადყოფისა, რომელიც წარმოიშობა სწავლების რადიკალურ კონსტრუქტივისტული და სოციო-კულტურული მიდგომებისგან. დიუის ტრანსაქციული ცოდნის თეორია ცხადყოფს, რომ დისკუსიები საგანმანათლებლო სამყაროში აგრძელებს არსებობას ცოდნისა და რეალობის გასაყარზე. მეტწილად სწავლების კონსტრუქტივისტული პარადიგმა ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირშია ტრადიციულ, დუალისტურ ჩარჩოსთან.

21. დიუისეული აღზრდა სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სწავლება-აღზრდის პროცესში მოქმედების შედეგების გაცნობიერების კვალდაკვალ, თამაში ბუნებრივად გადადის მუშაობაში, შრომაში. შრომა მოღვაწეობაა, ის მოიცავს თავის თავში, როგორც მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს - საკუთარ შედეგებს, რეზულტატებს და მათ შესწავლას. შრომა, რომელშიც შენარჩუნებულია თამაშის ფასეულობები, არის ხელოვნება. აქედან გამომდინარეობს დიუისეული აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში - სწავლების პროცესში სათამაშო მეთოდების და ხელოვნების უდიდესი როლი.

22. დიუი საინტერესოდ აყალიბებს მორალის თეორიებს, იგი განიხილავს, რომ მორალთან დაკავშირებულ მოქმედებებს ყოფენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებად. ხშირად მას შიდა და გარე, ან სულიერ და ფიზიკურ ფაქტორებს უწოდებენ. ეს დაყოფა გონებისა და სამყაროს, სულისა და სხეულის, მიზნებისა და საშუალებების დაშორიშორებაა. დუალიზმის კონცეფცია - მოტივი და ხასიათი, განიხილება, როგორც „შინაგანი“ შედეგები და ქცევა აღიქმება გონებისგან გარეთ არსებულ უბრალო ქცევად, რომელსაც მოტივი აქვს. მორალის საკითხის განხილვისას ხშირად წარმოიქმნება პარადოქსი. გონება განიხილება, როგორც გარკვეული ნიჭი, რომლიდანაც გამომდინარეობს მორალური ინტუიციები. ზოგჯერ მორალურ ცოდნას მიიჩნევენ ცალკე მიდგომად. განათლების სფეროში ასეთი დაყოფა უიმედობას ჰქმნის პიროვნული ხასიათის აღზრდის პროცესში, რადგან არ არის გათვალისწინებული ცოდნის შექმნისა და აზროვნების განვითარების პროცესთან კავშირი.

23. ქართულ პედაგოგიკურ სივრცეში სხვადასხვა სამეცნიერო შრომების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ როგორც ჯონ დიუის, ისე ილია ჭავჭავაძეს და ალექსი ჭიჭინაძეს დრო კარნახობდათ, რომ დემოკრატიული პოზიციებიდან განეხილათ საგანმანათლებლო საკითხები და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მისულიყვნენ ერთგვაროვან დასკვნამდე, რომ სწავლების პროცესი ყოფილიყო მოსწავლეზე ორიენტირებული და ისინი ირჩევდნენ მასალის კეთებით მიწოდების გზას.

24. 20-30-იანი წლების საქართველოში პროექტული სისტემით ცოდნა-ჩვევების აღზრდა მოსწავლეებში გაანგარიშებული იყო მოსწავლეთა მაქსიმალური აქტივობით და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობით, ხოლო ამ აქტივობის უზრუნველყოფა დაკისრებული იყო დიუის პედაგოგიურ იდეებსა და ლაბორატორიულ მეთოდებზე.

25. მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებში საქართველოში კვლავ გაიზარდა ინტერესი დიუის მიმართ, რაც გამოიწვია მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობის განვითარებაზე ორიენტირებული, აქტიური, პრობლემური და ძიებითი მეთოდებისა და სწავლების ფორმების მასობრივმა განვითარებამ. პედაგოგიკაში დამკვიდრდა სასწავლო მასალის აქტიური გააზრებული ათვისების ხელშემწყობი „კრიტიკული აზროვნების“ ფორმები, პრინციპები და მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბდალაძე ლ., ახვლედიანი მ., ჯონ დიუი - ფილოსოფოსი, პედაგოგი და რეფორმატორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის ატუალური პრობლემები“, ქუთაისი 2017.
2. ახვლედიანი მ., ორჯონიკიძე ნ., მორალის თეორიები ჯ. დიუის მიხედვით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, HENTI 2017 მეორე საერთაშორისო კონფერენცია უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები ქუთაისი (საქართველო) 1-2 მაისი, 2017.
<http://atsu.edu.ge/Conferences/HENTI/index.php?page=ProgrammeTeachers&lng=Ge#conthttp://atsu.edu.ge/EJournal/HENTI/eJournal/Papers/AkhvledianiMaia.pdf>
3. ახვლედიანი მ., ორჯონიკიძე ნ., დოგრაშვილი თ., ჯონ დიუი განათლების სოციალური ასპექტის შესახებ (ნაწილი III), ჟურნალი „ინტელექტი“ 1(42)ISSN 1512-0333, თბილისი, 2012,
4. ახვლედიანი მ., ორჯონიკიძე ნ., დოგრაშვილი თ., ჯონ დიუი განათლების სოციალური ასპექტის შესახებ (ნაწილი II), ჟურნალი „ინტელექტი“ 3(41)ISSN 1512-0333, თბილისი, 2011.
5. ახვლედიანი მ., ჯონ დიუი განათლების სოციალური ასპექტის შესახებ (ნაწილი I), ჟურნალი „ინტელექტი“ 2(40)ISSN 1512-0333, თბ., 2011 წ., გვ. 39-43;
6. ახვლედიანი მ., ჯონ დიუი ისტორიის სწავლების შესახებ და ილია ჭავჭავაძის მოსაზრებანი ისტორიის შესახებ, ჟურნალი „ინტელექტი“ 1(39)ISSN 1512-0333, თბილისი, 2011.
7. ახვლედიანი მ., ბასილაძე ი., საგანმანათლებლო შეხედულებათა საინტერესო დამთხვევა. ჟურნალი „ინტელექტი“ 1(39)ISSN 1512-0333, თბ., 2011.
8. ახვლედიანი მ., ჭიჭინაძე ა., ქუთაისი, 2005.
9. ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., „ჯონ დიუის პედაგოგიური შეხედულებანი“, საერთაშორისო კონფერენცია- „თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010.

10. ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., „იოჰან ჰერბარტისა და ჯონ დიუის დიდაქტიკური სისტემების შედარებითი დახასიათება“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე №2(4), ქუთაისი 2014.
11. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი 2016.
12. გურგენიძე დ., საქართველოს საბჭოთა პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1982.
13. დიმიტრიადისი გრეგ და კამბერელისი ჯორჯ, თეორია განათლებისათვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.
14. განათლების კონცეფცია, <http://intermedia.ge>,
15. დიუი ჯ., ბავშვი და ცოდნის სტანდარტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2013.
16. დიუი ჯ., გამოცდილება და განათლება, თბილისი, 2006.
17. დიუი ჯ., დემოკრატია და განათლება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010.
18. დიუი ჯ., თავისუფლება და კულტურა, თბილისი, 2014.
19. განვითარების თეორია და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010.
20. თავზიშვილიგ., ჭავჭავაძე ი., თბილისი, 1938.
21. ინტერნეტ ჟურნალი <http://mastsavlebeli.ge/>
22. მედინსკი ე., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1941.
23. მელიქიშვილი მ., ჯონ დიუის პედაგოგიკური კონცეფცია, თბილისი, 2013 .
24. ობოლაძე უშ., ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საქართველოში (1921-1930) წიგნი 1, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1961.
25. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი“, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი, თბილისი 2011.
26. ყიფშიძე დ., პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 1947.

27. შერვაშიძე გ., ლექციები განათლების ფილოსოფიაში, სალექციო კურსი, ბათუმი, 2013.
28. ჭავჭავაძე ი., ერი და ისტორია, თხზულებათა ტომი 4, თბილისი, 1987 .
29. ჭავჭავაძე ი., ჩვენი ხალხის განათლება, თხზულებათა ტომი 4, თბილისი, 1987 .
30. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა ტომი 5, თბილისი, 1987 .
31. ჭიჭინაძე ა., მოკლე საუბარი სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით, ქუთაისი, 1907.
32. ჭიჭინაძე ა., პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, ქუთაისი, 1913
33. Бернштейн М, Закат прогматической педагогики, изд. Знание, Москва, 1963.
34. Дьюи Дж – Школа и общество, гос. Изд., Москва, 1925.
35. Дьюи Дж. и Дьюи Э. –Школы будущего, Берлин, 1922.
36. Дьюи Дж. Психология и педагогика мышления , изд. Мир, Москва, 1919.
37. Эймс Р. Т. Диалог между конфуцианством и прагматизмом Дж. Дьюи, 2004.
38. Дьюи Дж., От ребенка – к миру от мира – к ребенку М. Карапузю, 2009.
39. Дьюи Джон. »Впечатления О Советской России»История философии №5, 2000.
40. Дьюи Джон. «Введение в философии воспитания»Москва, 1921.
41. Рогачева Е Ю. Педагогика Джона Дьюи в контексте разных культур М. Педагогика, 2003.
42. Торыдайк Э.- Принципы обучения основанные на психологии, Работник просвещения, Москва, 1930.
43. Шарвадзе Б. А. Жизнь и философия Джона Дьюи. – Тбилиси: изд. авт. 1995.
44. Art as Experience. New York: Milton Balch
45. Bernstein, Richard J. John Dewey, Washington Square Press, 1966.
46. Boisvert, R.D. Dewey's Metaphysics, 1988.
47. Boisvert, R.D. John Dewey: Rethinking Our Time. Albany: SUNY Press, 1998.
48. Bullert, G. The politics of John Dewey. Buffalo, NY: Prometheus, 1983.
49. Campbell, James. Understanding John Dewey: Nature and Cooperative Intelligence, Open Court Publishing Company, 1995.
50. Crick, Nathan. Democracy & Rhetoric: John Dewey on the Arts of Becoming, University of South Carolina Press, 2010.
51. Dewey, Educational Essays. L, 1910.
52. Dewey, Essays in experimental logic, 1916.
53. Dewey, Ethics. New York: Henry Holt, 1932.

54. Dewey, Experience and Nature, 1925.
55. Dewey, How We Think: A Restatement of the Relation of Reflective Thinking to the Educative Process, 1933.
56. Dewey, Logic: The Theory of Inquiry. New York: Touchstone/Simon and Schuster,1938.
57. Dewey, The Child and the Curriculum, Chicago: University of Chicago Press,1959.
58. Dewey, The School and Society, by Cosimo, Inc., 2007.
59. Dewey, Knowing and the Known (with A.P. Bentley), 1949.
60. Dewey, Reconstruction in Philosophy. Boston: Beacon, 1957.
61. Dewey, Impressions of Soviet Russia and the Revolutionary World. N.Y., 1929.
62. Dykhuizen, G. The Life and Mind of John Dewey. Carbondale: Southern Illinois University Press, 1973.
63. Fishman, Stephen M. and Lucille McCarthy. John Dewey and the Philosophy and Practice of Hope, University of Illinois Press, 2007.
64. Garrison, Jim. Dewey and Eros: Wisdom and Desire in the Art of Teaching. Charlotte: Information Age Publishing, 2010. Original published 1997 by Teachers College Press.
65. Hickman, L. John Dewey's Pragmatic Technology, 1990.
66. John Dewey. The School and Society,The University of Chicago press, 1915.
67. John Dewey, The Collected Works of John Dewey, edited by J.A. Boydston. 37 vols. Carbondale: Southern Illinois University Press. 1967-1991.
68. John Dewey, Ethical principles, Underlying Education. Chic., 1897.
69. John Dewey, Moral Principles in Education. Boston, 1909.
70. John Dewey, Experience and Education. N.Y., 1938.
71. John Dewey, Democracy and Education. N.Y., 1916.
72. John Dewey, Creative Intelligence. N.Y., 1917.
73. John Dewey, Intelligence in the Modern World. N.Y., 1939.
74. John Dewey, Educational Essays. L,1910.
75. John Dewey, My Pedagogic Creed. Washington, DC: Progressive Education Association, 1929.
76. John Dewey, The Relation of Theory to Practice in Education,1904.
77. Michael Knoll, From Kid to Dewey: The Origin and Meaning of „Social Efficiency“. Journal of Curriculum Studies 41 (June), 2009.
78. Michael Knoll: “I Had Made a Mistake”: William H. Kilpatrick and the Project Method. Teachers College Record 114 (2012)

79. Michael Knoll: Dewey, Kilpatrick und „progressive“ Erziehung. Kritische Studien zur Projektpädagogik. Bad Heilbrunn: Klinkhardt 2011.
80. Stephen Toulmin, Knowing and Acting: An Invitation to Philosophy, 1976.
81. Washburne C. W. What is Progressive Education. N.Y.,1952.
82. <http://library.iliauni.edu.ge/ilib/node/68>
83. ralarcon@ucla.edu